# კვირის პალიტრა

№ 21 (482) ◆ 24 – 30 მაისი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო...




გვ.18

ისტორიული რუკა საჩუქრად!

## რას ითხოვდა თავდაცვის ყოფილი მინისტრი კახა თარგამაძისგან 11 ოთახის სანაცვლოდ?!

**როგორ „გაჩნდა“ თბილისში ახალი ბაზრობა...**



რუსეთის არმიამ მხოლოდ თბილისში (ოფიციალური ცნობით) ქართული არმიის პირად შემადგენლობას ათასობით ბინა და კეთილმოწყობილი სამხედრო ქალაქი დაუტოვა. რუსეთის არმიამ ქართველებს დედაქალაქში 407 ჰექტარი მიწა გადასცა. აქედან დღეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე თითქმის ალარაფერი ირიცხება.

გვ.6,27

## ბრძოლით მოპოვებულ დამოუკიდებლობას არასოდეს დავკარგავთ...

გვ.7,12



„გამსახურდიას ხელისუფლების პრობლემა აბსოლუტური დამოუკიდებლობა იყო“

მთელი სიცოცხლე ქართულ ჯარზე ვოცნებობდი და ბედნიერი ვიყავი, როდესაც ქართველი ჯარისკაცების კოლონა დავინახე. მახსოვს, ბევრი ტიროდა კიდეც სიხარულით. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ეს ვინმეს ნაწყალობევი კი არა, ბრძოლით მოპოვებული დღესასწაული იყო.

გორბაჩოვის მუქარას კონკრეტული შედეგი მოჰყვა — სამაჩაბლოში პირველი კონფლიქტი მოხდა...

ზვიად გამსახურდია დამოუკიდებელი ქვეყნის დამოუკიდებელი პრეზიდენტი იყო. გარდა რუსეთისა, ეს არც შტატებს მოუვიდა თვალში.

## გამგებლები, რწმუნებულები და მაჟორიტარები გავლენის სფეროებს ვერ იყოფენ

„თვითმარქვია გამგებელი“ თუ „ისტორიული მნიშვნელობის ღვინის ქარხნის მიმტაცებელი“... დროზეა საჭირო მტყუან-მართლის გამოვლენა, სანამ ქუჩური წესებით დაუწყიათ საქმეების გარჩევა... ამ დაძაბულ ფონზე საქმე კარგად ვერც თავად პრეზიდენტის რწმუნებულს ექნება. შენდამი დაქვემდებარებულ რეგიონში თუ ასეთი არეულობა და დაპირისპირებაა, ვერ ყოფილხარ კარგი ხელმძღვანელი.

გვ.5,11





## „მექრთამეების დაპატიმრების მეორე ეტაპიც დაიწყება“

გვ.11

ხომ არ გამოიკვეთება ქრთამის აღების წაქეზება



## აფხაზეთს დავიბრუნებთ — ასე ფიქრობს მკითხველთა 73%

გვ.35



## პარლამენტის სხდომებზე აჭარიდან ვივლი

გვ.7

„არ შეიძლება კაბინეტს შტურმით იღებდნენ სკამს დახარბებული ადამიანები“

სკამზე დაბრძანებულ ადამიანებს ძალაუფლების წყურვილი თავბრუს ახვევს ხოლმე.

## „მეფის“ სიტყვა კანონია?!

გვექნება თუ არა სტაბილური ეკონომიკური კანონმდებლობა

გვ.27

„სულელი უნდა იყო, მოპარული გადასახადების დეკლარირება მოახდინო, თანაც იმ პირობებში, როცა ამისთვის არც იურიდიული საფუძველი არსებობს და არც ხელშეუხებლობის გარანტიები“.

## სამხედრო თემაზე:

**ჯერ არნახული სამხედრო ალუბი**

გვ.8,9

„აჭარის ლომს“ თავისიანები ათი წელი აწყუებდნენ

ძალით წართმეულს — ძალით იბრუნებენ

# 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## თურქეთიდან პირდაპირ ხელვაჩაურში

საქართველოს პრეზიდენტი თურქეთში ოფიციალური ვიზიტის დასრულებისთანავე აჭარის რეგიონში ჩაფრინდა და სარფის საბაჟოსკენ გაემართა, სადაც მან განაცხადა, რომ თურქეთის მხარესთან მიღწეულია შეთანხმება საქართველო-თურქეთს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ. პრეზიდენტმა მებაჟეებს პრობლემების მოსაგვარებლად ორკვირიანი ვადა მისცა, რათა ადამიანებს არ მოუწიოთ დიდხანს გაჩერება საბაჟოზე და რამდენიმე წუთში შეძლონ სარფის საბაჟოს გავლა. სარფის საბაჟოს შემდეგ, მიხეილ სააკაშვილი აჭარის დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს რეზიდენციისკენ გაემართა.

23 მაისის ღამეს მიხეილ სააკაშვილი ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ვარშალომიძეებში, აჭარის დროებითი საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელის, ლევან ვარშალომიძის მამაპაპისეულ სახლში დარჩა, სადაც გვიანობამდე ილხენდნენ. პრეზიდენტი დილის 11 საათისთვის დაბრუნდა თბილისში. მიხეილ სააკაშვილის აჭარიდან გამომგზავრების შემდეგ რეგიონში სასუქის მორიგი პარტია ჩაიტანეს, რომელიც მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობისთვის არის განკუთვნილი.

## ჟვანიას მოსკოვში ბარამიძეც მიჰყვება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია და შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე 24 მაისს, ორდღიანი საქმიანი ვიზიტით რუსეთის ფედერაციაში მიემგზავრებიან. პრემიერ-მინისტრს რუსეთში დაგეგმილი აქვს შეხვედრები რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრთან, სერგეი ლავროვთან და უშიშროების ფედერაციის საბჭოს მდივანთან, იგორ ივანოვთან, რომელსაც შს მინისტრი გიორგი ბარამიძეც დაესწრება. ქართულ მხარეს ასევე დაგეგმილი აქვს შეხვედრები ღია საზოგადოება „ლუკოილის“ პრეზიდენტთან და ეროვნული კორპორაცია „იტერას“ მმართველობის თავმჯდომარესთან.

## მოსახლეობა უკმაყოფილოა

ბათუმში დასრულდა კონფერენცია მიკროსაფინანსო და მცირე ბიზნესის განვითარების საკითხებზე. კონფერენციას, რომელსაც გაეროს განვითარების ფონდი აფინანსებდა, 60-მდე ქართული და საერთაშორისო ორგანიზაცია ესწრებოდა. შედგა თემატური შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასა და მეწარმეებთან. ხალხი შეთავაზებული პირობებით უკმაყოფილოა, მათი განცხადებით, ბანკებში კრედიტის გასატანად საკმაოდ მაღალ საპროცენტო განაკვეთს ითხოვენ. ამას ემატება ისიც, რომ თუ კერძო პირს ბიზნესის სფეროში მუშაობის ორწლიანი გამოცდილება მაინც არა აქვს, კრედიტის მიცემაზე უარს ეუბნებიან. მოსახლეობა აცხადებს, რომ ეს პირობები რადიკალურად განსხვავდება იმისაგან, რასაც მათ მთავრობა ჰპირდებოდა.

## საპარლამენტო არჩევნები ცხინვალში

23 მაისს ე.წ. სამხრეთ ოსეთში საპარლამენტო არჩევნები მშვიდ ვითარებაში ჩატარდა — კონფლიქტური სიტუაციები არ დაფიქსირებულა. საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციების თანახმად, არჩევნებში მონაწილეთა აქტივობის დონე მეტისმეტად დაბალი იყო, თუმცა საპირისპირო განცხადებას აკეთებენ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლები. ცნობილია, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის მკვიდრ ქართველებს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ.

არჩევნებში სამი პარტია იყრიდა კენჭს. თითქმის წინასწარვე იყო ცნობილი, რომ ხმების გადანაწილება სახელისუფლებო პარტიას, „ერთობასა“ და „კომუნისტურ პარტიას“ შორის მოხდება. ქართველ ჟურნალისტებს ოსებმა არჩევნებზე დასწრებისა და დაკვირვების უფლება მხოლოდ დღის 12 სთ-მდე მისცეს. საპარლამენტო არჩევნებზე საკუთარი პოზიცია დააფიქსირა ე.წ. პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა (რომელსაც თან ახლდნენ რუსეთის სათათბიროს წარმომადგენელი ზატულინი და აფხაზეთის და დნესტრისპირეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების წარმომადგენლები). მან იქვე კომენტარიც გააკეთა გავრცელებულ ინფორმაციაზე 23 მაისს ცხინვალში „კმარას“ სავარაუდო გამოჩენის შესახებ. „სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არანაირი „კმარა“ არ იქნება. „კმარელების“ გამოჩენის მცდელობის შემთხვევაშიც კი უმკაცრეს ზომებს მივიღებთ და არავის მივცემთ უფლებას, ჩვენს ტერიტორიაზე თავისი ბინძური მიზნები განახორციელოს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ საკუთარი სუვერენიტეტის შესანარჩუნებლად და მიზნის მისაღწევად. მიზანი კი ერთი გვაქვს — რუსეთის ფედერაციაში შესვლა“ — განაცხადა კოკოითმა, რომელიც ალბათ ყველაზე დიდ ფსიქოლოგიურ და მორალურ დარტყმას მაშინ მიიღებს, როდესაც ე.წ. სამხრეთ ოსეთის თვითმარქვია ხელისუფალთ დიდი რუსეთიც საქართველოს იურისდიქციისათვის დამორჩილებისკენ მიუთითებს.

## რისთვის ემზადებიან სოხუმელი კაზაკები?

აფხაზეთში მცხოვრებ კაზაკებს ყუბანის ლაშქარში საკუთარი რაზმი ჰყავთ. 22 მაისს ყუბანის ოლქის გუბერნატორმა და ლაშქრის ხელმძღვანელობამ სოხუმში საგანგებოდ, ადგილობრივი კაზაკებისათვის, დროშა და სიგელი ჩაიტანა, ქალაქის ცენტრში კი საზეიმო აღლუმი შედგა, რის შემდეგაც კრასნოდარის მხარის და აფხაზეთის კაზაკებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას მეგობრობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. სტუმრები კატეგორიულად აღნიშნავდნენ, ამ აღლუმით ყველა უნდა დარწმუნდეს, რომ აფხაზეთში ძალით შესვლა შეუძლებელიაო. ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის თვითმარქვია ხელისუფლება კი აღნიშნავს, რომ კრასნოდარელ კაზაკებთან სოხუმში შეხვედრა არ უკავშირდება საქართველოში მიმდინარე ბოლოდროინდელ მოვლენებს და იგი დიდი ხნით ადრე იყო დაგეგმილი. კრასნოდარელ კაზაკთა სოხუმში სტუმრობა გაშუქდა რუსულ მედიაში.

## „შპიონი“ რძლები ელანდებათ

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის უშიშროების სამსახური სოხუმში მცხოვრებ მოქალაქეს ახალშეუღლებულ ქართველ ცოლთან გაყრას, თბილისელ ქალბატონს კი აფხაზეთის ტერიტორიის დატოვებას სთხოვს. აფხაზეთის უშიშროების სამსახურის თანამშრომლები სოხუმში მცხოვრებ მოქალაქე ქ. ნ.-ს, რომელმაც რამდენიმე დღის წინ თბილისში ლ. კ.-ზე იქორწინა და მეუღლე სოხუმში ჩაიყვანა, საქართველოს მოქალაქის აფხაზეთში ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად ჩაყვანის გამო, პასუხს მთელი კატეგორიულობით სთხოვენ. აფხაზური სპეცსამსახური დაჟინებით აცხადებს, რომ თბილისიდან სოხუმში გათხოვილი ქალბატონი საქართველოს სპეცსამსახურებთან თანამშრომლობს...

## „ალარი“ თუ „ამანეთი“

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება ბოლო დროს განსაკუთრებით გააქტიურდა აფხაზების შემოსარიგებლად, სოხუმის თვითმარქვია ხელისუფლება თავისას არ იშლის და აბსურდულ განცხადებებს აკეთებს. აფხაზეთის ე. წ. საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას თქმით, აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას მალე თავისი ფული ექნება, რომლის სავარაუდო დასახელება ჯერ არ ხმაურდება. თუმცა, საქართველოს სახელისუფლებო კულუარებში ხუმრობენ, რომ აფხაზები ფულის ახალ ერთეულს „ალარს“ ან „ამანეთს“ დაარქმევენ. შამბას თქმით, სოხუმის ხელისუფლებამ რამდენიმე ხნის წინ დაასრულა მოლაპარაკება ერთ-ერთ ცნობილ ფრანგულ ფირმასთან, რომელიც აფხაზეთის რესპუბლიკისათვის მალე ფულის ერთეულს დაბეჭდავს. თუმცა, საქართველოს ოფიციალურ წრეებში ამ ინფორმაციას აბსურდულს უწოდებენ.

## ტრიპტიქონი დაბრუნებულია

საქართველომ რამდენიმე წლის წინ ცხინვალის რეგიონიდან დაკარგული სპილოს ძვლის სამკარედიანი ხატი დაიბრუნა. 3 წლის წინ ჟენევაში კრისტის აუქციონზე პირთა ჯგუფმა ორ მილიონ დოლარად შეფასებული სპილოს ძვლის სამკარედიანი ხატი გაიტანა. შვეიცარიელ ექსპერტთა კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ხატი ოქონის ტრიპტიქონს წარმოადგენდა, რომელიც 1924 წლამდე ზნაურის რაიონის სოფელ ოქონის ქართულ ეკლესიაში ესვენა, შემდეგ კი იგი ცხინვალის სახელმწიფო მუზეუმში გადაიტანეს. „ეს ტრიპტიქონი სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი. იგი ნახსენებია ქართველი და უცხოელი მეცნიერების და მკვლევარების მთელ რიგ ნაშრომებში და საქართველოს ეროვნულ საგანძურს წარმოადგენს“, — აცხადებენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში. 90-იან წლებში ამ საგანძურის შვეიცარიაში უკანონოდ გატანის გამო სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული. ჩატარებული ღონისძიებების შედეგად პროცესი წარმატებით დასრულდა და მიმდინარე წლის 19 მაისს ჟენევის კანტონის იუსტიციის სასახლეში ხატის გადმოცემის ოფიციალური ცერემონიალი გაიმართა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ისა და საქართველოს პრეზიდენტის მონაწილეობით ტრიპტიქონის სიმბოლური გადმოცემის ცერემონია 26 მაისს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართება.

## ფოთში დამნაშავე ტანკერი დააკავეს

22 მაისს, ფოთში, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის სამსახურმა საბერძნეთის დროშის ქვეშ მცურავი ტანკერი „ვასილიუს 16“ დააკავა. მას პასუხისგება ძველი ცოდვების გამოც მოუწევს. სასაზღვრო უწყების სამსახურის განცხადებით, ტანკერმა 2002 წლის სექტემბერში აფხაზეთის ტერიტორიაზე 2.500 ტონა საწვავი უკანონოდ შეიტანა. აღნიშნული დარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მეზღვაურებმა ტანკერის შემოწმების შედეგად აღმოაჩინეს. „ვასილიუს 16“ და ტანკერის 13-კაციანი ეკიპაჟი ამჟამად ფოთის პორტშია დაკავებული. გემის პატრონებს უკვე დაეკისრათ ჯარიმის გადახდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გემი აუქციონზე გაიყიდება.

## რუსთავში დანაშაულთა რიცხვი იზრდება

პროკურორ გია ჯაიანის განცხადებით, რუსთავის პოლიცია და პროკურატურა საგანგებო ოპერატიულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებს იწყებენ და 24-საათიან სამუშაო რეჟიმზე გადადიან.

პროკურორის განცხადებით, ბოლო 4 თვის მანძილზე რეგიონის მასშტაბით ყველა სახის დანაშაულის კატასტროფული ზრდა დაფიქსირდა. „განსაკუთრებით შემაშფოთებელი ვითარებაა რუსთავში, სადაც მნიშვნელოვნად იმატა ქურდობამ, ყაჩაღობამ, ძარცვამ. ამ ფონზე დანაშაულის გახსნის პროცენტული მაჩვენებელი კატასტროფულად დაბალია, სულ 25%“, — აცხადებს ჯაიანი.

პროკურორის თქმით, აუცილებელია მკაცრი ხასიათის არაორდინარული ღონისძიებების გატარება, რათა სამართალდამცველებმა კვლავ შეძლონ ოპერატიული სიტუაციის მართვა. „ცოტა ხნის წინ რუსთავის პოლიციის უფროსსა და მის მოადგილეებს დისციპლინური სასჯელი დაედო. თუ ვითარება არ გამოსწორდება, შს სამინისტრო უფრო მკაცრ ზომებს მიმართავს, არ არის გამორიცხული საკადრო ცვლილებების განხორციელებაც“, — დასძინა მან.

## საზარელი მკვლელობა თელავში

ბოლო ხანს საქართველოში დაფიქსირებული ზოგიერთი კრიმინალური შემთხვევა გაუგონარი სადიზმით ხასიათდება, რის მაგალითადაც ამ რამდენიმე კვირის წინ თბილისელი ლექტორი ქალის მკვლელობაც კმარა. 22 მაისს კი შემზარავი ფაქტი მოხდა თელავში. არჩილ მეფის ქუჩაზე, საკუთარ სახლში იპოვეს 73 წლის ლამარა ჩეკურიშვილის დასახიჩრებული გვამი, რომელსაც სახის არეში ბასრი იარაღით მიყენებული ჭრილობები აღენიშნებოდა.

ლამარა ჩეკურიშვილი მარტო ცხოვრობდა. ბოროტმოქმედები, სავარაუდოდ, კიბის საშუალებით შეიჭრნენ ბინაში, თუმცა დაყაჩაღების მოტივი არ იკვეთება, რადგან ბინიდან ნივთები არ არის წაღებული. ახლობელთა თქმით, ლამარა ჩეკურიშვილს დაცილი აქვს ოქროს კბილები.

ჩეკურიშვილის მეზობლების განცხადებით, ბოლო პერიოდში ამ ქუჩაზე ხშირად ხდება წვრილმანი ქურდობა. ამიტომ მოსახლეობა პოლიციისგან ღამის საათებში პატრულირების დაწესებას ითხოვს. მოსახლეობა ასევე ითხოვს ჩეკურიშვილის მკვლელობის საქმის სასწრაფო გამოძიებას და დამნაშავის ლინჩის წესით გასამართლებას. მკვლელობის ფაქტს თელავის რაიონის პროკურატურა იძიებს.

## მანქანის გამტაცებლები დააკავეს

22 მაისს, გვიან ღამით, რუსთაველის გამზირზე ოთხმა ახალგაზრდამ, მათ შორის ერთმა ქალმა, „მერსედესის“ მარკის ავტომანქანა გააჩერა. ბოროტმოქმედებმა ტაქსი ჯერ ნუცუბიძის IV მიკრორაიონში აიყვანეს, სადაც ქალი ჩამოსვეს, შემდეგ კი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მძღოლს „სკოჩით“ პირი აუკრეს, ჩააგდეს საბარგულში და ონკოლოგიურ საავადმყოფოსთან, ტყეში, ხეზე მიაბეს.

მძღოლმა თავი გაითავისუფლა და მომხდარი პოლიციას შეატყობინა. მოგვიანებით, აღნიშნული „მერსედესი“ ნაძალადევის საგუშაგოსთან გამოჩნდა. გამაფრთხილებელ გასროლას ბოროტმოქმედებმა არ დაემორჩილნენ. პოლიციელებმა მანქანის საბურავის დაზიანება შეძლეს, თუმცა „მერსედესმა“ გზა მაინც განაგრძო, საგზაო პოლიციელები მცხეთის პოლიციის სამმართველოს ნარკომანიასთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად დაედევნენ გამტაცებლებს, რომლებმაც სოფელ საქადაგიანოს მიმართულებით გადაუხვიეს. დიდი სიჩქარით მოძრავი ავტომანქანის საბურავი მწყობრიდან გამოვიდა, მიმართულება დაკარგა და კედელს შეეჯახა.

პოლიციელებმა, ადგილზე დააკავეს უშიშროების სამსახურის, „დელტას“ დაცვის თანამშრომელი, 23 წლის ოთარ დოლაბერიძე და ლენტეხში მცხოვრები 24 წლის ალუდა ტვილდიანი, მესამე გამტაცებელი კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. საქმეს ვაკე-საბურთალოს რაიონის საგამოძიებო განყოფილება იძიებს.

## განბაჟება იძულებით?

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენელთა განცხადებით, არ სრულდება საქართველოს პრეზიდენტისა და გენერალური პროკურორის დაპირება იმის შესახებ, რომ ე.წ. განუბაჟებელი მანქანების კეთილსინდისიერი შემძენები ხელახალი განბაჟების თანხასა და ჯარიმას არ გადაიხდიან. როგორც ასოციაციაში განმარტავენ, ავტომანქანების კეთილსინდისიერ შემძენებს საბაჟო და პროკურატურა თანხების გადახდას აიძულებენ. ორგანიზაციის ინფორმაციით, შსს-ს საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოს დაევალა, არც ერთი მანქანის ტექპასპორტი არ გასცეს, ვიდრე არ იქნება გადახდილი განბაჟებისა და ჯარიმის თანხები. „იმის ნაცვლად, რომ პროკურატურას დამნაშავეები დაედგინა და მათთვის ბიუჯეტისთვის მიყენებული ზარალის გადახდა დაეკისრებინა, დღეს უდანაშაულო ადამიანები ისევ იძულებით იხდიან თანხას“, — აცხადებენ ასოციაციაში.

## რუსეთი კმაყოფილია

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო გაეროს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენლის, ჰაიდი ტალიავინის თავმჯდომარეობით სოხუმში დასრულებულ ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესს მიესალმება და იმედოვნებს, რომ მხარეები მალე მიაღწევენ კონსენსუსს სოჭის შეთანხმებათა რეალური განხორციელებისათვის.

მოსკოვი იმედოვნებს, რომ ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები დააჩქარებს 2003 წლის 7 მარტს, სოჭში, პრეზიდენტ პუტინსა და პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ მიღწეული შეთანხმების განხორციელებას, რომელიც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად აფხაზეთის მონაკვეთზე რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენას შეეხება.

## ბუშმა ცხვირ-პირი დაიმტვრია




24 მაისს აშშ-ის თითქმის ყველა სატელევიზიო არხი პირდაპირ ეთერში გადასცემს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის სატელევიზიო მიმართვას. აშშ-ის პრეზიდენტი, თუ გრიმიორები ამ დეფექტების დამალვას ვერ მოახერხებენ, მაყურებელს ცხვირგადაფხაჭნილი და იდაყვებგადაყვლეფილი წარუდგება.

22 მაისს ბავშვობამონატრებული ბუში საკუთარი რანჩოს მახლობლად, დაღმართზე ველოსიპედით დაშვებისას დაშავდა. სველ მიწაზე საბურავის დასრიალების შედეგად მიღებული მარცხისაგან პრეზიდენტი პირადმა დაცვამაც ვერ იხსნა. ბუშის ექიმის განცხადებით, მას სახე დაეკაწრა და ორივე ხელის იდაყვი გადაეყვლიფა. ბუშმა იხუმრა, ბავშვობა გავიხსენე და ველოსიპედით სეირნობას კვლავაც გავაგრძელებო. თუმცა, ექსპერტთა ვარაუდით საეჭვოა, მან ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პრეზიდენტობაც განაგრძოს.

პოლიტოლოგების თქმით, კანის საერთაშორისო ფესტივალი ბუშის საპრეზიდენტო მზის ჩასვენების ნიშანი გახდა. კანში გრან-პრი, პირველად 50 წლის მანძილზე, დოკუმენტურ ფილმს ერგო — ამერიკელი რეჟისორის მაიკლ მურის „ფარენგეიტი-9.11“ კანის ფესტივალის უმაღლესი ჯილდოს მფლობელი გახდა. მასში აშშ-ის პრეზიდენტი ბინ-ლადენის კლანთან საქმიან ურთიერთობაშია დადანაშაულებული(?!). ფილმის ჩვენება აშშ-ის მთელ ტერიტორიაზე აიკრძალა.

## ტრაგედია საფრანგეთში

პარიზში, შარლ დე გოლის სახელობის აეროპორტში, საშინელი ტრაგედია დატრიალდა. უკანასკნელი მონაცემებით, 10-მდე ადამიანი დაიღუპა და ამდენივე დაშავდა აეროპორტის სახურავის 50-მეტრიანი მონაკვეთის და რამდენიმეტონიანი ბეტონის კედლის ჩამონგრევის შედეგად. ნგრევა ზუსტად იმ ადგილას მოხდა, სადაც მგზავრები რეგისტრაციის გავლის შემდეგ სპეციალური დერეფნით თვითმფრინავისკენ მიემართებიან. საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა დაღუპულთა ოჯახებს მიუსამძიმრა და ინციდენტის სასწრაფო გამოძიება მოითხოვა. საფრანგეთის ტრანსპორტის მინისტრი ჟილ დე რობენი ჯერჯერობით ტერაქტის ვერსიას გამორიცხავს.

## მსოფლიოს მღელვარების მიზეზი

შვიდი უდიდესი ქვეყნის ფინანსთა მინისტრი და მაღალი თანამდებობის პირები ნიუ-იორკში შეიკრიბნენ. შეკრების მიზეზი გახდა მსოფლიოში ნავთობის ფასების კატასტროფული ზრდა. აშშ-ის, კანადის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა ნავთობის მწარმოებელ ქვეყანათა გაერთიანებას წერილობითი მიმართვა გაუგზავნეს, სადაც ორგანიზაციას ნავთობის ფასების დარეგულირებას სთხოვენ. ამავე დროს მსოფლიოს ფინანსურმა ელიტამ ამერიკულ დოლართან დაკავშირებულ კრიზისზეც იმსჯელა. მათი განცხადებით, დოლარის არასტაბილურობამ შესაძლოა მსოფლიო მასშტაბის ეკონომიკური კრიზისი გამოიწვიოს.

# „ნაციონალურ მოძრაობას ბევრი უკეთური განზრახვით მიეტმასნა“



**არა მგონია, კენჭაძე უკანასკნელი იყოს, ვისაც ამ დანაშაულისთვის დააპატიმრებენ. ჩემი ინფორმაციით, უახლოეს დღეებში სამართალდამცველთა ანკესს გაცილებით უფრო „დიდი ღლავი“ წამოეგება.**

**„აფხაზეთისთვის ყველაზე მისაღები ფორმა თავისუფალი ეკონომიკური ზონა უნდა იყოს“**

...ცოდვა გამხელილი სჯობსო და რევოლუციის შემდეგ ჟურნალისტები ერთგვარ უხერხულობას ვგრძნობდით — აბა, რა სჯობდა შევარდნაძის რეჟიმის კრიტიკას — კორუფცია გინდოდა, ადამიანის უფლებათა დარღვევა, სამსახურებრივი გულგრილობა... მოკლედ, ყველაფერი იყო, რაზე წერასა და კრიტიკასაც წესიერი ჟურნალისტი ისურვებდა. თუმცა, ჟურნალისტიკა ხომ უპირველესად მოვლენათა ობიექტურ ასახვას გულისხმობს და ჩვენ კრიტიკასთან ერთად, არც ქებას მოვერიდებით — გასულ კვირაში ალბათ მთელი საქართველო თვალზე ცრემლმომდგარი უყურებდა და უსმენდა რეპორტაჟებს პარლამენტიდან, როდესაც დეპუტატების აბსოლუტური უმრავლესობა ტელეკამერების წინ გულმოდგინედ მღეროდა წინა ღამით დაზეპირებულ, ახალი საქართველოს ახალ ჰიმნს, რომელიც, ჩვენი პროგნოზების შესაბამისად, სამივე მოსმენით, დაფა-ზურნის თანხლებითა და ტაშის გრიალით იქნა მიღებული. როგორც ჩანს, ახალი მოწვევის პარლამენტის უმრავლესობაში ყოფნა, ამ თვალსაზრისით, გაცილებით შრომატევადიც იქნება და საპასუხისმგებლოც. სწორედ წინა ნომერში, „კვირის პალიტრა“ ეჭვს გამოთქვამდა — გენერალური პროკურატურა მხოლოდ ძველი ხელისუფლების კორუფციონერ ჩინოსნებზე ხომ არ ნადირობსო და აი, დემოკრატიისა და კანონიერების სამსხვერპლოზე პირველი მსხვერპლი გამოჩნდა — გენპროკურატურამ ნაციონალების ერთ-ერთი აქტივისტი სწორედ მაშინ დაიჭირა, როდესაც ფულით სავსე „ტომარა“ კანცელარიაში მიჰქონდა. როგორც ჩანს, ორი შინაურის დაჭერა ერთ დღეში ნამეტანი იქნებოდა და ფული მანამ წაართვეს, სანამ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ვინმეს შეუტანდა.

გასული კვირა საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაზრისითაც საკმაოდ დატვირთული იყო — რასაკვირველია, საქართველოსთან მიმართებით. უკვე გამოიკვეთა პირველი კონტურები აფხაზეთის დაბრუნების გეგმისა, რომელიც, როგორც ვვარაუდობდით, უწინარესად, ეკონომიკური ფაქტორით იქნება განპირობებული. მეორე საკითხია, რამდენად ესიამოვნება ჩვენს მოძმე აზერბაიჯანს (რომლის ახალგაზრდა პრეზიდენტიც, ჩვენი, ასევე ახალგაზრდა პრეზიდენტის „მეგობარია“) დსთ-ის ინიციატივა — სომხეთისთვის რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის ხანგრძლივი ვადით გადაცემასთან დაკავშირებით; ალბათ, აქაც პირობებს გააჩნია... საინტერესო ნიუანსები გამოჩნდა შიდა ქართლშიც — სამხრეთ ოსეთის თვითმარქვია რესპუბლიკის თვითმარქვია პრეზიდენტმა სახალხოდ განაცხადა — ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების კეთილმოწყობისთვის თბილისი სამ მილიონ დოლარს მთავაზობს, მე კი ვუარობ, რადგან ოსი ერის დამოუკიდებლობა მილიონებზე არ იყიდებაო. მგონი, სამაჩაბლოს რეგიონში მცხოვრები ოსების დამოუკიდებლობა სწორედ მაშინ გაიყიდა, როდესაც რუსების წაქეზებით ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში ყოფნაზე თქვეს უარი და ათეული წლის მანძილზე „სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა“ რუსეთთან „უკანონო ქორწინებაში“ — დანარჩენ საქართველოსა და კავკასიონს შორის მომწყვდეული და გამოკეტილი ცხოვრობდა — მნიშვნელოვანწილად, ამას საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების შეცდომებმაც შეუწყო ხელი. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, კოკოითი თავისი განცხადებით თავის ხალხში ნიადაგის მოსინჯვას ცდილობდეს. რა სურთ — რუსული კონტრაბანდის, ნარკოტიკებისა და კრიმინალური ავტორიტეტების დახურულ ანკლავში ცხოვრება თუ თანაბრად სარგებლობა იმ სიკეთით, რითაც მთელი საქართველო ისარგებლებს. ალბათ, ფილოსოფოსობა არ უნდა სჭირდებოდეს იმის მიხვედრას, რომ ერთი პატარა, პროვინციული ქალაქისთვის პრეზიდენტის, მინისტრთა კაბინეტის, ჯარისა და ცხინვალისთვის სრულიად უსარგებლო სხვა სახელმწიფო ატრიბუტიკის შენახვა, რბილად რომ ვთქვათ, წამგებიანია...

მაგრამ ეკონომიკური ბერკეტებით საქართველოს გაერთიანების მაცდუნებელი და თვალისმომჭრელი პერსპექტივების ფონზე ხელისუფლებას უკიდურესი სიფრთხილე მართებს: პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალისხმევით, თამაშის არაოფიციალური წესები საქართველოში სამართლიანად აიკრძალა. საგადასახადოს ინსპექტორები და სხვა სახელმწიფო ჩინოსნები ქრთამის აღებას ვეღარ ბედავენ (ყოველ შემთხვევაში ისე, როგორც ადრე, ესეც საქმეა). სამაგიეროდ, კვლავაც ძალაში რჩება თამაშის ოფიციალური წესები — უაზრო და უსახური საგადასახადო, საბაჟო და სხვა აბდაუბდა კანონები, რომლებიც ბიზნესში მყოფ „დიდსაც და პატარასაც“ ბიუჯეტის ძარცვას და ხელისუფლებასთან გარიგებას აიძულებდა. შედეგად კი ტოტალურად მზარდი გაძვირება მივიღეთ. მოსახლეობისთვის ეს ფაქტორი ამ ეტაპზე ნაკლებად მტკივნეულია — ჯერ აბაშიძის რეჟიმის გაუვნებელყოფით გამოწვეული ეფექტი არ განელებულა და, მეორეც, ფასებს ჯერ კრიტიკული ზღვარისთვის არ მიუღწევია. თუ საგადასახადო კოდექსი და მაღალი საბაჟო ტარიფები დროულად არ მოწესრიგდა, ვშიშობთ, რომ ზემოთ ნახსენები აბაშიძის ეფექტის ჩავლასთან ერთად, სიძვირეც პიკს მიაღწევს. აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ ელექტრობის, წყლისა და გაზის დისტრიბუტორ კომპანიებს შევარდნაძის დროს მუქარა და საბიუჯეტო თავნებობა იოლად გასდიოდათ და საგადასახადო პრივილეგიების სანაცვლოდ, მომხმარებლის ანუ მოსახლეობის მიმართ შედარებით ლოიალურნი იყვნენ. დღეს ასე აღარ მოხდება. ახალი ხელისუფლება ალბათ შეურიგებლობას გამოიჩენს და აქაც, მთელი ტვირთი ისევ მოსახლეობას დააწვება. იმის გათვალისწინებით, რომ მომდევნო „სანახაობითი ეფექტი“ (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით) — აფხაზეთი და სამაჩაბლო შედარებით დააგვიანებს, მოსახლეობას ველარაფერზე „გადავრთავთ“ და სოციალური უკმაყოფილება — სახელმწიფო წესრიგის ყველაზე საშიში და ძნელად სამართავი მტერი — მთელი ძალით იფეთქებს. ასე რომ, პოლიტიკა კარგია, მაგრამ ეკონომიკის გარეშე ის, უბრალოდ, ვერ იარსებებს.

ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ვესაუბრებით ევროპული სავაჭრო პალატის პრეზიდენტს, პოლიტოლოგ **რამაზ კლიმიაშვილს**:

**დღეს რუსეთში მილიარდები ბრუნავს და მათთვის აფხაზეთი პირველი პრობლემა ნამდვილად არ არის. თუმცა, რასაკვირველია, აფხაზეთში მათ მიერ დაბანდებული ფულის ამოღება ნამდვილად უნდათ. ამ ტერიოტორიის „ამუშავება“ კი ქართული იურისდიქციის გარეშე რომ შეუძლებელია, უკვე რუსებიც ხვდებიან. ასე რომ, თავისუფალი ეკონომიკური ზონის გამოცხადება შესაძლებელია საუკეთესო გამოსავალი იყოს აფხაზებისთვის, რომლებიც დამოუკიდებლობის არა, მაგრამ ავტონომიის საკმაოდ მტკიცე გარანტიებს მიიღებენ და თანაც მიიღებენ უაღრესად მოკლე დროში უაღრესად კარგად განვითარებულ ეკონომიკას; ეს უნდა უნდოდეს რუსეთსაც, რომელსაც, როგორც გითხარით, თავისი ფულის ამოღება უნდა და, ბოლოს, ხელს აძლევს საქართველოსაც, რომლის იურისდიქციაშიც იქნება აფხაზეთი.**

**— უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ეკონომიკური ურთიერთობები იატაკქვეშეთში იყო გადასული და ალბათ ამიტომაც, ჩვენს ცნობიერებაში მხოლოდ პოლიტიკა დარჩა. ძალიან ხშირად პოლიტიკურ გეგმებს ეკონომიკური გათვლების გარეშე ვადგენდით. დღეს კი აღმოჩნდა, რომ სწორედ ეკონომიკური გათვლებით, ყველაზე რთული — აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პოლიტიკური პრობლემის მოგვარებაც კი შესაძლებელი ყოფილა.**

— ეს პრობლემა საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გადმოჰყვა. მაშინაც და ბოლო პერიოდის დამოუკიდებელ საქართველოშიც, ეკონომიკა სრულიად ნიველირებული იყო ერთი უბრალო მიზეზის გამო — პოლიტიკოსები ეკონომიკას პირადი გამდიდრებისთვის იყენებდნენ და მისი ზედაპირზე, სახელმწიფო საჭიროებისთვის ამოწევა ხელს, ცხადია, არაფრით აძლევდათ. რევოლუციის შემდეგ, როდესაც ხელისუფლების მთავარ საზრუნავად ქვეყანა იქცა (როგორც ეს ცივილიზებულ სამყაროში ხდება), აღმოჩნდა, რომ ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით საკმაოდ სერიოზული წარმატების მიღწევა შეიძლება. რაც უფრო სრულად გააცნობიერებს ხელისუფლება ამას, მით უფრო სწრაფად მიაღწევს მთლიანად ქვეყანა წარმატებებს. რაც შეეხება კონფლიქტურ რეგიონებში საქმის ამ გზით მოგვარებას — უკანასკნელ ხანს ხშირად ლაპარაკობენ, აფხაზეთის პრობლემა შესაძლოა აჭარის მსგავსად გადაიჭრასო. მაგრამ ჩვენ ხომ თვისებრივად განსხვავებულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე — ბუნებრივია, არძინბას დროშებით არავინ დაუდგება წინ და გადადგომას არ მოსთხოვს. მით უმეტეს, მსგავსი მოთხოვნებით ვერ ჩავა ხალხი მთელი საქართველოდან და სოხუმში მიტინგს ვერ გამართავს. თუმცა მეორე მხრივ, ეკონომიკამ მართლა შეიძლება აფხაზეთში რევოლუცია მოახდინოს, ოღონდ არა მისი პირდაპირი მნიშვნელობით. აფხაზეთში არსებული მდგომარეობა დღეს არც რუსეთს აძლევს ხელს, არც აფხაზ მოსახლეობას და საერთაშორისო საზოგადოებას ხომ არა და არა. დარჩა ერთი მუჭა ხელისუფლება, რომელთანაც, გარკვეული გარანტიებისა და პირობების შემთხვევაში, ვფიქრობ, საერთო ენის გამონახვა შესაძლებელი იქნება. აქედან გამომდინარე, ყველაზე მისაღები ფორმა ალბათ თავისუფალი ეკონომიკური ზონა უნდა იყოს — სხვათა შორის, ამის შესახებ ინიციატივით „კვირის პალიტრაში“ ჯერ კიდევ ხუთი-ექვსი წლის წინ გამოვედი. საგულისხმოა, რომ თავის დროზე აფხაზეთში ომის დაწყებას უფრო მეტად ეკონომიკური და ბიზნესინტერესთა შეჯახება ედო საფუძვლად, ვიდრე ეთნიკური, ან გნებავთ, პოლიტიკური. გავიხსენოთ, რა ხდებოდა მაშინდელ საქართველოში — ჯიხურების დაწვა, ქარხნების აფეთქება. აფხაზეთშიც სწორედ ბიზნესის სფეროების გადანაწილებით დაიწყო დაპირისპირება: ორი კლანი — ქართული და აფხაზური — ცდილობდა ყველაფრის ხელში ჩაგდებას. შემდეგ კი კონფლიქტმა უფრო მასშტაბური სახე მიიღო, რადგან საქმეში მეზობელი სახელმწიფოს სპეცსამსახურები ჩაერთნენ და სხვა ეთნოსთან დაკავშირებული ნიუანსებიც აამოქმედეს. აფხაზეთის კონფლიქტზე ლაპარაკისას რატომღაც, მივეჩვიეთ მესამე ძალისთვის ყველაფრის გადაბრალებას. რა თქმა უნდა, რუსეთმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მოვლენათა განვითარებაში, მაგრამ ფაქტია — რომ არა საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების უსუსურობა, უფრო სწორად კი, სიხარბე, სიტუაციის დრამატიზება ასეთ საშინელ ფორმებს არ მიიღებდა. დღეს უკვე სხვაგვარი ვითარებაა შექმნილი. ხომ არ აჯობებდა, აფხაზებთან დიალოგი სწორედ იმ კუთხით დაგვეწყო, რა კუთხითაც კონფლიქტი წარმოიშვა — ეკონომიკას ვგულისხმობ. ამ დროს კი აფხაზი ხალხი იმაშიც უნდა დავარწმუნოთ, რომ შუა საუკუნეების დევიზით — სადმე იარაღითა და სისხლის ღვრით შესვლაზე აღარ ვფიქრობთ. აქვე გასათვალისწინებელია სხვა ფაქტორებიც — ვთქვათ, ვის აძლევს ხელს ან ვის სჭირდება დამოუკიდებელი აფხაზეთი? — ამ ტერმინს დღეს მხოლოდ თავად აფხაზეთში მცხოვრები სეპარატისტები ხმარობენ, საერთაშორისო აღიარებაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია! მათ არსად გასვლა არ შეუძლიათ, თუ შეუძლიათ, მხოლოდ რუსეთში და ისიც რუსული პასპორტებით. უბრალო ხალხის საფიქრალი კი ისაა, თავი როგორ და რით ირჩინოს. დანარჩენი საქართველოსგან განსხვავებით, აფხაზეთი ეკონომიკური, კულტურული თუ პოლიტიკური თვალსაზრისით, ზუსტად ისევ იქ არის გაჩერებული, სადაც კონფლიქტის განვითარების პერიოდში იყო, ანუ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში — იქ ხომ დღესაც ავტომატიანი ხალხი დარბის ქუჩებში და ძარცვა-გლეჯაც ძველებურად, დაუსჯელად ხდება. ეს უკვე რუსეთსაც მოჰბეზრდა. დღეს მას სერიოზული პრეზიდენტი ჰყავს — პუტინი კარგად ხვდება, რომ არარეალურს და შორეულ (უფრო სწორად კი, აუსრულებელ) მაქსიმალურ შედეგს ხვალინდელი, რეალური და თუნდაც მინიმალური შედეგი სჯობს. თანაც, რუსეთის ინტერესები არსებითად განსხვავდება იმისგან, რაც 90-იანი წლების დასაწყისში რუს გენერლებსა თუ ოლიგარქებს შეიძლება ჰქონოდათ. დღეს რუსეთში მილიარდები ბრუნავს და მათთვის აფხაზეთი პირველი პრობლემა ნამდვილად არ არის. თუმცა, რასაკვირველია, აფხაზეთში მათ მიერ დაბანდებული ფულის ამოღება ნამდვილად უნდათ. ამ ტერიტორიის „ამუშავება“ კი ქართული იურისდიქციის გარეშე რომ შეუძლებელია, უკვე რუსებიც ხვდებიან. ასე რომ, თავისუფალი ეკონომიკური ზონის გამოცხადება შესაძლებელია საუკეთესო გამოსავალი იყოს აფხაზებისთვის, რომლებიც დამოუკიდებლობის არა, მაგრამ ავტონომიის საკმაოდ მტკიცე გარანტიებს მიიღებენ და თანაც მიიღებენ უაღრესად მოკლე დროში უაღრესად კარგად განვითარებულ ეკონომიკას; ეს უნდა უნდოდეს რუსეთსაც, რომელსაც, როგორც გითხარით, თავისი ფულის ამოღება უნდა და, ბოლოს, ხელს აძლევს საქართველოსაც, რომლის იურისდიქციაშიც იქნება აფხაზეთი, თანაც მყარი საერთაშორისო გარანტიებით. ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში პოლიტიკური მოძრაობის გაჩაღება, ან რაიმე სახით მისი არსებობა იკრძალება. ასე რომ, რეგიონი ერთხელ და სამუდამოდ დაისვენებს შუღლისა და მტრობისგან... სწორედ ამ იდეის პროპაგანდა გამოიწვევს აფხაზთა ცნობიერებაში რევოლუციას, რაც კონფლიქტის მოგვარების საწინდარი გახდება...

**— მაგრამ უარყოფითი მხარეები თავისუფალ ეკონომიკურ ზონასაც აქვს. თუნდაც რუსეთის მოქალაქეობა, რომელიც დღეს აფხაზთა უმრავლესობას აქვს. ბუნებრივია, ცხოვრების კარგი პირობების შექმნას აფხაზეთში ემიგრაციაც მოჰყვება. გარდა ამისა, ოფიციალურმა მოსკოვმა, დსთ-ის საშუალებით, უკვე გააჟღერა აფხაზეთის რკინიგზის სომხეთისთვის იჯარით გადაცემის სურვილი... რა რეაქციას გამოიწვევს ეს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის, აზერბაიჯანის მხრიდან, ან ხომ არ გამძაფრდება რეგიონის ექსპანსია რუსეთიდან რკინიგზის საშუალებით?**

— უნდა გავითვალისწინოთ, რომ უფრო მეტი ექსპანსია, ვიდრე დღეს რუსეთიდან ხდება, წარმოუდგენელია. აფხაზებს რუსული პასპორტები აქვთ. ისინი სოჭში და მთლიანად, კრასნოდარის მხარეში დაუბრკოლებლად გადადიან და ვაჭრობენ, მუშაობენ... მეტი რაღა უნდა მოხდეს? პირიქით, რკინიგზის იჯარით გაცემაში მე ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავ. ჯერ ერთი, მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების რკინიგზა სწორედ ამ ტიპით არის გადაცემული სხვადასხვა ფირმებისთვის. გარდა ამისა, ამ სახით კონტროლის გაწევა უფრო გაადვილდება — რაც დღეს ფაქტობრივად არ არსებობს. რაც შეეხება აზერბაიჯანს — გააჩნია, რა პირობებს დავუთქვამთ ხელშეკრულებაში სომხეთის მხარეს, რომელსაც რკინიგზის იჯარით აღება მოუნდება. აქ უკვე ყველაფერი ჩვენი ხელისუფლების პრინციპულობაზეა დამოკიდებული. იგივე პრინციპულობა უნდა გამოჩნდეს თავისუფალი ეკონომიკური ზონების ამოქმედების დროსაც. მოქალაქეობა აქ ყველაზე ნაკლები პრობლემა შეიძლება იყოს. ბოლოს და ბოლოს, საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისას გარკვეული კრიტერიუმებით უნდა ვიმოქმედოთ — ვთქვათ, მივანიჭოთ მოქალაქეობა დაბადებით და არა ნატურალიზაციით, და ა.შ. ამ მხრივ ლავირება თავისუფლად შეიძლება.

**— თქვენ ხელისუფლების პრინციპულობა ახსენეთ. გასულ კვირაში კენჭაძის დაპატიმრება პრინციპულობას მივაწეროთ თუ პროპაგანდას?**

— ეს უახლოეს მომავალში გამოჩნდება — არა მგონია, კენჭაძე უკანასკნელი იყოს, ვისაც ამ დანაშაულისთვის დააპატიმრებენ. ჩემი ინფორმაციით, უახლოეს დღეებში სამართალდამცველთა ანკესს გაცილებით უფრო „დიდი ღლავი“ წამოეგება. მაინც ვფიქრობ, რომ პროკურატურა კანონის დაცვას პრინციპულად უდგება, მაგრამ ეს კიდევ არ არის საკმარისი. კანონის დაცვა ყველა განხრით, ყოველგვარი ლავირების გარეშე უნდა ხდებოდეს. ისიც ფაქტია, რომ რევოლუციის დღეებში ნაციონალურ მოძრაობას ბევრი უკეთური განზრახვით მიეტმასნა — მათი გამოვლინება უპირველესად, სწორედ ხელისუფლებას უნდა სურდეს.

**— თურქეთში მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა თურქებისთვის საკმაოდ გულის ამაჩუყებელი განცხადებები გააკეთა, თუნდაც ქემალ ათა თურქთან ან ბათუმის საერთაშორისო აეროპორტთან დაკავშირებით. რამდენად მოსალოდნელია საქართველოსთვის თურქული ექსპანსიის საფრთხე, ან რამდენად მოიწონებს ასეთ „ჩახუტებას“ და „სიყვარულს“ ევროპა, რომელსაც თურქულ დემოკრატიაზე, რბილად რომ ვთქვათ, ცუდი წარმოდგენა აქვს?**

— ეს პოლიტიკაა. პოლიტიკაში კი სტრატეგიულ პარტნიორს მოფერებაც უნდა და გაფრთხილებაც. სხვათა შორის, ქემალ ათა თურქმა თურქეთისთვის იმდენი გააკეთა, რამდენიც დავით აღმაშენებელმა საქართველოსთვის. ასე რომ, სხვა საქმეა, ეს რამდენად მოეწონებოდა ევროპას, ან თუნდაც საბერძნეთს, მაგრამ, ფაქტია, რომ ათა თურქი, იგივე მუსტაფა ქემალი, ამ მხრივ, ნამდვილად მისაბაძია. რაც შეეხება ექსპანსიას — ყველაზე ნაკლები საფრთხე ამ მხრივ აეროპორტს ემუქრება. პირიქით, ეს საქართველოსთვის უდიდესი შემოსავლის წყაროდ შეიძლება იქცეს — აღარაფერს ვამბობ მოსახლეობის დასაქმებაზე, ზღვისპირა საკურორტო ზონის ტურისტებით ათვისებაზე და ა.შ. ასეთი „საერთო აეროპორტი“ ბევრ ქვეყანას აქვს. თუნდაც ჟენევის აეროპორტი — მას ორი გასასვლელი აქვს, ერთი შვეიცარიაში, მეორე კი საფრანგეთში. ჩვენს შემთხვევაში კი ამის გაკეთება საზღვარზე შეიძლება, რომელსაც ერთი გასასვლელი თურქეთში ექნება, მეორე კი საქართველოში. ასე რომ, საქართველოს საკმაოდ კარგი პერსპექტივები ელის, თუ ხელისუფლება ამ შანსს გონივრულად გამოიყენებს.

***დაჩი გრძელიშვილი***



# 30 მაისი სულთმოფენობის დღესასწაულია

**სულიწმიდის მადლი მოეფინოს სრულიად საქართველოს!**

# ახალი გერბი და ჰიმნი

## საქართველოში გიორგობას ორჯერ აღვნიშნავთ...





ახალი სახელმწიფო სიმბოლოების მიღებასთან დაკავშირებით დიდი ხმაური იყო ატეხილი. რამდენიმე თვეა, მსჯელობდნენ ახალ გერბსა და ჰიმნზე. მაგრამ ხანგრძლივმა დავამ საზოგადოება სრულ შეთანხმებამდე მაინც ვერ მიიყვანა, პირიქით, დამოკიდებულება უფრო მეტად გამწვავდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, ექვსი თვე კი არა, ექვსი წელიც რომ გვემუშავა ჰერალდიკაზე, სახელმწიფო სიმბოლიკას მაინც „დიდი დავიდარაბით“ მივიღებდით და დავამტკიცებდით. პარლამენტმა იჩქარა, რომ 26 მაისის დღესასწაულს ქვეყანა ახალი ჰიმნით, გერბით და დევიზით შეხვედროდაო, — ამბობენ უკმაყოფილონი. ზოგჯერ კი მათი არგუმენტები ყოველგვარ ზღვარსაც სცილდება და დაუჯერებელ, ძნელად წარმოსადგენ ბრალდებებსაც კი ვისმენთ.

გთავაზობთ დათო მაღრაძის ტექსტს, რომლისთვისაც ზაქარია ფალიაშვილის მუსიკა ჰიმნად გადაამუშავა იოსებ კეჭაყმაძემ.

**თავისუფლება**

*ჩემი ხატია სამშობლო,*
*სახატე მთელი ქვეყანა,*
*განათებული მთა-ბარი*
*წილნაყარია ღმერთთანა.*
*თავისუფლება დღეს ჩვენი*
*მომავალს უმღერს დიდებას,*
*ცისკრის ვარსკვლავი ამოდის*
*და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,*
*დიდება თავისუფლებას,*
*თავისუფლება დიდებას.*

**გივი ალხაზიშვილი**, პოეტი: საქართველოში ჰიმნის ტექსტს გადაჭარბებული მოთხოვნები წაუყენეს. ჰიმნს სჭირდება სპეციფიკური, მარტივი, სადა და გასაგები ტექსტი. ჰიმნი არის სიტყვები მუსიკის თანხლებით. ტექსტი განიხილება არა ცალკე, არამედ მუსიკასთან ერთად. ამას მთლიანობაში ჰქვია ჰიმნი. ჩემი აზრით, ჰიმნის ტექსტი ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. შეუძლებელია, ის იყოს ლირიკული შედევრი, ჰიმნის ტექსტი უნდა იყოს მუსიკასთან მისადაგებული, გამოხატავდეს გარკვეულ მრწამსს. ჩვენი ჰიმნი ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. გაივლის დრო და თქვენც მიხვდებით, რომ ეს ასეა.

დასრულდა საკონკურსოდ წარდგენილი გერბების განხილვაც. გაიმარჯვა მამუკა გონგაძის ნამუშევარმა, რომელზეც ორჯერ არის გამოსახული წმინდა გიორგის ფიგურა. ამან არაერთს გაუჩინა კითხვა: რატომ გახდა საჭირო წმინდა გიორგის ორჯერ გამოსახვა. გერბის ავტორმა, მამუკა გონგაძემ გვითხრა, რომ ეს პრიორიტეტული ფიგურაა და მეტყველს ხდის გერბს. დიდი გერბი უფრო იშვიათად გამოიყენება, დოკუმენტებზე ასახული იქნება მცირე გერბი მხოლოდ წმინდა გიორგისა და ფარის გამოსახულებით, დიდ გერბს ასეთი ხალხური ახსნაც შეიძლება მოვუძებნოთ: საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც გიორგობას ორჯერ აღვნიშნავთ, რაც შეეხება გერბზე ასახულ ოქროს საწმისს, — სასაცილოა, რომ ამას „მკვდარ ცხოველს“ უწოდებენ. რამდენიმე საუკუნეა, სწორედ ეს სიმბოლიკა გამოხატავს ოქროს საწმისს მთელ ევროპაში.

**გია ბუღუშვილი**, მხატვარი: არჩეული გერბი, ჩემი აზრით, ნაჩქარევი და სუსტია. არ მაკმაყოფილებს მისი კრებითი სემანტიკური სახე. XV საუკუნის რუსული და ფრანგული ჰერალდიკური სიმბოლოების გავლენით შექმნილი ქართული გერბი ჩემთვის მიუღებელია. რამდენიც არ უნდა ამიხსნათ, გაუგებარი რჩება ორი წმინდა გიორგის გამოსახულება ამ გერბზე, ან ასეთი ოქროს საწმისი — რომელიც ჩამომხრჩვალ ცხოველს უფრო ჰგავს. რა საჭიროა ასე სასწრაფოდ ჰერალდიკის მიღება?! პოლიტიკურ ვნებებს ნუ გადმოვიტანთ კულტურაში, ეს კარგს არაფერს მოგვიტანს.

კონკურსში გამარჯვებული გერბის ირგვლივ საპატრიარქოს, ჯერჯერობით, მკვეთრი პოზიცია არ დაუფიქსირებია. საპატრიარქოს პრესცენტრის თანამშრომელმა ზურაბ ცხოვრებაძემ მხოლოდ ის გვითხრა, რომ საპატრიარქოს დელეგაცია საბერძნეთშია და ვიდრე არ დაბრუნდება, ალბათ ოფიციალურ კომენტარს მათი სახელით ვერავინ გააკეთებს.

**P.S.** თბილისელებს კარგად ახსოვთ, როგორი გამოხმაურება მოჰყვა თავის დროზე დავით გურამიშვილის ძეგლის დადგმას. აღშფოთებულ ხალხს ვერ გაეგო, რატომ გამოაქანდაკეს პოეტი ჩამოშლილი თმებითა და გრძელი ტანსაცმლით შემოსილი. ფილარმონიასთან მუზის აღმართვასაც დიდი პოლემიკა მოჰყვა: როგორ შეიძლება, მშვენიერი ქართველი ქალების ქვეყანაში, ქალის ფიგურას ნიღბები ჰქონდეს ჩამოკიდებულიო. ზოოპარკთან მდგომი ლომები იმდენად არ მოსწონდა ზოგიერთს, რომ თავის დროზე ძლივს გადაურჩა დანგრევას. დრო გავიდა, ვნებები დაცხრა და დღეს თბილისი დავით გურამიშვილისა და მუზის ქანდაკებების გარეშე ვერც წარმოგვიდგენია. ვინ იცის, იქნებ ჩვენს ჰერალდიკასაც შევეჩვიოთ და წლების შემდეგ დღევანდელი პოლემიკა ისევე გავიხსენოთ, როგორც ბევრი სხვა...

***ლელა ჯიყაშვილი***

# „დროა, პატივი მივაგოთ“



საქართველოს რესპუბლიკაში არ ყოფილა, არ არის და ლეგიტიმურად არასოდეს იქნება სტადიონი, რომლის სახელწოდებაა „ლოკომოტივი“.

ცნობილია, რომ დღევანდელი „ლოკომოტივის“ სტადიონის ადგილზე, ვაკეში, 1919 წლის 26 მაისს, ქართველმა ხალხმა იზეიმა საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი წლისთავი.

1989 წლის 25 მაისს, გაზეთ „ლელოში“ ვწერდი: „შემომაქვს წინადადება, „ლოკომოტივის“ სტადიონს... დაერქვას „26 მაისის სახელობის სტადიონი“ და კარგი იქნება, თუ ამიერიდან სწორედ ამ სტადიონზე გაიმართება 26 მაისის განახლებული ზეიმები“. ამის შემდეგ ვაკის სტადიონს 26 მაისის სახელი ეწოდა.

...1919 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ზეიმი საფეხბურთო მატჩით დასრულდა. მობურთალთა ერთ-ერთ გუნდს „26 მაისი“ ერქვა. მოთამაშეთა უმრავლესობა რკინიგზის სახელოსნოებსა და მოძრავ შემადგენლობაში მომსახურე ახალგაზრდები იყვნენ. მათგან ბევრი საქართველოს დამოუკიდებლობისთვისაც იბრძოდა და ამ დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლადაც. ისე რომ, სარკინიგზო უწყებებისა და ნაგებობებისათვის სულაც არ არის აუცილებელი, ერქვას სოციალისტურ-მარაზმატული სახელები — „ლოკომოტივი“, „პრავადნიკი“ და „ელმავალი“.

ახლოვდება 2004 წლის 26 მაისი. ჩემი აზრით, აუცილებელია სამუდამოდ მოისპოს კომუნისტური რუდიმენტები ვაკის სტადიონზე და პირველი ზეიმის 85 წლისთავისათვის დაუბრუნდეს მას თავისი ოფიციალური, ეროვნული სახელი!

2005 წელს კი, სტადიონს 100 წელი უსრულდება. ამ თარიღისთვის სასურველია, გაიხსნას მემორიალური დაფა შემდეგი წარწერით: „1919 წლის 26 მაისს, ამ სტადიონზე ჩატარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი.

1990 წლის 26 მაისს სტადიონზე ისტორიული სიტყვა წარმოთქვა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ“.

მსოფლიოში ცოტაა სტადიონები, სადაც ერისთვის ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენები მომხდარა. ამიტომ დროა, სათანადო პატივი მივაგოთ ჩვენს ისტორიას და საკუთარ თავსაც. დროა!

***ალექსანდრე ჟღენტი,***
***კინორეჟისორი***

# მეყვავილეებმა შემოთვალეს...

ყვავილებზე საფიქრალად ვის სცალია, მაგრამ მაინც... ყვავილები რომ არ ყოფილიყო, როგორ გავილამაზებდით სიხარულსა და მწუხარებას? დედაქალაქში ყვავილების ბაზარი აღმოუჩენელი კუნძულივით ინახავს პირველყოფილ მშვენიერებას. ამ ადგილას ყოველთვის სიყვარულის მარადიული სიმბოლოთი, ვარდით გეგებებიან. მეყვავილეებს მიაჩნიათ, რომ: ყვავილებს ისე უნდა მოუარო, როგორც ნამდვილი ვაჟკაცი საყვარელ ქალს უვლისო. როგორც „დეზერტირების ბაზრის“ მეყვავილეები ამბობენ, მეყვავილის სამუშაო დღე დილის 5 საათიდან იწყება.

— *ასე უთენია საიდან მოაქვთ ყვავილები?*

— საიდან აღარა. თბილისის შემოგარენი ყვავილებითაა სავსე. მცხეთა მთლიანად საყვავილეა. მოდიან წავკისიდან, მარტყოფიდან, ბოლნისიდან... აგერ, ავჭალაშიც ცხოვრობს მამუკა სურმავა: ბაბუის ბაბუიდან გადმოეცემა ეს საქმე. სამკურნალო მცენარეებიც მოჰყავს. ამბობენ, ალოე 2 წლის მაინც უნდა იყოს, წამლად რომ გამოდგესო, ორწლიანი კი არა, 5-წლიანი ალოეს მინდორი გააშენა. იურა და კოტე ქოროღლიშვილებს კოჯრიდან ჩამოაქვთ ვარდები... წვალობენ, მაგრამ ყვავილი ეგეთი რამეა, ვინც უვლის, უფასებს კიდევაც.

— *გამყიდველებს მათთან შედარებით იოლი საქმე გაქვთ...*

— რას ამბობთ? ყვავილები ჩვენც მოგვყავს. თანაც, ამ ყვავილების სალად შენარჩუნება არც ისე ადვილია. ამის გამოცდილება უნდა გქონდეს. არ უნდა გაამტვრიანო, არ დააჭკნო და არ დაამტვრიო. მზისა და ქარისაგან დაიცვა.

— *ამ ბაზარში რომელი ყვავილი მეფობს?*

— ყველგან ვარდია მეფე. თბილისის ბაზრებზე ვარდის 30 სახეობა მაინც შემოდის. მაგრამ იცით რას გეტყვით? — ნამდვილი ვარდი ჯერ არ გამოჩენილა. მას ორიოდე კვირაში შემოიტანენ. იცით, რომელია ნამდვილი ვარდი? აი, აივნებზე რომ გადის. მოკლე ღერო აქვს, სამაგიეროდ, ისე სურნელოვანია, დათვრები... ასეთი ვარდი, დღეში ათი ათასი რომ შემოგვივიდეს, გვეყიდება. მარტო საჩუქრად კი არა, უმეტესად თავისთვის ყიდულობს ხალხი — სიცოცხლეს ახანგრძლივებს იმისი სუნი, დანარჩენი ვარდები მასთან მოგონილია.

— *„მოგონილი“ რას ნიშნავს?*

— ნამყენით გამოყვანილს. თვალს აცოცხლებს, იტაცებს, მაგრამ... მულამი აკლია... თუმცა, მეფე მაინც მეფეა.

— *„მეფის“ შემდეგ რომელი დგას?*

— რომელიც გინდათ, დააყენეთ! თუნდაც მინდვრის ყვავილები! რა, ცუდია შროშანა და ღიღილო?

— *ჰოლანდიურ მაღაზიებში მართლა ჰოლანდიური ყვავილები იყიდება?*

— ზამთარში, ჰო. ახლა რა გაჭირვებაა, ჰოლანდიური ყვავილი რომ იყიდო?! ქართულიც უამრავია ამ დროს. თანაც, სურნელით ჩვენი სჯობია, ბევ-



რჯერ — სილამაზითაც. ისე, ძალიან ვწვალობთ ჰოლანდიური ყვავილების შემოტანაზე — თურქეთიდან ავტობუსით მარნეულში შემოდის და იქ ვხვდებით. თვითმფრინავით რომ შემოვზიდოთ, ძალიან ძვირი დაჯდება.

— *ახლა არ მითხრათ, ჰოლანდიური მაღაზიების დიზაინერებსაც ბაზრის დიზაინერები სჯობიანო...*

— არა, ეგრე არაა, მაგრამ არც ჩვენებს აქვთ ნაკლები გემოვნება. ქალები ისეთ თაიგულებს კონავენ, თვალს ველარ მოაშორებ. ქართველებმა ყველაფერი ვისწავლეთ და რაღაც „იკებანას“ ვერ ვისწავლით?

— *კოლორიტული მეყვავილე თუ გყავთ აქ?*

— კოლორიტული? ესე იგი, მაგარი არა? გვყავს, როგორ არა, ზაზა ონეზაშვილი. ბაზარში არ დაბადებულა, თორემ აქ გაიზარდა, თითო ვარდს ზოგჯერ 25 ლარად ყიდის.

— *რა ამბავია? ასეთი სიძვირის შიშით მყიდველი არც მოგეკარებათ!*

— თქვენ ეგრე გგონიათ? აქ, დეზერტირებში მთელ თბილისში ყველაზე იაფად იყიდება ყვავილები. თანაც ჩვენ, მეყვავილეებს, სუსტი გული გვაქვს, გაჭირვებულები გვეცოდება: უპატრონო მიცვალებულებისთვის უფასოდ ვჩუქნით ყვავილებს. ლამაზ ქალებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია... გუშინ, მაგალითად, გოჩა უცნობ ქალს გამოეკიდა და 15 ცალი ვარდი შეაჩეჩა. გაგიჟდა ის ქალი — რატომო? იმიტომ, რომ აქაურობა დაამშვენეო...

— *ყველა ყვავილი ერთ დღეში არ გაგეყიდებათ, რით აცოცხლებთ, რა საიდუმლო იცით?*

— მოვლა უნდა ბავშვივით... ეგ არის საიდუმლო. მაგალითად, ვარდი რომ დაჭკნება, დავნამავთ, ქაღალდში გავახვევთ, ჩავდებთ ცელოფანში და მჭიდროდ მოვუკრავთ თავს, ერთ საათში გაცოცხლებულია. მთავარია, ჰაერი არ შევიდეს... იასამანს სველი ტილო უყვარს. რომ დანამავ, უნდა შეახვიო და წყალში ჩადო. ყვავილებს ნამი აცოცხლებს — როგორც დედამიწას.

— *მაინც სათუთია...*

— ყველაზე ბევრი მაშინ გვემტვრევა, როცა ქარია. ვერ ხედავთ, პირდაპირ ცის ქვეშ, მზესა და ქარში რომ ვდგავართ! გადახურული გვქონდა ცელოფანებით, მოგვიხსნეს — ხედს ამახინჯებს, ლამაზად გადაგიხურავთო. ველით და არ გამოჩნდნენ. ამასობაში, დღეში 200 ცალი კალა გვემტვრევა — მაღალია და ადვილად ერევა ქარი. აწი ზაფხულიც მოვა და სულ ჩამოჭკნებიან ეს საწყლები. გადაეცით ჩვენს მთავრობას: დეზერტირების ბაზრიდან შემოგითვალეს — ვარდებს „ჭერი გადაუხურეთ“, ბოლოს და ბოლოს რევოლუციის სიმბოლოა-თქო!

***ეთერ ერაძე***

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ეკა ლომიძე** — „ქურმუხის წმინდა გიორგის შევავედრეთ საქართველო...“ — 91 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „ერთიანად გაბურძგნილებს ავი მზერა ჰქონდათ“ — 83
3. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „ამის თქმა მოვასწარი და დამესივნენ“ — 68

მკითხველის სახელით პრემიას ჟურნალისტი **ეკა ლომიძე** მიიღებს.

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 409 რესპონდენტმა გამოავლინა***

CMYK

# „თვითმარქვია გამგებელი“ თუ „ისტორიული მნიშვნელობის ღვინის ქარხნის მიმტაცებელი“...

## რას ვერ იყოფენ თელაველები?!

პოსტრევოლუციური მოვლენები თავის „ეშხში“ შედის: ვის სკამი ესიზმრება, ვის ვირთხები და ვის ქარხანა — ზოგიერთი რაიონის ხელისუფალთა სიზმრები უკვე ძნელი ასახსნელია. ისინი კი, ვინც წვიმის დროს დასველდნენ, მაგრამ სკამის გარეშე დარჩნენ, დაპირებული თანამდებობების მოსაპოვებლად იბრძვიან და არ სცალიათ(!). აღმოსავლეთსა და დასავლეთში კაბინეტური კონფლიქტები ქუჩის აქციებში გადაიზარდა. გამგებლები, რწმუნებულები და მაჟორიტარები გავლენის სფეროებს ვერ იყოფენ. სანამ ნაციონალები თბილისში ერთმანეთის დაჭერით იყვნენ გართულნი, რაიონებში საგანგაშოდ „აეჭრათ“ სიტუაცია. მათი პარტიული აქტივი ორ ბანაკად გაიყო და დროზეა საჭირო მტყუან-მართლის გამოვლენა, სანამ ქუჩური წესებით დაუწყიათ საქმეების გარჩევა. თელავის მაჟორიტარი დეპუტატი თამაზ ხიდეშელი აცხადებს, რომ ის 11 წელი იყო წინანდლის ღვინის ქარხნის გამო რეპრესირებული და თუ ახლა მას და მის ქარხანას თავს არ დაანებებენ, ვიღაც ნამდვილად შემოაკვდება. ხიდეშელის ეს სიტყვები სახუმარო ნამდვილად არ არის. თუ მის ოპონენტთა ნათქვამს ვენდობით, თელავის მაჟორიტარ დეპუტატს ძალიან უჭირს ემოციების კონტროლი. ორჯერ უკვე იყო პასუხისგებაში მიცემული და ახლაც ხელი იარაღისკენ სწრაფად გაურბის.

ახლახან, კახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულმა პეტრე ცისკარიშვილმა გია კენჭაძის შესახებ განაცხადა, რომ არ იცოდა, მისი უახლოესი მეგობარი ნასამართლევი თუ იყო. არ არის გამორიცხული, მას ამგვარი განცხადების გაკეთება კიდევ ერთხელ მოუწიოს, რადგან ამჟამად თელავში დაპირისპირებული მხარეების წარმომადგენლები, ერთმანეთს სწორედ კრიმინალური წარსულის მქონე ადამიანის მხარდაჭერის გამო ედავებიან — გოჩა მამაცაშვილს „თვითმარქვია გამგებელს“, ხოლო თამაზ ხიდეშელს „ისტორიული“ მნიშვნელობის სახელმწიფო ქონების, ჭავჭავაძისეული ღვინის ქარხნის მიმტაცებელს უწოდებენ. ამ დაძაბულ ფონზე საქმე კარგად ვერც თავად პრეზიდენტის რწმუნებულს ექნება. შენდამი დაქვემდებარებულ რეგიონში თუ ასეთი არეულობა და დაპირისპირებაა, ვერ ყოფილხარ კარგი ხელმძღვანელი.




„ის მაინც მითხარით, რომელ სასაფლაოზე მარხია ჩემგან დახოცილი ხალხი“

პეტრე ცისკარიშვილი დაპირისპირების ძირითად მიზეზად წინანდლის ღვინის ქარხანას ასახელებს. **თამაზ ხიდეშელიც** არ უარყოფს, რომ თელავის ახლანდელ გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს ამ საკითხთან მიმართებაში ისეთივე პოზიცია აქვს, როგორიც ყოფილ გამგებელს — მედეა მეზვრიშვილს ჰქონდა.

— **ბატონო თამაზ, როგორც ამბობენ, 5.000 დოლარად იყიდეთ წინანდლის ღვინის ქარხანა, მაშინ, როდესაც იქ დაცული უძველესი ღვინოებიდან ერთ-ერთი 1814 წელს ჩამოსხმული „პოლონური თაფლი“ გაცილებით ძვირი ღირს...**

— გასაყიდი ობიექტების ფასებს ადგენდა ქონების მართვის სამინისტრო და მას პრეზიდენტთან ათანხმებდა. ის ქარხანა ზუსტად ის ღირს, რაც მასშია გადახდილი. მაშინდელმა ხელისუფლებამ აგოს პასუხი იმაზე, რატომ შეაფასა წინანდლის ღვინის ქარხანა ასე იაფად და თუ იქ დაცული უძველესი ღვინოები იმდენად ძვირფასია, როგორც ახლანდელი დირექტორი ამბობს (ბურგუნდიაშიც კი ვერ განსაზღვრეს მისი ფასი), მაშინ რად გვინდა ეს სიმდიდრე, თუ ქვეყანა შიმშილით ამოწყდება. გავიტანოთ ეს ღვინოები აუქციონზე და მასში გადახდილი თანხა გაჭირვებულ პენსიონერებს მოვახმაროთ. სინამდვილეში იცით რა ხდება ამ ქარხანაში? მე იქ დავტოვე მილიონ ორასი ათასი დეკალიტრი ღვინო, 238 000 დეკალიტრი უწყლო სპირტი. 100 000 ლიტრი სპირტი „როიალი“, მართლაც უძველესი, უძვირფასესი ღვინის ნაშთები. და ეს ყველაფერი მედეა მეზვრიშვილის მუცელშია გადასული.

— **მედეა მეზვრიშვილი გუშინდელი დღეა. ახლა სხვა პიროვნებას უპირისპირდებით...**

— გოჩა მამაცაშვილი მედეას გაგრძელებაა. მე ვიცი, რა ინტერესი ამოძრავებს. მას და მის მეგობრებს უნდათ გამოაცხადონ ტენდერი და მე за бортом დამტოვონ. უნდა შეიქმნას კომპეტენტური კომისია, რომელიც დაადგენს, ვინ ვინ არის. რუსთავიდან ჩამოსულ გოჩა მამაცაშვილს თუ აქვს უფლება ჰქონდეს მაღაზია, თელაველ ხიდეშელს არა აქვს უფლება ჰქონდეს ღვინის ქარხანა?




„თამაზ ხიდეშელი მას შემდეგ შეიცვალა, რაც პარლამენტში შევიდა“

— **მამაცაშვილმა პირდაპირ ეთერში გაჩუქათ ყველაფერი, რასაც მისი საკუთრება უწოდეთ...**

— მაჩუქა რა, გამომიყიდა აზდაკი, რისი მჩუქებელია, აჩუქოს თავის გვერდზე მდგომ გაჭირვებულებს. მე ძალიან მალე დავდებ დოკუმენტებს, რომლის მიხედვითაც ყველა გაიგებს, ვისთან გვაქვს საქმე.

— **ეს მაშინ არ იცოდით, როცა მეზვრიშვილის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას სთხოვდით?**

— ეს სიცრუეა. 10 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც მეზვრიშვილმა კვირაიას ჩემი დაჭერა შეუკვეთა, გოჩა მამაცაშვილს მხოლოდ ერთხელ შევხვდი.

— **ეს მაშინ იყო, ვინმე სანდრო მეგუთნიშვილს იარაღი რომ დაუმიზნეთ და მამაცაშვილმა აგიკრათ ხელი?**

— ესეც ზღაპარია. ეს შავი პიარია, რომელიც ჩემს წინააღმდეგ მუშაობს.

— **თვითონ სანდრო მეგუთნიშვილსაც გადაურჩენია ვინმე თამარ ივანიშვილი, რომელიც თქვენი ძმის მისაღებში დახმარების სათხოვნელად იყო მისული. ისე შებეზრებულხართ მისი მოსმენით, რომ იარაღი დაგიმიზნებიათ და ამჯერად მეგუთნიშვილს აუკრავს ხელი... მე ჩავიწერე ერთ-ერთი ქალბატონის ნაამბობი, რომელიც აცხადებს, რომ ამ ამბის თვითმხილველია...**

— ის ქალი შეურაცხადია. მე რომ მივიდე ახლა მასთან, ამას ვერ გაიმეორებს. მე თუ ვინმეს დავუმიზნებ, სად მოვარტყამ, ამას დიქტოფონის გარეშე გეტყვით.

— **ღვინის ქარხნის ამჟამინდელმა დირექტორმა განაცხადა, რომ რევოლუციის შემდეგ, რწმუნებულად ყოფნის დროს დაიბარეთ კონტროლის პალატის წარმომადგენლები და მოსთხოვეთ გიორგობიანი და მისი მეღვინეები დაეჭირათ. მართალია?**

— ჩემი სიტყვები უკან არ მიმაქვს. პაატა გიორგობიანი მართლაც დავიბარე და ვუთხარი, რომ დაეტოვებინა თანამდებობა, რადგან ის შევარდნაძის რეჟიმის გადმონაშთი იყო. რა არის აქ გაუგებარი? მალე ისევ შევალ კონტროლის პალატაში და ვეტყვი, დაიწყონ გამოძიება. მე ჩემი პრეზიდენტის გვერდით ვდგავარ და მზად ვარ, ყველას შევეწინააღმდეგო, ვინც არაკაცურ ნაბიჯებს დგამს.

— **ამბობენ, თელავის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის წინააღმდეგ გამართული აქციის ორგანიზატორებს თანამდებობებს შეჰპირდით, საკმაოდ ძვირად შეაფასეთ ახმეტის გამგებლის სკამი და ა.შ.**

— არიან ნამდვილი დამნაშავეები და ისინი, ვისაც აბრალებენ რაღაცას. ბევრ რამეს მიგონებენ: ფული ავიღე, ორი კაცი მოვკალი... ის მაინც მითხარით, სად, რომელ სასაფლაოზე მარხია ჩემგან დახოცილი ხალხი? ჩემს ცხოვრებაში ჩიტიც არ მომიკლავს.

— **თუ გადაწყდება, რომ ჭავჭავაძისეული ღვინის ქარხანა სახელმწიფო საკუთრებაში უნდა დარჩეს, როგორი იქნება თქვენი რეაქცია?**

— დავიღალე, აღარ შემიძლია, თუ სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს, წაიღეთ! არაფერი არ მინდა! ოღონდ თავი დამანებეთ, რაც შეეხება მოლაპარაკებებს, ყველას მოველაპარაკები მედეა მეზვრიშვილის გარდა.

*(გაგრძელება მე-11 გვ.)*





ერთი წლის წინ ასე გამოიყურებოდა კავშირგაბმულობის ბატალიონის ყოფილი ტერიტორია, „საიდანაც ნახევარი მილიონი ლარის მარტო აგური გამოვიდა...“



...იმავე ტერიტორიაზე დღეს ბაზრობა აშენდა

# რას ეხვეწებოდა თავდაცვის ყოფილი მინისტრი კახა თარგამაძეს 11 ოთახის სანაცვლოდ?!

## „კომპიუტერი პოლიციის „ნასედკებმა“ მომიგდეს“

— ორიგინალური ფოტო მჭირდება და ხომ არ გადაგვაღებინებთ? — სთხოვა შარშან საქართველოს თავდაცვის მინისტრს „კვირის პალიტრის“ ერთ-ერთი დამატების (ჟურნალის) რედაქტორის მოადგილემ.

— მაინც როგორი გინდათ?

— კარატეს ილეთი შეასრულეთ და ორი თითი მოისვით თვალზე.

— ასეთ ტრიუკებს არ გავაკეთებ, — მოუჭრა თევზაძემ.

— კარგი, მაშინ დაიფოთლეთ (შესანიღბი, მწვანედ დაჩითული სამხედრო ფორმა იგულისხმა) — არ ისვენებდა ორიგინალური ფოტოს გადაღების მოსურნე რედაქტორი.

— ბა-ტო-ნო? — დამარცვლა მინისტრმა და გაყინული მზერა მიაპყრო რედაქტორს...

სხვათა შორის, ჟურნალისტის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, არანაკლებ ორიგინალური ფოტოების გადაღებას მოვთხოვდი დავით თევზაძეს. მაგალითად, დაგლეჯილ ტანსაცმელში გამოწყობილი მშიერი ჯარისკაცების ფონზე სააღლუმო ფორმაში გამოწკეპილ თავდაცვის მინისტრს დავაყენებდი ან თუნდაც ღია ცის ქვეშ დარჩენილი ოფიცრების ოჯახებისა და ქართველი სამხედროების საბინაო პირობების ფონზე შევთავაზებდი აწ უკვე ყოფილ მინისტრს ფოტოს გადაღებას. ისე, ქართველი ოფიცრების საბინაო პირობებს პირობითად თუ ვუწოდებთ „პირობებს“. მაგრამ იმ ფარღალალა ჭერსაც ამადლიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანი გენერლები, რომლებსაც მხოლოდ თბილისში რამდენიმე სახლი და ბინა აქვთ. ცალკე მსჯელობის საგანია მათი ფეშენებელური აგარაკები. არადა, რუსეთის სამხედრო ნაწილების თბილისიდან აბარგების შემდეგ ქართველ სამხედროებს საცხოვრებლის პრობლემა არ უნდა შეჰქმნოდათ. რუსეთის არმიამ მხოლოდ თბილისში (ოფიციალური ცნობით) ქართული არმიის პირად შემადგენლობას ათასობით ბინა და კეთილმოწყობილი სამხედრო ქალაქი დაუტოვა. რუსეთის არმიამ ქართველებს დედაქალაქში 407 ჰექტარი მიწა გადასცა. აქედან დღეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე თითქმის აღარაფერი ირიცხება. მიწის ფართობები ქართველმა გენერლებმა და უფროს ოფიცერთა შემადგენლობამ „დაახურდავა“ — თავდაცვის სამინისტროს ზოგიერთმა ჩინოსანმა ქონების მართვის სამინისტროსთან გარიგებით ჩალის ფასად გაყიდა. ოფიციალურ საბუთებში სასაცილოდ მცირე ფასია დაფიქსირებული, სინამდვილეში კი სამინისტროს ჩინოსნებმა რამდენიმე მილიონი დოლარი ჩაიდეს ჯიბეში. ამასაც არ დასჯერდნენ და ქალაქის ცენტრში მდებარე სამხედრო ნაწილები ქალაქგარეთ გადაიყვანეს. დისლოკაციის ადგილი სამხედრო ნაწილებს მხოლოდ იმ მიზეზით შეუცვალეს, რომ გამოთავისუფლებული ტერიტორია სარფიანად გაეყიდათ და კიდევ რამდენიმე ასეული ათასი დოლარი ჩაეჯიბათ.

**ქართული არმიის პირად შემადგენლობას ათასობით ბინა და კეთილმოწყობილი სამხედრო ქალაქი დაუტოვა. რუსეთის არმიამ ქართველებს დედაქალაქში 407 ჰექტარი მიწა გადასცა. აქედან დღეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე თითქმის აღარაფერი ირიცხება. მიწის ფართობები ქართველმა გენერლებმა და უფროს ოფიცერთა შემადგენლობამ „დაახურდავა“**

გასულ კვირას დიდუბეში, კერესელიძის ქუჩის მობინადრეებმა წერეთლის გამზირი ორიოდე საათით გადაკეტეს. ამ ქუჩაზე ადრე რუსეთის სამხედრო ნაწილი იყო დისლოცირებული. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი საქართველოს არმიის კავშირგაბმულობის ბატალიონი განთავსდა. კერესელიძის ქუჩის მობინადრეები აცხადებენ: „სამხედრო ნაწილის მეზობლობა ნამდვილად არ გვსიამოვნებდა, მაგრამ თავდაცვის სამინისტროს ყოფილმა ხელმძღვანელობამ იმდენი ქნა, რომ ის სამხედრო ნაწილი სანატრელი გაგვიხადა — ნაწილი სხვაგან გადაიყვანეს, ხოლო ყაზარმები დაანგრიეს, აგური აგურად გაყიდეს, ფიცარი ფიცრად, ხოლო ტერიტორია, როგორც ამბობენ, პარლამენტის მაღალჩინოსნებმა და ყოფილმა მინისტრებმა ჩაიგდეს ხელში. ახლა აქ ბაზრობის გახსნას აპირებენ. ჩვენს უბანს ბაზარი და ვაჭარი აკლდა (იქვეა განთავსებული ე. წ. ელიავას ბაზრობა. — ზ. ჩ.)?“.

„კვირის პალიტრა“ ჯერ კიდევ 2003 წლის თებერვალში დაინტერესდა, რა მიზეზით გადაიყვანეს დიდუბიდან კავშირგაბმულობის ბატალიონი და იმავე წლის 17-23 თებერვლის გაზეთის ნომერში თავდაცვის სამინისტროს ზოგიერთი ხელმძღვანელი ამხილა და ეჭვი გამოთქვა, რომ ტერიტორიის მითვისებით ზოგიერთებმა დიდი ფული იშოვეს. მაშინ იმ სტატიას არც ხელისუფლებიდან და არც უშუალოდ თავდაცვის სამინისტროდან არავინ გამოხმაურებია. დუმილი ამჯობინეს პასუხს. ან რას უპასუხებდნენ? რამდენიმე ნაწყვეტს მოვიყვანთ იმ სტატიიდან: „თავდაცვის სამინისტრომ ამხელა ტერიტორია თავის შენობებიანად ვიღაც კერძო პირებს კაპიკებად მიჰყიდა, მათ შორის, აი, ეს საერთო საცხოვრებელიც. რაც რამ ქონება ჰქონდათ, სხვაგან გადაიტანეს და ნაწილიც მეტრო „ისანთან“ გადავიდა. ჩვენ არავის გავხსენებივართ... სამხედრო ნაწილის ტერიტორია და საერთო საცხოვრებელიც კერძო ფირმამ იყიდა. ახლა შენობის სასწრაფოდ დაცლას მოითხოვენ. გვეუბნებიან, აქედან თუ არ წახვალთ, ტრაქტორს მოვაყენებთ და ისე დავანგრევთ შენობასო...“ კავშირგაბმულობის ბატალიონის ვიცე-პოლკოვნიკის მეუღლე: „ერთი სიტყვაც არავის უთქვამს სამინისტროდან, როცა ამ ადგილის გაყიდვა გადაწყვიტეს... ოფიციალური წერილი დავწერეთ მინისტრის სახელზე, სადაც ბინებით დაკმაყოფილებას ვითხოვდით. მინისტრმა განცხადებას ასეთი რეზოლუცია დაადო — „ამ საკითხთან დაკავშირებით მე ნუ შემაწუხებთ“... თვითონ ხომ ცხოვრობს სასახლეში? კარგად ვიცით, რა ფასად გაყიდეს ოფიციალურად ამ ნაწილის ტერიტორია და ისიც ვიცით, რა თანხა გადაახდევინეს არაოფიციალურად მყიდველს. ის ფული სამინისტროს ჩინოვნიკების ჯიბეში ჩავიდა და ჩვენთვის საკომპენსაციოდ ერთი თეთრიც ვერ გაიმეტეს...“ — აი, ასეთი კომენტარი გააკეთეს მაშინ კავშირგაბმულობის ბატალიონის ოფიცრების მეუღლეებმა. იმ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ 14 თვეზე მეტი გავიდა. ახლა კი კერესელიძის ქუჩის მობინადრეთა პროტესტმა ძველი რესპონდენტები გამახსენა და კავშირგაბმულობის ბატალიონის ყოფილ დისლოკაციის ადგილს ვეწვიე. მის ნაცვლად უკვე აშენებული ბაზრობის ნაგებობა დამხვდა. მისი რკინის უზარმაზარი ალაყაფი თურმე იშვიათად იღება, მხოლოდ მისი მფლობელები ან მშენებლები თუ შევლენ-გამოვლენ. ნაცნობ გზას დავადექი და ალაყაფიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით მდებარე პატარა რკინის კარი გამოვაღე და ყოფილი ნაწილის ტერიტორიაზე მოვხვდი. გეზი იმ საერთო საცხოვრებლისკენ ავიღე, სადაც შარშან სამადლოდ 14 ოფიცრის ოჯახი ცხოვრობდა. ჩემდა გასაკვირად, შენობა ადგილზე იყო და ისევ ცხოვრობდნენ მასში ოფიცრების ოჯახები. „ტელევიზიაში გასული სიუჟეტის შემდეგ თავდაცვის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა, მდგომარეობის რადიკალურად შეცვლას შეგვპირდნენ, მაგრამ დღემდე არაფერი შეცვლილა. დაპირებებით ძველმა ხელმძღვანელობამაც საკმარისად გვკვება“, მითხრეს ოფიცრების მეუღლეებმა...

სანამ ძველ რესპონდენტებს მოვინახულებდით, ჩვენ დაგვიკავშირდა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის თანამშრომელი, მაიორი ლალი ღვინეფაძე და ჟურნა ლისტთან შეხვედრა დაჟინებით მოითხოვა.

**ლალი ღვინეფაძე**: — თბილისში, ქეთევან წამებულის №25-ში, რუსეთის არმიის ერთ-ერთი სამხედრო ქალაქი იყო განთავსებული. ქალაქს 1,33 ჰექტარი მიწა ჰქონდა დაკავებული. მოგვიანებით, ერთ-ერთი შენობის ნაწილი რუსმა სამხედროებმა სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადასცეს(?!). ფართის ერთი ნაწილი იჯარით აიღო შს სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა, რომლის უფროსი მაშინ მე ვიყავი. 1997 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აუქციონზე გაიტანა შენობა. 1998 წელს აუქციონში მონაწილეობდა ოთხი ფიზიკური პირი, რომლებმაც შემდეგ შპს „ალბა“ ჩამოაყალიბეს. 2000 წელს სახელმწიფოსა და შპს „ალბას“ შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება. 2001 წელს „ალბაში“ წილის 21%-ის შესყიდვა მოვახერხე და იმავე წელს გაიცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა. იმ დღიდან დაიწყო უსიამოვნებები. ერთ დღეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის მთავარი სამმართველოს უფროსი რეზო ბეჟაშვილი გვესტუმრა და ჩვენი შენობის ერთი ნაწილისა და მიწის ნაკვეთის სამხედროებისთვის დათმობა გვთხოვა. ბეჟაშვილს არ დაუმალავს, რომ მიწის ნაკვეთზე თბილისის გარნიზონის საბინაო კომისიის თავმჯდომარე, გენერალი დევი ჭანკოტაძე აპირებდა სახლის აშენებას. რა თქმა უნდა, უარი ვუთხარით... ბეჟაშვილი დაგვემუქრა, უსიამოვნებები არ აგცდებათო. რამდენიმე დღის შემდეგ სამეცნიერო ცენტრიდან ძვირად ღირებული ელექტროაპარატურა, კერძოდ, კომპიუტერი დაიკარგა. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და ქურდი პირველი საარტილერიო ბაზის ოფიცერი შალვა მაჩხაშვილი აღმოჩნდა. სასამართლომ მას ერთწლიანი პირობითი სასჯელი შეუფარდა. მომხდარიდან დაახლოებით ორი თვის შემდეგ, იმავე საარტილერიო ბაზის ზემდეგები ჩიტაური და ზარიძე შემოიჭრნენ ჩვენს კუთვნილ ტერიტორიაზე და შეურაცხყოფა მოგვაყენეს. ამაზეც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ერთი სიტყვით, ბეჟაშვილმა მუქარა აასრულა...

— **რატომ ფიქრობთ, რომ დევი ჭანკოტაძის მითითებით მოქმედებდნენ საარტილერიო ბაზის ჯარისკაცები?**

— აფხაზეთის ომის დროს დევი ჭანკოტაძე პირველ საარტილერიო ბაზას მეთაურობდა და დაახლოებული იყო ამ ნაწილის ზემდეგებსა და ოფიცრებთან. როგორც გითხარით, სისხლის სამართლის საქმე რამდენჯერმე აღიძრა. ამ ბოლო დროს კი, კერძოდ, 31 იანვარს, პირადად მე გავხდი თავდასხმის ობიექტი. სისხლის სამართლის საქმეს ისანი-სამგორის რაიონის გამომძიებელი შალვა მელუა იძიებდა. თუ როგორ გამოიძია მელუამ საქმე, ამ დოკუმენტით მიხვდებით. დევი ჭანკოტაძემ მელუას მეუღლეს, როდონაიას, სამხედროების საბინაო ფონდიდან ოროთახიანი ბინა გამოუყო. ზეწოლა ამით არ შემოფარგლულა და როდესაც ბეჟაშვილის და გენერალ ჭანკოტაძის მუქარას არ შევუშინდი, საქმეში თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით თევზაძე ჩაერია. მან 2001 წლის 11 ივლისს წერილით გრიფით „საიდუმლო“ მიმართა შს ყოფილ მინისტრს, გენერალ-ლეიტენანტს კახა თარგამაძეს. წერილის თანახმად, გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე კახა თარგამაძის უწყებას დროებით სარგებლობაში გადასცემს ქუთაისში თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხულ 11 ოთახს. სანაცვლოდ კი დავით თევზაძე ითხოვს თარგამაძის დახმარებას ყოფილ სამხედრო ქალაქის ორ შენობასთან დაკავშირებით. სადაც, როგორც აღნიშნავს: „უკანონოდ არიან შეჭრილი მისი თანამშრომლები, რომლებიც მოქმედებენ კერძო შპსის სახელით. იმედს გამოვთქვამ, რომ თქვენი უშუალო ჩარევით პრობლემა სწრაფად მოგვარდება“. ამ წერილის შემდეგ სამინისტროში ოფიციალური ჩვენება ჩამომართვეს. მივიტანე ყველა ოფიციალური საბუთი, მათ შორის საკუთრების მოწმობა, ნასყიდობის ხელშეკრულება და სხვა დოკუმენტები, რითაც ჩემი სიმართლე დავამტკიცე.

**„ქონების მართვის სამინისტრო 1999 წლის 19 ივლისის ბრძანებით ყოველგვარი კანონიერი საფუძვლის გარეშე ხელოვნურად ზრდის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო ცენტრის მიერ დაკავებული ფართის ოდენობას, ხოლო მიწის ნაკვეთის საწყის გასაყიდ ფასს ასევე ხელოვნურად ამცირებს 104 ათასი დოლარიდან 54 ათასამდე. სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ აღნიშნული ობიექტის პრივატიზაცია განხორციელდა საქართველოს კანონების უხეში დარღვევით“.**

მეტსაც გეტყვით — ბინების მისასაკუთრებლად და შემდეგ გასაყიდად კარგად აპრობირებული კორუფციული მექანიზმი ჰქონდათ. თავდაცვის სამინისტრო უკანონოდ გამოწერდა ორდერებს ოფიცრებზე, რომლებიც შემდგომ ბინებს მოსახლეობაზე ყიდდნენ, ამოღებული თანხის დიდი ნაწილი კი სამინისტროში მიდიოდა. მაგალითად, ახლახან 27 აპრილის ერთ-ერთი გაზეთის განცხადებებში ვკითხულობთ, რომ ჩვენი ბარაკის ტიპის შენობაში ვინმე მზია ძიძიგური 80 კვმეტრ ბინას აგირავებს. გენერალ ჭანკოტაძეს მრავალი ბინა აქვს თბილისში. მათგან ზოგიერთი გაყიდულია. ზოგიერთ ოფიცერზე რამდენჯერმე არის საცხოვრებელი ფართი გაცემული. თუმცა რა უნდა ვთქვათ რიგით ოფიცრებზე, როდესაც თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა თითქმის მიზერულ ფასად მიისაკუთრა ლაღიძის ქუჩაზე მდებარე ყოფილი რუს სამხედრო მოსამსახურეთა კუთვნილი საბავშვო ბაღის შენობა და როგორც ამბობენ, მეუღლის სახელზე გააფორმა. თევზაძემ გაყიდა ალექსანდრეს ბაღში მდებარე მიწის ნაკვეთი, სადაც მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი აშენდა. იმ კორპუსში თევზაძეს ორი თუ სამი სართული ეკუთვნის. თევზაძეს მისი გუნდის სხვა გენერლებიც არ ჩამორჩებოდნენ. მაგალითად, კობა კობალაძემ ქეთევან წამებულის 76-ში მდებარე სამხედრო ქალაქის უზარმაზარი ტერიტორია მიითვისა. მე მაქვს ყველა საბუთი იმისა, თუ როგორ გააყალბეს სამხედროებმა ოფიციალური საბუთები, როგორ შეიყვანეს სასამართლო ინსტანციები შეცდომაში და რა ხერხებით მიითვისეს უძრავი ქონება. მე საქმის კურსში ჩავაყენე თავდაცვის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა და ვფიქრობ, ამ უკანონობას ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესმება...

ჩვენ დავინტერესდით შპს „ალბას“ დამფუძნებელთა ვინაობით. ძალიან მეცნო ორი გვარი — ა. წულაძე და მ. გვაზავა. როგორც დავადგინე, პირველი მარტვილის რაიონის ყოფილი გამგებელი, ბატონი აპოლონ წულაძე ყოფილა, ხოლო მეორე მისი პირველი მოადგილე მურად გვაზავა. ორივენი „კვირის პალიტრაში“ (24 თებერვალი-2 მარტი, 2003) შარშან გამოქვეყნებული სტატიის უარყოფითი გმირები არიან. მაშინ აპოლონ წულაძე და მისი მოადგილე ბრაკონიერთა მფარველობაში ვამხილეთ.

ამ პირების ვინაობის დადგენის შემდეგ ეჭვი გაგვიჩნდა, რომ ყველაფერი მთლად ისე არ უნდა ყოფილიყო, როგორც ქალბატონი ღვინეფაძე გვიხატავდა და ეს უზენაესი სასამართლოს დადგენილებამაც დაგვიდასტურა. მასში ვკითხულობთ: „ქონების მართვის სამინისტრო 1999 წლის 19 ივლისის ბრძანებით ყოველგვარი კანონიერი საფუძვლის გარეშე ხელოვნურად ზრდის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო ცენტრის მიერ დაკავებული ფართის ოდენობას, ხოლო მიწის ნაკვეთის საწყის გასაყიდ ფასს ასევე ხელოვნურად ამცირებს 104 ათასი დოლარიდან 54 ათასამდე. სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ აღნიშნული ობიექტის პრივატიზაცია განხორციელდა საქართველოს კანონების უხეში დარღვევით“. რაც შეეხება მაიორ ღვინეფაძის მიერ იმის მტკიცებას, რომ თავდაცვის სამინისტროს საბინაო ფონდში კორუფციული გარიგებები ხდებოდა, ამას ძნელია არ დაეთანხმო...

— **არც ერთი ბინის მეპატრონე სამხედრო მოსამსახურე არ არის და საერთოდ, კანონით სამხედრო პირებს ხომ ბინის პრივატიზება მხოლოდ ათი წლის შემდეგ შეუძლიათ?** — ასეთი კითხვით მივმართე პირველი საარტილერიო ბაზის პოლკოვნიკს, **ჯონი ნათენაძეს**.

— ვიცი, ვისგანაც ხართ გამოგზავნილი(?!). რას გვერჩიან ნაომარ ხალხს? ღია ცის ქვეშ იყვნენ, თავდაცვის სამინისტრომ გაითვალისწინა ამ მეომრების დამსახურება და ერთოთახიანი ბინები გამოუყო. ისინი შპს „ალბას“ უკანონოდ ჰქონდა მითვისებული. თუმცა საქმე საცხოვრებელი ფართი კი არ არის, არამედ ამ შენობასთან მდებარე მიწის ნაკვეთი. სწორედ მისი მისაკუთრება უნდოდათ „ალბას“ მფლობელებს. როგორც ამბობენ, მიწის ნაკვეთი თურქი ბიზნესმენებისათვისაც ჰქონდათ მიყიდული ასი ათას დოლარად. სწორედ ამ დროს მოვითხოვეთ კუთვნილი ქონება. შპს „ალბას“ მფლობელებმა ოფიციალური დოკუმენტები გააყალბეს, რაშიც მათ ქონების მართვის სამინისტრო და ტექაღრიცხვის ბიურო დაეხმარა. რაც შეეხება გამომძიებლის მეუღლისათვის ორი ოთახის გამოყოფას, სიმართლეა, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ის ქალბატონი ლტოლვილია და დროებით მივეცით საცხოვრებლად ორი ოთახი.

ზემდეგი **შალვა მაჩხაშვილი**: „ჩემზეც გეტყოდათ ღვინეფაძე, ცენტრიდან კომპიუტერი მოიპარაო. სინამდვილეში, უკითხავად ნემსიც არ ამიღია. კომპიუტერი პოლიციის „ნასედკებმა“ მომიგდეს. სახურავიდან ჩამოვიდნენ, ჩემს ოთახში ფანჯრიდან შემოვიდნენ და კომპიუტერი დამიდეს. ვიფიქრე, რომელიმე მეგობარმა მოიტანა-მეთქი. სანამ გავარკვევდი, თავზე პოლიცია დამადგა...“.

ჯონი ნათენაძემ ოფიცერთა და ზემდეგთა საცხოვრებელი ბინები დამათვალიერებინა. ვერც ერთი ბინა ოდნავაც კი ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ საბინაო პირობებს.

ჩვენ ვცადეთ დავკავშირებოდით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ყოფილ უფროსს, თბილისის გარნიზონის საბინაო კომისიის ყოფილ თავმჯდომარეს, გენერალ-მაიორ დევი ჭანკოტაძეს. როგორც გაირკვა, ბატონო გენერალი ამჟამად მოსკოვში, დსთ-ის ქვეყნების შეიარაღებული ძალების შტაბში მუშაობს.

*(გაგრძელება იხ. გვ. 27)*

# პარლამენტის სხდომებზე აჭარიდან ვივლი

## „არ შეიძლება კაბინეტს შტურმით იღებდნენ სკამს დახარბებული ადამიანები“

*პარლამენტარი კობა დავითაშვილი ისევ აკრიტიკებს ხელისუფლებას. აჭარლების „ავტონომიაში დატოვების“ გამო გამწყრალი დეპუტატი გასულ კვირას სულ გადარიეს.* ***კობა დავითაშვილი*** *აჭარის საკითხის ძირისძირამდე ჩაყოლას აპირებს და იქაური ვითარების უკეთ შესასწავლად უახლესი კვირების მანძილზე საერთოდ ბათუმში აპირებს ცხოვრებას.*

— აჭარაში რომ უსიამოვნო პროცესები დაიწყო, ისიც მეტყველებს, რომ ასე მწვავე ფორმით მიმდინარეობდა ბაზრის დირექტორობისთვის ბრძოლა. არ შეიძლება შტურმით იღებდნენ კაბინეტებს სკამს დახარბებული ადამიანები. ხალხს ასლან აბაშიძის სკამი იმიტომ არ დაუმტვრევია, რომ ახლები გამოიჩორკნოს და ზედ მავანნი დაბრძანდნენ. სკამზე დაბრძანებულ ადამიანებს ძალაუფლების წყურვილი თავბრუს ახვევს ხოლმე და არ არის გამორიცხული, ერთ დღეს აჭარაში ახალი ასლან აბაშიძე მივიღოთ. არ მინდა ასე ცუდად შეტრიალდეს ჩვენი საქმე. ეს ნაღმი რომ ახლავე განეიტრალდეს, ამიტომ უნდა ჩავატაროთ აჭარაში პლებისციტი და ვკითხოთ, სურთ თუ არა ავტონომიის არსებობა.

აჭარის საკითხთან დაკავშირებით პარლამენტში ორი კანონპროექტია შემოტანილი. ერთის მიხედვით, ასლან აბაშიძის მიერ მიტაცებული უფლებების ნაწილი ცენტრმა უნდა შეითავსოს, მაგრამ ავტონომია ისევ იარსებებს. მეორე კანონპროექტით ავტონომიაც დარჩება და უფლებებიც არ შეიზღუდება. ჩემი აზრით, ავტონომია უნდა გაუქმდეს, მაგრამ უფლებების უმეტესი ნაწილი ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებზე უნდა გადანაწილდეს. ხელისუფლების არგუმენტი, აჭარის მოსახლეობასა და ასლან აბაშიძეს პირობა მივეცით, რომ ავტონომია არ გაუქმდებაო, ჩემთვის მიუღებელია. რომელმა აჭარელმა სთხოვა ხელისუფლებას ავტონომიის შენარჩუნება, მაჩვენონ. თუკი ასლან აბაშიძეს მისცეს ეს პირობა, რად აძლევდნენ? პირობა მე არ მიმიცია არავისთვის და ამიტომ ვითხოვ ავტონომიის გაუქმებას. ურიგო არ იქნებოდა, ჩვენი ხელისუფლება დაფიქრებულიყო — ბევრი ვალი ხომ არ უგროვდება ისეთი პირების მიმართ, როგორიც არის ედუარდ შევარდნაძე, ასლან აბაშიძე, იგორ ივანოვი და მისთანანი.

უთუოდ შევისწავლი აჭარაში მიმდინარე პროცესებს, ყოველ უახლოეს არასასესიო კვირას აჭარაში გავატარებ და პარლამენტის სხდომებზე აჭარიდან ვივლი. 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესაც, აჭარაში ვიქნები და მექნება იმის განცდა, რომ საქართველოს გაერთიანებას ვუწყობ ხელს.



**— თქვენ კოლეგისთვის იმუნიტეტის მოხსნამ გაგაბრაზათ, ბრძანეთ, გიორგი კენჭაძის საქმესთან დაკავშირებით არაერთი კითხვა გამიჩნდაო, რას გულისხმობდით? ისიც ხომ ფაქტია, რომ მას ეს ფული მართლაც ხელში ეჭირა?!**

— მხოლოდ ერთ რამეს ვითხოვდი, საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელიც იმუნიტეტის მოხსნაზე მსჯელობდა, ეჭვმიტანილისთვისაც მოგვესმინა. ხომ მეთანხმებით, რომ საინტერესო იქნებოდა? ამისთვის 2 საათიც საკმარისი იყო, მაგრამ გააფთრებულ წინააღმდეგობას და აგრესიას წავაწყდი — არა, გადაწყვეტილება ახლავე უნდა მივიღოთო. რატომ შეეშინდათ ამ ადამიანის პოზიციის მოსმენა? რა ფაქტების გამჟღავნების შეეშინდათ?

დავაკვირდები პროკურატურისა და ხელისუფლების ქმედებებს, გამოძიების მიმდინარეობას და მერე გავაკეთებ არგუმენტირებულ დასკვნას.

**— დამოუკიდებლობის დღეს საქართველოს ახალი ჰიმნიც ექნება, რა აზრის ხართ მასზე?**

— არც მუსიკაზე მაქვს პრეტენზია და არც ტექსტის პწკარედულ განხილვას ვაპირებ. კონკურსი მეტად მანკიერად ჩატარდა. წარმოუდგენელი რამ მოხდა — ჯერ მუსიკაზე (შევარდნაძის დროს) ჩატარდა კონკურსი, მერე ტექსტზე. ჰიმნის ტექსტი და მუსიკა მთლიანი ნაწარმოებია და მისი შესარჩევი კონკურსი ერთად უნდა ჩატარებულიყო. ამათ კი შევარდნაძის მოწონებულ მუსიკას ისე დაადეს ახალი ტექსტი, არც კი განუხილავთ ხალხური შემოქმედების ნიმუშები. როდესაც დიდი ისტორიის მქონე ქვეყანაში სიმბოლიკა იცვლება, მიღებულია, რომ იგი უფრო ძველით შეიცვალოს. ამიტომ ვუჭერდი მხარს შინდისფერის ნაცვლად ხუთჯვრიან დროშას და ამიტომ დავუჭერ მხარს ბაგრატოვანთა გერბის საფუძველზე შექმნილ გერბსაც. რატომ გაკეთდა ჰიმნზე გამონაკლისი? არ სჯობდა, ის სიმღერა აგვერჩია, რომელსაც ქართველები მაშინ მღეროდნენ, როდესაც ხუთჯვრიან დროშას გაშლიდნენ ხოლმე? „მუმლი მუხასა“, „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“ და ეკლესიური „მრავალჟამიერი“ ვფიქრობ, უფრო მოუხდებოდა ჩვენს დროშას.

***იზო რიკაძე***

# საქართველო შეეცდება შემოდგომაზე აფხაზურ არჩევნებში ჩაერთოს




პრეზიდენტის ქმედებებიდან ჩანს, რომ სააკაშვილს არ სურს ისტორიაში მხოლოდ „მიშად“ დარჩეს. ის მართლაც ხშირად ლაპარაკობს საქართველოს გაერთიანებაზე... ასეთი იდეალებისთვის მებრძოლ პრეზიდენტს საერთაშორისო მხარდაჭერაც სჭირდება და გათვლილი ნაბიჯების გადადგმაც. სააკაშვილმა უპირველესად შევარდნაძის მემკვიდრის სტატუსი უნდა მოიცილოს, ხელისუფლება კი იმ მანკიერი თვისებისგან განკურნოს, რის გამოც შევარდნაძეს ყველამ ზურგი აქცია. რაკი შევარდნაძეს კორუფციის მფარველობას აბრალებენ, სააკაშვილმა უპირველესად კორუფციას გამოუცხადა ბრძოლა. შევარდნაძეს იმისთვისაც აკრიტიკებდნენ, თავის ხალხს არ სჯისო, სააკაშვილმა კი თანაპარტიელი უკვე ციხეში გამოკეტა, მაგრამ სრულ იდილიამდე ჯერ კიდევ ძალიან შორს არის, ჯერ კიდევ ბევრი მუქთამჭამელი და მექრთამე ხრავს ჩვენს ქვეყანას.

გასულ კვირას იგორ ივანოვის ვიზიტი საკმაოდ გასაიდუმლოებული შედეგით დასრულდა — მან პრეზიდენტთან აფხაზეთის საკითხზე ისაუბრა, მაგრამ კანცელარიის კედლები, რომელთაც ყოველთვის ყველაფერი ესმოდათ, მოულოდნელად დაყრუვდნენ. შესაბამისად, ინფორმაციამაც აღარ გამოჟონა. მხოლოდ ის გავიგეთ, რომ ივანოვმა რესტორან „პურის სახლში“ მოილხინა საყვარელ ქართულ სუფრაზე. ჩვენი ცნობისმოყვარეობა ვერც „ყველაფრისმცოდნე“ **გივი თარგამაძემ** დააკმაყოფილა.

ინფორმაციას, რომ რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი აფხაზეთის საკითხის გამო სტუმრობდა თბილისს, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე არ ადასტურებს. სინამდვილეში, ეს ჩვეულებრივი ვიზიტი იყო, რომელიც მიმდინარე საკითხებს შეეხებოდაო(?!). თუმც თარგამაძემ არ უარყო, რომ ივანოვი პრეზიდენტსაც და პრემიერ-მინისტრსაც აჭარაზე ესაუბრა.

**— თუ ხელისუფლებაში მიაჩნიათ, რომ ივანოვის მოულოდნელი ვიზიტის მიზანი საიდუმლოდ უნდა დარჩეს, მაშინ მითხარით, საქართველოს ხელისუფლების განსაკუთრებულ ინტერესს აფხაზეთის საკითხის მოგვარების მიმართ როგორ შეხვდნენ აფხაზეთში?**

— აფხაზები ყოველნაირად ცდილობენ (ამას არც მალავენ) პროვოკაციის საშუალებით გაიმყარონ პოზიციები. მათ პროვოკაციებს არ ავყვებით. ცხადია, ჩვენ ვმუშაობთ აფხაზეთის საკითხზე, რომელიც საკმაოდ რთულია და არ არის ერთ-ორ დღეში გადასაწყვეტი. იმასაც გეტყვით, რომ სიცრუეა აფხაზეთში ატეხილი განგაში ქართული მხარისგან მოსალოდნელ საომარ ქმედებებთან დაკავშირებით. ამაზე ლაპარაკიც არ არის. აფხაზეთის საკითხზე მუშაობას ნულიდან ვიწყებთ, რადგან წინა ხელისუფლებას სრულიად არ აინტერესებდა ეს პრობლემა. ამ ეტაპზე, ძირითადად, ინფორმაციის მოძიებით ვართ დაკავებული. ეს უზარმაზარი სამუშაოა, რადგან აფხაზეთში აჭარისგან განსხვავებით ინტერესთა ბევრი ჯგუფი არსებობს. მათგან ზოგი მოსკოვშია, ზოგი სოჭში, ზოგიც თვითონ აფხაზეთის ტერიტორიაზე. უპირველესად ის უნდა გავიგოთ, რით სუნთქავს და სულდგმულობს ეს ხალხი. შემდგომ მოპოვებული ინფორმაცია დეტალურად უნდა გაანალიზდეს და მერე შეიძლება სამოქმედო გეგმაზე ლაპარაკი.

**— რამდენადაც ცნობილია, აჭარის მოვლენების შემდგომ აფხაზები შეშფოთებულნი არიან. მათთვის ცეცხლზე ნავთის დასხმასავით იყო პრეზიდენტ სააკაშვილის ნათქვამი — ახლა აფხაზეთის ჯერიაო...**

— მაქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შეძლებული ხალხი უკვე ტოვებს აფხაზეთის ტერიტორიას (შესაძლოა დროებით). ალბათ ისინი დაელოდებიან, როგორ განვითარდება მოვლენები. აფხაზებში შიში ნამდვილად იგრძნობა — პანიკის დათესვას თავად იქაური ხელისუფლება უწყობს ხელს. დაინტერესებული არიან, რომ საქართველოს ხელისუფლების ქმედებების თავისებური ინტერპრეტაციით დააშინონ მოსახლეობა. ყველაფერი ეს შემოდგომაზე დაგეგმილ აფხაზეთის არჩევნებს უკავშირდება. ზოგიერთი ჯგუფის გააქტიურება სწორედ არჩევნების გამო ხდება. ზოგს გალში ქართული ხმების იმედი აქვს, ზოგსაც — პირიქით, მწვავე სეპარატისტული განცხადებებით სურს მომხრეების მოხიბვლა... ბუნებრივია, უნდა ვეცადოთ, რომ სარგებელი ამ სიტუაციითაც მივიღოთ...

აფხაზეთში ყოველთვის იყვნენ პროქართულად განწყობილი ძალები, მაგრამ მათ ჯერობით არა აქვთ სერიოზული პოზიციები. ამიტომ ისინი ცდილობენ მეტი მხარდაჭერა მოიპოვონ საქართველოდან. რა თქმა უნდა, საქართველო შეეცდება, ამ პროცესში (არჩევნებში) ჩაერთოს და ამ ძალებს მხარი დაუჭიროს.

**— ზემოთ თქვენ დაინტერესებულთა ჯგუფები ახსენეთ. იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რას გულისხმობდით?**

— აფხაზეთში არსებული ობიექტების უმეტესობა დღესდღეობით სხვადასხვა ჯგუფის ხელშია. იქ დიდძალი ფული აქვთ დაბანდებული რუსებსაც. სულაც არ მიმაჩნია, რომ რუსული კაპიტალი დამღუპველია. მნიშვნელობა არა აქვს, სადაური და რა წარმომავლობის არის კაპიტალი. უბრალოდ, მისი დაბანდება ლეგალურად უნდა მოხდეს. რუსეთთან დიალოგის ერთ-ერთი თემა სწორედ ეს იქნება. აფხაზეთში მასობრივად უნდა იყოს წარმოდგენილი რუსული კაპიტალი, ოღონდ ეს ლეგალურად უნდა გაკეთდეს და თუ ეს მოხსნის აფხაზეთის დაბრუნების პრობლემას, ჩვენ ამაზე უარს არ ვიტყვით.

დღეს ხშირად გაიგონებთ, ამერიკა და რუსეთი აფხაზეთის საკითხზე მორიგდებიანო, მაგრამ რატომღაც ავიწყდებათ ამ კონტექსტში საქართველო. რუსეთმა და აშშ-მა ერთმანეთში რაც უნდა გადაწყვიტონ, უთუოდ ანგარიში უნდა გაუწიონ საქართველოს, რომელიც არც რუსებისა და არც ამერიკელების გადაწყვეტილებას არ ექვემდებარება. უნდა შევეცადოთ და ამ ორი ქვეყნის ინტერესებისგანაც უნდა ვისარგებლოთ, ისევე, როგორც ეს აჭარაში მოხდა.

**— როგორი იყო აჭარაში ამ ქვეყნების ინტერესები?**

— როგორიც ზოგადად არის ხოლმე ზესახელმწიფოების ინტერესები, მაგრამ ჩვენ მოვახერხეთ ოქროს შუალედის პოვნა და საბოლოოდ საქართველოსთვის აუცილებელ და წარმატებულ შედეგამდე მივედით...

**— გასულ კვირას, როდესაც პარლამენტმა იმუნიტეტი მოუხსნა დეპუტატ კენჭაძეს, კობა დავითაშვილმა შერისხული პარლამენტარი პროვოკაციის მსხვერპლად გამოაცხადა — თქვა, კენჭაძე გაწირესო...**

— ამ შემთხვევაში კობა თავისი გათვლებისა და გააზრებების ტყვეა. კენჭაძის საკითხი სავსებით ცხადი და ნათელია. ის ხუთჯერ გააფრთხილეს, ხელი აეღო ასეთ საქმიანობაზე. სამჯერ პირადად მე გავაფრთხილე, მაგრამ არ დაიშალა. თუკი კობა დავითაშვილი ფიქრობს, რომ კენჭაძე პროვოკაციის მსხვერპლია, ისიც უნდა თქვას, რომ ის ყველაფერთან ერთად დებილიც ყოფილა. ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა წამოაგო ადამიანი ისეთ პროვოკაციაზე, რომ მან ხელში გამოძალული 100 ათასი დოლარი დაიჭიროს.

***მარი ზანდუკელი***

# ბრძოლით მოპოვებულ დამოუკიდებლობას არასოდეს დავკარგავთ...

**„უზენაესი საბჭოს წინ მოედანი ხალხით იყო გადაჭედილი. დარბაზშიც ყველანი გახარებულნი, გულის თრთოლით ველოდით პრეზიდენტის სიტყვას. როდესაც ზვიად გამსახურდიამ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა, სკამებიდან წამოვცვივდით, დიდი ტაში, სიხარული და ზეიმი იყო... როდესაც დამოუკიდებლობის აქტზე ხელმოწერა დამთავრდა, პრეზიდენტი და უზენაესი საბჭოს დეპუტატები ხალხთან ჩავიდნენ. ანსამბლი „რუსთავი“ „მრავალჟამიერს“ მღეროდა, ხალხმა სიხარულით იგრიალა. იმ დღეს უცნობი ადამიანები ერთმანეთს ქუჩაში კოცნიდნენ და დამოუკიდებლობის გამოცხადებას ულოცავდნენ, სახალხო ზეიმი და ცეკვა იყო თბილისის ქუჩებში. ასეთი განცდა მხოლოდ ერთხელ მქონდა, მაშინ, როდესაც საკუთარი შვილი გულზე მივიკარი და დედობის ბედნიერება ვიგრძენი. ასეთი სიხარულისთვის სიცოცხლის გაღებაც კი ღირს“, — მითხრა ერთმა თბილისელმა ქალბატონმა, ეკა რამიშვილმა. არაერთი ქართველის სიცოცხლის ფასად მოპოვებული დამოუკიდებლობა მართლაც ძვირად გვიღირს ქართველებს. 13 წლის წინ, 26 მაისს, ქართველმა კაცმა ტკივილამდე მონატრებული თავისუფლება იგემა და აისრულა ოცნება „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“.**

**აკაკი ასათიანი**: — რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ დამოუკიდებლობა რუსებისა და გერმანელების მითითებით გამოაცხადა. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეზე მეტხანს ვიბრძოდით ეროვნული თვითმყოფადობისთვის, ასე მოულოდნელად და შემთხვევით მოპოვებული დამოუკიდებლობა მალევე დავკარგეთ და ამასთან, მაშინ, როდესაც დავიწყეთ გაცნობიერება — რამხელა მონაპოვარი იყო ეს. პირველად 26 მაისი, როგორც დამოუკიდებლობის დღე, ზეიმით 1920 წელს აღინიშნა. თუმც აღვნიშნეთ 1922 წელსაც, როდესაც საქართველო საბჭოთა ჯარების მიერ იქნა ანექსირებული. მაშინ საქართველო საბჭოთა რესპუბლიკა იყო, მაგრამ დამოუკიდებელი. სხვათა შორის, ქართველი ბოლშევიკები და მათ შორის, ბუდუ მდივანიც, 1937 წელს შეეწირნენ იმისთვის, რომ დამოუკიდებელ საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკას ემხრობოდნენ. მათ აზრს ტროცკი და ლენინიც კი იზიარებდნენ, მხოლოდ სტალინისა და ორჯონიკიძის დაჟინებული მონდომებით აღმოჩნდა საქართველო ჯერ ოკუპირებული, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. სტალინსა და ორჯონიკიძეს პირადი მიზანი ამოძრავებდათ. მათ ძერჟინსკის მაგალითი ჰქონდათ წინ, იცოდნენ, საბჭოთა კავშირის პირველი პირი უცხოელი რომ ვერ გახდებოდა და ამას შეევეწირეთ. მას შემდეგ, რაც საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში აღმოჩნდა, ისინი „უცხოელებიც“ აღარ იყვნენ და პირველობისკენ არაფერი ელობებოდათ. ზვიადსაც და მეც გვიყვარდა 26 მაისი. გარდა დამოუკიდებლობის დღისა, ეს მერაბისა და დედაჩემის დაბადების დღეც იყო.

1991 წლის 26 მაისს დამოუკიდებელ საქართველოში პირველი სამხედრო აღლუმი ჩატარდა. მთელი სიცოცხლე ქართულ ჯარზე ვოცნებობდი და ბედნიერი ვიყავი, როდესაც ქართველი ჯარისკაცების კოლონა დავინახე. მახსოვს, ბევრი ტიროდა კიდეც სიხარულით. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ეს ვინმეს ნაწყალობევი კი არა, ბრძოლით მოპოვებული დღესასწაული იყო.

**— სხვათა შორის, ზოგი იმასაც ამბობს, რა საჭირო იყო ამდენი მსხვერპლი, საბჭოთა კავშირი ისედაც დაიშალა და ზოგ ქვეყანას ხელიც არ გაუნძრევია, ლანგრით მიართვეს დამოუკიდებლობაო.**

— საბჭოთა კავშირი ამ ბრძოლამ დაშალა. ისედაც მოგვცემდნენო — ეს მონების ლაპარაკს ჰგავს. ფასი მოპოვებულს აქვს. ბრძოლით მოპოვებულ დამოუკიდებლობას არასოდეს დავკარგავთ და ეს არის პრინციპული განსხვავება 1918 წელსა და 1991 წელს გამოცხადებულ დამოუკიდებლობას შორის.

**— როგორც ამბობენ, გამსახურდიას ხელისუფლება სწორედ ამას შეეწირა.**

— 1990 წლის ნოემბერში მოსკოვში ვთქვი — სამოკავშირეო ხელშეკრულებას ხელს არ მოვაწერთ-მეთქი. გორბაჩოვმა იმავე დღეს მიპასუხა — ზოგიერთები რომ გასვლით იმუქრებიან, პრობლემები შეექნებათ ავტონომიების სახითო. მერე ნიშანოვმა პირადადაც მითხრა — საქართველოში არეულობა დაიწყებაო. ოსეთის შემთხვევაში ვერ მოვასწარით, მაგრამ აფხაზეთის საკითხში გაფრთხილება გავითვალისწინეთ.

***(გაგრძელება. იხ. გვ. 12)***

# რევოლუციური, ჯერ არნახული, ჯერ არგაგონილი... სამხედრო აღლუმი

## 26 მაისის სამხედრო აღლუმი სეპარატისტების ნერვებზეც არის გათვლილი

საქართველოს მოსახლეობა 26 მაისს, ქვეყნის დამოუკიდებლობის დღეს, თავისი მასშტაბით მართლაც გრანდიოზულ სანახაობას იხილავს — მნახველის წინაშე წარდგება საქართველოს სამხედრო ძალების როგორც სახმელეთო, ისე საჰაერო საბრძოლო ტექნიკა და შეიარაღება.

სამწუხაროდ, მდ. მტკვრის სიღრმე არ იძლევა საბრძოლო კატარღების გაშვების საშუალებას, მაგრამ ეს ბუნებრივი დაბრკოლება მთლიანად იქნება კომპენსირებული ბათუმში, საზღვაო ძალების აღლუმზე.



*ქართული ტანკების თვალუწვდენელი კოლონის ჩავლისას ძალაუნებურად „შვილო გოდერძის“ დაძახება მოგინდება...*

ქვეყნის ხელმძღვანელობისა და საპატიო სტუმრების წინ ჩაივლის არანაკლებ 8 ათასი სამხედრო მოსამსახურე, აქედან ნახევარი — შინაგანი ჯარებიდან იქნება. მთავარი სანახაობა მაშინ დაიწყება, როდესაც ტრიბუნას საბრძოლო ტექნიკის კოლონა გაუსწორდება.

კოლონას 22 ერთეული „ლენდროვერი“ წარუძღვება, მას მიჰყვება 4 ჯავშანმანქანა БРДМ-2, ჩაივლის 6 ჯავშანტრანსპორტიორი — БТР-70 და БТР-80. ამის შემდეგ არტილერიის ჯერი დგება — ტრიბუნას ერთიმეორის მიყოლებით ჩაუვლიან სატვირთო ავტომობილებზე გასაბმელი 6 ცალი 120 მმ კალიბრიანი ნაღმსატყორცნი, 6 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი Т-12, ამდენივე ჰაუბიცა Д-30, 6 მსხვილკალიბრიანი ჰაუბიცა МСТА-Б, 3 ცალი ГИАЦИНТ-Б, 2 ჩეხური თვითმავალი საარტილერიო დანადგარი DANA, 10 ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა БМ-21 Град-ი და ანალოგიური დანიშნულების 4 ჩეხური RM-70.

არტილერიას ტრიბუნასთან საჰაერო თავდაცვის ჯარების გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებით — Стрела-თი შეიარაღებული მეზენიტეები შეცვლიან, მათ კი მრისხანე С-125 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების გადასატანი 9 სპეცავტომობილი მიჰყვება, შემდეგ სახმელეთო ჯარების საჰაერო თავდაცვის 10 ჯავშანგამწევი МТ-ЛБ, რომლებზეც ავტომატური საზენიტო ქვემეხები ЗУ-23-2-ებია დამონტაჟებული. საჰაერო თავდაცვის ჩვენებას 6 თვითმავალი საზენიტო დანადგარი ЗУ-23-4 Шилка დაასრულებს.

ამის შემდეგ ქართული მძიმე ჯავშანტექნიკის ჯერი დადგება — ტრიბუნასთან ჯერ 10 ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-1 გაივლის. აღლუმის კულმინაციური მომენტი დადგება მაშინ, როცა ტრიბუნას ჩაუვლის 50 ტანკი (მათგან 25 — Т-55 ტიპისაა, ამდენივეა Т-72).

დღემდე ყველაზე დიდი სამხედრო აღლუმი 1997 წლის 26 მაისს გაიმართა, როდესაც 36 მუხლუხოვანი საბრძოლო ტექნიკა ჩაატარეს შევარდნაძის წინ. 1998 წლის 26 მაისს, გალის მოვლენების გამო, უკვე მომზადებული სამხედრო აღლუმი ჩაიშალა.



*საქართველოს არმიის შეიარაღებაში მყოფმა ზალპური ცეცხლის რეაქტიულმა სისტემებმა БМ-21 ГРАД-ებმა საბრძოლო ნათლობა ჯერ კიდევ აფხაზეთის ომში მიიღეს*

სახმელეთო აღლუმზე თავის ტანკებსა და ჯავშანმანქანებს შინაგანი ჯარიც აჩვენებს — დაგეგმილია 12 ტანკის, 15 ქვეითთა საბრძოლო მანქანის, 6 ჯავშანტრანსპორტიორის, საზენიტო ქვემეხებით აღჭურვილი 9 ჯავშანგამწევისა და 9 სადაზვერვო ჯავშანმანქანის ჩვენება.

სამხედრო აღლუმის სახმელეთო ფაზის შემდეგ ცაში, დაბალ სიმაღლეზე (როგორც ამბობენ, უმაღლესი მთავარსარდლის მკაცრი მოთხოვნით — ავიაციამ რაც შეიძლება დაბალ, მაგრამ უსაფრთხო სიმაღლეზე უნდა გადაიფრინოს) ავიაცია გამოჩნდება — ჯერ თავდაცვის სამინისტროს საჰაერო ძალების 5 ამერიკული UH-1H „იროკეზი“, 2 სამხედრო-სატრანსპორტო Ми-8, ერთი ამფიბია Ми-14 და, რაც მთავარია, ორი საბრძოლო Ми-24 შვეულმფრენი გადაიფრენს. მათ შინაგანი ჯარების ცალკეული ესკადრილიის 6 ცალი Ми-8 ტიპის შვეულმფრენი მოჰყვება (მათგან ნაწილი სულ ერთი თვის წინ ჯერ კიდევ აბაშიძეს ეკუთვნოდა!).

საჰაერო აღლუმს 6 საბრძოლო მოიერიშე Су-25 ტიპის თვითმფრინავი დახურავს, რომელთაგან ერთ-ერთი — Су-25КМ „სკორპიონი“ — პირველად მიიღებს მონაწილეობას.

26 მაისს საქართველოს საზღვაო ძალების დემონსტრაცია შედგება ბათუმის პორტის აკვატორიაში, სადაც „დიოსკურია“, „თბილისი“, „ქუთაისი“, „მესტია“, „ივერია“, „წყალტუბო“ და საზღვაო თავდაცვისა და სანაპირო დაცვის სხვადასხვა კლასისა და ტიპის კატარღები გამოჩნდებიან.

ეს გრანდიოზული სანახაობა, თავდაცვის სამინისტროს განმარტებით, 350 ათას ლარამდე დაჯდება; ამაზე ბევრად ნაკლები დაიხარჯა ამას წინათ, ფართომასშტაბიან სამეთაურო-საშტაბო წვრთნებზე „დიოსკურია-2004“-ზე. თუმცა ამის გამართლება იმით შეიძლება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ სამხედრო აღლუმში ქვეყნის სამხედრო ძალების თითქმის მთელი საბრძოლო ტექნიკის დემონსტრაცია განხორციელდება. ამას კი, სამი დადებითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს:

პირველი — სამხედრო აღლუმისთვის სპეციალურად გარემონტდა, შეიღება და მომზადდა სამ ასეულამდე საბრძოლო და სატრანსპორტო ტექნიკა, თვითმფრინავები, შვეულმფრენები და მცურავი საშუალებები. ამასთან, ეკიპაჟებმა აღლუმისთვის მზადების პერიოდში მიიღეს საბრძოლო ტექნიკის მართვის დამატებითი ცოდნა, ანუ აღლუმის მზადება ერთგვარ სამხედრო სწავლებადაც იქცა.

მეორე — სამხედრო აღლუმზე საქართველოს მოსახლეობა პირველად ნახავს სრულად, თუ რა რეალური სამხედრო ძალა გააჩნია მის სამშობლოს და ალბათ მორალურ-პატრიოტულ კმაყოფილებასაც მიიღებს.

მესამე დადებითი შედეგი კი წმინდა პროპაგანდულია დევიზით — „აქ რა ქნა და იქ რას იზამდა!“ — ქართულ მიწაზე არსებული სეპარატისტული რეჟიმების თავკაცები საკუთარი თვალით ნახავენ, რომ ოფიციალურ თბილისს, სამშვიდობო მოლაპარაკებების გარდა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად სხვა, ძალისმიერი საშუალებებიც გააჩნია. დაახლოებით ამგვარ შთაბეჭდილებას მოახდენს ალბათ 26 მაისის სამხედრო აღლუმი ჩვენს ორ სამხრეთკავკასიურ მეზობელ ქვეყანაზეც, რაც ზედმეტი სულაც არ იქნება.

P.S. შაბათს, 22 მაისს, როდესაც ეს სტატია დაიწერა, ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ ცნობილი, თუ სად გაიმართებოდა თბილისში აღლუმი — რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის წინ, რესპუბლიკის მოედანზე თუ 300 არაგველების ძეგლის წინ.

ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მძიმე ტექნიკის გავლა თბილისის ცენტრში არა მარტო სავალი გზის ასფალტს აზიანებს, არამედ საფრთხის წინაშე დააყენებს მიწისძვრით დაზიანებულ ავარიულ შენობებს, აგრეთვე მიწისქვეშა გადასასვლელებს, რადგან ამ რაოდენობის ტანკებს ჯერ თბილისის ცენტრში არ გაუვლიათ.

P.P.S. უკანასკნელი ცნობით, 26 მაისის სამხედრო აღლუმი გაიმართება 300 არაგველის ძეგლთან. აქ სავალი ნაწილის სიგანე 35 მ-ზე მეტია, რაც შესაძლებელს ხდის, სამმა ტანკმა გვერდიგვერდ თავისუფლად გაიაროს.

ერთი ნიუანსიც: ამ ადგილას 6 წლის წინ, მაშინდელი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის ავტოკორტეჟს ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები დაუშინეს...











# აბაშიძეს თბილისი უსმენდა

## „აჭარის ლომს“ თავისიანები ათი წელი ატყუებდნენ

აჭარის „ვარდების რევოლუციაში“ რომ ბევრი იდუმალი ფურცელია დარჩენილი, მკითხველიც მიხვდებოდა.

„კვირის პალიტრისთვის“ ჯერ კიდევ აჭარაში დაძაბულობის დაწყებამდე, შუა მარტში, გახდა ცნობილი, რომ ოფიციალური თბილისი ცდილობდა, მოესმინა და გაეკონტროლებინა ასლან აბაშიძისა და მისი ერთგული შეიარაღებული დაჯგუფებების მეთაურთა როგორც სატელეფონო, ისე რადიოსაუბრები.

საამისოდ საქართველოს შსს-მ განახორციელა ერთი უნიკალური და მეტად საიდუმლო ოპერაცია — სპეციალური სკანერის მეშვეობით ჩაიწერეს ყველა ის რადიოსიხშირე, რომლებზეც „აჭარის ლომი“ და მისი ძალოვნები ერთმანეთს ოპერატიულად უკავშირდებოდნენ.

ყველასთვის გასაოცრად, აბაშიძის ძალოვანი სამინისტროების მიერ გამოყენებულ სამივე რადიოსიხშირეზე, ისევე როგორც თავად „აჭარის ლომის“ მცველი სწრაფი რეაგირების რაზმის ცალკეულ რადიოარხზე, აბსოლუტურად ღია საუბრები მიდიოდა.

ასე რომ, უკვე 14 მარტიდან თბილისში თითქმის ყველაფერი იცოდნენ, თუ რას აპირებდნენ აბაშიძის ერთგული ძალოვანი სტრუქტურები.

ყველაფერი ეს კი იმიტომაა გასაოცარი, რომ გასული საუკუნის 90-იან წლების შუა ხანებში ასლან აბაშიძის დავალებით, მისმა უშიშროების სამინისტრომ, უცხოურ ფირმას სპეციალური კონტრაქტი დაუდო და 1 მლნ დოლარზე მეტი გადაუხადა აჭარაში „მოტოროლას“ რადიოსისტემის შესაქმნელად.

აბაშიძეს უნდოდა მუდმივი რადიოკავშირი ჰქონოდა აჭარის უკიდურეს მთიან სოფელთანაც კი. თუმცა ამ რადიოსისტემის მოწყობის მთავარი მიზანი გახლდათ ის, რომ აჭარაში აბაშიძეს დახურული რადიოკავშირი ჰქონოდა და მისთვის არავის მოესმინა.

რეალურად კი, აჭარის მაშინდელმა უშიშროების სამინისტრომ მხოლოდ 4 ერთეული გამაძლიერებელი რეტლანსლატორი ჩართო, რომელიც, რა თქმა უნდა, მთელ აჭარას ვერ მოიცავდა, მაგრამ, რაც მთავარია, მათ მოატყუეს „მბრძანებელი“ (ათი წელი ატყუებდნენ) — ყველა რადიოსაუბარი დაუხურავ რადიოსიხშირეებზე ხორციელდებოდა, რადგან რადიოარხების დახურვის რთული და ძვირად ღირებული სისტემა მათ ან არ შეიძინეს, ან ფული შეჭამეს(!).

ასეა თუ ისე, ასლან აბაშიძეს ბოლო წუთამდე ალბათ სჯეროდა, რომ მისი ძალოვნები დახურული რადიოარხებით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს და პრეზიდენტ სააკაშვილისთვის უცნობი რჩებოდა, რას უმზადებდნენ „ვარდების რევოლუციის“ „გენერატორს“.

ქართველმა ძალოვნებმა ამ რადიოსიხშირეებით საკმაოდ დიდი ინფორმაცია მოიპოვეს, განსაკუთრებით კი 2 მაისიდან 5 მაისის ჩათვლით, როდესაც აჭარაში სიტუაცია კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა.

ერთ-ერთი რადიოდაჭერისას ეთერში თითქმის განწირული ხმა გაისმა, რომელიც მახინჯაურში მდგარ ერთ-ერთ სამხედრო პირს ეკუთვნოდა: — „ორი ათასამდე მანქანაა გავსებული ხალხით, ჩემი თვალით ვნახე... აქეთ მოდიან. მე მეტი აქ არაფერი მესაქმება, მივდივარ სახლში!“ ეტყობა, შიშს დიდი თვალები ჰქონდა, თუმცა ამ რადიომოსმენებით ნათელი ხდებოდა ის განწყობა, რაც სუფევდა აბაშიძის სამართალდამცავებში.

ხელისუფლებას შეეძლო რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებებით ჩაეხშო აბაშიძის მომხრეთა რადიოსიხშირეები, მაგრამ მაშინ ველარ გაიგებდნენ, რის გაკეთებას დააპირებდნენ ისინი.

# ძალით წართმეულს — ძალით იბრუნებენ

## სააკაშვილის ხელისუფლება მსოფლიოს აჩვენებს, რომ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას ჯერ მშვიდობიანი გზით ცდილობს, შემდეგ კი...

20 მაისს სოხუმში მოლაპარაკების მორიგი რაუნდი გაიმართა, იგი ადრინდელი შეხვედრებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ ამჯერად სოხუმში საქართველოს ახალი ხელისუფლების წარგზავნილები ჩავიდნენ.

არც ამ მოლაპარაკებას მოჰყოლია რაიმე სერიოზული ცვლილება.

სოხუმი დაჟინებით ამტკიცებს, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა და საქართველოსთან ურთიერთობა ექნება, როგორც თანასწორ, მეზობელ, მაგრამ უცხო ქვეყანასთან.

სწორედ ეს გარემოება ხდის უაზროს ყოველგვარ მშვიდობიან მოლაპარაკებას, რადგან აფხაზები, რომლებმაც ომში გასამარჯვებლად არანაირი ძალა და ეშმაკობა არ დაიშურეს, ბევრი სისხლი დაღვარეს (გაიხსენეთ, რამდენჯერ დაარღვიეს მათ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ომის პერიოდში!), ცხადია, უბრალო მოლაპარაკებებით არ დათმობენ თავიანთ მონაპოვარს.

ასეთი მდგომარეობა კი თავისთავად გვკარნახობს, რომ ძალით წართმეულს ძალითვე უნდა დაბრუნება.

თუმცა, პრეზიდენტი სააკაშვილი ცდილობს (და, ეტყობა, მართებულადაც), მთელ მსოფლიოს დაანახვოს, რომ კონფლიქტის უსისხლოდ მოსაგვარებლად მისი ხელისუფლება მზად არის, თავდაპირველად ყველა სახის მშვიდობიანი მოლაპარაკება აწარმოოს სეპარატისტებთან.

მაგრამ, როგორც გამოცდილება და სულ მცირე ანალიზიც კი გვიჩვენებს, ეს სამშვიდობო მოლაპარაკებები ვერაფრით დააკმაყოფილებს საქართველოს მთავარ მოთხოვნას — ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის დე ფაქტო აღდგენას.

ზოგიერთს ამაოდ ეიმედება, რომ ოქტომბერში, აფხაზეთის თვითმარქვია რესპუბლიკის სათავეში, არჩევნების შემდეგ, არძინბას კლანის ნაცვლად, მოვლენ უფრო „პროქართულად" განწყობილი აფხაზები, რომლებიც აფხაზეთს ისევ საქართველოში დააბრუნებენ და თანაც, მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით.

ღმერთმა ქნას, თუმცა საეჭვოა მოვლენების ამ გეგმით განვითარება, რადგან აფხაზეთში შეიძლება ბევრს სძულდეს არძინბას კლანი და მის ჩამოგდებაზე ოცნებობდეს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამ აფხაზებს ქართველებზე ამოდით მზე და მთვარე.

აფხაზი სეპარატისტები ცდილობენ, რაც შეიძლება სწრაფად მოაწერინონ ხელი ქართულ მხარეს სამხედრო მოქმედებების განუახლებლობის ვალდებულებაზე.

თბილისის მიერ ასეთი ვალდებულების აღება სრული უაზრობა იქნება, რადგან, სამწუხაროდ, სწორედ სამხედრო ძალა გახლავთ უკანასკნელი ფაქტორი, რომელიც გვაიმედებს, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საბოლოოდ არ დაგვიკარგავს.

ქართული არმიის მომძლავრება, ჩანს, ძალიან აშფოთებთ სეპარატისტებს, რადგან ხვდებიან, რომ საბრძოლო მოქმედებების განახლების შემთხვევაში, აღარ გამოუვათ ის ოინები და ეშმაკობები, რომლებიც მათ ელცინის რუსეთთან ერთად, 1992-93 წლებში მოახვიეს თავს საქართველოს.

ამიტომაც აჯობებდა, სამშვიდობო მოლაპარაკებებისა და მომგებიანი ეკონომიკური პროექტების განხორციელების პარალელურად, გაგრძელდეს ქართული არმიის გაძლიერება, რომელიც იქნება ძალის დემონსტრირება — მოლაპარაკების მაგიდასთან, იმ მხარესთან, რომელსაც, ენის გარდა, ძლიერი მუშტიც აქვს, სეპარატისტები უფრო დამთმობნი იქნებიან!

# ბაზების გაყვანის ნაცვლად — დროის გაყვანა?

## რუსეთის თავდაცვის მინისტრს ბათუმიდან და ახალქალაქიდან თავისი ბაზების გაყვანა ჯერ არც უფიქრია

ერევანში გამართულ დსთ-ის ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე რუსეთის მთავარი სამხედრო უწყების ხელმძღვანელმა სერგეი ივანოვმა კვლავ გაიმეორა თავისი ცნობილი




ფრაზა — „ჩვენი გერმანიიდან გამოსვლის ვარიანტი საქართველოში არ განმეორდება!"

მინისტრი ივანოვი დაჟინებით ამბობს, — რუსეთს სჭირდება დიდი დრო, არანაკლებ 10-11 წელი და დიდი თანხა საქართველოდან თავისი სამხედრო ბაზების გასაყვანად.

ჯერ თბილისში და შემდეგ ბათუმში მომხდარმა „ვარდების რევოლუციებმა" ერთი შეხედვით უკანა პლანზე გადასწია საქართველოში დარჩენილი რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხი. ამასთან, რუსეთის ხელისუფლებამ არ გამოიყენა შესაძლებლობა და არ გაამწვავა სიტუაცია აჭარაში, რითაც ოფიციალური თბილისი კრემლის მიმართ ერთგვარ მადლიერებას გამოხატავს და ჯერჯერობით მკვეთრად არ სვამს რუსული ბაზების სასწრაფოდ გაყვანის საკითხს.

მაგრამ კარგად გვახსოვს, თბილისში, კანცელარიაში, 5 მაისის ღამეს, რა შიშით ელოდნენ, ბათუმში გამწვავებულ სიტუაციაში რუსული სამხედრო ბაზიდან საბრძოლო ტექნიკა ქუჩებში არ გამოიყვანონო.

ამიტომაც სანამ რუსული სამხედრო ბაზები საქართველოში დგანან, ყოველთვის იქნება საშიშროება, რომ ისინი შეიძლება ჩაერიონ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესში, განსაკუთრებით მაშინ, თუკი საქართველოს გამთლიანებისთვის თბილისს სამხედრო ძალის გამოყენება დასჭირდება.

1999 წლის სტამბოლის სამიტზე ქართულმა მხარემ ერთი მხრივ გაიმარჯვა, როდესაც რუსეთს ხელი მოაწერინა ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის ზუსტ თარიღზე, მაგრამ წააგო, იგივე რომ არ გააკეთა ბათუმისა და ახალქალაქის ბაზებთან დაკავშირებით.

მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა. მოსკოვს, ბათუმისა და ახალქალაქის ბაზების გაყვანის ნაცვლად, უაზრო მოლაპარაკებების რაუნდებში მხოლოდ დრო გაჰყავს. უფრო მეტიც, იგი ზრდის თავის პირად შემადგენლობას ამ ბაზებში, ვითომდა ჯარების როტაციის მოტივით.

სტამბოლში, მორიგ სამიტზე, რომელიც ერთ თვეში გაიმართება, ქართულმა მხარემ საქართველოდან რუსეთის ორივე სამხედრო ბაზის გაყვანის ზუსტი თარიღის დადგენას უნდა მიაღწიოს. არა უშავს, თუ ეს არ იქნება სამ წელიწადში, როგორც თბილისი აქამდე მოითხოვდა, დაე, დასჭირდეს ამ პროცესს 5-6 წელი (თუმცა რეალურად მათი გაყვანისთვის ერთი წელიც სრულიად საკმარისია), მაგრამ, მთავარია, რუსმა სამხედროებმა სამუდამოდ დატოვონ საქართველო და გაქრეს მათ მიერ ჩვენი ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევის მცირე ალბათობაც კი.

# არსენალი

# პენტაგონი M16-ების „ჩამოწერას" აპირებს

## ულტრათანამედროვე XM8-ის პროტოტიპები უკვე ქართველი სპეცრაზმელების შეიარაღებაშია

პენტაგონი იძულებულია, გადადგას მკვეთრი ნაბიჯი და შეიარაღებიდან ამოიღოს ლეგენდარული „შავი შაშხანა" — M16, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნე ამერიკელი სამხედროების მთავარი საშტატო იარაღი იყო, როგორც ვიეტნამის, ასევე ერაყის ომებში.

ამერიკელი გენერლები კარგა ხანია დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამენ M16-ის მიმართ. M16, მიუხედავად დახვეწილი ფორმისა, „კალაშნიკოვისგან" განსხვავებით, კაპრიზული იარაღია — სასროლ მექანიზმში ჭუჭყისა და ქვიშის მოხვედრისას უფრო „მგრძნობიარეა". თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ „შავი შაშხანა" ავტომატური ჯერით ნებისმიერ „კალაშნიკოვზე" უკეთ ისვრის მიზანში.

უკვე დაგეგმილია, რომ 2005 წლიდან აშშ-ის შეიარაღებული ძალები M16-ებისა და მისი უკანასკნელი მოდიფიკაციის M4A1-ის (იგი 1990 წლიდანაა შეიარაღებაში) ნაცვლად მიიღებენ „მსუბუქ მოიერიშე შაშხანას" — XM8-ს.

ახალი ავტომატური შაშხანა XM8 შემუშავებულია ამერიკული კომპანია Integrated Defence-სა და ცნობილი გერმანული ფირმა Heckler und Koch-ის მიერ და თითოეული 700 დოლარამდე ეღირება.



მიუხედავად იმისა, რომ M16-ის სხვადასხვა მოდიფიკაციას თითქმის 50 წელია უშვებენ (სულ დამზადებულია 13 მლნ-მდე M16) და თითო ცალის ფასი 600 დოლარს არ აღემატება, პენტაგონს ნამდვილად ულირს უფრო ძვირი და ჯერ კიდევ აუთვისებელი ახალი XM8-ით ორ მილიონამდე ამერიკელი სამხედროს შეიარაღება.

თუნდაც იმიტომ, რომ XM8 სულ რაღაც ათიოდ წუთში ავტომატური შაშხანიდან „გარდაიქმნება" კომპაქტურ მოიერიშე ავტომატად, უფრო გრძელ სნაიპერულ შაშხანად ან ხელის ტყვიამფრქვევად.

ფაქტობრივად, XM8-ის შეიარაღებაში მიღების შემთხვევაში პენტაგონი უზარმაზარ მოგებას ნახავს, რადგან ერთი ავტომატური შაშხანა იოლად „გარდაიქმნება" სხვადასხვა დანიშნულებისა და ტიპის ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღად და საჭირო აღარ იქნება ყველა ტიპისა და დანიშნულების იარაღის ცალ-ცალკე წარმოება.

***ჩვენი ცნობით:** XM8 ავტომატური შაშხანის საბაზო მოდელი ვაზნების გარეშე 2,5 კგ-ს იწონის და გაშლილი კონდახით 84 სმ სიგრძისაა. მჭიდში 5,56X45 მმ კალიბრიანი 30 ცალი ვაზნა ჩადის. ავტომატური სროლის ტემპი წუთში 750 გასროლას აღწევს.*

XM8-ში გამოყენებულია კომპოზიციური მასალებისგან დამზადებული ბევრი დეტალი, რაც მთლიანად იარაღის მასას მნიშვნელოვნად ამცირებს.

იგი სამი სახის ლულით კომპლექტდება და მათი შეცვლა ძნელი არ არის. ავტომატურ შაშხანას 318 მმ სიგრძის ლულა უკეთდება, კომპაქტურ მოიერიშე ავტომატს — 229 მმ სიგრძის, ხოლო სნაიპერულ შაშხანასა და ხელის ტყვიამფრქვევს — 508 მმ სიგრძისა, თუმცა ტყვიამფრქვევის ლულა სნაიპერულისაზე სქელია.

იარაღის ასე თუ ისე მცოდნე მკითხველი ადვილად იპოვის ბევრ მსგავსებას XM8-სა და გერმანულ ავტომატურ შაშხანა G36-ს შორის, რადგან ორივეს შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის ცნობილ საიარაღო ფირმა „Heckler und koch"-ს.

ამერიკელი ჯარისკაცები XM8-ებს გაისად მიიღებენ შეიარაღებაში, ხოლო მის პროტოტიპს, G36-ს, სამი წელია, იყენებენ ქართველი სპეცრაზმელები. მათ G36-ებით თავის დროზე ჯერ კიდევ პანკისში „გაისეირნეს".

**ულტრათანამედროვე ავტომატური შაშხანა XM8 და მისგან „წარმოებული" სხვადასხვა ტიპის იარაღი**



*XM8 ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნით*



*კომპაქტური ავტომატი*



*სნაიპერული შაშხანა*



*ხელის ტყვიამფრქვევი*

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

## ჩვენს მკითხველს

**სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალის გამოცემის სურვილი „კვირის პალიტრის" კოლექტივს დიდი ხანია ჰქონდა, რისი საფუძველიც გახლდათ მკითხველთა მრავალრიცხოვანი წერილები.**

**საგულისხმოა, რომ სამხედრო თემით არა მარტო მამაკაცები, არამედ მანდილოსნებიც არიან დაინტერესებულნი; სასიამოვნოა ისიც, რომ წერილების ავტორთა უმეტესობა — ახალგაზრდობაა, რომლებსაც გულით სურთ ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცება და გამსჭვალულნი არიან მამულიშვილური გრძნობით.**

**როგორც მოგახსენეთ, სწორედ ამ წერილების გაცნობის შემდეგ გაჩნდა იდეა, „კვირის პალიტრის" ორგვერდიანი რუბრიკა, „სამხედრო თემაზე", გადაგვექცია თანამედროვე დონის ანალიტიკურ, ადვილად წასაკითხ და ამავე დროს გასართობ ჟურნალად, რომელშიც მკითხველი სამხედრო თემასთან ერთად გაეცნობოდა ბევრ ახალ საინტერესო ამბავს.**

**„არსენალის" მთავარი მიზანია, პოპულარული გახადოს სამშობლოს დამცველთა პროფესია, ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა მოქალაქეებს აუხსნას ომთან, იარაღთან, ექსტრემალურ სიტუაციებთან დაკავშირებული ნიუანსები, რომლებიც ადრე თუ გვიან შეიძლება გამოადგეთ.**

**იმედი გვაქვს, „არსენალს" გულთბილად მიიღებს მკითხველი.**

***ჟურნალ „არსენალის" მთავარი რედაქტორი ირაკლი ალადაშვილი***



# მას ომთან დაკავშირებული ყველა თარიღი სძულდა...

წინამდებარე პუბლიკაციაში ორი აბსოლუტურად განსხვავებული პროფესიის, განსხვავებული ასაკის ადამიანზე მოგითხრობთ. თუმცა საერთოც აქვთ: გვარი ასათიანი და საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება.

პირველი მეცნიერია, ქართული სამედიცინო ექსპერტიზის ერთ-ერთი მამამთავარი, მეორე პროფესიონალი მაძებარი (მის შესახებ ამას წინათაც ვწერდით). აქედანვე იღებს სათავეს მათი ურთიერთობაც. ეს გახლავთ შეულამაზებელი ისტორიები, რომლის მოწმეც პირადად გახლდათ სტატიის ავტორი.

ომი დამთავრდა. ცხრა მაისის ფეიერვერკებმაც გადაიგრიალა. იყო სიმღერა, იყო ცეკვა, მაგრამ ეს მაინც არ იყო ზეიმი, ეს არ იყო გამარჯვების სიხარული. ან კი ვინ გაიმარჯვა? ქვეყანა, რომელმაც ოცი მილიონი კაცი დატოვა ომის ველზე, გამარჯვებულად ვერ ჩაითვლებოდა. სასულე ორკესტრების მარშებს ვერ ეგუებოდა ბინებში გამოკეტილი შვილმკვდარი დედების ქვითინი. ასე იყო კარგარეთელის ქუჩაზეც. გრამიტონ და ვერა ასათიანები ომში დაკარგული ერთადერთი ვაჟის გამო ერთმანეთს ვერ უსწორებდნენ ცრემლებით სავსე თვალებს.

მაინც რა ბედი დაჰყვა ნოდარს. 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს დაიბადა. მამის პროფესია, ექიმობა ირჩია და ოცდასამი წლისამ, 1941 წლის 26 მაისს დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი. ერთი თვის შემდეგ კი ომში გაიწვიეს და აგერ უკვე მეორე ოცდაექვსი მაისი მოადგებათ კარზე, რაც შვილისა აღარაფერი იციან. ვერ გაურკვევიათ, დაბადების დღე გადაუხადონ თუ პანაშვიდი.

ტელეფონმა დარეკა. ბატონ პროფესორს ქალაქის მილიციიდან სთხოვდნენ: — დიდად დაგვავალებთ თუ შეგვეშველებით. გაუხსნელი მკვლელობა გვაქვს და უთქვენოდ გაგვიჭირდებაო. უარს როგორ იტყოდა. სხვის სატკივარს დასდევდა და თავისი ვერაფერი შეეტყო მეცნიერს. მაინც არ ღალატობდა საქმეს. კვლავაც უტყუარი სიზუსტით კარნახობდა გზასავალს მილიციისა და უშიშროების მაძებრებს. ეს იყო ოღონდ, ვერაფრით აცნობიერებდა, ომში ამხელა მსხვერპლის გამღები ხალხი კვლავაც რატომ ხოცავდა ერთმანეთს.

## შეუმცდარი ექსპერტი

იმ დილით პირველმა მეზობლის ვარდუამ აღმოაჩინა ნაგვის ბუნკერში ახალგაზრდა ქალის გვამი. ნახა და ისეთი განგაში ატეხა, რომ ორიოდ წუთში მთელი ლომოურის ქუჩა, დიდიან-პატარიანად სანაგვესთან შეგროვდა. სანახაობა მართლაც შემზარავი იყო. ცოტა ხანში მილიციაც მოვიდა და აუცილებელი ფორმალობის დაცვის შემდეგ გვამი პროზექტურაში გადაასვენეს.

— მაინც რისთვის უნდა მოეკლათ, გაქვთ რაიმე ვერსია? — იკითხა რაიონის პროკურორმა.

— სხეულზე არც ცემის, არც დასახიჩრების კვალი არ შეინიშნება. თუმცა ჯერ არ ვიცით, რას იტყვის ექსპერტი, — უპასუხა ახალგაზრდა ოპერმუშაკმა, ლევან გალუსტოვმა და პროკურორის ახალ განკარგულებას დაელოდა.

— რაკი ქალთან გვაქვს საქმე, უმჯობესია, პროფესორი ასათიანი მოვიწვიოთ. გამოცდილი გინეკოლოგია, ამასთან, პროფესიონალი ექსპერტი. მართალია, შვილის დაკარგვით დამწუხრებულია, მაგრამ ჩემი სახელით სთხოვეთ და უარს არ გვეტყვის... ომის დამთავრებიდან წელიწადი გავიდა და ჯერაც ვერ შეიტყო ერთადერთი ვაჟის ამბავი. ორმოცდაოთხი წლის ზაფხულიდან შეწყდა მისი წერილები და დღემდე არც მკვდარი ჩანს და არც ცოცხალი.

ნაშუადღევს ლევანმა ისევ მიაკითხა პროკურორს.

— პროფესორმა შემოგითვალათ, მკვლელი გინეკოლოგებში ეძებეთ, მე კი დასკვნას ამ დღეებში გაახლებთო.

— გასაგებია. მაშინ შეუდექი საქმეს. თუ გაგიჭირდეს, მითხარი და ხალხს დაგახმარ, დანარჩენი შენთვის მომინდვია.

ლევანს არავის დახმარება არ დასჭირვებია. იცოდა, გვამს აქ შორიდან არავინ მოიტანდა. უბანში კი სულ სამი გინეკოლოგი ცხოვრობდა. ამ სამიდან მაინცდამაინც ლუდმილა ნასკოვას მიადგა. მით უმეტეს, რომ იგი შინ იღებდა პაციენტებს. ამასთან, გარდაცვლილიც რუსი უნდა ყოფილიყო და ამიტომ მათი ურთიერთობაც უფრო სარწმუნოდ მიიჩნია. არც შემცდარა — ნასკოვამ მაშინვე აღიარა, რომ როზა ილინა შემოაკვდა და მან და მისმა ქმარმა სემიონ ნასკოვმა კვალის დაფარვის მიზნით გვამის მოშორება გადაწყვიტეს.

პროკურორმა პროფესორ ასათიანს დაურეკა.

— მადლობა უნდა გითხრათ, ბატონო გრამიტონ. თქვენი წყალობით ამჯერადაც უშეცდომოდ გაიხსნა საქმე. თქვენს შეწუხებას არ ვაპირებდი, მით უმეტეს, ახლა, როცა თქვენი გასაჭირიც გყოფნით. მაგრამ დარწმუნებული ვარ, თქვენი შვილი გამოჩნდება.

ეს ზრდილობის გულისთვის უთხრა, თორემ, ისევე როგორც სხვები, პროკურორიც დარწმუნებული იყო, რომ გრამიტონ ასათიანის ვაჟი ცოცხლებში აღარ ერია.

— რა გაქვთ სამადლობელი, ჩემო კეთილო. თქვენ თქვენს მოვალეობას ასრულებთ, მე ჩემსას. ძალიან გთხოვთ, ჩემი სატკივრის გამო არ დამზოგოთ. ეს უფრო მაღიზიანებს. არ მინდა ვინმეს ვებრალებოდე, ამიტომაც დღედაღამ ვმუშაობ და ეს მშველის კიდეც. სწორედ წუხელ დავამთავრე მორიგი ნაშრომი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზაში. მომავალსაც იმედით ვუყურებ და მინდა მჯეროდეს, რომ როცა ვაჟის დაბრუნებას მისურვებთ, სწორედ იმას ფიქრობთ, რასაც ამბობთ.

პროკურორს თითქოს ქურდობაზე წაასწრესო, ენა დაება და ერთიანად გაწითლდა. კიდევ კარგი, ყურმილის მეორე ბოლოდან თანამოსაუბრე მის სახეს ვერ ხედავდა. სიტყვებს ძლივს მოუყარა თავი. კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა პროფესორს და ყურმილი დაკიდა.

## პროფესორის ყველაზე დიდი აღმოჩენა

ოცდახუთი წელი გავიდა ომის დამთავრების შემდეგ. ქვეყანა ამ თარიღის აღსანიშნავად ემზადებოდა. თუმცა ისეთებიც მრავლად იყვნენ, ვისთვისაც ომი ჯერ კიდევ გრძელდებოდა. არც გრამიტონ ასათიანისთვის დამთავრებულიყო იგი. სასიხარულო არაფერი ჰქონდა მხცოვან მეცნიერს. ყველაზე ძვირფასი, რაც ამქვეყნად გააჩნდა, ომს შესწირა. ბიჭის დედას, გრამიტონის მეუღლეს, თვალზე ცრემლი არ შეშრობია ამ ხნის განმავლობაში. თვითონ გრამიტონი კი მაინც ელოდება. შინაგანი ხმა ჰკარნახობს, რომ მისი შვილი ცოცხალია და აუცილებლად იპოვის. მოლოდინს კი შრომა უიოლებს. დღე და ღამე მიკროსკოპსა და წიგნებს ჩაჰკირკიტებს. სამოციანი წლების დასაწყისში სამეცნიერო წრეებს უცხოური ლიტერატურის გამოწერის უფლებაც დართეს და გრამიტონიც ბეჯით მოსწავლესავით დაეწაფა ინგლისურ გამოცემებს.



უცებ დანას ეცა და გამომძიებელს სახეზე გადაუსვა

„აუ, სად წასულა მედიცინა და სად დავრჩენილვართ ჩვენ“, თავისთვის ხშირად იმეორებდა და ახალ-ახალი აღმოჩენების გაცნობით ხარობდა. იმ დღეს კი ერთ-ერთ ჟურნალში ამერიკელ მეცნიერთა გამოკვლევამ დააინტერესა და თვალებს არ დაუჯერა, როცა მკვლევართა შორის ასათიანის გვარიც ამოიკითხა.

— ნეტავ ვინ უნდა იყოს? ალბათ ჩვენებურია, ლეჩხუმიდან, თანაც ექიმი, როგორ შეიძლება მე არ ვიცნობდე. მაგრამ მოიცა... ღმერთო ჩემო, ეს ხომ ჩემი შვილია, ჩემი ნოდარი. ერიჰააა! გაუმარჯოს ფაშისტურ გერმანიაზე ჩვენი გამარჯვების ოცდამეხუთე წლისთავს. მაშ, ალლუმზე მეც მივდივარ, აი, ახლავე ჩავიცვამ და მივდივარ.

მეცნიერი წინკარში გავარდა, ხალათი ხელის კანკალით გაიხადა, საწვიმარი მოიხურა და სადარბაზოში გაიჭრა. თანამშრომლებმა ჯერ იფიქრეს, მოხუცმა აურიაო, მას ხომ ომთან დაკავშირებული ყველა თარიღი სძულდა, მაგრამ მერე დაასკვნეს, ეტყობა, ბატონმა გრამიტონმა ამ წუთში რაღაც დიდი აღმოჩენა გააკეთაო.

იმ დღიდან არ წყდებოდა მილოცვები. მეცნიერს ყველა ულოცავდა — ნაცნობი თუ უცნობი. მოგვიანებით კი, როგორც იქნა, ნება დართეს და მამა-შვილი ერთმანეთს დაალაპარაკეს. მაშინ ხომ უცხოეთში გასვლა, ისიც ომის დროს დასავლეთში დარჩენილის სანახავად, წარმოუდგენელი იყო, მაგრამ მისი სამეცნიერო დამსახურებისა და შეუბღალავი კომუნისტური მორალის გათვალისწინებით გრამიტონ ასათიანმა ამერიკაში წასვლის უფლება მიიღო, ოღონდ მხოლოდ გრამიტონმა. მისი მეუღლე, ნოდარის დედა, არ გაუშვეს.

ექვსი თვე დაყო მამა-შვილმა ერთად ამერიკაში, ერთ ჭერქვეშ. მამის კითხვაზე — რატომ არ შეგვეხმიანეო, — შვილი შეეცადა დაერწმუნებინა მშობელი, რომ ასეთ შემთხვევაში კომუნისტურ მთავრობასთან პრობლემები შეექმნებოდა. თუმცა გრამიტონი მიხვდა, მხოლოდ ეს არ იქნებოდა მიზეზი, მაგრამ ამაზე სიტყვაც აღარ დაუძრავს. მხოლოდ ის აკვირვებდა, მარტო რომ ცხოვრობდა ორმოცდახუთი წლის ვაჟკაცი, მაგრამ არც ამასთან დაკავშირებული კითხვებით შეუწუხებია შვილი. ის ახლა უბედნიერესი კაცი გახლდათ და ესეც საკმარისი იყო. დანარჩენს თანდათან შევიტყობო, ფიქრობდა, მაგრამ ექვსი თვე უცებ გაილია და წელმოწყვეტილი დაემშვიდობა შვილს. გრძნობდა, მეტად ველარ ნახავდა დედისერთას. ეს მგზავრობაც როგორღაც გაუხერხეს, მეორედ ვინღა მისცემდა ამ შესაძლებლობას. საბჭოეთი ჩაკეტილი გახლდათ მაშინ. ეგ კი იყო, ბიჭის ნაჩუქარი სანადირო თოფი, ჰალსტუხები და სხვა სუვენირები ამის შემდეგ მუდამ თავთან ეწყო და სადაც მიდიოდა, ყველგან დაატარებდა. მოგვიანებით კიდევ ერთხელ იმარჯვა კომუნისტური პარტიის ერთგულმა ჯარისკაცმა და პარტიის ლიდერებს დაუჩოქა. ისე ნუ მომკლავთ, შვილი რომ ვერ ვნახოო და ახლა მეუღლე გაუშვა ამერიკაში. ოღონდ ამჯერად სამი თვით. სამი თვის შემდეგ კი ასეთი შინაარსის ბარათი მიიღო მისგან:

„ჩემო გრამიტონ! შენი დამსახურებაა, რომ მეორედ ვიპოვე შვილი და ნუ გამამტყუნებ, რომ ვერ ველევი. ვიცი, ამის გამო დიდი უსიამოვნება შეგხვდება, მაგრამ გამიგე — მე დედა ვარ და შვილის გარეშე არ შემიძლია. ვიდრე პირში სული მიდგას, მას ვეღარავინ დამაშორებს“.

ამას ნამდვილად არ მოელოდა ბატონი გრამიტონი და ახლა თავს საყვედურობდა, რატომ ადრევე არ ვიფიქრე იმაზე, რომ ამდენი ხნის უნახავ შვილს დედა აღარ დატოვებდაო, მაგრამ ბედს შეურიგდა. მეუღლესაც აპატია. ცოლ-ქმრის დაშორება კი გამიგია, მაგრამ დედისა და შვილის არაო და მის სიცოცხლეში პირველად უმტკივნეულოდ გადაიტანა ის ერთადერთი პარტიული საყვედური, მეუღლის უპასუხისმგებლობის გამო რომ გამოუცხადეს...

## კრიმინალი თუ...

გრამიტონის მოგვარე, მილიციის ახალგაზრდა ლეიტენანტი ვაჟა ასათიანი იმ წლებში პირველი მაისის (ახლანდელი დიდუბის) რაიონის მილიციის უბნის ინსპექტორად მუშაობდა და რაკი მის სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრები ვინმე ვალენტინ დიმიტრიევი ჩადენილი დანაშაულისათვის იძებნებოდა, ოპერატიული სამსახურის თანამშრომლებთან ერთად მას ევალებოდა ძებნილის ადგილსამყოფლის დადგენა და დაკავება. შვიდჯერ ნასამართლევი დიმიტრიევი (დამნაშავეთა გვარ-სახელები შეცვლილია) მერვედ იმისთვის დაიჭირეს, რომ დედა დანით დაჭრა, თუმცა არავინ ჩაჰკირკიტებია, რატომო. ყველაფერმა მოგვიანებით იჩინა თავი...

...საქმის გამომძიებელმა პატიმარს დანაშაულის იარაღი, დანა აჩვენა და სთხოვა დაედასტურებინა, რომ სწორედ ამ დანით დაჭრა მშობელი. დიმიტრიევმაც დაუდასტურა — ასე იყოო. გამომძიებელმა დანა მაგიდაზე დადო და ჩვენების წერას შეუდგა. უეცრად დიმიტრიევი დანას ეცა, გამომძიებელს სახეზე გადაუსვა და ვიდრე ეს უკანასკნელი გონს მოვიდოდა, გარეთ გავარდა. დამნაშავემ იმავე დღეს მოსტაცა პირველ მეუღლეს თავისი ათი წლის გოგონა და მეორე ცოლთან ერთად გაუჩინარდა. მიდი ახლა და ეძებე. დიმიტრიევი რუსეთიდან ომის დროს ჩამოსახლებული ლტოლვილი იყო და დედამისი და დები მირცხულავას (ადრინდელი ძველეთის) ქუჩაზე ცხოვრობდნენ, მაგრამ ვალენტინი იმ დღის შემდეგ იქ აღარავის უნახავს...

უბნის ინსპექტორი და ოპერმუშაკები ამაოდ ირჯებოდნენ, დამნაშავის კვალს ვერსად მიაგნეს.

ოთხი წლის შემდეგ, 1968 წლის 14 იანვარს, ადგილობრივი მილიციის ხელმძღვანელობასა და დიმიტრიევის საქმის მომკვლევ ჯგუფს რაიკომის პირველი მდივანი, ქალბატონი ვარვარა გრიგალაშვილი იბარებს.

**ვაჟა ასათიანი** — მდივნის მარჯვნივ ასე 13-14 წლის გოგო ზის, მარცხნივ კი ორი მანდილოსანი, რომელთაც ვიცნობ. ისინი ძებნილი დიმიტრიევის დები არიან. მდივანი აშკარად გაღიზიანებული ჩანს. ჩვენთან ლაპარაკი არ ისურვა და თქვენ მოუსმინეთო, — გვითხრა. დაიწყო გოგონამ, მაგრამ ისეთ რამეებს ჰყვება, მე, ჩემი კოლეგები და უფროსები სირცხვილით ვიწვით. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ბავშვი ამბობს, რომ მამამისმა ის და მისი დედინაცვალი ჯერ უკრაინაში წაიყვანა. რამდენიმე თვის წინ კი საქართველოში დაბრუნდნენ და ლილოში რომელიღაც ბარაკში შესახლდნენ. ვალენტინიც იქვე, ერთ-ერთ ქარხანაში მუშაობდა სხვისი სახელით. ერთხანს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ბოლო დროს მამა მავიწროებდა და მეც იძულებული გავხდი, ბებიასა და მამიდებთან გამოვქცეულიყავი, მისამართი ჯერ კიდევ მახსოვდაო. რომელიღაც ჩვენგანმა ეჭვი შეიტანა ბავშვის მონათხრობში, მაგრამ დიმიტრიევის უფროსმა დამ დაამოწმა, ბავშვი არ შეიძლება ტყუოდეს (ეს ვარაუდი პროფესორ ასათიანის მიერ ჩატარებულმა ექსპერტიზამაც დაადასტურა). ასეთი რამ ჩემი ძმისგან მოსალოდნელია. დედაც იმიტომ დაჭრა, რომ დის გაუპატიურებას ცდილობდა და შეეშინდა, დედა ქვეყანას შემიყრისო. მაშინ ამის გაცხადება ვერ გავბედეთ. არც არავინ გვკითხა, რა იყო მიზეზიო...

ჩემს მტერს, რაიკომის მდივანმა ჩვენ დღე გვაყარა. მეორე დღეს ბარაკში მივაკითხეთ დიმიტრიევს, მაგრამ გუშინ წავიდნენო, — გვითხრეს. აღარც სამსახურში გამოცხადებულა. ისევ დები დაგვეხმარნენ და ვალენტინის მეორე ცოლი დამანახვეს. ქალს პატარა გოგონა ეჭირა ხელში და მეტროში ჩადიოდა. მეც მივყევი. მაშინ ბოლო გაჩერება „სამასი არაგველი“ იყო. იქ ამოვიდა ქალი, მე შორიახლო მივყვები. სადღაც, მოსახვევში, ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცი ელოდებოდა. ფოტოს ვაკვირდები, ისაა. ჩვენს ბიჭებს ვნატრობ. ახლა აქ რომ იყვნენ გოგი ხულელიძე, ავთო სანაძე ან სხვა რომელიმე, ამას უცებ შევკრავდით, მაგრამ მარტოს ალბათ გამიჭირდება. ამ დროს სამხედრო პატრული შემომხვდა. ვთხოვე, ძებნილს მივყვები, დამეხმარეთ, რომ დავაკავო-მეთქი და მილიციას მიაკითხეო, მირჩიეს. ხელი ჩავიქნიე, დავწინაურდი და დიმიტრიევს წინ გადავუდექი. მილიციიდან ვარ და დამნებდი-მეთქი. იარაღიც შევათამაშე. მან კი ერთბაშად ბავშვს დაავლო ხელი, გულზე აიკრა და ქუჩის იქით, გაზონებისაკენ გაიქცა. გარეწარმა იცის, რომ ბავშვიანს ვერ ვესვრი, მაგრამ სირბილში ვერ მაჯობა და როცა მიხვდა, ეგაა დამეწიაო, ბავშვი დააგდო, დანა იშიშვლა და მომიბრუნდა. მარცხენათი დანიანი ხელი დავუჭირე, იმან კი პისტოლეტიანი ხელი ისე გადამიბრუნა, რომ ცოტაც და ჩემივე პისტოლეტი შუბლს გამიხვრეტდა, მაგრამ მოვასწარი და ლულა ჩავკეტე. ვატყობ, მერევა, ძირსაც დამცა და ზემოდან მომექცა, მაგრამ ღონე მოვიკრიბე, გადავატრიალე და პისტოლეტი შუბლზე მივაბჯინე. იმავე წამს მოტოციკლეტიანი ავტოინსპექტორი კბილცეცხლაშვილიც წამომეშველა და მილიციამდე მიმათრევინა. მადლობა გამომიცხადეს, ერთი თვის ხელფასითაც დამაჯილდოეს. დიმიტრიევს კი თერთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და რომ მეგონა, საქმეს მოვრჩი-მეთქი, წამოვიდა და წამოვიდა დიმიტრიევის ცოლისგან საჩივრები — თქვენმა მუშაკმა ბავშვი შემიშინა, როცა მამამისს აკავებდა და ახლა პატარა ისე შფოთავს, ისე ცუდად გრძნობს თავს, რომ აღარ ვიცი, რით ვუშველო და გინდათ თუ არა, პასუხი აგებინეთო. დამარბენინებდნენ და ახსნა-განმარტებებს მაწერინებდნენ, თანაც მეუბნებოდნენ, — შენ მართალი ხარ, მაგრამ, რა ვქნათო. ისევ ბატონმა გრამიტონმა მიშველა. კონსილიუმი მოიწვია და ბავშვს დიაგნოზი დაუსვეს (როგორ დამავიწყდება) — ესტროგენების ნაკლებობა. უმკურნალეს და შფოთვაც მოეხსნა, მაგრამ ქალი მაინც აგრძელებდა ჩივილს.

## დანაშაულის კვალდაკვალ

გავიდა ხანი და დიდუბის მილიციის სისხლის სამართლის სამძებროს უფროსად დამნიშნეს.

იმხანად ბათუმის ქუჩაზე ერთი მარტოხელა ქალის ბინა გაიქურდა. დაზარალებულმა დაიჟინა, გინდა თუ არა, ამას ჩემი ბიძაშვილი იზამდა, რომელიც ერთხანს ჩემთან ცხოვრობდაო. ბიძაშვილი არაფერ შუაში იყო, მაგრამ დაზარალებული მაინც მისკენ იშვერდა ხელს. ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ის ქალბატონი გვარად კაპანაძე გახლდათ და გაზეთ „თბილისში“ მუშაობდა კორექტორად. ამის გამო რედაქციიდანაც გვაწუხებდნენ, მაგრამ ვერაფერი მოვახერხეთ. საქმე არ იხსნებოდა.

მაშინ ქურდების ერთ ჯგუფზეც ვმუშაობდით. ერთ დღეს გვაცნობეს, რომ მათგან ერთ-ერთმა ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე ნახევრად სარდაფის ტიპის ბინიდან რაღაც შეკვრა გამოიტანა და ახლა ლენინის (ახლანდელი თავისუფლების) მოედნისკენ მიემართებაო. იმწამსვე გავცვივდით მე და ჩემი თანამშრომლები — გოდერძი გენგაშვილი და თემურ მღებრიშვილი (დიახ, ეს ის ცნობილი მღებრიშვილია. — ვ. გ.) და ზედ მოედანზე მდებარე შემსყიდველი პუნქტის რიგში ვტაცეთ ხელი. ნაქურდალი ვერცხლის დანა-ჩანგალი აღმოჩნდა. მერე იმ ნახევრად სარდაფს ჩავუსაფრდით და კიდევ სამი კაცი დავაკავეთ. ეს სწორედ ის ჯგუფი იყო, ვისაც ვეძებდით. ორის გვარს ველარ ვიხსენებ, დანარჩენი ორიდან კი ერთი გაბისონია იყო, მეორე შუბლაძე.

ბინის პატრონი კი ახალგაზრდა ქალი იყო, გვარად ლებანიძე. იგიც გაზეთ „თბილისის“ რედაქციის კორექტორი ყოფილა. იმწამსვე გამკრა ეჭვმა — ამ გოგოს კაპანაძის ბინის გაქურდვასთან რაღაც კავშირი უნდა ჰქონდეს-მეთქი და მართალიც აღმოვჩნდი. ქურდები ლებანიძესთან ინახავდნენ ნაქურდალს. მასვე გადაუცია ქურდებისთვის კაპანაძის ჩანთიდან ამოცლილი ბინის გასაღები. მერე კი გასაღები ისევ ჩანთაში ჩაუდო კაპანაძეს და როცა მან თავის ბიძაშვილს დასდო ბრალი, წააქეზა — უეჭველად ეგ იქნებოდაო. უამრავი ნივთი ამოვიღეთ ლებანიძის ბინიდან, ლომბარდებიდან და საკომისიოებიდან. ოცდასამი ბინის ქურდობა გაიხსნა და ქურდებსაც დამსახურებულად მიეზღოთ. მათ ხელის შემწყობ ლებანიძეს ექვსი წელი მიესაჯა. მოგვიანებით მიამბეს, ციხეში გარდაცვლილა და ძმას ისე ჩამოუსვენებია თბილისში, რომ თურმე რაიონში მყოფ გულით ავადმყოფ მამას არაფერი შეატყობინა.

## საბოლოო განშორება

შვილის პოვნის სიხარული რამდენიმე თვის შემდეგ დედას ტკივილად შეეცვალა. ნოდარი ხშირად ავადმყოფობდა და ბოლოს გამოტყდა კიდეც — იმიტომ არ შეგეხმიანეთ, რომ ჩემს მეორედ სიკვდილს ვეღარ გაუძლებდით. ტუბერკულოზის მძიმე ფორმა მჭირს და ოჯახიც ამიტომ არ შევქმენი. არ მინდოდა უმამოდ გაზრდილიყვნენ ჩემი შვილები. აქაურმა მედიცინამ ამდენ ხანს გამიხანგრძლივა სიცოცხლე, მაგრამ სრულიად განკურნება შეუძლებელია და ძალიან გთხოვ, შეეგუო, რომ ერთ-ორ წელიწადში მოვკვდებიო.

P. S. ნოდარი 1970 წელს გარდაიცვალა. დედამისმა ვერ გაუძლო შვილის დაკარგვას და მანაც მალე დატოვა წუთისოფელი.

ბატონი გრამიტონი მშობლიურ ტვიშში გადასახლდა. ერთ დღეს ცაგერის მილიციის მაშინდელი უფროსის მოადგილეს, ვაჟა ასათიანს აცნობეს — პროფესორი გაუქურდავთ და შვილისგან ნაჩუქარი თოფი და სუვენირები წაუღიათო... სამი დღის შემდეგ მიაგნო ვაჟამ ქურდებსა და ნაქურდალს. პროფესორმა გულში ჩაიკრა შვილის ნაქონი ნივთები და მერე ბავშვებივით დაკოცნა მახარობლები. მეზობლის ქალს სუფრა გააშლევინა და ცოლ-შვილის გარდაცვალების მესამე წლისთავზე გიტარა მოითხოვა. მაგრამ ეს სიმღერა კი არა, გლოვა იყო სიმღერაში გაცოცხლებული.

*ვაჟა გაგაშელი*

# „მექრთამეების დაპატიმრების მეორე ეტაპიც დაიწყება“

## ხომ არ გამოიკვეთება ქრთამის აღების წაქეზება



გასულ კვირას თბილისში კიდევ ერთი სკანდალური ფაქტის მოწმენი შევიქენით. სკანდალი იმაში მდგომარეობს, რომ ამჯერად საქმე არ ეხება გადასახადების დამალვისთვის დაკავებულ რომელიმე მაღალჩინოსანს. სამართალდამცველებმა დიდი ოდენობით ქრთამის გამოძალვისთვის ნაციონალური მოძრაობის აქტივისტი, პარლამენტარი **გიორგი კენჭაძე** დააპატიმრეს.

კენჭაძის დაკავებისთანავე გაჩნდა ვერსია, რომ ადრინდელი ხმაურიანი დაპატიმრებების ფონზე სახელისუფლებო უმრავლესობა ცდილობს ყველას დაანახვოს, რომ იგი საკუთარ შემადგენლობაშიც არ დაუშვებს ასეთი ჩინოვნიკების ყოფნას. კულუარებში მიიჩნევენ, რომ უმწიკვლო რეპუტაციის შექმნის მცდელობას გიორგი კენჭაძის პერსონა შეეწირა, რომელსაც განტევების ვაცის როლის შესრულება ერგო. კულუარებში მიიჩნევენ, რომ კენჭაძის დაპატიმრებამ ბევრი კითხვა წარმოშვა, რომლებზეც პასუხები ჯერჯერობით არ არსებობს. კერძოდ, გენპროკურატურაში აღიარებენ, რომ კენჭაძეს უთვალთვალებდნენ და მისი სატელეფონო საუბრები ისმინებოდა. გამოდის, რომ პარლამენტარი გაშიფრული იყო. არადა, 100 ათასი დოლარის აღების დროს იგი საკმაოდ თავდაჯერებული ჩანდა. ასე უშიშრად ფულს მხოლოდ დიდი „კრიშის“ იმედით იღებენ. თავის მხრივ, სამართალდამცველებს იმის საშუალება ჰქონდათ, რომ ფულის აღების შემდეგ ბოლომდე მიჰყოლოდნენ კენჭაძეს და მთავარი ადრესატის ვინაობა შეეტყოთ, მაგრამ ასე არ მოხდა. მანქანიდან გადმოსული, ფულით ხელდამშვენებული კენჭაძე ნაბიჯის გადადგმისთანავე დააკავეს. ასე გაწყდა ის ძაფი, რომელსაც შეეძლო პროკურატურა უფრო „ზემოთ“ მიეყვანა. გამოძიებას კი ერთადერთი ბრალდებული შერჩა ხელთ. სიტუაციის გამოსასწორებლად, გენპროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელიც კენჭაძის აყვანის ოპერაციას კანცელარიიდან ადევნებდა თვალყურს, განაცხადა, რომ გამორიცხული არ იყო, კენჭაძეს ეს ტერიტორია დაეტოვებინა და ამიტომ იძულებული იყვნენ, ადგილზევე დაეპატიმრებინათ. თუმცა, ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, კენჭაძე კანცელარიის დატოვებას არ აპირებდა. მეტიც, იგი ცდილობდა ფულის გადმომცემები თავიდან პარლამენტის შენობაში, საკუთარ კაბინეტში მიეღო. „კენჭაძემ იმ საღამოს მითხრა, ჩემთან ორი კაცია მოსულიო. მათ თან პასპორტები არ ჰქონიათ, — გვითხრა პარლამენტარმა ელენე თევდორაძემ, — კენჭაძე მათი პასპორტების გარეშე შემოყვანას ცდილობდა. ვუთხარი, რომ ასეთი რამ არ შეიძლებოდა. მერე სტუმრებს პასპორტები მიუტანიათ და ამის შემდეგ შეიყვანა ისინი პარლამენტში... მეორე დღეს გავიგე, რომ იგი ფულის აღებისთვის დააპატიმრეს“.

ამასობაში, საქმეში კიდევ ერთი ახალი ფიგურა ჩნდება. უშიშროების საბჭოს წევრი, პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული აჭარაში, დავით ახალაია. იგი აცხადებს, რომ ყველაფერი იცოდა და თავად იყო ამ გამოძიებით დაკავებული. ერთი სიტყვით, ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ჭორების საფუძველი ხდება. რა მოხდა სინამდვილეში და ვინ იყო კენჭაძის ზურგი? — ამ კითხვაზე პასუხი, ჯერჯერობით, არ არსებობს.

ვინ არის გიორგი კენჭაძე და რატომ სთავაზობდნენ მას 100 ათასი დოლარის აღებას? კენჭაძე ნაციონალურ მოძრაობაში 2002 წლიდან ფიქსირდება. ნოემბრის არჩევნების დროს იგი მთაწმინდა-კრწანისის რაიონის საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა. მაშინ იქ კახეთის დღევანდელი გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილი იყრიდა კენჭს. იმ პერიოდიდან იწყება კენჭაძისა და ცისკარიშვილის მეგობრობაც. კენჭაძე ბოლო დროს გვერდიდან არ შორდებოდა პრეზიდენტ სააკაშვილს, განსაკუთრებით „აჭარული დღეების“ დროს. აქტიური პოლიტიკური ცხოვრებისთვის პარტიამ კენჭაძეს პარლამენტში მოხვედრის საშუალება მისცა, სადაც ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტში თანამშრომლობდა.

**ელენე თევდორაძე**: — გიორგი კენჭაძე 22 აპრილს, პარლამენტის პირველი სხდომის დღეს გავიცანი. მან მითხრა, რომ ჩვენს კომიტეტში მუშაობა სურდა. თურმე დიდი ხანია მიცნობდა...

— **საიდან გიცნობდათ?**

— როგორც მითხრა, ციხეში შემხვედრია, სადაც სასჯელს იხდიდა.

— **რა დანაშაულისთვის იყო ნასამართლევი?**

— ქუთაისში ბიზნესის წამოწყება სცადა და მისი და თემურ შაშიაშვილის გზები გადაიკვეთა. რაღაც ბრალდების გამო ორი წელი მიუსაჯეს. სასჯელის მხოლოდ ორი მესამედი მოიხადა და გათავისუფლდა... დაპატიმრების მეორე დღესვე ვესაუბრე კენჭაძეს, მან ყველაფერი აღიარა.

— **ბოლო დროს ხშირად ახსენებენ ოცდაათკაციან სიას. მასში შეტანილები, სავარაუდოდ, კენჭაძის ბედს გაიზიარებენ.**

— თუ ასეთი რამ არსებობს, აქ მხოლოდ პარლამენტი არ უნდა იგულისხმებოდეს. ლაპარაკი იქნება ხელისუფლების ორივე ფრთაზე — პარლამენტზეც და აღმასრულებელ ხელისუფლებაზეც...

ის ავადსახსენებელი 100 ათასი დოლარი კი გიორგი კენჭაძემ ბათუმელი ბიზნესმენების — სიძე-სიმამრის, ამირან მამუჭაძისა და გიორგი ქოქოსაძისგან აიღო. აღიარებით ჩვენებაში კენჭაძე მიუთითებს, რომ ასლან აბაშიძის გაქცევის შემდეგ ამ ბიზნესმენებს სახელისუფლებო წრეებთან დაკავშირება შესთავაზა. მამუჭაძე და ქოქოსაძე ბათუმში სასტუმრო და ბენზინის ბიზნესს აკონტროლებენ. ისინი სიხარულით დათანხმდნენ კენჭაძის წინადადებას. ვარაუდობენ, რომ თავდაპირველად ფულის დანომვრა არც იყო გათვალისწინებული. უბრალოდ, ბათუმელ ბიზნესმენებს უადგილო ადგილას წამოსცდათ ამ გარიგების შესახებ. კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი — ვიდეოჩანაწერში ჩანს, რომ კენჭაძე მაინც არ ენდობოდა ფულის გადამცემთ: „ჩვენ „კუკლა“ არ გვაქვს. აგერ დევს ათი ცალი“, — ეუბნება მას ერთ-ერთი. „კუკლა“ ჟარგონზე ვინმესთვის ყალბი ნივთის შეპარებას ნიშნავს. რადგან თანხის გადაცემისას ეს სიტყვა ითქვა, ჩანს, კენჭაძეს სულის სიღრმეში მაინც ჰქონდა ეჭვი, რომ მისთვის შეიძლებოდა ფული არ მიეცათ. შეიძლება იმასაც ფიქრობდა, რომ ყველაფერი ეს მის „გასაფუჭებლად“ წამოწყებული თამაში იყო. ეტყობა, კენჭაძემ ამ ეჭვს დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭა. „ვანო საქმის კურსშია და ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გინდათ“, — ეუბნება იგი ფულის გადამცემებს. იგი ვანოში, სავარაუდოდ, მერაბიშვილს გულისხმობდა, თუმცა ის გვარებს არ ასახელებს. ერთიც, თუკი დავით ახალაია აცხადებს, რომ ყველაფერი წინასწარ იცოდა, მაშინ ჩნდება ერთი ჯერჯერობით პასუხგაუცემელი კითხვა, ხომ არ გამოიკვეთება ამ საქმეში ქრთამის აღების წაქეზების კვალიფიკაცია, რაც ასევე სისხლის სამართლის დანაშაულია, თუმცა, კულუარული ინფორმაციით, კენჭაძე თავს შეიკავებს ყველანაირი გვარების დასახელებისაგან...

**P.S.** უცხოეთიდან შაბათს დაბრუნებული უშიშროების საბჭოს მდივანი, ვანო მერაბიშვილი აცხადებს, რომ „ეს დასაწყისია და მექრთამეების და კორუმპირებულების დაპატიმრების მეორე ეტაპიც დაიწყება. ხელისუფლება ისეთივე შეურიგებელი იქნება მეგობრებისადმი, როგორიც შევარდნაძის რეჟიმის კორუმპირებული ჩინოვნიკებისადმი, რაც აუცილებლად გამოიღებს დადებით შედეგს“.

*დავით დევიძე*

# „თვითმარქვია გამგებელი“ თუ „ისტორიული მნიშვნელობის ღვინის ქარხნის მიმტაცებელი“...

*(დასაწყისი იხ. გვ. 5)*

თელავის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი **გოჩა მამაცაშვილი** 15 წლის წინ დასახლდა თელავში და ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის კახეთის ოფისს ჩაუდგა სათავეში. ნაციონალურ მოძრაობაში თავის მხარდამჭერებთან ერთად ვარდების რევოლუციის დროს გაერთიანდა. პეტრე ცისკარიშვილის კახეთში ჩასვლის შემდეგ იგი გამგებლის მოვალეობის შესრულებას შეუდგა. მასაც გავესაუბროთ და გავიგოთ რითი სულდგმულობს:

— ჩემს კრიმინალურ წარსულზე საუბარი სრული აბსურდია. ადამიანს უნდა დააბრალო ის, რაც არ არის, რომ მდგომარეობიდან გამოიყვანო, — გვითხრა გოჩა მამაცაშვილმა.

— **„თვითმარქვია გამგებლის“ ტიტულზე რას გვეტყვით?**

— თვითმარქვიად ჩემი მონათვლა კანონის უცოდინარობის გამო ხდება, მე არ ვარ გამგებელი. მე ვიყავი გამგებლის მოადგილე და მას შემდეგ, რაც ყოფილმა გამგებელმა, გელა კირვალიძემ თავის გუნდთან ერთად თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება დაწერა, ავტომატურად გავხდი გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი. ეს ყველაფერი ორგანულ კანონთანაა შესაბამისობაში მოყვანილი. მე მხოლოდ ერთი რამ მაწუხებს: რისი გარკვევაც შეიძლება ცივილიზებული ფორმით, ქუჩის კონფლიქტში არ უნდა გადაიზარდოს, არ უნდა მოხდეს სამსახურების პარალიზება. მე კიდევ ერთხელ მოვუწოდებ მაჟორიტარ დეპუტატს, რომ მისი ამგვარი ნაბიჯები მისთვისაც და რაიონის ცხოვრებისთვისაც წამგებიანი იქნება.

— **როგორც აცხადებთ, ხიდეშელი მომხრეებს თანამდებობებს შეჰპირდა. რა თანამდებობებზეა ლაპარაკი?**

— თითქმის ყველა საკვანძო თანამდებობას ითხოვენ. როგორც ვიცი, მათ თავისი ჩრდილოვანი კაბინეტი უკვე ჩამოყალიბებულიც აქვთ. ჩემი რჩევაა ურთიერთობა მასთან გაარკვიონ, ვინც თანამდებობას შეჰპირდა. ამისთვის გადაღლილი და დატანჯული ხალხი სოფლებიდან თელავში არ უნდა არბენინონ. როცა მე ჩემი გუნდით მედიკო მეზვრიშვილს ვედექი ოპოზიციაში, ეს კაცი ბევრჯერ იყო ჩემს კაბინეტთან ატუზული. თამაზ ხიდეშელი მას შემდეგ შეიცვალა, რაც პარლამენტში შევიდა. ეტყობა, იქიდან ცოტა სხვაგვარად ჩანს (ან მას ჰგონია) სამყარო...

*ნანა ქბიშაური*

CAC სი ეი სი

7 ივნისიდან 17 ივლისამდე



SUMMER INTENSIVE COURSE

სახელმწიფოს ლიცენზირებული საქართველო-ისრაელის
სტომატოლოგიის ინსტიტუტი და მრავალპროფილიანი სამედიცინო კოლეჯი
მინიმალური გადასახადი
სახელმწიფო დიპლომი
დასაქმება
☎ 61-54-23
61-69-77
71-55-11
www.medical.edu.ge



ტელ: 212-312, 364-464

# ბრძოლით მოპოვებულ დამოუკიდებლობას არასოდეს დავკარგავთ...

## გამსახურდიას ხელისუფლების პრობლემა აბსოლუტური დამოუკიდებლობა იყო



მერაბ კოსტავა, ზურაბ ჟვანია, გია ბარამიძე

*დასაწყისი. იხ. გვ. 7*

რუსეთი ავტონომიებზე დიდ ზემოქმედებას ახდენდა. ზვიადის წინააღმდეგ აშკარად რომ ემოქმედა, გორბაჩოვი დემოკრატის იმიჯს შელახავდა. ჩვენ კომუნისტური სისტემის ფარგლებში არჩეული ხელისუფლება ვიყავით. ვერაფერს უხერხებდნენ ჩვენს კანონიერებას — ვერც იურიდიულად, ვერც პოლიტიკურად და ვერც მორალურად. ამიტომაც აგვიჯანყეს ავტონომიები, მერე კი დემოკრატიის ლოზუნგით აგვიმხედრეს ოპოზიცია. ამავე საფარველქვეშ მოხდა შეიარაღებული დაპირისპირებაც.

დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის კი ვემზადებოდით, მაგრამ ხომ გაგიგიათ, ვინც სამზარეულოში ტრიალებს, კერძის გემოს ნაკლებად იგებსო. ჩემი პარტიის წევრებს გაცილებით ადრე ვუთხარი, ჩვენ ისეთ დროს გამოვაცხადებთ დამოუკიდებლობას, სიხარულს ვეღარ ვიგრძნობთ-მეთქი და ასეც მოხდა. 9 აპრილის წინაღამეს არ მიძინია, სახლშიც ვეღარ გავჩერდი. პარლამენტის წინ გავედი, უამრავ ხალხს მოეყარა თავი, ირაკლი წერეთელიც იქ იყო. ვუსაყვედურე, დამოუკიდებლობისთვის ციხეში ნაჯდომი კაცი აქტზე ხელს როგორ არ აწერ-მეთქი. მერე სვეტიცხოველში წავედით, სანთლები დავანთეთ და ვილოცეთ, თბილისში გამთენიისას დავბრუნდით... როდესაც ყველანი სხდომათა დარბაზში ავიდნენ დამოუკიდებლობის აქტზე ხელის მოსაწერად, ცოტა ხნით მარტო მომინდა დარჩენა, ვფიქრობდი და დამაგვიანდა... დარბაზში რომ ავედი, ზვიადმა მისაყვედურა, სად ხარ, შენს ადგილს მე ვიცავო (მეორე შენი ხელმოწერა რომ იყოსო)... საოცრად ამაღლებული და დიდი დღე იყო.

ვფიქრობ, ისეთი დამოუკიდებელი ხელისუფლება, როგორიც ზვიადის დროს იყო, საქართველოს მე-14 საუკუნის შემდეგ არ ჰყოლია. ეს შესაძლოა ცუდიც იყო, რადგან აბსოლუტური დამოუკიდებლობა სახიფათოა. დედამიწის ზურგზე უფროსი არავინ გვყავდა და სამწუხაროდ, რეალობასაც არ ვუწევდით ანგარიშს. გამსახურდიას ხელისუფლების პრობლემა აბსოლუტური დამოუკიდებლობა იყო.

ისეთ ალყაში ვიყავით, საკვირველია, ამხელა რამის გაკეთება რომ შევძელით. დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ბევრი კეთილშობილი ადამიანი მონაწილეობდა, მაგრამ გალავანი გამსახურდიამ გაარღვია და სამწუხაროდ, მოხდა ის, რაც ყოველთვის ხდება — წინამძღოლი დაიღუპა. ციხესიმაგრის აღებისას დაღუპვის ალბათობა იმისა, ვინც პირველი ადის გალავანზე, ძალზე დიდია. ზვიადმა შეგნებულად გადადგა ეს ნაბიჯი — ეს იყო მისი ისტორიული მისია. ნურავის ჰგონია, რომ გამსახურდია დამარცხდა. ზვიადის გამარჯვებაა, რომ საქართველო რუკაზე დამოუკიდებელ ქვეყნად არის დატანილი. ბევრი ხელისუფალი შეიცვლება, მაგრამ ზვიადის გაკეთებულს ვერავინ შეცვლის. ზოგიერთი ამბობს, საქართველო მაინც გათავისუფლდებოდაო. ამერიკაც გათავისუფლდებოდა, მაგრამ ამას ჯორჯ ვაშინგტონი და ჯეფერსონი დასჭირდა. ლათინური ამერიკაც გათავისუფლდებოდა, მაგრამ ამას ბოლივარი დასჭირდა. იტალიაც გათავისუფლდებოდა, მაგრამ საამისოდ გარიბალდი და მალდინი იყვნენ საჭირონი. ქვეყნის გათავისუფლებას სჭირდება ადამიანი, ვისაც ამის გაკეთება ძალუძს. ამიტომ ზვიადის მცირე შეცდომებს ყოველთვის გადასწონის ეს დიდი მონაპოვარი. ძალიან განვიცადე ზვიადის დაღუპვა, მაგრამ მიხარია, რომ ის საქართველოს დამოუკიდებლობის აღმდგენად შევა ისტორიაში და ვამაყობ, რომ ამ დროს მის გვერდით ვიყავი.

არ უნდა დავივიწყოთ იმათი ღვაწლი, რომლებიც მაშინაც კი ზეიმობდნენ 26 მაისს, როდესაც მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა.

დამოუკიდებლობა მთელი ერის უდიდესი მონაპოვარია, მას პატივი უნდა ვცეთ და გავუფრთხილდეთ. მოდი, ამის შემდეგ ნურავის ნურაფერს დავუთმობთ და ახალი ამოცანა დავსახოთ — 26 მაისი ქართველი ხალხის კეთილდღეობის დღესასწაულად გადავაქციოთ.

**თემურ ქორიძე**: — ალბათ, გახსოვთ, აკაკი ასათიანმა მოსკოვში ყრილობაზე განაცხადა — საქართველო გარდამავალ პერიოდს აცხადებსო, მაგრამ შემდგომ მოვლენები ისე განვითარდა, რომ დამოუკიდებლობა 1991 წლის 9 აპრილს გამოვაცხადეთ. ამისკენ გართულებულმა საერთაშორისო ვითარებამ და რუსეთის ზეწოლის გაძლიერებამ გვიბიძგა. რუსებმა სამაჩაბლოში ძალზე შემოგვიტიეს, ჩვენ დასავლეთის მხარდაჭერის იმედი გვქონდა, მაგრამ სამწუხაროდ, იქ ჯერ არ ჰქონდათ განსაზღვრული პოლიტიკა საბჭოთა რესპუბლიკებთან დაკავშირებით.

გორბაჩოვის მუქარას კონკრეტული შედეგი მოჰყვა — სამაჩაბლოში პირველი კონფლიქტი მოხდა... რაკი დასავლეთი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ რესპუბლიკასთან დამოუკიდებელ ურთიერთობას ვერ დაამყარებდა, ერთადერთი გზა რჩებოდა — საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლა. 31 მარტს საბჭოთა კავშირიდან გასვლაზე ჩავატარეთ რეფერენდუმი — მოსახლეობის 98%-მა ხმა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას მისცა. ეს გახლდათ ეროვნული მოძრაობის გვირგვინი. სამწუხაროდ, დასავლეთმა ამის შემდეგაც ვერ გაბედა საქართველოს დახმარება.

ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არ ყოფილა უბრალოდ რაღაცის მისაღწევად საპროტესტო გამოსვლა. ამ ბრძოლაში ქართველი ერის სულიერი სიძლიერის დემონსტრირება მოხდა. მან ჩვენი სულიერი სიცოცხლისუნარიანობა გამოამჟღავნა, რაშიც რელიგიამ — ქრისტიანობამ უდიდესი როლი შეასრულა. დღეს შესაძლოა რომანტიკულად ჩანდეს, მაგრამ ყოველი აქცია „მამაო ჩვენოთი“ იწყებოდა. ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა თავისთავად გულისხმობდა განცდას — „ჩვენთან არს ღმერთი!“ ამაღლებული, რომანტიკული პროცესი უსათუოდ უნდა გაიაროს ერმა სიმწიფის მისაღწევად. ამ მოძრაობის მთელი ლაზათი ის იყო, რომ ქართველმა კაცმა იგრძნო — არ მოვმკვდარვარო. 31 მარტის რეფერენდუმმა ცხადყო, რომ 200-წლიანმა მონობამ ვერ გაგვტეხა — საუკუნეების მანძილზე დაგროვილმა ეროვნულმა მუხტმა გაზაფხულის იმ დღეს ამოხეთქა.

დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დასავლეთ საქართველოში ვიყავი. 6 აპრილს ჩამოვედი თბილისში. ზვიადი აღტაცებული და ბედნიერი მეჩვენა. რა იყო, რას აპირებ-მეთქი. ზვიადმა გახარებულმა მითხრა: — ახლა ვაპირებ, რასაც ვაპირებო. მახსოვს, 1991 წლის 9 აპრილის წვიმიანი დღე. ვგრძნობდით, რომ საქართველოსთვის ისტორიული საათი დგებოდა. ზღვა ხალხი იდგა უზენაესი საბჭოს შენობასთან. დარბაზშიც საოცრად დამუხტულნი და აღელვებულნი ვიყავით. ტექსტი ზვიადმა წაიკითხა. უდიდესი სულიერი ნეტარება იყო განცდა იმისა, რომ მონაწილეობდი ერის გათავისუფლებაში.

მაშინ ეროვნულ კონგრესში მოკალათებული ე. წ. შეურიგებელი ოპოზიცია გვიყიჟინებდა, თქვენ მხოლოდ და მხოლოდ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის დეკლარირება მოახდინეთ, მას იურიდიული ძალა და მნიშვნელობა არა აქვსო, მაგრამ ქართველი ერისთვის ამას უდიდესი მორალური და იურიდიული მნიშვნელობა ჰქონდა.

— **დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ როგორ აღნიშნეთ 26 მაისი?**

— დამოუკიდებლობის დღეს პრეზიდენტის არჩევნებიც დაემთხვა. ზვიად გამსახურდიას კონკურენტები ნოდარ ნათაძე, თამაზ კვაჭანტირაძე და ვალერიან ადვაძე იყვნენ. ზვიადმა ამ არჩევნებში 87% მიიღო. ჩემი სტუდენტობის დროინდელი მეგობრები მოვიდნენ უზენაეს საბჭოში. საღამოს კაკო ასათიანს დავურეკეთ და რესტორან „ქალაქურში“ წავედით (მახსოვს, ჩვენი სუფრის გვერდით ქალბატონები ისხდნენ. ქუთაისიდან ჩამოსულან და ზვიადის გამარჯვებას აღნიშნავდნენ)... 26 მაისს ჩატარდა სამხედრო აღლუმიც, რომელიც ზვიად გამსახურდიამ მიიღო. სამწუხაროდ, პრესაში მეორე დღესვე გაჩნდა გესლიანი წერილები იმაზე, თუ როგორ ესალმებოდა უქუდო ზვიად გამსახურდია სამხედრო წესით ქართულ ჯარს (არადა, მხოლოდ რუსულ არმიაში იყო მიღებული სამხედრო სალმის ქუდით მიღება).

ზვიად გამსახურდია დამოუკიდებელი ქვეყნის დამოუკიდებელი პრეზიდენტი იყო. გარდა რუსეთისა, ეს არც შტატებს მოუვიდა თვალში. აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის, ნიქსონის საქართველოში ჩამოსვლის მიზანი პრეზიდენტ გამსახურდიას პოლიტიკური მიზნების გარკვევა იყო. მან ურჩია ზვიადს, ქვეყნის კი არა, პიროვნების თავისუფლებაზე გააკეთეთ აქცენტიო. მაგრამ ზვიადისთვის უმთავრესი სამშობლო იყო... ამის შემდეგ გააკეთა განცხადება უფროსმა ბუშმა — გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო. ეს ფრაზა გახდა ზოგისთვის ნიშანი — დაესიეთ, არ დაინდოთო. ამის შემდეგ ამოქმედდა მეხუთე კოლონა საქართველოში.

ზვიადი იყო ადამიანი, რომელიც მტკივნეულად განიცდიდა თითოეული ქართველის მდგომარეობას. მახსოვს მისი შეშლილი სახე, როდესაც უთხრეს — მარნეულში გლეხს მიწა წაართვესო. ქვეყნის პრეზიდენტს თითოეული მოქალაქის სატკივრის განცდის უნარი უნდა ჰქონდეს. ამიტომაც იყო ხშირად სევდიანი. ერთხელ მოსკოვთან ჰქონდა ტელეხიდი. ვეხვეწე, როდესაც დიალოგი დაიწყება, გაიღიმე-მეთქი, ვერ გავაღიმე. კარგია, რომ დღეს ჩვენი პრეზიდენტი იღიმება და ცეკვავს კიდეც. ეს ოპტიმიზმს უნერგავს ხალხს... მაგრამ, როდესაც დაახლოებით მილიონ-ნახევარი საქართველოს მოქალაქე „შინაემიგრაციაშია“ (გარე ემიგრაციაში მყოფნი უკეთეს მდგომარეობაში არიან, სოციალურად არიან დაცულნი) იმის გამო, რომ ელემენტარული სოციალური გარანტია და სამსახური არ აქვს, ცოტა მეტად შეწუხებული უნდა იყოს ხელისუფლება. რატომღაც ვერ ვხედავ მათ მხრებზე იმ ტვირთს, რომელსაც უთუოდ უნდა გრძნობდნენ, — მეტისმეტად მჩატედ დადიან. პრეზიდენტი ხომ მხოლოდ კანცელარიის უფროსი არ არის, ის ერის მამაა, მამას კი უნდა სტკიოდეს, როდესაც მისი შვილები შეჭირვებულნი არიან.



## ჩვენ დედამიწის ზურგზე არავინ გვყავდა უფროსი...

26 მაისს სიხარულთან ერთად, სანტიმენტალური განწყობით ვხვდებით. გარდა დამოუკიდებლობისა, ეს მერაბ კოსტავას დაბადების დღეც არის (მას 65 წელი შეუსრულდებოდა). აღლუმის შემდეგ ლურჯი მონასტრის ბაღში (ეს მერაბის საყვარელი ადგილი იყო) ვიკრიბებით ისინი, რომელთათვისაც ძვირფასია საქართველოს დამოუკიდებლობა და მის მოპოვებაში მიუძღვით წვლილი. მერე კი უთუოდ ავალთ მერაბის — საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაუღალავი მებრძოლის საფლავზე.

მერაბ კოსტავამ და ზვიად გამსახურდიამ სულიერი წრთობის გზა გაიარეს და მერე ჩამოყალიბდნენ ეროვნული მოძრაობის ლიდერებად. მათ ილია ჭავჭავაძის გზის გაგრძელება გადაწყვიტეს. ამ ჩანაფიქრის განხორციელება იოლი არ ყოფილა, მაგრამ მათ მაინც შეძლეს იმ ხიდის გამრთელება, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩატყდა... მერაბის საფლავთან მისვლით ჩვენ ქედს მოვიხრით ყველა იმ ადამიანის წინაშე, რომელთაც საკუთარი სიცოცხლისა და ბრძოლის ფასად აჩუქეს საქართველოს ლამაზი დღე — 26 მაისი.

*იზო რუკაძე*

---

## რას გვეტყვი, მამაო?

— **ტელევიზიით მოვისმინე, რომ აშშ-ის ერთ-ერთ შტატში დაუშვეს ერთი სქესის ადამიანთა ქორწინება. როგორ უყურებს ამას მართლმადიდებელი ეკლესია და მიეტევება თუ არა ეს ცოდვა ადამიანს?**

— ეკლესიურად ასეთ დაცემას ბუნების წესის უარყოფის ცოდვა ჰქვია. ეს იმდენად დიდი ცოდვაა, რომ ამის გამო ბიბლიური ქალაქები სოდომი და გომორი უფალმა საშინელი სასჯელით დასაჯა. სწორედ ამ ქალაქებში არ იყო გარჩევა ქალთა და კაცთა, ერთი სქესის ადამიანები გაუკუღმართებული სქესობრივი ცხოვრებით იყვნენ აღრეულნი. უზარმაზარ ქალაქებში მხოლოდ ერთი ოჯახი აღმოჩნდა გახრწნილებას გარიდებული. როცა ღვთის ნებით, ეს ოჯახი წმინდა ანგელოზებმა ამ უკუღმართი ადგილიდან გამოიყვანეს, ზეციდან გოგირდის ცეცხლი დაეშვა და დანარჩენები შთანთქა. ახლა ისრაელის ამ მიწაზე მკვდარი ზღვაა... მაგრამ ჭეშმარიტ მონანიეთ კაცთმოყვარე უფალი ამ ცოდვასაც კი შეუნდობს. მას თვით სოდომიც და გომორიც ებრალებოდა და წინასწარ ანგელოზი მიავლინა ხალხის გასაფრთხილებლად, — მოგიტევებთ, თუკი ამ ცოდვას განერიდებითო. ცოდვით გონებადაბინდულებმა მისი არ ისმინეს... უფალი დღესაც აძლევს ამ ცოდვის მონანიების საშუალებას ადამიანს. ჭეშმარიტი სინანულის, მორჩილების, ლოცვისა და ეპიტიმიის (ეკლესიური სასჯელის) შემდეგ, ეს ცოდვა კაცს მიეტევება, თუკი მას აღარ დაუბრუნდება და ეკლესიურად იცხოვრებს.

— **მყავს ცხრა და თორმეტი წლის შვილები. ეკლესიურად ვცხოვრობ, ვინახავ მარხვას და ბავშვებსაც ვამარხულებ. ახლობლები მეუბნებიან, შვილებს აშიმშილებ, ჯანმრთელობას ურყევო. ხანდახან ჩემი საქციელის სისწორეში მეც ეჭვი მეპარება. მართლა ხომ არ ვაავადებ ჩემს შვილებს მარხვით?**

— რახან ეკლესიის მრევლი ბრძანდებით, მარხვასა და შიმშილობას ერთმანეთისგან უნდა ასხვავებდეთ. მარხვა არათუ ბავშვებში, არამედ უფროსებშიც ზომიერებას მოითხოვს. ამ ზომას ეკლესია აწესებს. ეკლესიის გარეშე მარხვის გამკაცრება მიზანშეწონილი არ არის. ასაკისა და ჯანმრთელობის მიხედვით, თქვენს შვილებსაც მოძღვარმა უნდა შეურჩიოს მარხვის სახე. გარდა ამისა, უნდა იცოდეთ, რომ მხოლოდ საკვების მიღებაზე თავის შეკავება არ არის ჭეშმარიტი მარხვა. მარხვისას განსაკუთრებით საჭიროა ბავშვებს ქრისტიანული ცხოვრების წესზე ესაუბროთ, ადამიანების სიყვარული და სიკეთის კეთება ასწავლოთ. მოზარდის ქრისტიანად აღზრდა არა მხოლოდ საკვების შეზღუდვას, არამედ ფაქიზ სულიერ დამოკიდებულებას მოითხოვს.

— **მსმენია, რომ გარდაცვლილთან კატის ყოფნა არ შეიძლება. ამბობენ, რომ ამ ცხოველს გარდაცვლილის სხეულის დაზიანება შეუძლია. ეს სიმართლეა?**

— გარდაცვლილი ცოცხლების ზრუნვითა და სიყვარულით უნდა იყოს გარემოცული. მისთვის უნდა ვილოცოთ და გარდაცვალებასთან დაკავშირებული საეკლესიო წესები აღვასრულოთ. მიცვალებულთან ახლოს არათუ კატა, არამედ არც ერთი ცხოველი არ უნდა ვამყოფოთ. საკუთრივ კატა ამ კუთხით, არაფერ შუაშია — საერთოდ, მხეცებს მტაცებლური ინსტინქტი აქვთ და ნებისმიერი ცხოველი ამ მხრივ, საფრთხილოა... ეკლესიის მაგალითსაც შეგახსენებთ: ტაძარში, რომელსაც თაყვანს ვცემთ და ვლოცულობთ, ყოველგვარი ცხოველის შეშვება იკრძალება.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

# აფხაზეთი სომხეთის სანაცვლოდ?

## კავკასიის რეგიონში გეოპოლიტიკური მდგომარეობა შესაძლოა კარდინალურად შეიცვალოს





დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე ქართული სპეცსამსახურების ექსპერტები ოპტიმისტურ პროგნოზებს აკეთებენ. ბოლოდროინდელი მოვლენებიდან გამომდინარე (აქ უპირველესად აჭარაში განვითარებული მოვლენები იგულისხმება), ოპტიმიზმს ლოგიკური საფუძველი აქვს. საქმეში ჩახედულთა მტკიცებით, ახალი ხელისუფლების კურსი — არმიის ნახტომისებური გაძლიერების მცდელობა თუ პრეზიდენტის განცხადება, რომ რევოლუციური მატარებლის შემდგომი გაჩერება აფხაზეთი და სამაჩაბლო იქნება, ოპტიმიზმს კიდევ უფრო აძლიერებს. „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას სპეცსამსახურების ექსპერტი **ამირან აბულაძე** აღნიშნავს, რომ დღეს უკვე ამოქმედებულია ბევრი ფაქტორი, რომლებიც ტერიტორიების დაბრუნების საქმეში დადებით როლს შეასრულებს: — როცა ტერიტორიების დაბრუნებაზე ვლაპარაკობთ, რეალურად პირველად დგება მომენტი, როცა ყველაფერი ეს მხოლოდ ჩვენი ოცნების ნაყოფი არ არის. დღეს ყველაზე ახლოს ვართ ამის განხორციელებასთან.

**— რას გულისხმობთ?**

— მხოლოდ სურვილებით დაკარგულ ტერიტორიებს ვერ დავიბრუნებთ. ჩემი აზრით, ხელისუფლებამ სწორი ნაბიჯი გადადგა, როცა არმიის შენებას შეუდგა. იმის მიუხედავად, რომ ტერიტორიების დასაბრუნებლად ომის გაჩაღება არ არის საჭირო, ეს მაინც დადებითი ფაქტორია. ძალის დემონსტრირება ყოველთვის ისე მოქმედებს, როგორც საჭიროა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ კავკასიის რეგიონში გეოპოლიტიკური მდგომარეობა შესაძლოა კარდინალურად შეიცვალოს, რის შედეგადაც ჩვენ ალბათ მოგებულები დავრჩებით.

**„სომხეთი ეცადა, სამცხე-ჯავახეთის გავლით, როგორმე აჭარამდე გასულიყო. ეს გეგმა სერიოზულად განიხილებოდა, მაგრამ აჭარაში განვითარებულმა მოვლენებმა ეს გეგმა დაასამარა. როგორ ფიქრობთ, შემთხვევითი იყო, როცა ასლანის გაქცევის შემდეგ წალკაში სომხები და ქართველები ერთმანეთს დაეტაკნენ? ეს სასოწარკვეთილი კაცის ნაბიჯს ჰგავდა, რომელმაც იცის, რომ წააგო და უკანასკნელად ცდილობს ხელის გაქნევას.“**

**— კონკრეტულად, რას გულისხმობთ გეოპოლიტიკური მდგომარეობის შეცვლაში?**

— ამ ეტაპზე შეიძლება განსაზღვრული როლი შეასრულოს სომხეთის ფაქტორმა. აფხაზეთის დაკარგვა ჩვენ შემდეგ ყველაზე მეტად ამ ქვეყანაზე აისახა. სომხეთი ყოველთვის პრორუსულ ქვეყნად ითვლებოდა და სარკინიგზო მისვლა-მოსვლის შეწყვეტის შემდეგ იგი თითქმის იზოლირებული აღმოჩნდა რუსეთისაგან. ვინ არიან დღეს სომხეთის მეზობლები? — მტრული აზერბაიჯანი და არცთუ კეთილმოსურნე ირანი. ერთადერთი ქვეყანა, რომელთანაც სომხეთი ნორმალურ ურთიერთობებს ინარჩუნებს, საქართველოა. იქნებ არც შეიძლება ამის თქმა, მაგრამ სომხეთი იძულებულია, ჩვენთან კარგი ურთიერთობა ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი აბსოლუტურად მოწყვეტილი იქნებოდა გარესამყაროსგან.

სომხეთი ეცადა, სამცხე-ჯავახეთის გავლით, როგორმე აჭარამდე გასულიყო. ეს გეგმა სერიოზულად განიხილებოდა, მაგრამ აჭარაში განვითარებულმა მოვლენებმა ეს გეგმა დაასამარა. როგორ ფიქრობთ, შემთხვევითი იყო, როცა ასლანის გაქცევის შემდეგ წალკაში სომხები და ქართველები ერთმანეთს დაეტაკნენ? ეს სასოწარკვეთილი კაცის ნაბიჯს ჰგავდა, რომელმაც იცის, რომ წააგო და უკანასკნელად ცდილობს ხელის გაქნევას.

თუმცა ეს გარემოება კიდევ არ არის მთავარი. ბოლო ათწლეულის მანძილზე სომხეთში ერთი საინტერესო პრეცედენტი შეინიშნება. ეს პრორუსული ქვეყანა სულ უფრო და უფრო ცდილობს სარკმელი გაჭრას დასავლეთსა და ამერიკასთან. ერთი შეხედვით აქ გასაკვირიც არაფერია. ამერიკაში სომხეთს უძლიერესი ლობი ჰყავს, რომელიც სომხეთთან დაკავშირებით ამერიკის ინტერესებს უფრო იცავს, ვიდრე რუსეთისას ამ რეგიონში. ეს რუსეთის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. კრემლში არცთუ უსაფუძვლოდ ვარაუდობენ, რომ თუ ასე გაგრძელდა, პრორუსული ძალები სომხეთში შეიძლება მალე უმცირესობაში აღმოჩნდნენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსეთი საბოლოოდ დაკარგავს კავკასიაში გავლენას.

**— ამ საკითხის გასარკვევად ხომ არ იყო ჩამოსული იგორ ივანოვი?**

— ცხადია. საუბრის თემა იყო სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა. ანუ რუსებმა, უნდოდათ თუ არა, თავისდაუნებურად გაამჟღავნეს შეშფოთების მიზეზი. ამას დაერთო ისიც, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა საჯაროდ განაცხადა, რომ გამორიცხული არ არის ყარაბაღის კონფლიქტის მოსაგვარებლად საომარი მოქმედებები განაახლოს. ამ ომში ვის მხარეს იქნება რუსეთი, ძნელი ამოსაცნობი არ არის. სარკინიგზო მოძრაობის აღდგენით კი რუსეთის დახმარება სომხეთისათვის უფრო ეფექტიანი იქნება.

**— გამოდის, რუსეთი არჩევანის წინაშე დგება, რკინიგზის აღდგენის შემთხვევაში ქართულ მხარეს ხომ თავისი პირობები ექნება?**

— რუსეთი დღეს დილემის წინაშე დგას: ან უნდა გააგრძელოს ძველი თამაში აფხაზეთთან დაკავშირებით და სომხეთის დაკარგვის საშიშროების წინაშე აღმოჩნდეს. ან აფხაზეთი უნდა დათმოს, რის ხარჯზეც სომხეთის შენარჩუნებას შეძლებს. ვფიქრობთ, რუსეთი ამ მეორე ვარიანტს მიანიჭებს უპირატესობას. ჩვენ ამ შემთხვევაში მომგებიან პოზიციაში ვიმყოფებით და ყველაფერი დროის საკითხია.

**— საკითხავია, როგორ შეხვდება აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება რუსეთის ასეთ გადაწყვეტილებას?**

— სხვა გზა არც ექნებათ. ამ ხელისუფლებას დღემდე მოსკოვი არჩენს და ყველაფერი ისე იქნება, როგორც კრემლში გადაწყდება. არსებობს ინფორმაცია, რომ რაღაც ეტაპზე ძალების დასაბალანსებლად რუსი სამხედროები აფხაზეთში დარჩებიან. სამაგიეროდ, შემოვა დასავლეთის ინვესტიციები და ყველაფერი ეს თბილისიდან გაკონტროლდება. ამით, ცხადია, რუსეთის პოზიციები აფხაზეთში შესუსტდება. სამაგიეროდ, შეინარჩუნებს სომხეთს — ერთადერთ დასაყრდენ ქვეყანას მთელ კავკასიაში.

***დავით დევდარიანი***



# „ვარდების რევოლუცია" გრძელდება

**„ყველას ვულოცავ ამ გამარჯვებას, რომელიც საქართველოს გამთლიანების დასაწყისს უკავშირდება. საქართველო იქნება მთლიანი", – მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი**



საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის „ვარდების რევოლუციაში" მორიგი უსისხლო გამარჯვება აღინიშნა.

36 წლის, ამერიკაში განათლებამიღებულმა იურისტმა სააკაშვილმა დადო პირობა, რომ ყველა განდგომილ რეგიონს დაიბრუნებდა და მთელ საქართველოში დემოკრატიას დაამკვიდრებდა. საბჭოთა დროიდან მოყოლებული, აჭარა თავის საქმეებს თვითონ აგვარებდა. აბაშიძემ არ ცნო სააკაშვილის ძალაუფლება და უარი განაცხადა რეგიონის ნავთობსა თუ საკუთარ შეიარაღებულ დანაყოფებზე კონტროლის დაკარგვაზე.

იანვარში მან კვლავ გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელი შიდასაზღვრები ჩაკეტა. მაგრამ სააკაშვილმა, რომელმაც გამოიყენა დიპლომატიის და პოპულიზმის იგივე ძალზე ნიჭიერად გათამაშებული კომბინაცია, რაც ნოემბერში — კიდევ ერთი ყოფილი საბჭოთა დიქტატორი ასლან აბაშიძე ერთი გასროლის გარეშე გააძევა ქვეყნიდან. შეძლებს თუ არა სააკაშვილი იგივე ხერხი გამოიყენოს საქართველოს განდგომილი რეგიონების — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ?

...აბაშიძე იყო კლასიკური „საბჭოთა დროის აპარატჩიკი", — ამბობს რობერტ პარსონსი, პრაღაში რადიო „თავისუფლების" ქართული განყოფილების უფროსი. მან მარჯვედ ჩამოაშორა ხალხზე გავლენის საშუალება ოპოზიციურ პარტიებს და მედიას, თვითონ კი ყოველდღიურად, ორი-სამი საათი პირდაპირი ეთერით, აცნობდა აჭარის მკვიდრთ თავის წარმატებებსა და მიღწევებს. აბაშიძე დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ მას და მის ნაშიერთ უნდა ემართათ აჭარა, რადგან მხოლოდ მათ ჰქონდათ საამისოდ „განსაკუთრებული გენი". უმისოდ არც ერთი დიდი მშენებლობა არ წამოწყებულა ავტონომიურ რესპუბლიკაში, ყველაფერში მისი ხელი ერია, იყო ეს გათბობის გარეშე დარჩენილი სამშობიარო განყოფილების იატაკის მარმარილოს ქვით მოპირკეთება თუ უნივერსიტეტის კომპიუტერული აღჭურვა, რაც საქართველოს სხვა უნივერსიტეტებისათვის ფუფუნება გახლდათ. თუმცა ორივე შენობაში მაშინ გამოჩნდებოდნენ ფეხმძიმე ქალები და სტუდენტები, როდესაც აჭარას საპატიო უცხოელი სტუმრები ეწვეოდნენ. კრემლს არც კი ჰქონია აბაშიძის მხარდაჭერის მცდელობა, რადგან სააკაშვილმა მოიპოვა პრეზიდენტ პუტინის პატივისცემა იმით, თუ როგორ შეძლო აშშ-ისა და რუსეთის ინტერესების დაბალანსება რეგიონში. ხუთშაბათს ბათუმში ჩასულ სააკაშვილს ხალხი შეხვდა როგორც გმირს, მან კი მადლობა გადაუხადა აჭარლებს „უპრეცედენტო გმირობისთვისა და ღირსებისათვის". აბაშიძე წავიდა. სააკაშვილი ახლა 1990 წლის რეგიონულ ომებში დაკარგულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს მიუბრუნდება. „დემოკრატიული და გაერთიანებული საქართველო მათ გარეშე წარმოუდგენელია", — აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. მაგრამ ქვეყნის გაერთიანებისათვის შემდგომი ნაბიჯები უფრო რთული იქნება. ათწლეულზე მეტია, რაც მოსკოვის ხელშეწყობით, ამ რეგიონების ბევრი მკვიდრი რუსეთის მოქალაქე გახდა.

სააკაშვილის „ვარდების რევოლუციას" ჯერ კიდევ აქვს რამდენიმე ეკალი.

***ტაიმი***

# კუბელების ბედი მოენატრებათ...

საქართველოში გიორგობას წელიწადში ორჯერ დღესასწაულობენ — 23 ნოემბერს და 6 მაისს. ედუარდ შევარდნაძე სწორედ შემოდგომაზე გადადგა, ხოლო ასლან აბაშიძის ჩამოგდება — მეორე გიორგობას დაემთხვა. ისე ჩანს, მიხეილ სააკაშვილი არა მარტო იღბლიანი პოლიტიკოსი, არამედ თითქოსდა ღვთის ნების აღმასრულებელიცაა ქართულ მიწაზე. ამ სახელის გასამართლებლად, საქართველოს პრეზიდენტს სხვა გზა არა აქვს, მორიგი გიორგობა უსათუოდ რომელიმე ამბოხებულ რესპუბლიკაში — აფხაზეთსა ან სამხრეთ ოსეთში უნდა იზეიმოს. ბათუმში სააკაშვილმა განაცხადა, — აჭარა საქართველოა, ჩვენ ერთად წავალთ აფხაზეთის გასათავისუფლებლადო. თქმა იოლია, შენ გაკეთება თქვი! საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმაც კი აღიარა, — ბათუმური გამოცდილება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არ გამოგვადგებაო. ჯერ ერთი, ორივე რესპუბლიკა დე ფაქტო სრული დამოუკიდებლობით სარგებლობს. თითოეულ მათგანს თავისი სახელმწიფო სიმბოლიკა და ბიუჯეტი აქვს, არმია, პოლიცია, პარლამენტი და მთავრობა ჰყავს. აჭარისგან განსხვავებით, ყოველდღიურად იმეორებენ, — მერე რა, რომ არავინ არ გვაღიარებს, ჩვენ მაინც დამოუკიდებელი სახელმწიფოები ვართო. აფხაზეთსა და ოსეთში არ არსებობს ერთი პოლიტიკური ჯგუფიც კი, რომელიც საქართველოსთან დაახლოებას ცდილობდეს. ასე რომ, სწრაფი და უსისხლო გაერთიანება არც ისე იოლი საქმეა; თუმცა სააკაშვილისაგან არც აბაშიძეზე ელოდნენ ასეთ სწრაფ და ლამაზ გამარჯვებას. ამიტომ, ის დროა, დამკვირვებლები ერთმანეთს დაენაძლევონ იმის გამოსაცნობად, როგორ სცენარს შეიმუშავებენ აფხაზეთისა და ოსეთისთვის ქართველი პრეზიდენტი და მისი ამერიკელი მრჩევლები (მაგალითად, რიჩარდ მაილზი).

თბილისს მზად აქვს აფხაზეთთან მშვიდობიანი გაერთიანების კონცეფცია. მას საფუძვლად უდევს გაეროს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენლის, დიტერ ბოდენის მიერ შემუშავებული დებულებები. კონცეფცია უკვე მოიწონეს ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების მთავარმა სპონსორებმა — გაერომ, აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა.

საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებული კონცეფცია, გარკვეული თვალსაზრისით, რევოლუციურიცაა. საქართველოს სახელმწიფო მოწყობა რესპუბლიკურია და სხვანაირი მას ვერც წარმოედგინა. ახლა კი აფხაზეთს თავის შემადგენლობაში შესვლას სთავაზობს ფედერალური წარმონაქმნის უფლებით და განსაკუთრებული სამართლებრივი და პოლიტიკური სტატუსით — აფხაზეთს საკუთარი ცენტრალური ბანკი და საფინანსო-საბიუჯეტო სისტემა ექნება, უფლება მიეცემა გამოუშვას აფხაზურენოვანი ლარის შეზღუდული რაოდენობა, ფულის ეს ერთეული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქართულ ლართან ერთად იქნება მიმოქცევაში. ეყოლება საკუთარი პოლიცია, ხოლო ჯარი ერთობლივი, თუმცა წვევამდელები საკუთარ ტერიტორიაზე გაივლიან სამხედრო სამსახურს. თბილისს კი მიეცემა ექსკლუზიური უფლება თავად წარადგინოს ფედერაცია საერთაშორისო არენაზე და ერთპიროვნულად გადაწყვიტოს სახელმწიფო უშიშროების საკითხები. თვით ფაქტი იმისა, რომ აფხაზებს პოლიტიკური თვითგამორკვევის უფლებას აძლევენ, საქართველოს მხრიდან მნიშვნელოვანი კომპრომისია. მაგრამ რაც არ უნდა შესთავაზოს სააკაშვილმა აფხაზებს, მათ დამოუკიდებლობის გარდა, არაფერი უნდათ. აფხაზეთი დე იურე და დე ფაქტო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახლავთ. ჩვენ საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის მომხრე ვართო, — აცხადებენ ისინი. ამ აზრს იზიარებს მთელი აფხაზური ელიტა.

აფხაზეთში საქართველოსთან შეერთების მომხრე მხოლოდ გალის რაიონში მცხოვრები (96%) ქართველობაა. აფხაზეთის ხელისუფლებამ, შესაძლო პროვოკაციების შიშით, 18 მაისს გალის რაიონში დამატებითი ჯარები შეიყვანა, გააძლიერა სასაზღვრო კონტროლი და საპასპორტო რეჟიმი. აუღიარებელი რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ვიაჩესლავ ეშბამ გაეროს მთავარ სამხედრო მეთვალყურეს გენერალ ყაზი აშფაქს შეატყობინა, — მაქვს ცნობა, რომ თბილისი საიდუმლოდ ემზადება გალის რაიონში მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი მიტინგების ჩასატარებლად. იქ უკვე ჩაიტანეს საქართველოს დროშები და პრეზიდენტის პორტრეტებიო. ხოლო ლტოლვილთა სახალხო პარტიის ლიდერმა, სააკაშვილის მოწინააღმდეგე ბორის კაკუბავამ „როსბალტის" სააგენტოს აუწყა, — აფხაზური „ვარდების რევოლუციის" დაწყებას საქართველო გალის რაიონიდან კი არა, სოხუმიდან აპირებსო. მისი თქმით, იქ უკვე გაჩნდა სოროსის ფონდის მიერ დაფინანსებული ორგანიზაცია „კმარას" განყოფილება. ეს ამბავი კიდევ ერთხელ ადასტურებს პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ სოხუმში პროქართული დემონსტრაციები ჩატარდა, სადაც ყვიროდნენ, „მიშა, შეგვარიგე!"

სააკაშვილს აფხაზეთის მიერთება „ვარდების რევოლუციის" მეშვეობით უფრო გაუადვილდება, თუ ამაში რუსეთი დაეხმარება — რუსული ელექტროენერგიისა და რუსეთის სახელმწიფო საზღვრის თავისუფალად გადაკვეთის ნებართვის გარეშე აფხაზეთი ისეთ ეკონომიკურ ბლოკადაში აღმოჩნდება, რომ იქ მცხოვრებთ უბედური კუბელების ბედიც კი მოენატრებათ. რფ-ის უშიშროების საბჭოს მდივნის იგორ ივანოვის საქართველოში მოულოდნელი ვიზიტი სწორედ აფხაზეთის პრობლემას ეხებოდა. ამის შემდეგ კი გაეროს ეგიდით სოხუმში ჩატარდა მოლაპარაკებები, რომელზეც საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა ცარიელი ხელით არ ჩასულა — როგორც აღვნიშნეთ თბილისში ადგილობრივმა და უცხოელმა ექსპერტებმა შეიმუშავეს აფხაზეთის სტატუსის ახალი პროექტი.

მაგრამ აფხაზეთის თბილისისთვის „გადაბარებას" რუსეთიც ვერ შეძლებს, რადგან ამ რესპუბლიკაში სეპარატისტული განწყობა იმდენად ძლიერია, ხოლო საქართველოსთან შეერთება მოსახლეობისთვის იმდენად მცირედმომგებიანი, რომ ხელისუფლებაც და ხალხიც, რუსეთის მხარდაჭერის გარეშეც გაუწევს ამას დიდ წინააღმდეგობას. ამასთან, საქართველოს მიერ ძალის გამოყენების ხსენებაც კი (ომს სააკაშვილი არავითარ შემთხვევაში არ დაიწყებს) დესტაბილიზაციას გამოიწვევს არა მარტო აუღიარებელ რესპუბლიკაში, არამედ მთელ რუსეთში. აფხაზები აუცილებლად უხმობენ საშველად მოხალისეებს მეზობელი ქვეყნიდან და ამჯერად, ამ დაძახილს სიამოვნებით გამოეხმაურებიან სამხრეთ კავკასიის მცხოვრებნი. ამოქმედდება ისლამური ფაქტორიც — აფხაზეთში კვლავ მოიყრიან თავს ექსტრემისტები მთელი კავკასიიდან, შედეგად კი რუსეთის ცხვირწინ, ადლერთან, ტერორისტული და კრიმინალური აქტივობის კერას მივიღებთ. ასე რომ, ნოემბრისთვის სოხუმის აღება სააკაშვილს ალბათ არ გამოუვა. იმის დასამტკიცებლად კი, რომ წმინდა გიორგი კვლავ წყალობს, სააკაშვილმა ცხინვალს უნდა მიაპყროს მზერა. სამხრეთ ოსეთში ეთნიკური დაძაბულობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე აფხაზეთში და არც მოსახლეობაა ისე დაგეშილი. თუმცა ეს გზა იმით არის საშიში, რომ თავისი სამხრეთელი თანამემამულეების დასაცავად ჩრდილოეთ ოსეთი დაირაზმება.

საინტერესოა, მაშინ საით გაფრინდება იგორ ივანოვი?

***ელენა ლიუბარსკაია***
***ლენტა. რუ***




# რეჟისორობის კანდიდატი



ათწლიანი მოლაპარაკებებისა და დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, ცნობილი ქართველი რეჟისორი თემურ ჩხეიძე დათანხმდა პეტერბურგის დიდი დრამატული თეატრის („ბდტ") მთავარ რეჟისორობას. 15 ივნისს თეატრის დასის საერთო კრებაზე, ფარული კენჭისყრით გადაწყდება, უნდათ თუ არა მსახიობებს ჩხეიძე.

გიორგი ტოვსტონოგოვის გარდაცვალების შემდეგ, 1992 წლიდან მთავარი რეჟისორის სავარძელი ცარიელი იყო. თეატრს დროებით ხელმძღვანელობდა მსახიობი კირილ ლავროვი, რომელიც ოცნებობდა, სადავეები ღირსეული რეჟისორისათვის გადაეცა. ქართველი რეჟისორი იყო პირველი, რომელსაც „ბდტ"-ს ხელმძღვანელობა შესთავაზეს... სხვა კანდიდატებისაგან განსხვავებით, თემურ ჩხეიძე ყოველთვის მიიჩნეოდა ყველაზე სასურველ ხელმძღვანელად. ის 1992 წლიდან რეგულარულად დგამს სპექტაკლებს ამ თეატრში. აპრილში რეჟისორმა მორიგი წარმატებული სპექტაკლი („კოპენჰაგენი") დადგა. თუ როგორ დაითანხმეს თემურ ჩხეიძე მთავარ რეჟისორობაზე, კირილ ლავროვი ჯერჯერობით არ ამხელს, ამბობს, — ჩამოვა და თვითონ მოგიყვებათ ყველაფერსო. მოკლედ, კანდიდატი დასახელებულია, კენჭისყრის დღეც დანიშნულია. იმედია, ეს არჩევნები წარმატებით დასრულდება — ტყუილად ხომ არ ეხვეწებოდნენ თემურ ჩხეიძეს ამდენი ხანი. თეატრს ხომ ახალი სუნთქვა, ახლებური შემოქმედებითი ხედვა სჭირდება.

***კომერსანტი, №89***

***გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებ-ში შემოგთავაზოთ.



## პაწაწინები გვიამბობენ

სამი წლის **ნიკას** მამიდა გაუთხოვდა. ნიკა მიჩვეული იყო, რომ მამიდა სულ გვერდით ჰყავდა. ღამეც რომ არ მოვიდა, დედას ჰკითხა:

— სად არის ჩემი მამიდა?

დედამ აუხსნა, მამიდა გათხოვდა და ქმართან უნდა იცხოვრომსო.

გავიდა რამდენიმე დღე და ნიკამ მეზობელთან გადასული ბებია რომ ვერ ნახა, მივარდა დედას და ეუბნება: — დედა, ბებიაც გათხოვდა?!

***

ვაჟა ბაბუ დაბრუნდა შინ. ხელებგაშლილი 2 წლის **მარიამ გუჯაბიძე** შეეგება.

— მარიკუნა, დასაბანი ვარ, მივილებ შხაპს და მერე მოგეფერები.

— ბაბუ! დედა გყავს? — ეკითხება მარიამი.

— არა, ბაბუ, არ მყავს.

— მაშ, ვინ უნდა გაბანაოს?

***

ბარით მიწიდან იღებენ კარტოფილს. პატარა **გიორგი** უყურებს და მამამისს ეუბნება: — მამიკო, შეხედე, ბაბუს სად დაუმალია კარტოფილი, მაგრამ ხომ მოვნახეთო.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: ***„მე მიგალობს ასე ტკბილად ბულბული ხმაწკრიალა, ვარ ალის და ქარვის ფერიც, მარტო თეთრი კი არა. სანეტარო მაისია ჩემი თვალის ამხელი, ამიტომაც მაისის თვეს ჰქვია ჩემი სახელი“.***




II იპოვე ორი ერთნაირი მცენარე



მიიყვანე ნიკა და ნინი ნაყინთან



## III ანა, გამოიცანი

**1) რისი სახელებია, შროშანა, კესანე, ღიღილო, საპოვნელა?**

ა) მინდვრის ყვავილების; ბ) სოკოების; გ) თევზების; დ) ფრინველების.

**2) რომელი მწერია ბეწვეულისა და შალეულის მტერი?**

ა) კოღო; ბ) ქინქლა; გ) ჩრჩილი; დ) ბუზი.

**3) რატომ არ ერჩიან ჩიტები ჭიამაიას?**

ა) ლამაზია და იმიტომ; ბ) ვერ ამჩნევენ; გ) საცეცებიდან არასასიამოვნო სუნს გამოყოფს და არ ეკარებიან; დ) იკბინება და იმიტომ.

**4) ვინ ჭედავს ცხენს?**

ა) მეწაღე; ბ) კალატოზი; გ) მჭედელი; დ) ნალბანდი.

**5) რომელი პოეტი ამბობს: „არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა, არ მინდა ამით შეურაცხვყო მე ლოცვა წმინდა“?**

ა) ბარათაშვილი; ბ) ილია; გ) აკაკი; დ) ვაჟა.

**6) რომელ ცხოველზეა ნათქვამი: „ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი ჰგონია“?**

ა) ვირზე; ბ) ცხენზე; გ) ძროხაზე; დ) კამეჩზე.

**7) ვინ არის ოპერების — „დაისის“ და „აბესალომ და ეთერის“ ავტორი?**

ა) ვიქტორ დოლიძე; ბ) ზაქარია ფალიაშვილი; გ) დიმიტრი არაყიშვილი; დ) ოთარ თაქთაქიშვილი.

**8) რომელ ბრძოლაში გამოიჩინეს ერთად თავი გიორგი სააკაძემ, თეიმურაზ I-მა, ცხრა ძმა ხერხეულიძემ, ცხრა მაჩაბელმა და შვიდმა ჩოლოყაშვილმა?**

ა) კრწანისის; ბ) ბასიანის; გ) მარაბდის; დ) დიდგორის.

**9) რომელი ცნობილი ბერძენი მეცნიერია მიჩნეული „ისტორიის მამად?“**

ა) სოკრატე, ბ) არქიმედე; გ) ჰიპოკრატე; დ) ჰეროდოტე.

შეარჩიე ფრაგმენტები ისე, რომ მიიღო 3 გოგრა



პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

***გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა***

## პავლე წერილებს სწერს საქრისტიანო თემებს

ბიბლიური მოთხრობა

ვიდრე პავლე მოციქულს მოკლავდნენ, იგი წერილებს სწერდა საქრისტიანო თემებს, რომლებიც მან დააარსა.

„ქრისტე მოკვდა, მაგრამ აღდგა კიდეც: იგია ღვთის მარჯვნივ, იგია მეოხი ჩვენი. ვინ განგვაშორებს ქრისტეს სიყვარულს: ურვა თუ ვიწროება, დევნა თუ შიმშილი, სიშიშვლე თუ საფრთხე, თუნდაც მახვილი? ვერც ერთი ქმნილება ვერ განგვაშორებს სიყვარულს ღმრთისას უფლის ჩვენის იესო ქრისტეს მიერ. თქვენ, ყველანი, იესო ქრისტეს რწმენით, ძენი ხართ ღვთისა. მარადის ხარობდეთ. გამუდმებით ილოცეთ. მადლიერნი იყავით ყველაფრისათვის. იყავით გულგახსნილნი იმისათვის, რასაც თქვენ სული გიკარნახებთ. მისდიეთ კეთილს, განეშორეთ ყოველგვარ ბოროტს.

განმტკიცდით, ნუგეშცემულნი იყავით და ერთსულოვანნი, მშვიდობა გქონდეთ. მადლი უფლის ჩვენისა იესო ქრისტესი და სიყვარული ღმრთისა, და ზიარება სულის წმიდისა იყოს ყველა თქვენგანთან.

ღმერთი გვანიჭებს სიცოცხლეს. ყველა ცოცხალი არსება მისგან ღებულობს სიცოცხლეს.

იესოს მოწაფეები მოუთმენელნი იყვნენ, ისინი ეკითხებოდნენ მას: „გვითხარი, როდის დადგება ღვთის სასუფეველი?“ იესომ მათ უპასუხა: „არავინ იცის ის დღე და ის საათი, არც ანგელოზებმა ცაში, არც ძემ, არამედ მხოლოდ მამამ“.

თქვენ ერთი რამ შეგიძლიათ გააკეთოთ: იფხიზლეთ, ვინაიდან არ იცით, რომელ დღეს მოვა თქვენი უფალი. როდესაც სამყაროს შემოქმედი მოვა და მას დაასრულებს, იგი ცოცხლებსა და მკვდრებს გაასამართლებს. ამ სასამართლოზე ხალხი აღიარებს, რომ მხოლოდ ერთი უფალი და ერთი სიყვარული არსებობს. ისინი მიხვდებიან, რომ მხოლოდ ერთი უბედურება არსებობს: გამოეთიშო ღვთის კრებულს და მხოლოდ ერთი ბედნიერება: ბედნიერება, იცხოვრო მასთან კავშირში.

ღმერთმა რისხვისათვის კი არ შეგვქმნა, არამედ ხსნისათვის უფლის ჩვენის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც მოკვდა ჩვენთვის, რათა გვეცოცხლა მასთან ერთად“.

„კვირის პალიტრის“ „ზღაპრების სახლმა“ უკვე 50 ქართული და უცხოური ზღაპარი გამოსცა. შეამოწმეთ, არის თუ არა ყველა ზღაპარი თქვენს კოლექციაში. ის ზღაპრები, რომლებიც წაკითხული გაქვთ, აღნიშნეთ ასე: — ⊕ და სია აჩვენეთ მშობლებს

1. ◯ მელია და მწყერჩიტა
2. ◯ ქალთევზა
3. ◯ ნაცარქექია
4. ◯ მძინარე მზეთუნახავი
5. ◯ კომბლე
6. ◯ ირმისა
7. ◯ ჩიპოლინო
8. ◯ წითელქუდა
9. ◯ ფიფქია და შვიდი ჯუჯა
10. ◯ ხუთკუნჭულა
11. ◯ მაკნატუნა
12. ◯ თოვლის დედოფალი
13. ◯ ბრემენელი მუსიკოსები
14. ◯ ალიბაბა და ორმოცი ყაჩაღი
15. ◯ სამი გოჭი
16. ◯ თორმეტი თვე
17. ◯ სიზმარა
18. ◯ მაუგლი
19. ◯ ჩექმებიანი კატა
20. ◯ მგელი და შვიდი თიკანი
21. ◯ ნამცეცა
22. ◯ ნახევარქათამა
23. ◯ სამი ფორთოხალი
24. ◯ გოგონა და ურჩხული
25. ◯ წიქარა
26. ◯ ალადინი
27. ◯ ღორების მწყემსი
28. ◯ მძლეთამძლე
29. ◯ ქოჩორა რიკე
30. ◯ უფლისწული ბაყაყი
31. ◯ ბულბული
32. ◯ რიკი-ტიკი-ტავი
33. ◯ კონკია
34. ◯ მახინჯი იხვის ჭუკი
35. ◯ კატა, მამალი და მელა
36. ◯ ცეროდენა
37. ◯ ბაუცინარი პრინცესა
38. ◯ ველური გედები
39. ◯ გაქვავებული სამეფო
40. ◯ გოგონა და სამი დათვი
41. ◯ წითელი ფეხსაცმელები
42. ◯ მოჯადოებული კატა
43. ◯ მეჩონგურე
44. ◯ თხისყურებიანი მეფე
45. ◯ ბურატინოს თავგადასავალი
46. ◯ ლომი და კურდღელი
47. ◯ მოჯადოებული ტყე
48. ◯ არვიციას ამბავი
49. ◯ ჯიუტი საილუკა
50. ◯ შრომის ფასი

ერთი წიგნი-ზღაპარი + გასართობი გვერდები 1 ლარი და 20 თეთრი ღირს

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში

*„ჯერ სიმაღლის შიში უნდა დათრგუნო, მერე ასვლის ხერხები ისწავლო, გული და მუხლი შეაჩვიო... მწვერვალებს“.*

**მამის დარიგება**

# „სიცოცხლე უნდა ქარიშხალს ჰგავდეს...“

წლებს რომ შეეძლოს გაზომოს მანძილი, რომელიც ადამიანმა გაიარა, ვინ იცის, რამდენჯერ შემოვუვლიდით დედამიწას... მას არ უვლია ჩვეულებრივ მოკვდავთა შორის: მთა-მთა, მწვერვალ-მწვერვალ, კლდე-კლდე ნახტომებით, ცეკვით შემოუარა დედამიწას. მისი ცხოვრება უფსკრულით იყო შემოწერილი და მაინც ღრუბლებს ზევით მიილტვოდა. სადაც ის სუნთქავდა, იქ არწივებსაც უჭირთ აფრენა. ცისკენ მიმავალი გზა-ბილიკებიდან ეალერსებოდა დედამიწას. მისი ნაკვალევი აჰყვია უშბას, პამირს, ტიანშანს, საფრანგეთისა და იტალიის მთათა მწვერვალებს. რამ ჩაუსახლა სულში მათი დაჯაბნის წადილი, თავად არ განუსჯია აროდეს. ერთი კია: უპატრონოდ მიტოვებული, შეუვალი და განდგომილი მყინვარები წარმართებივით იდგნენ და ელოდნენ... გაყინულ მკერდში ვილაცის ჩახუტება ენატრებოდათ, ვილაცის სითბო, მათზე ამაყის, ამაღლებულის, ვინც დაარღვევდა მათ საუკუნო მდუმარებას და მოვიდა იგი — სვანეთის მთებიდან...

## ფესვები

**მირონ ხერგიანი:** მწერალი, ავტორი წიგნისა „კლდის ვეფხვი“:

— „საოცარია მთა: შეგიჩვევს და ველარ მოსცილდები. თანდათან მშობელივით ახლობელი და საყვარელი ხდება. მთა სულში იდგამს ფესვებს, ისევე, როგორც ხე მიწაში“. — ამბობდა ხოლმე მიხეილ ხერგიანი. ველარ მოსცილდა. ველარ უღალატა. ველარ შეელია, რადგან უკვე ღრმად ედგა ფესვები, რადგან იყო ბეთქილი, ჩორლა, მურათბი კიბოლანი, ალიოშა და გიო, ბექნუ და ჭიჭიკო, გაბრიელი და გოჯი, მაქსიმე და ბესარიონი... და იყო ორი მიხეილ ხერგიანი. „უმცროსი“ და „კლდის ვეფხვად“ ცნობილი მიხეილი. ისინი „ლომის ხეობის“ მონადირეები და მთამსვლელები იყვნენ, ყინულოვან მწვერვალთა მოტრფიალენი, იმათ სვე-ბედთან წილნაყარნი. ისინი თითქოს ფანტასტიკური სამყაროდან მოვიდნენ და ჩვენს თვალწინ შეერწყნენ რეალობას. მიხეილზე ამბობდნენ, ცალი თითით შიშველი კლდის ქიმზე რომ დაეკიდოს, მთელი კვირა კვნესა არ ამოხდებაო. შოტლანდიაში, კლდეზე მიშას ცოცვით გაოცებულ ინგლისის დედოფალს ორად ორი სიტყვა უბრძანებია: „კლდის ვეფხვი“. ამ სახელით გაიცნო იგი მსოფლიომ. ეს ეპითეტი იქცა მისი აღიარების სიმბოლოდ. მიშამ მსოფლიო გაოცებით მოახედა სვანეთის მთებისაკენ და მოწიწებით ქუდი მოახდევინა. სვანები მუდამ ქედს იხრიდნენ კაი ყმის წინაშე. მიშას მერე კი თითქოს ყველა გაოცებას გადაეჩვია, დარჩა სიამაყე. „კლდის ვეფხვის“ არსებობით მოგვრილი სიხარული, მისი დაკარგვის წარუხოცელი ტკივილი და სინანული.

სვანებს ამბობენ: უშბა და თეთნულდი კლდეა, მიწაა, მიწისა და კლდის მომრევი კი ქვეყანაზე ჯერ არ დაბადებულაო. მაგალითებიც თავზესაყრელად ჰქონდათ. ვერ შეედავებოდი — ავსტრალიელთა ჯგუფის, გერმანელი რაიზერის, ალიოშა ჯაფარიძის, ქელებში ონიანისა და მუხინის ტრაგიკული აღსასრული უშბაზე სხვადასხვა დროს, პიმენ დვალისა და სიმონ ჯაფარიძის დაღუპვა ნამქერებში... და მაინც, მიშას მაგიური ძალა ეწეოდა თვალშეუდგამი სიმაღლეებისკენ...

მადლობელი ვარ, რომ თავისი კაცობით ადამიანთა ურთიერთობის ბევრ ამოუხსნელ საიდუმლოს მაზიარა“.

* * *

ძნელია მასზე წერა. შაბლონით ვერ მიხვალ მიშასთან. მან ბევრად გაუსწრო რეალობას. ხშირად ვამბობთ, რომ რაც კაცს გადახდება, ბედისწერაა, მომადლებული ნიჭი — ღვთით ბოძებულიო. ვერსად გაექცევი, რაც ბუნებამ დაგანათლა. ამასთან, წიალია მთავარი. მუხა იმიტომაა ძლიერი, რომ მყარად უდგას ფესვები თავის წიალში. მუხა ყველგან არ ხარობს... თუ არა უშბასავით ნათელი ბაბუა ანტონი, ვერც მიშა გაიტანდა შორს სვანეთის ფანტასტიკურ სიდიადეს. იყო რაღაც უჩვეულო სისხლის დუღილი ამ მოდგმაში. ბაბუა ანტონი მიშას მწვერვალებთან ახლოს, მიუვალ გამოქვაბულებში დატოვებული კაჟის ჩამოტანას დაავალებდა, მასაც კაჟთან ერთად ნანადირევი შურთხიც ჩამოჰქონდა...

— ათი წელია, აღარ ჩამოდიან ლეგვემერის სათიბებში ჯიხვები, არც არჩვები სვამენ ლეხზირის ვეძას, მინაან!.. გააქციეს, დახოცეს და გაანადგურეს. არ კლავდნენ დედა ჯიხვს გიორგობამდე, არ აობლებდნენ ფოთრს (ჯიხვის შვილს. — ავტ.), არ უნდა დაეკოდათ ნადირი ერთზე მეტი, რომ არ გამწყრალიყვნენ დალები ლომის ხეობაში — იქ რომ ახვალთ, შეირიგეთ დალები, იმათაც უყვართ ქარდაკრული ადამიანების ხილვა. მაგრამ იცოდე, მონადირის საქმე სხვაა, მთამსვლელისა — სხვა. ხელმოცარული მონადირე შინაურებთან თუ შერცხვება. მთამსვლელს კი მთელი ქვეყანა ადევნებს თვალს — ასე არიგებდა დიდ გზაზე გასვლის წინ თითქმის საუკუნემოლეული მოხუცი ბაბუა მიშას.

ასე ყალიბდებოდა ერთი ჩვეულებრივი სვანი ბიჭის ხასიათი — მტკიცე და თბილი, უტეხი და მთის ჰაერივით სუფთა. ამ სამყაროდან ოთხი კაცისოდენა ენერგია შეიწოვა, სახელიც ოთხი ერქვა: მინაანი, ჩვიმლიანი, მიხეილი, მიშა... მთელი ცხოვრება თან დაჰყვებოდა მამის ჩრდილგადაკრული სახე. „დიდხანს ვერ გამეგო, რას



ნიშნავდა დინჯი და დარბაისელი ადამიანის ასეთი აფორიაქება. დიდი ხნის მერე, სახიფათო განსაცდელის ჟამსღა მივხვდი ყოველივეს — მამა მთამსვლელი იყო და კარგად ესმოდა, რომ ამ კლდიან გზაზე მოაჯირიანი ბილიკები არ არსებობდა...“ — წერდა მიხეილ ხერგიანი.

## „მი ქა ხვი“

**აკაკი (ხუტა) ხერგიანი:** მიხეილის ბიძაშვილი, ევერესტის ექსპედიციის მონაწილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ალპინიზმში:

— მიხეილი მესტიაში დაიბადა. 13 წლამდე იზრდებოდა სვანეთში. დავაჰკაცდა მთებში და სპორტულ სარბიელზე. მთამსვლელად სისხლის ყივილმა აქცია. ხერგიანებს მოდგმიდან ჰყავდათ მთამსვლელთა უბადლო ოსტატები. მიშას მამა — ბესარიონი, „უმცროსი“ მიშა, თვით მიშა და მისი და თინიკო მთამსვლელები იყვნენ. მიშამ ბავშვობა კლდეებზე სირბილში გაატარა. ცამეტი წლისა მალულად აედევნა ბანგურიანზე მიმავალ ალპინისტებს, უფროსების დაუხმარებლად გავიდა თხემზე. ღამეც გაუთევია მარტოკას საჯიხვეებზე. იდგა თურმე და თეთრ მწვერვალებს ითვლიდა კავკასიონზე. სიჭაბუკეშივე გაიარა ალპიური სკოლა. თავიდან მაინც ფალავნობით მიიქცია ყურადღება — რომ ვიჭიდავებდიო — იხსენებდა მერე, რომელი ილეთით ვაქცევდი მოწინააღმდეგეს, ვერ ხვდებოდაო. როცა საბჭოთა კავშირს დასჭირდა გამორჩეული მთამსვლელის გაგზავნა საზღვარგარეთ, მაშინ მიაქციეს ყურადღება. მიშა იყო კაცი-ლეგენდა, მოარული სიკეთე. სულ ცდილობდა გზა გაეკვლია სხვისთვის. მის სპორტულ კარიერაში 19 შემთხვევაა ცნობილი, საკუთარი სიცოცხლის ფასად საფრთხეში ჩავარდნილებს რომ გაუწია დახმარება. თითქოს კაჟისაგან იყო გამოძერწილი. ექიმები გაოცებული იყვნენ მისი ჯანმრთელობით. შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ ხერგიანმა საბჭოთა ალპინიზმში თუ ვინმეს სიმამაცის, გამბედაობის, გამძლეობის კვალი დაუტოვებია, ყველაფერი ერთ ლამაზ თაიგულად შეკრა და ყველაზე დიდ სიმაღლეზე აიტანა. ურთიერთობაში ხომ ბადალი არ ჰყავდა. სამტროდ რომ მისულიყო კაცი, იმასაც კეთილად განაწყობდა. ეს ღვთითბოძებული თვისება გამოარჩევდა ყველასაგან. რუსი კოლეგები ამბობდნენ, მიშა ჯერ დიდი ადამიანია და მერე დიდი სპორტსმენიო. ზოგჯერ კოლეგას იმასაც ასწავლიდა, როგორ უნდა ეჯობნა მისთვის. იყო ასეთი კაცი — ალმაატელი ოლეგ კოსმაჩევი. გიჟდებოდა, ისე უნდოდა ეჯობნა მიშასთვის. მიშა უხსნიდა, როგორ უნდა გაეკეთებინა ეს. ერთხელ მართლაც აჯობა. მიშა მივიდა და გადაეხვია. საოცარი ბუნების ადამიანი იყო. დედა ადრე გარდაეცვალა და ამას განიცდიდა სასწაულად. მის გახსენებაზე გუნება წაუხდებოდა ხოლმე. ძლივს გამოდიოდა ბურუსიდან. დედის შემდეგ ამ ქვეყნად ყველაზე უფრო „უმცროსს“ შეეთვისა. ისინი სიამის ტყუპებივით იყვნენ. უსიტყვოდ უგებდნენ ერთმანეთს. რაღაცას რომ ვეძებდი, მიხო უმალ მომაჩეჩებდა ხელში. ხანდახან მიკვირდა, რა იცოდა, რას ვეძებდი. ერთგან ჩანჩქერი უნდა გამევლო. გავიჭედე, შემცივდა. ამ დროს მიხოს ისეთი შემოხედვა ვიგრძენი, გავთბი, გავმხნევდი, გავედი სამშვიდობოს. ჩემი მიხოს მაგიური სხივი სულ თან მდევდაო — იტყოდა ხოლმე.

ერთხელ უხასიათოდ ყოფილა. კლდეზე წინ წასულს შალვა მარგიანი ელაზღანდარებოდა რაღაცას. გულმოსულს უთქვამს — შემეშვიო. არ შეეშვა შალვა. გაწყრა მიშა, თოკის შეხსნა დაიწყო და ისეთ ქარაფზე დააპირა გადახტომა, სული ვერ გადაჰყვებოდა — არის წუთები, როცა ყველაფერი სულერთია შენთვის, მართლა აღარაფერი გინდა. ისეთ ხასიათზე ვიყავ, ნამდვილად დავაპირე გადაფრენა უფსკრულში, მაგრამ რომ გადმოვიხედე, მიხოს სასოწარკვეთილ თვალებზე ცრემლი დავინახე და იმან შემაჩერაო... ტიანშანზე თითქმის გაეყინა „უმცროსი“. შეჭირხლული სახიდან ფაქიზად ამტვრევდა ყინულის ლოლუებს. ხელებს უზელავდა. საძილე ტომარაში ფუთნიდა. თან თოვლს უდნობდა, რომ როგორმე მოესულიერებინა მწყურვალი. ეს იყო მწვერვალთან ახლოს, კლდის კიდურზე. გადამაგდეო — ემუდარებოდა თურმე „უმცროსი“, გათოშილი ბაგეებიდან სიკვდილის ხავილი ამოსდიოდა. გადამაგდე, ოღონდ ჩინეთის მხარეზე არაო... თუ არ გადამაგდებ, ძალას მოვიკრებ და მე თვითონ გადავვარდები, აქ, ამ სიმაღლეზე გაყინვას, მიწაზე დანარცხება მირჩევნიაო. — მეც გადმოგყვები — უთხრა თურმე მიშამ მტკიცედ. ის რომ იტყოდა, გააკეთებდა. ამიტომ აიღო ხელი განზრახვაზე „უმცროსმა“. მიშამ ზურგზე მოკიდებული ჩამოიყვანა სამშვიდობოს. შეუდარებელი თამადა იყო. ჩინებულად მღეროდა. რამდენიც არ უნდა დაელია, ფეხი არ აერეოდა. ერთხელ ბიძაშვილის ქორწილში თამადობდა, ბევრი სვა. მიშას ცოლისძმა და უმცროსი ძმა წავიდნენ „წამოსაყვანად“. მიშას წამოსაყვანი გახდა ორივე... ლექსებსაც წერდა. მე მაკითხებდა. სამწუხაროდ, მათ ველარსად მივაკვლიე, ალბათ არ ინახავდა. ინტერვიუს თითქმის არ იძლეოდა. ჟურნალისტებს რასაც ვეუბნები, სხვანაირად წერენ და მრცხვენიაო... მე დაჟინებით მირჩევდა არ გავყოლოდი ალპინიზმს. ერთხელ მითხრა — „მი ქა ხვი“ (მე საკმარისი ვარ). როცა სახიფათო ციცაბოებს შევუყევი, მაშინ მივხვდი, რატომ არ მიმეტებდა კლდე-ღრეებში სახეტიალოდ, იქ ხომ ყოველ წუთს გემუქრება საფრთხე...

## ვის როგორ ახსოვს...

**ალექსანდრე კუზნეცოვი,** სსრკ-ის სპორტის ოსტატი ალპინიზმში:

— როგორ დავწერო მასზე? აი, გადავშალე ჩემი წიგნი „ვნიზუ სვანეტია“ — მიშასადმი მიძღვნილი. გადავიკითხე და მივხვდი, რომ უკეთესი იქნებოდა, მე მასზე აღარ დამეწერა. იგი უკვე წაიკითხა მილიონზე მეტმა კაცმა. წიგნი მიშაზე მოხვდა მწვერვალ „პობედაზე“ (7439მ) ალპინისტებმა მომიტანეს ერთი ეგზემპლარი, რომელიც მოხსნეს მწვერვალიდან. ეს ჯგუფი „პობედაზე“ დიკის მყინვარიდან ავიდა, ვაჟა-ფშაველას პიკის გავლით, მიხეილ ხერგიანის მიერ 1961 წელს გავლილი მარშრუტით.

მიშა საბჭოთა კავშირის თორმეტგზის ჩემპიონი იყო ალპინიზმსა და კლდეზე ცოცვაში. მიშა ძმას მეძახდა. მამამისი ბესარიონი — შვილს. შვიდჯერ ვიყავი ზემო სვანეთში. ვცხოვრობდი ბესარიონის ძველ, სვანურ კოშკიან სახლში... მიშა ოცნებობდა მწვერვალ „პობედიდან“ ჩამოესვენებინა და სვანეთში დაეკრძალა ილიკო“ (გაბლიანი).

**გივი ქართველიშვილი:** საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი:

— 1964 წლის ზაფხულში ბაქსანის ხეობაში, ალპურ ბანაკ „სპარტაკში“, იმდროინდელ ალპინისტურ ელიტას მოეყარა თავი, მიშა ალპინიზმის ინსტრუქტორთა სკოლაში მწვრთნელად იყო მიწვეული და შეგირდად ქართული ჯგუფი ჰყავდა. ვვარჯიშობდით „კლდის ლაბორატორიაზე“, ყველა ჯგუფს თავისი მონაკვეთი ჰქონდა და ტექნიკის სადემონსტრაციოდ ყველა მიშას იწვევდა. ისიც უსიტყვოდ გადიოდა „სხვის“ ურთულეს მონაკვეთზე. მისი საჩვენებელი ცოცვა სოლო-კონცერტს ემსგავსებოდა, იგი გაოცებდა და რაღაც მაგიურს შთაგაგონებდა. ერთხელ, შესვენებაზე ყველა ერთმანეთში ავირიეთ, ვლაზღანდარობდით, ჩვენი სიცილ-ხარხარის ექო იქაურობას აყრუებდა. მიშა კი იქვე, ხის ძირში მიწოლილიყო და ისე მშვიდად და ღრმად ეძინა, გავოცდით. მისი სულიერი სიმშვიდისა და შესაშური, მოწესრიგებული ბუნების ეს სურათი სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში.

## მთებზე მაღალი კაცი

**ჟან ფრანკო,** ფრანგი ალპინისტი:

— 1967 წელს ხერგიანი მიწვეული იყო ქალაქ შამონის ნაციონალურ სკოლაში. ფრანგები გააოცა მისმა სისხარტემ, მან ონიშჩენკოსთან ერთად ურთულესი ასვლებით გაიარა მონბლანის მასივში. ამ ორმა სპორტსმენმა უპრობლემოდ გაიარა გან-ჟორასის ჩრდილო კედელი, გრან-კაპუცინის აღმოსავლეთი კედელი, პტი-დრიუს დასავლეთი კედელი. მიხეილ ხერგიანი ერთ-ერთი უძლიერესი იყო ყველა დროის მთამსვლელთა შორის. მან ცოცვის მაღალი ტექნიკის დემონსტრაცია უჩვენა ბანკონგის მარშრუტზე.

**გივი წერედიანი** — სსრკ-ის სპორტის ოსტატი ალპინიზმში, მიშას მეგობარი:

— მიშასნაირები იშვიათად იბადებიან. რა პროფესიასაც არ უნდა გაჰყოლოდა, ყველა საქმეში აკადემიკოსი იქნებოდა. ძალიან მწყდება გული, რომ მას სუ-ალტოზე შალვა მარგიანი არ ახლდა თან. შალიკო ერთადერთი კაცი იყო, ვინც მიშას თავის ნებაზე არ უშვებდა. სპორტის გზა უსასრულო და მრავალფეროვანია. მაგრამ მიშაზე დიდი ადამიანი ალპინიზმს არ ჰყოლია. 1964 წელს მიშამ „სარკით“ უშბაზე ასვლა გადაწყვიტა. ეს იყო ურთულესი გზა — გაბრიელ ხერგიანის მიერ ერთხელ გავლილი. ჯგუფში მხოლოდ სვანი ალპინისტები იყვნენ: დიდი და პატარა მიშა ხერგიანები, პირიბე გვარლიანი, შოთა ჩართოლანი, ბაგაუ კვიციანი, შალვა მარგიანი და თქვენი მონა-მორჩილი. ჯგუფს ბექნუ ხერგიანი ხელმძღვანელობდა... არ ვაჭარბებ, ეს გმირობა იყო. ასეთ ხასიათებს მხოლოდ მთა ძერწავს...

## სიკვდილთან მოთამაშე

**ვიაჩესლავ ონიშჩენკო** — მოსკოველი ალპინისტი, მიშას მეწყვილე სუ-ალტოზე:

— მე ყოველ ჯერზე მასთან წყვილში ყოფნისას მაოგნებდა ცოცვის მისეული მანერა, პლასტიკური და რბილი. ეს იყო ჭეშმარიტი ხელოვნება. ვუყურებდი და ვფიქრობდი — ნეტავ ამ გლუვ კედელზე როგორ ახერხებს მოჭიდებას? ჩვენი ბოლო შეხვედრა იტალიაში საბედისწერო გამოდგა. სუ-ალტოზე გავდიოდით. ეს არის 700-მეტრიანი მე-6 კატეგორიის სირთულის კედელი. შუა გზაზე შევისვენეთ. იქიდან შესანიშნავად ჩანდა სიმწვანესა და ალპიურ ყვავილებში ჩაფლული ხეობა.

— იცი? — მეუბნება მიშა, როცა თვალებს ვხუჭავ, ყველაფერი ეს ჩემს საყვარელ კუთხეს მაგონებს.

გავაგრძელეთ ალმა სვლა. ორასიოდე მეტრიღა დარჩა. მიშა ტრავერსით გადავიდა მარცხნივ და ჩემი მხედველობის არეალს მიეფარა. მოულოდნელად ქვათაცვენის ხმაური შემომესმა და დაზაფრულმა დავინახე, მიშას სხეული უფსკრულისაკენ მიექანებოდა. ქვას თოკი გადაეჭრა, რომელიც ჩვენ გვაკავშირებდა.




გეთაყვანები სვანეთო, რომ შენს წიაღში ჭეშმარიტი რაინდი იშვა. მან სულ 37 წელი სრული დატვირთვით იცხოვრა. ბედს მადლობას ვწირავ, რომ ასეთ ადამიანთან ურთიერთობის ფუფუნება მარგუნა. რომელ მწვერვალზეც უნდა ავიდე, მუდამ ვგრძნობ მის გასაოცარ სითბოს.

## ბოლოთქმა

ასეთი ადამიანები არ იკარგებიან, არც ბერდებიან. ცაზე არ ქრება მათი ბედის ვარსკვლავი. იალბუზის ყველაზე მაღალი მთის ყინულის ჯავშანს დღესაც აჰყვია თენსინგ ნორგეის სტუმრობის საპატივსაცემოდ მიხეილ ხერგიანის ხელით ამოტვიფრული სტრიქონები: „კეთილი იყოს შენი მობრძანება, ჰიმალაის გმირო!..“

ოცდათხუთმეტი წელია ისევ ელიან სვანეთის მთები. ოცდათხუთმეტჯერ ამოანათეს მის საფლავზე თოვლქვეშ გაყურსულმა ენძელებმა. უმანკო ღიმილი შეაგებეს კავკასიონის შებლშეკრულ მწვერვალებს. მაგრამ ერთი ძარღვიც ვერ შეუტოკეს. დგანან გოროზად და შორეულ გზებს გასცქერიან. იქნებ გამოჩნდეს ისევ ის ამაყი, მათზე მაღალი კაცი. პეშვით ამოიტანოს მზის სითბო და დედამიწის სურნელება. ერთხელ კიდევ შეამკოს დაფნის გვირგვინით წარმართი მწვერვალები. დამწუხრებულებს ხანდახან ცრემლი მოერევათ და ჩანჩქერებად იღვრებიან... მარადიული ლოდინია მათი იმედი...

**ეთერ თარიმანი**

# არ დაიშალა მეფემან...

## ლაშარობაზე ისევ სვამენ 800 წლის წინ ჩაფერფლილი „მთის ყოილის“ სადღეგრძელოს

„ძლიერ არს სიყვარული, ვითარცა სიკვდილი“ — ჩურჩულებდა ქაფქაფა წყალვარდნილთან ჩამუხლული, ძლევამოსილი საქართველოს ჭაბუკი მეფე და ყინულივით შხეფებს ღვინით გახურებულ შუბლზე ისხურებდა. მერე უცებ ცხენს მოახტა და დაბურული ტყიდან ჭენებით გამოენთო. მსახურნი ჰოროლის ცემით დაედევნენ. მეფის ამალა თავაწყვეტილი შეიჭრა ჭერემის ეკლესიის ეზოში. მიმოიფანტნენ მლოცველები და მოქეიფენი. გზა დაუთმეს თამარ დედოფლის ერთადერთ ძეს, ფარდაგები დაუფინეს ფერხთით, ანთებული კელაპტრები შეაგებეს... ის კი ეძებდა თავბრუდახვეული, სიყვარულით ანთებული, მაგრამ ველარსად ჰკიდა თვალი იმ მშვენიერებას, ერთის ნახვით რომ აუჩქროლა გული, თავდავიწყებამდე მიიყვანა... ჩამოქვეითდა, მუხლი მოიყარა ალსავლის კართან, პირჯვარი გადაიწერა, რაღაც იდუმალი შეჰღაღადა განგებას. ხალხი წამოიშალა, მეფის გარშემო შეჯგუფდა და ერთბაშად ყველა მოცელილივით დაემხო წმინდა მიწაზე. თითოეული მათგანი ჭაბუკი მეფის სიძლიერეს, ქვეყნის სიმტკიცეს და მარადიულ ერთიანობას ადიდებდა, რამეთუ ჯერ კიდევ ვერ აღწევდა მონღოლთა ველური ყიჟინა საქართველომდე, თამარის ხატება კვლავ მტკიცე ბურჯად ედგა ქვეყნის შეუვალობას. გალაღებულ ჭაბუკ მეფეს სიყვარული სწყუროდა: მხურვალე, წმინდა გრძნობას შეეპყრო მისი არსება. სასახლის ეტიკეტის ჩარჩოები უკვე დაემსხვრია, ერთგული თანატოლები შემოეკრიბა და ახალგაზრდულ სულს ჰფენდა ამერ-იმერს. ჯერ არც მის საქციელში შეპარულიყო ბზარი! მაინც უჭირდა გამხელა... წამოდგა, ბარბაცით მოიარა მუხისა და წიფლის ჩრდილებში გაშლილი მლოცველთა ყველა სუფრა. მოწიწებით სთავაზობდნენ ლალისფერ ღვინოს, მოწყალებას სთხოვდნენ, მუხლებს უკოცნიდნენ. ისიც ლოცავდა, ეფერებოდა, ხელს შეაშველებდა, წამოაყენებდა და თანატოლივით ემთხვეოდა მხრებზე. ბედნიერების ცრემლი მოსძალებოდათ იქ მყოფთ. მეფის ეგოდენი სიახლოვე მზის სითბოდ იღვრებოდა ირგვლივ. თვითბუნება ლაშა თავდავიწყებამდე სვამდა, ილხენდა „მდაბიორთა“ გვერდით. მას ახლა ყველაზე ძლიერ უყვარდა ეს ხალხი. ხალასი ცრემლი და ღიმილი უათკეცებდა სურვილს, მათ წიაღში ჩაძირულიყო, ქართულ სისხლსა და ხორცში განივთებულიყო, რამეთუ თავადაც იყო ნაწილი იმ მიწიერი სხეულისა, რომელსაც ქართული ჯიში და ჯილაგი ერქვა... „ის“ მაინც ვერსად დალანდა. რაღაც მაგიური ეწეოდა მისკენ. გაჯიქდა, ჭერემიდან ფეხი არ მოიცვალა. სახელდახელოდ გამართულ კარავში განმარტოვდა. მთელი ღამე შესცქეროდა ვარსკვლავებით მოჭედილ ცას. მათ შორის რომელიღაც ამოარჩია, მის ციმციმს თვალი ვერ



მოსწყვიტა, ვიდრე სულ არ ჩაქრა რიჟრაჟზე. განთიადისას მოძღვარი იხმო. ეახლა ხარჭოშელი. დალოცა, უგუნებობა შეატყო; მიზეზი ჰკითხა... მოგვიანებით ისტორია იტყვის: ლაშამ ჭერემის ეკლესიის დღესასწაულზე ნახა „ქალი ვინმე შვენიერი, მოიცო გული მეფისა, ვინაითგან მეფეცა იყო ჭაბუკი კაცი“. ეს ქალი, სახელად სუსანა, მცხოვრები „ახაშენს სოფელსა შინა“, ყოფილა ქალწული და შვილი გაღარიბებულთა ყოველთა თავადთა კლდეკარის ერისთავთა გუარათ მიწობელიძეთა მონათესავთაგანი, გარდმოცვივლულნი წარსულთა დროსვე და აწ გლეხად მხცოვრებნი“.

მოძღვარმა აკურთხა მეფე, „გულისხმიერჰყო“ მისი წმინდა სიყვარული და არ დაუშალა მსახურთ მშვენიერი ქალის მოძებნა. აფრინეს „ოთხივ კუთხივ“ მსტოვარნი მეფისა და მიაგნეს „განძს“, რომელიც შემდგომ სამეფო ზარდახშის ყველაზე ძვირფასი თვალი აღმოჩნდა. ქალი ველისციხელ გლეხკაცზე ყოფილა დანიშნული, მაგრამ „ჯერეთ ქალწული“, გაუთხოვარი, ღარიბ ქოხში ამოზრდილი უფურჩქვნელი ყვავილი... და მოსწყვიტა იგი ჭაბუკმა მეფემ გულზე დასაბნევად. აღბორგდა ამის გამო სამეფო კარი: — ვითარ ეგების მეფემან ჩვენმან გლეხთა ასული მოიყვანოს ცოლად თვისაო?! არ დაიშალა გულოვანმა მეფემ: „იდუმალ ყოველთა იკურთხა მოძღვრისა თვისისგან გვირგვინი“. რჯულიერი ქორწინება ხარჭოის ეკლესიაში შედგა. მეფემ დედოფალი თიანეთს დატოვა და თვით თბილისისკენ გამოემართა. ეტრფოდა შორიდან დიდებულთაგან დაფარულ ცოლს, რადგან არ აძლევდა მეფური კანონი გლეხის ქალთან ქორწინების ნებას. ხშირად ჩადიოდა მთაში და ნამდვილ, ადამიანურ სიყვარულს ნაზიარები, ბედნიერების მორევში იძირებოდა. აქაურმა ლაღმა ბუნებამ და თავისუფალი ცხოვრების წესმა თავიდანვე მოხიბლა თურმე ლაშა გიორგი. ფშაველებმა მისი სახელი თავიანთ მთავარ სალოცავ ხატად აქციეს. ჭაბუკმა მეფემ ხმელგორზე, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ააშენა, რომელსაც „ლაშარის ჯუარს“ უწოდებდნენ აქაურები და სასოება ჰქონდათ „მასზედა“ — ფშაველებს, ხევსურებს, თუშებს, კახელებს. გადმოცემით, ლაშას ფშავში „წაწლობაც“ ფრიად მოსწონებია. შინ დაბრუნებულს რუსუდანისთვის უთქვამს: — ფშაველებს წაწლობა სცოდნიყო, კინაღამ მეც დამაჩვიესო. „კინაღამ“ კი არა, ფშაველებს რომ ჰკითხოთ, თურმე წაწალთანაც პირველად იმათ დააწვინეს და მეფის ნაფერებ „სჯულიერ ცოლსაც“ ისინი უვლიდნენ თვალისჩინივით.

თიანეთს დარჩენილმა მზეთუნახავმა წლისთავზე ვაჟიშვილი აჩუქა მეფეს. ყრმას დავითი უწოდეს (შემდგომში დავით ულუდ წოდებული) მეფემ ჩვილი იოანე მხარგრძელს მოანათვლინა. ხარობდა ახალგაზრდა ოჯახი ერთურთით. სასახლისგან განცალკევებული, მთის მყუდროებას შეფარებული, ეპისკოპოს გიორგი ხარჭოშელის შეწევნითა და ლოცვა-კურთხევით. „მაგრამ საწუთრო განა ვინმეს დიდხანს ახარებს?“ ვერც ლაშამ მოჭამა წუთისოფელი ლხენით: ისევ აირია ღრუბელი მთათა ზედა. ისევ აჯანყდა წარმართთა ბრბო. მეფური საქმეები ხან აღმა დააქროლებდა ლაშას, ხან დაღმა, ფშავ-ხევსურების დაწყნარება სუსანას დაავალა. აუღიარებელი დედოფალი თმაგაშლილი, ფეხშიშველი დაიარებოდა სოფლიდან სოფელში, „ჯვრითა, სანთლითა, საკმევლითა,“. მთის ყვავილების სურნელს აფრქვევდა, ბულბულივით გალობდა წმინდა გიორგის ხატით მკერდშემოსილი. მოჯარდებოდნენ თურმე განდგომილი მთიელები, ციდან ჩამოსული ანგელოზივით შესციცინებდნენ დედოფალს, მისი ხიბლით თავბრუდახვეულნი, მოთვინიერებულნი უბრუნდებოდნენ ლაშარის ჯვარს. მალე ერთ მუშტად შეიკრა მთა. ისევ გაისმა გაერთიანებული საქართველოს სადიდებელი: „თუშნო, ფშაველნო, ხევსურნო, ლაშარი გავაზიაროთ, ერთმანეთს მხარი ვუჭიროთ და მტერი დავაზიანოთ“.

ფეხშიშველა, წყალ-წყალ სიარულმა გულ-გვამში ყინული ჩაუსახლდა ლაშას გულის სწორს. სნეულებამ დარია ხელი. ჩაქრა ცაზე ვარსკვლავი, უდროოდ მოიზრა, შეერწყა მარადისობას. „დამწუხრებულმა ლაშამ დედოფალი ხარჭოის ეკლესიაში დამარხა, შვილი თავის დას მიჰგვარა გასაზრდელად“ (იოანე ბატონიშვილი, „ისტორია ქართლისა“). დამწუხრდა ფშავი, „ზარი გამართეს დედათა“. ხარჭოის ეკლესიას სუსანას სახელზე ერთი ცხვრით მეტი შესაწირავი დაუწესეს.

P.S. როგორ უწინამძღვრა ერს თამარ მეფის ძემ — დღემდე დავაა ისტორიაში. ლაშა გიორგის მხნეობასა და თავაწყვეტილ ცხოვრებასაც გამოუჩნდა არაერთი მსაჯული. სხვისი ცოლის წაგვრა მიუმატა ჟამთააღმწერელმა ჭაბუკი მეფის ცოდვიან ცხოვრებას. იქ კი, მთაში, ლაშარობის დღესასწაულზე თავმოყრილი თუშ-ფშავ-ხევსურები ისევ სვამენ ხოლმე 800 წლის წინ ჩაფერფლილი „მთის ყოილის“ სადღეგრძელოს.

***ეთერ თარიმანი***



# ტელეფონი და ვარდები კვირაობით...

ჩემს დღევანდელ რესპონდენტს ისეთმა „დიდმა კაცმა“ გაუწია პროტექცია, აუცილებლად უნდა შეხვდეო! — ვერაფრით რომ ვერ შევკადრებდი უარს... და ერთ მშვენიერ საღამოს ქალბატონი ლიას მყუდრო სახლის მისაღებში ამოვყავი თავი, სადაც ლამის მთელი ოთახი როიალს უჭირავს.

ჩემი თხოვნით მასპინძელმა ბეთჰოვენის „მთვარის სონატაც“ დაუკრა მართლაც ვირტუოზულად და სხვა რომ არაფერი ყოფილიყო საინტერესო, მაინც კმაყოფილი დავტოვებდი ამ სახლს.

...მერე კი რაც მოვისმინე, თქვენ უნდა გიამბოთ და ეჭვიც არ მეპარება, ჩემსავით გაგითბებათ სული. სინანულიც დაგეუფლებათ, რომ სწორედ ასე დამთავრდა რომანტიკულად დაწყებული ამბავი:

— ცუდი გოგო არ ვიყავი, მაგრამ ისე მოხდა, გაუთხოვარი დავბერდი... თუმცა წუნია ნამდვილად გახლდით და „ჩვეულებრივი კაცი“ ვერ წარმომედგინა ჩემ გვერდით, გამორჩეულს ვეძებდი: ყველაზე ჭკვიანს, ლამაზს, მუდმივად შეყვარებულს... ყოველთვის უამრავი თაყვანისმცემელი მყავდა და მეგონა უსასრულოდ გაგრძელდებოდა ასე, მაგრამ... წლებს ვინ დაუტოვებიათ გაუძარცვავი, რომ მე ვყოფილიყავი გამონაკლისი!.

მოკლედ, უკან რომ მოვიხედე და პანიკამ შემიპყრო, უკვე ძალიან გვიანი იყო. ადრიან გაზაფხულზე 52 წლისა გავხდი და აწი გათხოვებაზე ფიქრი მართლა უაზრობაა, როცა საოცნებო შვილების გაჩენის აღარავითარი შანსი აღარ დამრჩა...

როცა ჩემს მარტოობაზე დავფიქრდი, შემეშინდა. ამ შიშმა გარეგნულადაც მომტეხა და რომ არა მუსიკა (ქ-ნი ლია მუსიკალური სკოლის პედაგოგია! — ი.ჯ.), შეიძლება თავის მოკვლაზეც მეფიქრა. მუსიკა მეხმარება: როცა რაიმე მიხარია, ან სულაც ტირილი მინდა — მივუჯდები როიალს და ასე „ვტირი“ ან „ვიცინი“...

ის უცნაური ამბავი ოთხი წლის წინ დაიწყო და მთლიანად შეცვლა ჩემი მარტოობის დღეები: ერთ საღამოს ტელეფონმა დარეკა და ისეთი ახლობელი იყო მამაკაცის ხმა, — ლია, თქვენ ხართო? — ლამის საგულიდან ამომიხტა გული, ასაკიც დამავიწყდა და შინაბერობაც!..

— მე ვარ-მეთქი... — ძლივს ვუპასუხე.

— მიყვარხართ!.. — მომახალა გასროლილ ტყიასავით და კიდევ კარგი, ვიჯექი, თორემ კისერს მოვიტეხდი.

— რაღაც გეშლებათ, თქვენ მე ალბათ არ მიცნობთ... — ამ სიტყვებს კი ვამბობდი, მაგრამ არ მინდოდა მართლა შეცდომა ყოფილიყო მისი ნათქვამი.

— არაფერიც არ მეშლება, მიყვარხართ... თანაც, წლები გადის და ჩემს გრძნობას თუ ემატება, თორემ არაფერი აკლდება!..

— თუ დიდი ხანია გიყვარვართ, ამდენ ხანს რატომ არ გამოჩნდით-მეთქი?!. — ვკითხე დანანებით, რადგან მისი მამაკაცური „ხმა“ უკვე მიყვარდა და ეჭვიც არ მეპარებოდა, ამ ხმის პატრონი ელეგანტური მამაკაცი იქნებოდა!..

— ვერ გაგიბედე, სად შენ და სად მეო?!. — და სანამ დამემშვიდობებოდა, მთხოვა — კარი გააღე, გამოიხედეო!..

ისე მივვარდი კარს, ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ იქ იდგა და მელოდა... კართან ვარდების ისეთი თაიგული იდო, თითქოს თავად მზემ მომანათა და გამიღიმა...

...დღეგამოშვებით რეკავდა, დაწვრილებით მიყვებოდა, სად დამინახა და რა ბედნიერი იყო ამით. ჩაცმულობას ხან მიწუნებდა — თალხი ფერები არ გიხდებაო, ხან მიწონებდა — ყვითელი კაბა გეცვა, ძალიან გიხდებოდაო!.. ანდა — წუხელ არ დამეძინა, გულმა შენს ფანჯრებთან მომიყვანა. ვიცოდი, შენ უკრავდი, გისმენდი, შენმა მუსიკამ ბედნიერება მომანატრაო!.. ვარდებს ყოველ კვირას მიგზავნიდა, სულ ერთმანეთზე უკეთესს...

...მოკლედ, თავგზა ამირია და იქით ვეხვეწებოდი, შევხვდეთ-მეთქი. სასტიკი უარი მითხრა, — შენი ღირსი რომ ვყოფილიყავი, დროს არ დავკარგავდი, მოგიტაცებდიო...

ვუსაყვედურე, მაშინ რაღას გამოჩნდი, რაღას ამაფორიაქე, ვიყავი ჩემთვის მშვიდად, მარტოობას შეგუებული-მეთქი!..

— რაღაცნაირად „ჩამქრალი“ დადიოდი და მივხვდი, ცხოვრებას შეუშინდი, ეჭვი გაგიჩნდა, ყველასთვის ზედმეტი ვარო... ამ დროს კი, შენით მიხარია სიცოცხლე და როგორ არ მეთქვაო...

— მახინჯიც რომ იყო, მაინც შეგიყვარებ, ოღონდ მოდი-მეთქი! — ლამის დავუჩოქე.

ყურმილი დამიკიდა. გადიოდა დღეები, თვეები... აღარ რეკავდა. ვარდები კი ყოველ კვირას მხვდებოდა კართან...

დავუდარაჯდი და ერთხელაც მეეზოვე გაბრიელი შევისწარი, საწყალი, ხეიბარი კაცი, რომელსაც თუმცა დიდი ხანია ვიცნობდი (მეზობელ ეზოში ცხოვრობდა), ხეირიანად არც ვესალმებოდი, თავადაც ხშირად მარიდებდა თვალს...

შევეხვეწე, — მითხარი, ვინ გამოგატანა ეგ ვარდები, რანაირი კაცი იყო, ან სად წავიდა-მეთქი.

— აბა, მე რა ვიცი, ქალბატონო, ვინ იყო და სად წავიდა, არც შემიხედავს, ხურდა მაჩუქა და მთხოვა, ეს თაიგული თქვენს კართან დამედოო!..

აღარ რეკავდა...

მეტის მოთმენა აღარ შემეძლო და ჩემს მეგობარს გამოვუტყდი (ქმარი უშიშროების თანამშრომელი ჰყავს) და ვთხოვე, — იქნებ როგორმე დამიდგინოთ, ვინ რეკავდა და საიდან-მეთქი?!.

... ორიოდე დღეში მომადგა კარს ჩემი მეგობარი ქმართან ერთად: — წავედით, „დამნაშავე“ ხაფანგში მყავსო!..

...ნეტავი იცოდეთ, რა დამემართა, როცა მეეზოვე გაბოს (გაბრიელის) სახლში მიმიყვანეს: — აი, შეყვარებული რომანტიკოსიო!..

გაბრიელს ცრემლი მოადგა თვალზე: — მაპატიე, არ მინდოდა ტკივილი მომეყენებინაო.

...გაოგნებულმა ვერაფერი ვუთხარი, უხმოდ გამოვედი და... გამოვიქეცი!..

კოჭლი, დამბლადაცემული მეეზოვე და ის საოცარი მამაკაცური ხმა ვერაფრით დავუკავშირე ერთმანეთს...

ტირილში გავათენე ღამე!..

გაბრიელი იშვიათად მხვდებოდა...

მერე სულ დაიკარგა...

ერთ მშვენიერ დღეს მივხვდი, რომ საოცრად მაკლდა... მინდოდა გამეგო, სად იყო, ბოლოს და ბოლოს, იმდენი რომანტიკული დღე მაჩუქა, მე კი... მე სასტიკად მოვექეცი. მინდოდა მივსულიყავი და ბოდიში მომეხადა.

— სამი თვის წინ დავასაფლავეთ,

— გულმა უღალატა საწყალსო...

— მითხრეს მეზობლებმა. არადა, არც ხნიერი იყო თურმე, ჩემზე უმცროსიც ყოფილა ორი წლით...

ძალიან მინდა „კვირის პალიტრამ“ დაწეროს ჩემსა და... გაბრიელზე!.. მინდა ქალების გასაგონად ვთქვა, ნუ გამოედევნებიან ოცნებებს...

... ვუსმენდი ქალბატონ ლიას და ვერაფერს ვამბობდი...

P.S. ქალბატონო ლია ყოველ კვირას დადის გაბრიელის საფლავზე და... ვარდები მიაქვს...

***ინგა ჯაყელი***



# ოდესღაც დიდი ყოფილა საქართველო...

## ინტერვიუ ისტორიული რუკის შემდგენლებთან

***XIII საუკუნის საქართველოს რუკა, რომელსაც „კვირის პალიტრა" 26 მაისის დღესასწაულისთვის თავის მკითხველს საჩუქრად უძღვნის, XII-XIII საუკუნეების ქართულ, სპარსულ, არაბულ საისტორიო წყაროებსა და თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაზე დაყრდნობით არის შედგენილი.***






დავით აღმაშენებელი



თამარი და გიორგი III

საქართველოსთვის უმთავრეს ტკივილად მის სხეულს მოკვეთილი მიწები რჩება, მიწები, რომელიც ისტორიის უკუღმართობის გამო უხვად დაგვიკარგავს, მოღალატეებს გაუჩუქებიათ, მცონარებითა თუ გულგრილობით ბედის ანაბარა მიგვიტოვებია. დღეს დაცარიელებული სოფლები ხვალ და ზეგ ჩვენი შვილებისთვის შეიძლება დაკარგული მიწები აღმოჩნდეს. ქართველებს ძალიან გვიყვარს პოეტის სტრიქონების გამეორება — „ოდესღაც დიდი ყოფილა საქართველო"...

საქართველოს იურისდიქციაში არსებული ტერიტორია ყველაზე დიდი XIII საუკუნის დასაწყისში იყო. იმ პერიოდსა და დღევანდელობაზე ვესაუბრებით ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **მანანა სანაძესა** და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **თამაზ ბერაძეს**. მათ შარშან გამოსცეს მეტად საყურადღებო ნაშრომი საქართველოს ისტორიაზე (ანტიკური ხანა და შუა საუკუნეები) და საქართველოს ისტორიული ატლასი (კოკა თოფურიასთან ერთად), რომელიც მსოფლიო ისტორიის კონტექსტში წარმოგვიდგენს კარტოგრაფიულად დაწერილ ჩვენი სამშობლოს თავგადასავალს.

— ამ რუკის შედგენისას ვისარგებლეთ XII-XIII საუკუნეების ქართული, სპარსული და არაბული საისტორიო წყაროებით და თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევებით. ამ ნაშრომს, და მათ შორის ამ რუკასაც, რომელსაც „კვირის პალიტრა" მკითხველს უძღვნის, ოთხი წელი შევალიეთ, — გვითხრეს შემდგენლებმა.

ქალბატონ მანანასა და ბატონ თამაზს რამდენიმე საკითხზე ვთხოვეთ კომენტარი, დარწმუნებული ვართ, ეს საქართველოს ყველა მოქალაქეს დააინტერესებს.

### როდის იყო საქართველო ყველაზე დიდი ტერიტორიის პატრონი

საქართველოს ყველაზე დიდი ტერიტორია 1225 წლამდე, ლაშა-გიორგის მეფობის ხანაში ჰქონდა.

XI ს-ის 60-70-იან წლებში სელჩუკების შემოსევების შემდეგ ბიზანტიის სახელმწიფომ აღმოსავლეთში დიდი ტერიტორია დაკარგა და მას წინააზიაში ჰეგემონობა აღარ შეეძლო. საქართველო ცდილობდა, ბიზანტიის ადგილი დაეკავებინა მსოფლიოს ამ უმნიშვნელოვანეს რეგიონში და მის მიერ დაკარგული ტერიტორიებიც შემოეერთებინა. დავით აღმაშენებლის მეფობის ხანიდან საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანი უკვე გამოიკვეთა, მსოფლიო ასპარეზზე გამოვიდა ქართული ეკლესიაც, რომელსაც აღმოსავლეთის ქრისტიანობაში ჰეგემონური მდგომარეობა ეკავა.

ჯალალედინის შემოსევამდე მთელ მახლობელ აღმოსავლეთში ოთხი „ზესახელმწიფო" არსებობდა: რუმის სასულთნო, ეგვიპტე (რომელიც XIII საუკუნის 20-იან წლებში უშუალოდ ესაზღვრებოდა საქართველოს), ხორეზმი და საქართველო. ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტია და იმდროინდელი წინააზიის პოლიტიკურ ცხოვრებაში საქართველოს დიდ ხვედრით წონაზე მიუთითებს. თუმცა საქართველო ზემოხსენებულ ოთხეულში მაინც ყველაზე პატარა ქვეყნად რჩება. მაშინ საქართველოს სახელმწიფოში, ისტორიულად ქართული მიწების გარდა, შედიოდა ჩრდილოეთ სომხეთი, დაღესტნის, ცენტრალური და დასავლეთ კავკასიის დიდი ნაწილი.

### როგორი იყო დიდი საქართველოს ეთნიკური შემადგენლობა

XIII საუკუნეში საქართველოში შემოდიოდნენ კავკასიელი ხალხები: ქაშაგები (ჩერქეზები), ალან-ოსები, დურძუკები, ღუნძები, ლეკები, საქართველოს მფლობელობაში იყო რანი, ისტორიული სომხეთის დიდი ნაწილი. XIII საუკუნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართველები იყვნენ, მეორე ადგილი სომხებს ეკავათ.

### რამდენი იყო საქართველოს მოსახლეობა და რამდენად მჭიდროდ იყო დასახლებული ჩვენი ქვეყანა

მაშინ საქართველოს მოსახლეობას ის ტერიტორიაც ჰქონდა ათვისებული, დღეს რომ დაცარიელებულია და აღარავინ ცხოვრობს. ვამბობთ, მცირერიცხოვანი ერი ვიყავითო. არ არის ეს მთლად სწორი. ჩვენ ვიყავით ევროპული ტიპის ქვეყანა შესაბამისი რაოდენობის მოსახლეობით. შემორჩენილია მონღოლების დროინდელი მოსახლეობის აღწერა. მაშინ საქართველო 9 სადუმანოდ იყო დაყოფილი. თითო დუმანიდან 10 ათასი მოლაშქრის გამოყვანა შეიძლებოდა. გამოდის, რომ მაშინ ქვეყნიდან 90 ათასი მეომარი გადიოდა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ მოლაშქრედ გადიოდა ყოველი მეცხრე კომლიდან ერთი გლეხი. კომლი დღევანდელ ოჯახს კი არ ჰგავდა, გაცილებით დიდი იყო: სამი თაობა ცხოვრობდა ერთად, სულ მცირე, 10 კაცი მაინც ხომ იქნებოდა ერთ კომლში?! თანაც, ამ მოლაშქრეთა შორის ფეოდალები არ იგულისხმებოდნენ. თუკი ასე დავიანგარიშებთ, 900 ათასი კომლი მაინც იქნებოდა საქართველოში, მთლიანად მოსახლეობა კი — 8 მილიონს აღემატებოდა, მათ შორის 5-6 მილიონი ქართველი იქნებოდა. ეს არც ისე მცირე რიცხვია. ამდენივე იყო მაშინდელი საფრანგეთის მოსახლეობაც, ხოლო ინგლისისა — ორჯერ ნაკლები.

### რატომ შევმცირდით ქართველები

საქართველოს მოსახლეობა განუწყვეტელმა ომებმა შეამცირა. დღეს ჩვენს სამშობლოში ქართველები მხოლოდ 3.6 მილიონი ვართ. აქტუალურია დემოგრაფიული პრობლემა. ასეთ პირობებში როგორ გავმრავლდებითო, — ვამბობთ. მსოფლიო ქვეყნების 2/3-ს უარესი პირობები აქვს და დემოგრაფიული აფეთქებები სწორედ ასეთ ქვეყნებში ხდება. ამიტომაც გაჭირვება რეალური მიზეზი არ არის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკაში კაცი შვილების რაოდენობით ფასობდა. ჩვენთვისაც გამრავლება პრესტიჟული უნდა გახდეს.

სომხეთი დაახლოებით ჩვენს დღეშია, აზერბაიჯანის მოსახლეობა კი ინტენსიურად იზრდება. ეს შედარებით ახალი ერია, ისტორიის ასპარეზზე გვიან გამოვიდნენ, აქვთ ამისი სტიმული, სურვილი და ენერგია... არც ქართველებს გვაქვს დაშრეტილი სასიცოცხლო ძალები, მაგრამ ერთმანეთთან ბრძოლაში ფუჭად ვხარჯავთ ენერგიას.

### როდის ჩამოსახლდა სხვა ეთნოსი დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე

XVI-XVIII საუკუნეებში განუწყვეტელი ომებისაგან დღევანდელი საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი მკვიდრი მოსახლეობისგან დაიცალა. სწორედ ამ დროს დაიწყო უცხო ეთნოსის მოსახლეობის შემოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე. ალან-ოსების შემოსვლამ მაქსიმალურ რიცხვს მიაღწია XVIII საუკუნეში. მათ მოსაზღვრე მიწებზე ქართველები მტრებმა გაწყვიტეს და ისინი თავისუფლად იწყებდნენ ცხოვრებას ახალ სამოსახლოებში. XVI საუკუნეში შემოვიდნენ ქართლის ტერიტორიაზე პირველი აზერბაიჯანელები — ქართულ ისტორიულ წყაროებში თათრებად წოდებულნი.

XIII საუკუნეში საქართველოს ფარგლებში მოქცეული სომხეთის ტერიტორია — დღეს სომხეთის რესპუბლიკაა. რაც შეეხება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, იქ მოსახლეობა ყოველთვის ქართული იყო. დღევანდელი ახალქალაქისა და ახალციხის სომხური მოსახლეობა თურქეთიდან — არზრუმიდან არის ჩამოსახლებული. რუსეთ-თურქეთის ომისას (1828-1829 წწ.) გენერალმა პასკევიჩმა აიღო ახალციხე, ახალქალაქი და ბრძოლა თურქეთისაკენ განაგრძო. არზრუმის მოსახლეობა კეთილად შეხვდა პასკევიჩს, ამიტომ, როცა მან უკან დაიხია, სომხებს იქ დარჩენისა შეეშინდათ და გამოჰყვნენ პასკევიჩს. მანაც 90 ათასი კომლი სომეხი საქართველოს სასაზღვრო ზოლში — ახალციხე-ახალქალაქში ჩაასახლა. არსებობს დოკუმენტები, როგორ წერდნენ ისინი რუსეთის იმპერატორს, — ახალციხეს ნოვი არზრუმი დავარქვათო.

### რა შეცდომებს ვუშვებთ?

ჩვენ სათანადო ყურადღებას ვერ ვიჩენთ საქართველოს სასაზღვრო რეგიონებისადმი. ახალციხე-ახალქალაქი სომხეთს ესაზღვრება და ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენი ყურადღების მიღმაა დარჩენილი. სომხეთისაკენ მიმავალი გზები კარგია, თბილისისაკენ და დანარჩენი საქართველოსაკენ — დანგრეული, ლარი იქ არ მოქმედებს — რუსული რუბლია მიმოქცევაში, რუსული სამხედრო ნაწილი დგას და სომხების გარკვეული ნაწილი იქ მუშაობს, განათლებას სომხურად იღებენ სომხეთში დასტამბული სახელმძღვანელოებით, სწავლობენ სომხეთის ისტორიას. მათ საქართველოში მუშაობის და დაწინაურების პერსპექტივა უქრებათ... ამიტომ არც უნდათ...

ისინი, ისევე როგორც აზერბაიჯანელები და ჩვენ ქვეყანაში მცხოვრები სხვა ეთნოსის ადამიანები საქართველოს მოქალაქეები არიან და მათ ისეთივე მოვალეობები და უფლებები აქვთ, როგორც ქართველებს. თურქეთში ხომ ყველა თურქად ითვლება — ეთნიკური ქურთიც, ქართველიც, ბერძენიც და ეს სწორი დამოკიდებულებაა.

თუნდაც გავიხსენოთ, რომ ერეკლე II-ს 150 თათარი ჰყავდა პირად დაცვაში და ისინიც ისევე დაეცნენ ბრძოლის ველზე, როგორც 300 არაგველი.

თუკი მარტო ამას ვიძახებთ — ის სომეხია, ის აზერბაიჯანელია, ის ოსიაო, ამგვარი საქციელით ისინი მუდმივად სახელმწიფოსთვის თავში საცემად დარჩებიან.

***ლელა ჯიჯაშვილი***



# სკანვორდი ფრაგმენტებით











1 რეჟისორი ფილმისა „რომეო და ჯულიეტა“
2 საწყალოსნო სპორტის უძველესი სახეობა
3 ქვეყნ. აღსასრული, განკითხვის დღე
4 „სევილიელი დალაქი“ (გრაფი)
5 ნოტი
6 რაიონული ცენტრი რიონზე
7 ხმის ელფერი
8 ... მოროშკინა
9 ტბა, უნგრეთის მშვენება
10 გასანათებელი საშუალება
11 ცხოველის ზურგის ნაწილი
12 გამოძიების ერთ-ერთი მიმართულება
13 წამლის მყარი სასაქონლო ფორმა
14 მცირემასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია
15 იტალიის უდიდესი მდინარე
16 შოლოხოვის ეპოპეა „წყნარი ...“
17 სასაცივე ფრინველი
18 რომაელი მხედართმთავარი, კონსული და დიქტატორი
19 ბარძიმაშვილი, კიკაბიძე, იაშვილი, დავითაია
20 საქართ. ჰიმნის ტექსტის ავტორი
21 ლოს-ანჯელესის განთქმული პლაჟი
22 საჭადრაკო ფიგურა
23 კედლის შანდალი
24 პატარა მფრინავი, ძუძუმწოვარა ცხოველი
25 ყვავილებით მოფენილი ნაკვეთი
26 თავისუფალი ადგილი დაწესებულებაში
27 „იოსები და ძმანი მისნი“ (ავტორი)
28 საათის ჩვენება
29 მსხვილი თოკი
30 ხახის ლორწოვანი გარსის ანთება
31 ... სებისკვერაძე
32 წყლის ტრანსპორტი
33 მაუგლის მეგობარი
34 ფრანგი ფეხბურთელი
35 იარაღის ამერიკელი კონსტრუქტორი
36 ყურძნის არაყი
37 ქიმიური ელემენტი
38 „დინამოს“ ვეტერანი თავდამსხმელი
39 თბილისის ძველი უბანი
40 მსხვერპლშეწირვის ქალ. ინდურ. მითოლოგიაში
41 ამერიკული სიგარეტი
42 ჰანგი, კილო, მოტივი
43 ოპერა „კარმენის“ კომპოზიტორი
44 იაპონური ცივი იარაღი
45 თამაშის წინ გაღებული თანხა
46 ძვირფასზეწვიანი ვირთხა
47 №38 ას უმდიდრეს რუსს შორის
48 მდინარე ვოლგა ძველად
49 შავი გედი ჩაიკოვსკის „გედების ტბაში“
50 სახელმწიფო აფრიკაში
51 იაპონური ვალუტა
52 მთათა სისტემა აზიაში
53 მდინარე საქართველოში
54 დედამიწის თანამგზავრი
55 მეტყველების ორგანო
56 მუხა; რცხილა, თელა
57 პინოჩეტის ხროვა
58 ორი წერტილი კამათელზე
59 ფრანგი მომღერალი ... დასენი
60 ბილიარდის სათამაშო ჯოხი
61 ჯენიფერ ლოპესი– ჯეი ...

**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. ფა; 2. ფი; 3. პარიკი; 4. ლავრა; 5. ტორი; 6. რიკი; 7. ტოი; 8. სკოპიე; 9. რა; 10. სმოლენსკი; 11. მაუდი; 12. ბრა; 13. სადღეგრძელო; 14. ლენსკი; 15. ნიკელი; 16. გო; 17. ლიე; 18. დიჯეი; 19. ეჯი; 20. სუმო; 21. სვია; 22. ულეო; 23. მენტორი; 24. დღე; 25. გენტ; 26. პროლოგი; 27. გიდი; 28. ულუ; 29. უბადლო; 30. თეთნულდი; 31. ბოი; 32. თეძო; 33. ომანი; 34. უგანდა; 35. ბუენო; 36. ვეზუვი; 37. მედეო; 38. დეპო; 39. მოლა; 40. ლი; 41. ალპი; 42. დოდე; 43. დონ; 44. ოდრი; 45. მახა; 46. ხე; 47. ტაო; 48. ლეი; 49. დანაყრება; 50. კუმისი; 51. „სი“; 52. ლოს; 53. ლისტი; 54. სოლისტი; 55. ლალი; 56. მი; 57. ინა; 58. ალ; 59. ყაიმი; 60. როი; 61. რენიე; 62. ბენ; 63. ბეკასი; 64. ჭენება.
1. ძილისგუდები; 2. ლარინგოლოგი თევზაობისას; 3. არგენტინული კედელი; 4. პეტანკი; 5. ქრის წმენდის ახალი მეთოდი.

პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნომერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები

შეადგინა რამაზ ალანიამ

# მამულ-დედული

## როგორ გავზარდოთ წიწილები



ძალიან ბევრი მკითხველი გვწერს იმის შესახებ, რომ უნდათ შინაური ფრინველის მოშენება. მაგრამ ამ ბოლო წლებში სულ უფრო უჭირთ წიწილების გამოზრდა და რჩევისთვის რუბრიკა „მამულ-დედულს“ მიმართავენ, იქნებ დაწვრილებით გაგვაცნოთ, როგორ უნდა გამოვზარდოთ ოჯახის პირობებში, ვთქვათ, 100 წიწილაო. ჩვენც სიამოვნებით ვასრულებთ მათ თხოვნას.

აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად მრავალი ფაქტორია გასათვალისწინებელი. პირველი მაინც გახლავთ თბილი საწიწილე, რომელშიც ტემპერატურა წიწილების ასაკის მიხედვით უნდა არეგულიროთ: პირველი ხუთი დღის განმავლობაში 25 გრადუსი მაინც უნდა იყოს, 40-დან 60 დღემდე კი — 18. ეს, რა თქმა უნდა, იგულისხმება წიწილების ხელოვნურად გამოზრდისას, თუმცა კრუხის ყოლის დროსაც ტემპერატურა 15 გრადუსზე ნაკლები არ უნდა იყოს. საწიწილეში უნდა იყოს სათანადო სანიტარული პირობები, ვენტილაცია, საფენი, რომელიც ყოველდღიურად იცვლება, სუფთა წყალი და ვიტამინებით მდიდარი საკვები. ტემპერატურით იმიტომ დავიწყეთ, რომ წიწილები ყველაზე მეტად გაცივების გამო ილუპებიან.

კიდევ ერთი ძირითადი ფაქტორია — წიწილების ნორმალური კვება. ამის სანიმუშო „მენიუს“ ქვემოთ მოგვყავს.

### დღიური საკვები ულუფა 100 წიწილაზე

***1-დან 3 დღემდე ასაკის:*** მოხარშული კვერცხი 2 ც, ფეტვის ან სიმინდის ფაფა 300 გ, ხორბლის ქატო 200 გ, მწვანე საკვები 100 გ, მოხდილი რძე 300 გ.

***4-დან 10 დღემდე:*** ფეტვის ან სიმინდის ფაფა 500 გ, ქატო 200 გ, ხაჭო 200 გ, მოხდილი რძე 500გ, მწვანე საკვები 400 გ.

***11-დან 20 დღემდე:*** ხორბლის ნარჩენი (ნაკმაზი) 900 გ, ხორბლის ქატო 400 გ, ხაჭო 400 გ, მოხდილი რძე 1 კგ, მოხარშული დაკეპილი ხორცი 200 გ, მწვანე საკვები 800 გ.

***21-დან 30 დღემდე:*** დაღერღილი და დაფქული მარცვალი 900 გ, ხორბლის ქატო 800 გ, ნაკმაზი 500 გ, მოხარშული კარტოფილი 800 გ, ხაჭო 400 გ, მოხდილი რძე 400 გ, მოხარშული დაკეპილი ხორცი 300 გ.

***31-დან 40 დღემდე:*** დაღერღილი და დაფქული მარცვალი 900 გ, ხორბლის ქატო 800 გ, ნაკმაზი 800 გ, მოხარშული კარტოფილი ან წვრილად დაჭრილი ჭარხალი 1200 გ, ხრილი (წისქვილის ქვაზე შერჩენილი მტვერი) 500 გ, ხაჭო 400 გ, მოხდილი რძე 500 გ, მოხარშული დაკეპილი ხორცი 500 გ, წვრილად დაღერღილი მზესუმზირის კოპტონი 300 გ, მწვანე საკვები ან სტაფილო 1 600 გ.

***41-დან 50 დღემდე:*** დაღერღილი და დაფქული მარცვალი 900 გ, ხორბლის ქატო 800 გ, ნაკმაზი 1 600 გ, მოხარშული კარტოფილი ან წვრილად დაჭრილი ჭარხალი 1 800 გ, ხრილი 1 კგ, მოხარშული დაკეპილი ხორცი 500 გ, წვრილად დაღერღილი მზესუმზირის კოპტონი 500 გ, მწვანე საკვები ან სტაფილო 2 400 გ.

## ერთი სვეტი შეკითხვებისთვის

### ჩაი

**— ამბობენ, ჩაი დიდი რაოდენობით შეიცავს კოფეინს და ჯანმრთელობისთვის მავნებელიაო.**

***ნუგზარ გოგიაძე***



— ჩაი ბევრად უფრო მეტ სასარგებლო ნივთიერებას შეიცავს, ვიდრე დღემდე იყო ცნობილი. ეს გახლავთ ტანინი, რომელიც დიდი რაოდენობითაა ჩაიში — განსაკუთრებით მწვანეში (ორჯერ მეტი, ვიდრე შავ ჩაიში). ფერმენტაციის შემდეგ ტანინი შესანიშნავ გემოსაც იძენს და D ვიტამინის წყაროც გახლავთ. თანაც, P და C ვიტამინი ისე კარგად არის ჩაის ფოთოლში შეზავებული, რომ ფინჯან ჩაისთან ერთად საჭირო რაოდენობის სასიცოცხლო ნივთიერებას ვიღებთ. გარდა მთრიმლავი ნივთიერებისა, ჩაი შეიცავს: ალკალოიდებს, ეთერზეთებს, ამინომჟავებს, პიგმენტებს და ვიტამინებს. ალკალოიდებს შორის ყველაზე ცნობილია მატონიზებელი კოფეინი, რომლის გამოც ასე ეტანებიან ჩაის. ალბათ ბევრმა არ იცის, რომ ჩაი უფრო მეტ და ადვილად შესათვისებელ კოფეინს შეიცავს, ვიდრე ყავა, თანაც, მასში შემავალი კოფეინი ტანინთან კომპლექსში უფრო მსუბუქად მოქმედებს გულ-სისხლძარღვებსა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. ჩაის კოფეინს ახასიათებს ერთი შესანიშნავი თვისებაც, იგი არ გროვდება ადამიანის ორგანიზმში, რაც გამორიცხავს კოფეინით მოწამვლას ყოველდღიურად ჩაის მიღების შემთხვევაშიც. კოფეინის გარდა, ჩაი უმნიშვნელო რაოდენობით შეიცავს წყალში ხსნად ალკალოიდებს, რომლებიც სისხლძარღვების გაფართოებასაც უწყობს ხელს. უამრავ პროფილაქტიკურ და სამკურნალო ნივთიერებას შეიცავს მწვანე ჩაი — მათ შორის ანტისიმსივნურ და ანტირადიაციულს.

## ქლიავი



კურკოვან კულტურებში, ქლიავი ერთ-ერთი საუკეთესოა. მისი ნაყოფი მრავალ სასარგებლო ნივთიერებას შეიცავს: შაქრებს — 17%, მჟავებს — 3%-მდე, მთრიმლავ ნივთიერებებს — 1%, პექტინს — 1%, A,C,P ჯგუფის ვიტამინებს. თესლი შეიცავს 42%-იან ცხიმოვან ზეთს. ქლიავის ბაღი საუკეთესოა მეფუტკრეობისთვის, თაფლის მაღალი გამოსავლიანობის მხრივ (37კგ-მდე ჰა-ზე). ნაყოფი გამოიყენება მურაბის, ხილფაფის, ჩირის, კომპოტის, საწებლის, მარმელადის, წვენის, ღვინის და არყის ნედლეულად. საუკეთესო საძირეა ატმის, გარგარისა და ნუშისთვის.

საქართველოში 30 ჯიშის ქლიავი ხარობს, თუმცა ძირითადი ჯიში, რომელიც ხშირად გვხვდება, გაცილებით ნაკლებია.

მრავლდება მყნობით, საძირედ გამოიყენება ტყემალი. ირგვება 10 X 10, 8 X 8 მეტრის დაშორებით. ჩვენს ნაკვეთებში მცირე ფართობის გამო, შეგიძლიათ დარგოთ ერთეული ეგზემპლარის სახით ან 5 X 5 მ-ზე. ყინვაგამძლეა. საუკეთესო ნიადაგად ქლიავისთვის ითვლება ღრმა ნეშომპალა-კარბონატული და მუქი ნაცრისფერი ნიადაგები. მოითხოვს ტენის დიდ რაოდენობას, თუმცა გადაჭარბებული რწყვაც უარყოფითად მოქმედებს.

დაავადებებიდან ყველაზე ხშირია ფოთლის ლაქიანობა. ნაყოფი ავადდება სოკოვანი დაავადებებით, რომლის თავიდან ასაცილებლად საუკეთესო ღონისძიებაა კვირტის დაბერვამდე 2-3%-იანი ბორდოს ხსნარით ჩამორეცხვა და ნაყოფის გამონასკვის შემდეგ 1%-იანი ბორდოს ხსნარის შესხურება. თუ 2 კვირის შემდეგ შესხურებას გაიმეორებთ, ზემოთ ნახსენებ დაავადებებს თავიდან საბოლოოდ აიცილებთ. ჩვენში შავი ქლიავის სახელით მოიხსენიება ჯიში „იტალიური ვენგერკა“, რომლის ჩირიც არაფრით ჩამოუვარდება ცნობილ კალიფორნიულ „შავ ქლიავს“.

## არჩვი



არჩვი სუბალპურ ზონაში, ზღვის დონიდან 1500-4000 მ-ის სიმაღლეზე ცხოვრობს, მეჩხერ ტყეებში, შვეულ კლდოვან კალთებსა და ქვაყრილებში. არჩვი მეტისმეტად ფრთხილი ცხოველია, ძოვის დროს ხშირად ზვერავს მიდამოს, თუ რაიმე საეჭვო შეამჩნია, ქანდაკებასავით გაშეშდება და დიდხანს დგას ასე. ხიფათის შემჩნევისას საგანგაშოდ უსტვენს, მთელი ფარა სხვადასხვა მხარეს იფანტება და გაქცევით შველის თავს. ზოგჯერ არჩვები ჯიხვებთან ან ირმებთან ერთად ძოვენ. ღრუქიანების ოჯახისა და თხების ქვეოჯახის ამ მშვენიერი წარმომადგენლის სხეულის სიგრძე 100-120 სმ-ია, წონა 25-45 კგ, უკანა ფეხები წინაზე გაცილებით გრძელი აქვს, რქების საშუალო სიგრძე 25 სმ-მდეა. გავრცელებულია პირენეს, ალპების, აპენინების, კარპატების მთებში, კავკასიონზე... ჩვენში ამჟამად არჩვი ბინადრობს ახმეტის, ამბროლაურის, ლაგოდეხის, თიანეთის, დუშეთის, ყაზბეგის, მესტიის, ლენტეხის, საჩხერის, ბორჯომის, ბაღდათის, ოზურგეთის, ვანის, მარტვილის რაიონების, აფხაზეთის, აჭარისა და სამაჩაბლოს მაღალმთიანეთში.

## ჭილყვავი, მავნებელი თუ?..



ყორნისებრთა ოჯახის ფრინველია, ყვავისოდენა, მამალი ოდნავ დიდია დედალზე. ზრდასრული მთლიანად შავია, თავზე ლურჯი, ფრთებზე მომწვანო, ხოლო სხეულის დანარჩენ ნაწილზე იისფერი ელვარებით. ხნიერი ფრინველის ბუმბული გაქუცულია. ახალგაზრდა ჭილყვავი ძალიან ჰგავს შავ ყვავს, მაგრამ ნისკარტი უფრო წვრილი აქვს. აღწერილია 3 სახეობა, საქართველოში გვხვდება ე. წ. ჩვეულებრივი ჭილყვავი. ჭილყვავები გაზაფხულზე წყვილდებიან. დედალი 3-7 კვერცხს დებს ბუდეში, რომელსაც ხის ტოტებისგან აშენებენ, აფენენ მცირე ზომის მცენარეულ ღეროებსა და ბუმბულს. ერთ ხეზე ზოგჯერ ათი და მეტი ბუდეც არის ხოლმე. ბინადრობს მეჩხერ ტყეებში, ტყისპირებში, ჭალებში. ჭილყვავი გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში მეტწილად მწერებით იკვებება, ხოჭოებით, მავთულა ჭიებით. ზაფხულის მეორე ნახევარში ჭამს: კარტოფილს, კიტრს, მზესუმზირას, სიმინდს, ხორბალს და ა.შ. მაგრამ გაზაფხულ-ზაფხულში მწერების მასობრივი განადგურებით მოტანილი სარგებლობა მაინც ჭარბობს მის მავნეობას. ჭილყვავი შაქრის ჭარხლის საშინელი მავნებლის, ჭარხლის ცხვირგრძელას დაუძინებელი მტერია. აღწერილია შემთხვევა, როცა მეურნეობაში, რომლის ტერიტორიაზეც ჭილყვავები არ ბინადრობენ, შაქრის ჭარხლის პლანტაციებზე შეწამვლის შემდეგ 2,5 ტონა მწერი აუკრეფიათ, ხოლო იქ, სადაც ჭილყვავების 2 გუნდი ბინადრობდა, აკრეფილი მწერების რაოდენობა 8 კგ-ს არ აღემატებოდა.

## ქათმის ნაკელი

**— თბილისში მაქვს ხეხილის ბაღი, აქვე ვთესავ მწვანილს. მყავს ქათმები, მაგრამ ქათმის ნაკელს ვერ ვიყენებ ნიადაგის გასანოყიერებლად. მითხრეს, შეიძლება ამ ნაკელმა ხეხილი დაწვასო. თქვენ რას მირჩევდით?**

***შოთა ცოტაძე***

— ქათმის ნაკელი (სკორე) ერთ-ერთი საუკეთესო ორგანული სასუქია, რომელსაც იყენებენ როგორც მრავალწლიანი, ისე ერთწლიანი კულტურების გამოსაკვებად. ახალი ნაკელი უნდა გაიხსნას წყალში 1 წილი 10-12 წილზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი კგ ნაკელი გაიხსნას 10-12 ლ წყალში. ერთ გრძივ მეტრზე შეაქვთ 1 ვედრო (10-12 ლ) ხსნარი და კვალს ნიადაგით ფარავენ. ხეხილის ირგვლივ აკეთებენ კვალს, შეაქვთ მასში ნაკელის წყალხსნარი და ასევე ნიადაგით ფარავენ.

## მკითხველის ფოტო



ჩვენთან, სოფელში...

## მოზაიკა

* * *

*გარდა იმისა, რომ კოდალას (რომლის 8 სახეობაც გვხვდება საქართველოში) დიდი სარგებლობა მოაქვს, როგორც ტყეების, ბაღების და პარკების უბადლო სანიტარს, მის მიერ გაკეთებულ ფუღუროებში იბუდებენ სხვადასხვა სახეობის ფრინველები.*

* * *

*კოლორადოს ხოჭო 8 კმ/სთ სიჩქარით დაფრინავს. დებს 400-მდე კვერცხს. ხოჭო წვერიდან ძირამდე ანადგურებს კარტოფილის (და ამ ოჯახის წარმომადგენლების) ფოთლებს. ერთი დედლის მარტო ერთი წლის „ნამატის“ გამოსაკვებად საჭიროა 25 ტონა ფოთოლი! — რასაც სჭირდება 100 000 ძირი მცენარე. პირობები რომ ხელს უწყობდეს, ერთი დედალი ხოჭო ზაფხულის ბოლომდე დადებდა 30 მილიონ ცალ კვერცხს!*

* * *

*ბაყაყს ორ დიდ ქალაქში — პარიზსა და ტოკიოში ძეგლები უდგას — მედიცინის დარგის განვითარებაში „ღვაწლისთვის“.*

* * *

*არსებობს 1 მ-მდე სიგრძის ჭია — პალოლო, რომელიც კუნძულ სამოაზე ბინადრობს. ეს ჭია ქვირითით მრავლდება და ქვირითობისას ზღვის ზედაპირზე, იმდენად ბევრნი არიან, რომ გამოცდილ მეზღვაურებსაც კი ეშლებათ რიფებში. ადგილობრივი მოსახლეობა სიამოვნებით მიირთმევს ბუნების ამ საოცრებას(!).*

***გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ***

## რედაქციისაგან:

**ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ.**

**გთავაზობთ აგრეთვე, გაგვიზიაროთ თქვენი პირადი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვაწოდეთ საკუთარ მამულ-დედულში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოები (ამ ნომერში კიდევ ერთ ფოტოს გთავაზობთ).**

**წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით და რუბრიკის მითითებით.**

26 წლის თამუნა ს-ს დედა რედაქციაში გვესტუმრა: ჩემი შვილი ერთი თვის წინ ძლივს გადაურჩა სიკვდილს. ჯერ უჭირს სიარული, ამიტომაც გთხოვთ, მოინახულოთ. უნდა დარდი გაგიზიაროთო.

მეორე დღესვე ვესტუმრე თამუნას. იგი იწვა, მარცხენა ფეხზე თაბაშირი ედო, სხვა მხრივ ავადმყოფობისა არაფერი ეტყობოდა. ღიმილად იფრქვეოდა.

— ბოლო ერთ წელიწადში ეს უკვე მეორე ავტოავარიაში მოვხვდი. პირველს თუ შედარებით იოლად გადავურჩი, მეორემ მძიმე დღეში ჩამაგდო, — დაიწყო თამუნამ, — ამას კი ღვთის სასჯელად მივიჩნევ.

— *რა დააშავე ასეთი?*

— ერთი შეხედვით, ისეთი არაფერი. შეიძლება გაგეცინოთ კიდეც, მაგრამ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, რასაც ახლა გიამბობთ.

ყოველთვის ღირსების გრძნობას ვანიჭებდი პირველობას. ვფიქრობდი, რომ დიდი სიყვარულის გულისთვისაც კი არ შეიძლებოდა ღირსების დაკარგვა.

მე და ლიკა ბავშვობის მეგობრები ვართ. ერთ ფაკულტეტზეც ვსწავლობდით. რაღაცით ვგავდით კიდევაც ერთმანეთს და ბევრს დებიც კი ვეგონეთ. ერთ დღეს ლიკამ მახარა, — არაჩვეულებრივად კარგი ბიჭი გავიცანი, ზაზა ჰქვიაო. ძალიან გამიხარდა. რამდენიმე დღის შემდეგ ლიკამ მთხოვა, — ზაზას უნდა შევხვდე, მარტო ვერ წავალ და წამომყევიო. ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე — იქნებ, იმ ბიჭს რა აქვს შენთან სათქმელი-მეთქი. ერთი სიტყვით, ბევრი ჩიჩინის მერე, დავარწმუნე, რომ სრულიად ზედმეტი ვიყავი და მარტო გავუშვი. გვიან საღამოს, ლიკა მოვიდა და გახარებულმა ყველაფერი დაწვრილებით მიამბო. რამდენიმე დღის შემდეგ ზაზამ მცხეთაში გასეირნება შესთავაზა და უთხრა, შენი მეგობრებიც წამოიყვანეო. აღარ მითქვამს უარი, რადგან ერთი სული მქონდა, როდის გავიცნობდი ზაზას. ის მართლაც კარგი მოსაუბრე, თბილი და ხალისიანი ყმაწვილი გამოდგა.

მას შემდეგ ყველგან ერთად დავდიოდით. გეფიცებით, მაშინ გაცილებით ბედნიერი ვიყავი და თავს უკეთ ვგრძნობდი. მერე, ყველაფერი აირ-დაირია... რამდენიმე თვის შემდეგ ლიკამ ეჭვი გამიზიარა: რაღაც ცვლილებას ვატყობ ზაზას, თითქოს გული გაუგრილდაო. არასოდეს ვყოფილვარ დაკვირვებული და კირკიტა, ამიტომაც სიცილით მივუგე: — ისე გიყვარს, რომ ეჭვები მოსვენებას აღარ გაძლევს-მეთქი. თუმცა, მოგვიანებით, როცა ზაზას ლაპარაკს და ქცევას დავაკვირდი, მეც მივუხვდი რაღაცას. მას ძალზე ბუნდოვნად აღარ უნდოდა ჩვენთან დიდხანს ყოფნა. საღამოობით დამირეკავდა, მომიკითხავდა და ათას რამეზე მელაპარაკებოდა. ერთხელ ვკითხე, — ლიკას თუ ელაპარაკე-მეთქი. რა თქმა უნდა, ჯერ მას დავურეკე, მერე შენო. რაც დრო გა-

# არ მინდა ვიყო „ვიღაც" მესამე

დიოდა, ვატყობდი, ლიკა უფრო და უფრო დარდობდა. ზოგჯერ მეც კი გამირბოდა. ალბათ წაკამათდნენ-მეთქი და გადავწყვიტე, შემრიგებლის როლი მეკისრა. ზაზას შეხვედრა ვთხოვე. მაშინვე დამთანხმდა. მეგონა, ტრადიციულად შევხვდებოდით უნივერსიტეტის წინ, კაფეში, მაგრამ ზაზამ მითხრა, — წყნეთში სახლი მაქვს, წამომყევი, თან ვილაპარაკოთო. ზაზას თვალდახუჭული ვენდობოდი, ძმად მიმაჩნდა და როგორ შემეძლო რაიმე მეეჭვა? თბილისს რომ გავცდით, კარგა ხნის დუმილი მე დავარღვიე და ვკითხე: — ზაზა, რა ხდება შენსა და ლიკას შორის, ამ ბოლო დროს რატომ გაურბიხარ. თუ მნიშვნელოვანი რამ მოხდა შენს ცხოვრებაში და ლიკას ვერ ეუბნები, მე მითხარი. ვეცდები, გავიგო და ლიკასაც გავაგებინებ-მეთქი. უცნაურად შემომხედა, სახე შეეცვალა, ბოლოს, გააჩერა მანქანა და კარგა ხნის მერე მიპასუხა: დიდხანს ვებრძოდი თავს, მაგრამ ვერ მოვერიე. ლიკა მართლაც ძალიან მომწონდა, მეგონა, მიყვარდა, მაგრამ ნამდვილი სიყვარული რა ყოფილა, მას შემდეგ მივხვდი, რაც შენ გავიცანი. მიჭირს ამის ლიკასთვის თქმა, შენ კი სულ მენატრები... ვფიქრობდი, ამას რომ ვეტყვი, ზურგს შემაქცევს და წავა, დამტოვებს-მეთქი. ენა მუცელში ჩამივარდა. ისე დავიბენი. ჰაერი, სუნთქვა გამიჭირდა. მანქანიდან კი არ გადმოვედი, გადმოვვარდი და სწრაფი ნაბიჯებით გავუყევი გზას. ზაზაც გამომყვა. მაშინ დაკვირვებისთვის თავი სად მქონდა, ახლაღა მახსენდება ზაზას გაფითრებული სახე. არ წახვიდე, თორემ არ ვიცი, რა დამემართებაო, — ჩუმად მითხრა. ცივად მივუგე: — აღარ გაბედო ჩემთან დარეკვა და ჩემი ხსენებაც. ჩემი მეგობრის წყენას არავის შევარჩენ-მეთქი. თბილისისკენ მიმავალ მანქანას გავაჩერე და წამოვედი.

ლიკა იმ საღამოსვე მოვიდა. ჩემთან ხმამაღლა არა, მაგრამ თვალებში მეკითხებოდა, რამე ხომ არ მოხდაო. ვერ შევძელი სიმართლის დამალვა, გულახდილად ვუამბე ყველაფერი, შუბლშეჭმუხნილმა მისმინა, ბოლოს, ყრუდ ამოილაპარაკა: — მე ზედმეტი ვყოფილვარო და კარი გაიხურა. ძალიან შევწუხდი. იმ წუთებში ზაზა უზომოდ მეჯავრებოდა. მეორე დღეს არ შემეხმიანებია ლიკა. დავურეკე. ჩემი ხმა რომ გაიგ-



ონა, ყურმილი დამიკიდა. კინაღამ გავგიჟდი — ნუთუ მე მადანაშაულებს-მეთქი და შინ მივადექი. ლიკას რომ ველაპარაკებოდი, ცრემლებს ვერ ვიკავებდი, მაგრამ შევატყვე, ჩემს ახსნა-განმარტებას აზრი არ ჰქონდა — ჩემი ერთი სიტყვისაც არ სჯეროდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ზაზამ დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. ისე ვიყავი მასზე გაბრაზებული, რომ მისი ხმის გაგონებამ შემაძრწუნა. მკაცრად ვუთხარი, — ლიკას დაურეკე-მეთქი. ჩემთან დარეკვა კი ავუკრძალე. შემდეგმა დღეებმა თითქოს მშვიდად ჩაიარა, მაგრამ რაღაც შეუცნობელი შიშით ვიყავი გათანგული. ამიხდა წინათგრძნობა. ლიკა მოვიდა ჩემთან და ცივად მომახალა: — ქალბატონო, რაც გინდოდა, იმას მიაღწიე შენი კეკლუცობით. ზაზამ დამირეკა — სჯობს დავშორდეთო. ტირილი ამივარდა. ასეთი ლიკა მეუცხოვა, ბავშვობის მეგობარს არ სჯეროდა ჩემი...

ლიკა და ზაზა დაშორდნენ. მე კი ძვირფასი და ძალიან ახლობელი მეგობარი დავკარგე... ზაზა შიგადაშიგ ცდილობდა ჩემთან ურთიერთობის აღდგენას, მაგრამ არ ვიკარებდი. ბოლოს, ისევ ლიკა მოვიდა ჩემთან და მითხრა: ზაზას მართლაც ძალიან უყვარხარ და ჩემი გულისთვის ხელს ნუ ჰკრავ, ახლა ცუდად არის და შენი ნახვა უნდაო... კარგა ხანს ვითრიე ფეხი. არ მინდოდა ზაზასთან მისვლა, მაგრამ როცა მისმა მეგობარმა, კახამაც მთხოვა, უარი ველარ ვუთხარი. ზაზა იწვა. საოცრად ფერმკრთალი მეჩვენა. თვალები გაუბრწყინდა ჩემს დანახვაზე. ცოტა ხანს ვისაუბრეთ და წამოვედი. იმ დღის მერე მივხვდი, ახალი რამ იწყებოდა ჩემს ცხოვრებაში. თუმცა გულს მაინც ვეწინააღმდეგებოდი. მე და ზაზა როგორ უნდა ვიყოთ ერთად ბედნიერი, როცა ვიცი, რომ ლიკა იტანჯება-მეთქი.

ნათესავის ქორწილიდან წამოსული ავტოავარიაში მოვყევი. მძღოლი იქვე გარდაიცვალა, მე ტვინის შერყევა მივიღე და ხელი მოვიტეხე, დანარჩენები შედარებით მსუბუქად დაშავდნენ. იმ დღიდან ავიჩემე: ღმერთმა დამსაჯა, რადგან უნებურად მეგობარს გული ვატკინე-მეთქი. მჯეროდა, რომ ეს იყო ერთგვარი გაფრთხილება, რათა უარესი არ ჩამედინა. დავიფიცე, რომ ზაზასთან ურთიერთობა (თუმცა ჩვენ შორის მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა) შემეწყვიტა. ამან ზაზა გაანადგურა. ვიდრე საავადმყოფოში ვიწექი, გვერდიდან არ მომცილებია. შინ რომ დავბრუნდი, იქაც მოვიდა და მითხრა: — თუკი ხელს მკრავ, ამით არც ლიკა იქნება ბედნიერი, არც მე და არც შენ. თავს არ უტყუებ, თორემ ვგრძნობ, შენც გიყვარვარო. ძალიან გავბრაზდი, თუმცა უხეშად არ მომიცილებია. ვთხოვე ცოტა დიდხანს ედროვებინა. ფეხზე რომ დავდექი, ზაზას კვლავ გავუმეორე, — ნულარ მინახულებ, მირჩევნია, არც ერთი არ ვიყოთ ბედნიერი, ვიდრე ერთი ჩვენგანი უბედური-მეთქი.

ზაზა ძალიან იტანჯებოდა. არა უშავს, დრო მკურნალია, გაუვლის ეს გრძნობა და დაწყნარდება-მეთქი, მაგრამ არ გაუარა, არც დაწყნარდა.

ეტყობა, თვითგვემამ თავისი ქნა, სიზმრებში მეცხადებოდა დედა პარასკევა (მცხეთის დედათა მონასტრის მონაზონი, რომელიც მამა გაბრიელის საფლავს უვლის. — მ.ბ.) და მირჩევდა ზაზასთან მისვლას. როცა დავრწმუნდი, ზაზა მიყვარდა, მივედი...

თებერვლის ერთ მზიან დღეს, ქალაქგარეთ გავისეირნეთ. მეორედ მაშინ მოვყევი ავტოავარიაში. ზაზაც მძიმედ იყო, მე ხომ ძლივს გადავრჩი. გონს მოსულმა უმალ ის გავიფიქრე, ალბათ ეს სასჯელია, არასოდეს მეღირსება ბედნიერება ზაზასთან-მეთქი. თავი დავირწმუნე, რომ მე, მართალია, უნებლიეთ, მაგრამ მაინც „მესამე ზედმეტი" ვარ...

თქვენთან გულის გადაშლამ თითქოს შვება მომგვარა. ერთსაც გთხოვთ, თუ ძნელი არ იქნება თქვენთვის. ალბათ ხშირად გიწევთ ქალაქში სიარული. მე კარგა ხანს ჯერ ვერ დავდგები ფეხზე. ზაზა გამოკეთდა, ჩემთან მოსვლა სურს, მე კი უარზე ვარ. გთხოვთ, იქნებ ინახულოთ დედა პარასკევა. მოუყევით ჩემი ამბავი. იქნებ, მან მირჩიოს სწორი გზა. მე ხომ ხშირად ვნახულობდი მას სიზმარში (ამ რამდენიმე დღის წინაც მესიზმრა) და მირჩევდა, ზაზასთვის ხელი არ მეკრა. საინტერესოა, ცხადში რას მეტყვის, როგორ ახსნის და გამართლებას მოუძებნის ჩემი და ზაზას ურთიერთობას.

**P.S.** თამუნას დავპირდი, რომ აუცილებლად მოვინახულებდი დედა პარასკევას და დაუფარავად ვუამბობდი მის ამბავს. იგი იმდენად შეშფოთებულია იმ ყველაფრით, რაც თავს გადახდა, რომ მართლაც მალამოსავით მოეცხება დედა პარასკევას რჩევა-დარიგება.

***მარინა ბაბუნაშვილი***

**ჩვენ გვწერენ**

# იქნებ, მობრუნდეს ჩემი სიყვარული...

ძალიან გთხოვთ დამიბეჭდოთ, იქნებ, ამ სტრიქონებზე იყოს დამოკიდებული ჩემი სიცოცხლე. ჰო, სიცოცხლე, თვით ღმერთის მიერ ნაბოძარი საჩუქარი, რომლის ხელყოფაც ერთხელ უკვე ვცადე.

ჩემი ცხოვრება არარაობაა, სიცოცხლე — სუნთქვა, მიზანი — ის „ერთი", მომავალი — გაურკვეველი, ბურუსით მოცული... ყველაფერმა დაკარგა ჩემთვის ფასი. უცნაურობათა კარუსელში ვზივარ თითქოს, რომელიც გაუჩერებლად ტრიალებს.

ისევ ჩამოწვა ულიმღამობისა და მოწყენილობის გაბმული ზუზუნი. დრო საშინლად ნელა მიდის, თითქოს მიღოღავს. ისევ წვიმა, ისევ ავდარი, ისევ წყვდიადი... რა არაჩვეულებრივი ძალა გაქვს ამ თითქოსდა ჩვეულებრივ კაცს. ნეტავ ვის შეუძლია გაიგოს ჩემი ძახილი, რომ უშენოდ სიცოცხლე არ მსურს. როგორ მენატრები! შეუძლებელია სიტყვებით გადმოვცე ან გამოვხატო. თვალწინ შენი სახე მიდგას, ლამისაა ხელებგაწვდილმა მოვიარო მთელი სახლი, რათა სადღაც შენს აჩრდილს მაინც მოვკრა თვალი. სიგიჟემდე მენატრები... მწყურია შენი ხილვა, მსურს შენს სუნთქვას ვუსმინო. რა ახლოსა ხარ და რა შორს. მიკვირს, როცა ასეთი სიყვარულის ცეცხლი ტრიალებს ჩემს სულში, შენ მშვიდად როგორ გძინავს... თავდავიწყებამდე, გაგიჟებამდე მიყვარხარ! მიყვარხარ, გესმის?..

აზრს ველარ ვაწყობ. სიტყვა სიტყვას არ მისდევს და წინადადება-წინადადებას. ერთფეროვანი დღეები, არეული ფიქრები, აწეწილი ცხოვრება, დაკარგული რწმენა. გამუდმებული ცრემლები, გრძნობა, რომელსაც ველარ ვაკონტროლებ. უცნაური განცდები, რომელიც მხოლოდ მაშინებს, სულს მიწეწს, მტკენს... ვგრძნობ, ჩემი გონება, ცნობიერება სადღაც მიქრის, ჩემზე წინ. იქ კი ტკივილია. იმაზე უფრო მწველი და მტანჯველი, ვიდრე აქ. ვხედავ გატანჯულ გრძნობას. ვგრძნობ, როგორ მეჩხირება ბურთი ყელში. მახრჩობს, მგუდავს და მხოლოდ ფიქრები მოდის, ტკივილიანი ფიქრები და შენ გეძებენ, შენკენ მოქრიან, გეძახიან... მენატრები... მდუმარე დღეები, წყენა, საყვედური, უყურადღებობა. სიყვარულის ნატვრაში დათენებული ღამეები. ნაცნობი ფეხის ხმა. საყვარელი სურნელი, სიგარეტის ბოლი, მისი ნამწვავები. მოზღვავებული გრძნობა. სიგიჟე. შენ გამო თავის გაწირვა. იდეა კი არა, შმაგი სიყვარული, რომელიც თავს არ მანებებს, უფრო მიმძაფრდება. გაუთავებელი ტკივილი. ჩემგან წასული ცნობიერება. დაბნეული საქციელი.

მონატრება, უსაზღვრო მონატრების გრძნობა... გეძახი ისე, როგორც არავის არასდროს დაუძახია შენთვის, მიყვარხარ ისე, როგორც არავის არ ჰყვარებიხარ. მენატრები და ეს მონატრება ისე ძლიერია, როგორც მომაკვდავის სურვილი, — კიდევ გაგრძელდეს მისი სიცოცხლე რამდენიმე ხანს... შენთვის ვცხოვრობ. უშენოდ არ მჭირდება, არ მინდა არაფერი. არც სიცოცხლე, არც არსებობა... უმიზეზოდ არ დაიდო ჩემი ცოდვა, არ მიმატოვო. სანამ შეიძლება ყველაფერი კარგად იყოს. დამესიზმრე მაინც. იქ მაინც მითხარი ის, რაც ჩემთვის არასდროს გითქვამს...

**P.S.** *გიჟი არ გეგონოთ, უბრალოდ ეს სასოწარკვეთილი, შეყვარებული 21 წლის გოგონას ტკივილია, რომელმაც სიცოცხლის ხელყოფა განიზრახა, მაგრამ გადაარჩინეს. ახლა? ახლა ეს დამიბეჭდეთ. ვინ იცის, თქვენ გადამარჩინოთ. იქნებ, შემობრუნდეს ჩემი სიყვარული ჩემკენ. დიდი მადლობა წინასწარ ყველას, მთელ „კვირის პალიტრას".*

***თბილისი, 19 მაისი, 2004 წელი***

# ჰარმონიული ენერგეტიკული გარემო თქვენს ბინაში

**ადამიანმა თავი ბედნიერად რომ იგრძნოს, აუცილებელია, შენობაში, სადაც ის ხშირად იმყოფება, შეიქმნას ჰარმონიული ენერგეტიკული გარემო. საამისოდ:**

— სინათლე (შუქი) დადებითი ენერგიის უძლიერესი სტიმულატორია, განსაკუთრებით — მზის სხივები. ამიტომ ოთახი უნდა იყოს ნათელი.

— დიდი მნიშვნელობა აქვს მაგიდის ფორმას. ოვალური მაგიდა მასთან მსხდომთ კეთილად განაწყობს ერთმანეთისადმი.

— ვიდრე ნოხს მტვერსასრუტით გაწმენდთ, მას ცოტა მარილი მოაყარეთ. ის მტვერთან ერთად უარყოფით მუხტს მოაცილებს მას.

— ყვავილები აუცილებელია სათანადო ენერგეტიკული გარემოს შესაქმნელად, ეცადეთ: ისინი ოთახის კუთხეებში განათავსოთ. განსაკუთრებით კარგია მათი სამხრეთით დადგმა.

— კაქტუსები და სხვა ეკლიანი მცენარეები თქვენგან მოშორებით, ფანჯრის რაფებზე შემოდგით. ისინი ბინას საუკეთესოდ დაიცავენ არასასურველი „სტუმრებისაგან".

— კედელზე ჩამოკიდებული ჩანჩქერების, მდინარეების, ზღვების და მისთანათა სურათები სიკეთეს მოიტანს თქვენს ოჯახში.

— აკვარიუმი დადგით ბინის ჩრდილო-აღმოსავლეთ ან სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

# ო, ეს ფერადი ლინზები

**წარმოგიდგენიათ, რა სასწაულებს სჩადიან კოსმეტიკური ქირურგები, არ გაშალა ფრთები ქალის ფანტაზიამ?! ღვთით ბოძებულ გარეგნობას აღარ სჯერდებიან და ხან მერილინ მონროობა უნდათ, ხან ჯულია რობერტსობა და ა.შ. ექიმებიც მზად არიან ჭირვეული ქალბატონების სურვილების დასაკმაყოფილებლად. ახლახან ორი კვირის უნახავ მეგობარს შევხვდი. ფერადი ლინზები ჩაუდგამს, თაფლისფერი თვალები გაუმწვანებია. მუქი ფერის თმა გაუქერავებია, სახეზე „ზაგარის" კრემი წაუსვამს და შესანიშნავი მაკიაჟის წყალობით ისე დამგვანებია შერონ სტოუნს (ალნაგობა კი უწყობს ხელს), რომ პირდაღებული ვუყურებდი. ჩემი გაოცება ჯანდაბას. როცა გარეგნობაშეცვლილი შინ დაბრუნებულა, ქმარი ისე გაკვირვებულა, რომ სამი დღე უცხო ქალივით ექცეოდა თურმე...**

**გადავწყვიტე გამეგო, ბევრი ცდილობს თუ არა გარეგნული იერის შეცვლას და როგორი რეაქცია აქვთ ამაზე მათი ოჯახის წევრებს.**

**ნატა (42 წლის):** — მული მყავს ჩემზე 10 წლის უფროსი. ანგელოზივით ლამაზი სახე აქვს, მაგრამ ბავშვობიდანვე ძალიან მსუქანი იყო. ამის გამო ბევრი იწუნებდა. რამდენიმე ოპერაცია გაიკეთა და იმ უზარმაზარი ქეთიდან მართლაც ულამაზესი ქალი დარჩა ექიმების წყალობით. ბოლო ოპერაციის 6 თვის თავზე ერთ-ერთი მკურნალი ექიმი სიყვარულში გამოუტყდა და ხელი სთხოვა. ქეთიც სიამოვნებით გაჰყვა ცოლად...

**მაკაკო (38 წლის):** — მესამე შვილის გაჩენის შემდეგ გვარიანად გავსუქდი. ჩემი ქმარი გიჟდებოდა, რას ჰგავხარო. დავიწყე „შეიპინგზე" სიარული. ვცურავდი, მაგრამ შედეგი უმნიშვნელო იყო. გადავწყვიტე, საქმეში ექიმები ჩამერთო. გამოვაწურინე ცხიმები ორგანიზმიდან, ტანწერწეტა გავხდი და ქმარიც კმაყოფილი მყავს. რას იზამ, სილამაზე და სიყვარული მსხვერპლს მოითხოვს.



**ლევანი (42 წლის):** — ერთ დღეს ძმაკაცს მივაკითხე შინ: კარი ვიღაც მაგარმა ქალმა გამიღო. გამიღიმა, — ლევან, შემოდი, გია აბაზანაშიაო. დავიბენი. ვინ არის, საიდან მიცნობს, ან ნეტავ გიას მეუღლე სად არის-მეთქი. ეტყობა, შემატყო დაბნეულობა. თაკო ვარ, რა გაოცებული მიყურებ, შემოდი, რაღას უცდიო. გადავირიე კაცი. ცხვირ-ტუჩის კოსმეტიკური ოპერაცია გაუკეთებია, თვალები და წარბები აუჭიმია, თმა ახლებურად დაუვარცხნია, გამხდარა. გიამ რომ დამინახა, სიცილი აუტყდა. მომიყვა: საღამოს, შინ მივედი, არავინ დამხვედრია. ნეტავ ცოლ-შვილი სად დავკარგე-მეთქი. კაი ხნის მერე თაკომ დამირეკა — ცოტა დამაგვიანდება და არ შეგეშინდეს, ბავშვები დედაჩემთან დავტოვეო. ასე, ღამის 12 საათზე ზარმა დარეკა, კარი გავაღე, ვიღაც მაგარი სათვალიანი ნაშა იდგა. მოიხსნა სათვალე, გავოგნდი, თითქოს ნაცნობი იყო, მაგრამ ვერ ვცნობდი. გია თქვენა ხართო, — რომ მკითხა, თან გაეცინა და ხმით ვიცანი საკუთარი ცოლი. გაგაგიჟებენ ქალები, რა არ მოუვათ თავში.

**თემური (36 წლის):** — ვერ გავიგე, რა არის პლასტიკურ ოპერაციებში ცუდი. მარტო ქალები კი არა, კაცებიც უნდა იკეთებდნენ. მე, მაგალითად, დიდი, პარტყუნა ყურები მქონდა, გავისწორე. ცხვირის კეხი ნერვებს მიშლიდა, მოვიშორე. მერე ღიპი დამედო, სირბილის და ვარჯიშის დრო მე არა მაქვს, მივედი ექიმებთან და მცირე კოსმეტიკური „ჩალიჩის" შედეგად ღიპიც მოვიშორე. ერთი სიტყვით, თუ სილამაზის ფასი იცი, მედიცინის ყველა მიღწევა უნდა გამოიყენო და გალამაზდე. ისე, ბებიაჩემმა რომ მოინდომოს, შეუძლია 20 წლის გოგოსავით გალამაზდეს, რა არის ამაში ცუდი, თავიდან გავათხოვებ.

***ეკა ლომიძე***

# „მსახიობობა განდეგილის ცხოვრებაა“

## წარმატება თითქოს დამოკიდებულია რაღაც სასწაულზე

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში პრემიერებისთვის ემზადებიან. მაისის ბოლოს დათო საყვარელიძე წარადგენს მოლიერის „ტარტიუფს“. ივნისში კი ქეთი დოლიძე შემოგვთავაზებს ახალ სპექტაკლს. ცნობილი მსახიობი **ნინელი ჭანკვეტაძე** ორივე სპექტაკლში მთავარ როლს თამაშობს. ამ მსახიობს მკითხველის წინაშე წარდგენა არ სჭირდება. გაგიმხელთ, მის თაყვანისმცემელთა არმიაში ჯერ კიდევ ბავშვობიდან მოვხვდი, თუმცა, საყვარელ მსახიობთან შეხვედრა ჟურნალისტის რანგში დიდხანს ვერ შევძელი. ქალბატონ ნინელის ჟურნალისტების მიმართ არაკეთილგანწყობილად თვლიან. ამაში ლამის მეც დავრწმუნდი, როცა მსახიობისგან შეხვედრაზე ცივი უარი მივიღე, თუმცა შეხვედრა მაინც შედგა და სიმართლეც გაირკვა.

— **ამბობენ, რომ ძალიან მკაცრი და კრიტიკული ხართ ჟურნალისტების მიმართ.**

— კრიტიკული ვარ არაპროფესიონალიზმის, გაუნათლებლობისა და უვიცობის მიმართ. როდესაც ჟურნალისტი ჩემთან შეხვედრას ცდილობს და ისიც კი არ იცის, რომელ თეატრში მნახოს, ღირს საერთოდ მასთან საუბარი? ზოგიერთი ჟურნალისტი იმას არ წერს, რასაც ვამბობთ, მაგრამ რასაც არ ვამბობთ, ის სათაურადაც კი გამოაქვს. მტკივნეულია, როცა ჟურნალისტს მთელი არსებით ესაუბრები, ყოველ პასუხში გულს და სულს დებ და ის კი იმას წერს, რაც „სენსაციად“ მიაჩნია, ანუ გიყენებს, რათა, თავისი ჭკუით, მომგებიანი მასალა გააკეთოს. ჟურნალის ან გაზეთის გარეკანზე გამოაქვთ სათაური, რომელიც სტატიის შინაარსთან ფაქტობრივად კავშირში არ არის. მაგალითად, ყოველგვარი ინტერვიუს მიცემის გარეშე ერთ ჟურნალში ვნახე სტატია სათაურით „ნინელი ჭანკვეტაძის და პატარკაციშვილის შეთქმულება“. ამ ჟურნალის რეკლამა ტელევიზიით ტრიალებდა. უამრავი ნაცნობი და ახლობელი მირეკავდა გაოცებული — რა შეთქმულებაში მონაწილეობო? რა უნდა მეპასუხა? წავიკითხე სტატია და გაოცებული დავრჩი — სათაური საერთოდ არ პასუხობდა ტექსტს.

— **„რუსთავი-2“-ის ეთერში მოულოდნელად შეწყდა გადაცემა „ხალხის პირისპირ“, რომლის წამყვანიც თქვენ იყავით. ყველას აინტერესებს, დაბრუნდებით თუ არა ეთერში?**

— როგორც ვიცი, გადაცემა ფინანსური პრობლემების გამო შეჩერდა, მგონი აპირებენ მის აღდგენას. თუ ასე მოხდა, ალბათ გამიჭირდება მასში მონაწილეობის მიღება. სანამ კინომსახიობთა თეატრში რემონტი იყო, მეტი თავისუფალი დრო მქონდა. ახლა კი ინტენსიურად ვარ დაკავებული. ისე, — იდეაში მაქვს გავაკეთო საავტორო გადაცემა. ვნახოთ, რა გამომივა.



**სცენიდან წამოსული ენერგია, ისევე როგორც დარბაზიდან წამოსული, ყველა სპექტაკლზე სხვადასხვაა და სწორედ ეს არის თეატრის ყველაზე დიდი ხიბლი, რომელსაც ვერ ელევი. თუ მსახიობსა და მაყურებელს შორის ამ ენერგიის მაქსიმალური გაცვლა ხდება, ეს დიდებულია, საოცარ განცდებს ბადებს.**

— **ამბობენ, რომ მიხეილ თუმანიშვილი თავის სტუდენტებს და მსახიობებს უშლიდა ოჯახის შექმნას, რათა ხელი არ შეშლოდათ ხელოვნების მსახურებაში.**

— ეს მკაცრი ნათქვამია, მთლად ასე ნამდვილად არ იყო. უფროსი თაობისგანაც მომისმენია და თვითონაც მომსწრე ვარ, როგორ „ეჭვიანობდა“ ბატონი მიშა, როცა სტუდენტები ნაადრევად ქმნიდნენ ოჯახს. იმაზეც „ეჭვიანობდა“, კინოში რომ მონაწილეობდნენ მსახიობები. მას ის აფიქრებდა, რომ თუ თეატრის გარდა სხვა რამე დაიკავებდა მსახიობის ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს, მთავარ საკეთებელს ძალისხმევა დააკლდებოდა, თორემ შესანიშნავად იცოდა ოჯახის ფასი, უზომოდ უყვარდა თავისი ქალიშვილი, შვილიშვილები და სასწორზე რომ მიმდგარიყო საქმე, იგი ოჯახის სასარგებლოდ გადასწონიდა პინას. თუმცა, ეს იქნებოდა მისთვის ძალიან მტკივნეული გადაწყვეტილება.

ყოფა იმდენად ჭამს ხელოვანს, რომ ძალიან ბევრ კომპრომისზე მიდიხარ ოჯახის, შვილის გამო.

— **თქვენ ალბათ გაგიმართლათ, რადგან ოჯახი მსახიობთან შექმენით.**

— ალბათ გამიმართლა, თუმცა, ორი ხელოვანი ერთ ოჯახში თავისებური სირთულეა. თანაც ორივე ერთ თეატრში ვმუშაობთ, ერთ სცენაზე ვდგავართ, ერთ სპექტაკლში ვთამაშობთ და ოჯახშიც ერთად ვართ. ამ შემთხვევაში კარგია, როცა მეუღლემ იცის, რატომ ხარ განერვიულებული, რატომ არ შეგიძლია რეცხო ან აუთოო მაინცდამაინც პრემიერის წინ. ბევრ რამეზე თვალს ხუჭავს, როცა გაღიზიანებული ვარ. ასეთივე დამოკიდებულება მაქვს მის მიმართაც. მესმის, ხანდახან რატომ ცდილობს განმარტოებას, რატომ დუმს, ვიცი, რომ ეს მე და ჩვენს შვილს არ გვეხება.

— **თქვენი შვილი თუ გიგებთ მშობლებს?**

— ბატონი მიშა ოჯახში ყოველთვის ბავშვს გულისხმობდა, მის გამო წუხდა, ამიტომაც ჰქონდა თავისებური დამოკიდებულება ჩვენს ქორწინებებთან. შვილს ყველაზე ძნელად შეუძლია გაგება და ამიტომაც არის ის ყველაზე მეტად მოსაფრთხილებელი, დასაზოგი. პირადად მე, შვილის გამო უკვე ბევრ კომპრომისზე მივდივარ ჩემს საქმეში, ჯერ კიდევ პატარაა, თითქმის ყველაფერი მის სასარგებლოდ წყდება და თეატრშიც მიეჩვივნენ ამას, ცდილობენ, ხელი შემიწყონ, თუ არა და თავი უნდა დამანებონ ან დავანებო. შვილის საწინააღმდეგო არჩევანს ვერ გავაკეთებ, თუმცა, ეს ძალიან მტკივნეულია ჩემთვის, რადგან ძალიან მიყვარს ჩემი საქმე, მე იმის წინააღმდეგიც ვარ, რომ ჩემი შვილი კულისებიდან ან გნებავთ, დარბაზიდან მადევნებდეს თვალს. ერთი წლის წინ გაიგო, რომ მშობლები მსახიობები ჰყავს, მანამდე თეატრისთვის არ გამიკარებია. ვფიქრობ, გაუჭირდება იმის გაგება, რატომ ვყვირი სცენაზე, რატომ მიყვირიან, ან რატომ ვიქცევი ისე, როგორც საერთოდ დედა არ იქცევა, რატომ უნდა მოვახვიო ზედმეტი ემოცია პატარა ბავშვს. როცა გაიზრდება და თეატრისგან სიამოვნების მიღებას შეძლებს, აქ მაშინ მოვა.

**შვილის საწინააღმდეგო არჩევანს ვერ გავაკეთებ, თუმცა, ეს ძალიან მტკივნეულია ჩემთვის, რადგან ძალიან მიყვარს ჩემი საქმე, მე იმის წინააღმდეგიც ვარ, რომ ჩემი შვილი კულისებიდან ან გნებავთ, დარბაზიდან მადევნებდეს თვალს. ერთი წლის წინ გაიგო, რომ მშობლები მსახიობები ჰყავს, მანამდე თეატრისთვის არ გამიკარებია. ვფიქრობ, გაუჭირდება იმის გაგება, რატომ ვყვირი სცენაზე, რატომ მიყვირიან, ან რატომ ვიქცევი ისე, როგორც საერთოდ დედა არ იქცევა, რატომ უნდა მოვახვიო ზედმეტი ემოცია პატარა ბავშვს. როცა გაიზრდება და თეატრისგან სიამოვნების მიღებას შეძლებს, აქ მაშინ მოვა.**

— **მსახიობობის სურვილი რომ გამოთქვას, შეეწინააღმდეგებით?**

— აკრძალვით ვერ ავუკრძალავ, მაგრამ არავითარი სურვილი არ მაქვს, ასეთი გადაწყვეტილება მიიღოს. თუ რაღაც უნდა ადამიანს, ისე მოიქცევა, როგორც თავის დროზე მე მოვიქეცი. ოჯახში ყველა წინააღმდეგი იყო, მსახიობი გავმხდარიყავი, მაგრამ მაინც ჩავაბარე. გამოცდიდან ხუთიანით გამოსულს გარეთ ოჯახის წევრთაგან გულშემატკივარი არავინ მელოდა. ეგონათ, რომ ჩავიჭრებოდი, როგორც „უპატრონო“, დავბრუნდებოდი ოჯახში და დავადგებოდი „სწორ“ გზას, თუმცა მოლოდინი გაუცრუვდათ.

— **ფიქრობთ, რომ ხელოვანის ბედი მძიმეა საქართველოში და ამიტომაც არ გინდათ შვილიც თქვენს გზას დაადგეს?**

— არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოშია მძიმე ხელოვანის, მსახიობის ბედი, მიზეზი, რის გამოც ჩემი შვილის ამ გზაზე შედგომა არ მინდა, არის არა ეკონომიური მდგომარეობა, არამედ მსახიობთა ზოგადი პრობლემა. ძალიან დიდი ტვირთია მსახიობობა, და მით უფრო ქალისთვის, აბსოლუტურად სხვა ცხოვრებით უნდა იცხოვრო. მართალი იყო ბატონი მიშა, — მსახიობობა განდეგილის ცხოვრებაა. ჩვენ ვიცით, რა ძვირად უჯდება ადამიანს მსახიობის პროფესია, მაგრამ ძალიან დიდ სიამოვნებასაც ვიღებთ ამ საქმისგან, ამას მხოლოდ შემოქმედი გაგვიგებს. ახალგაზრდა ადამიანი კი ხელოვნებაში თავიდან მხოლოდ პოპულარობას, ოვაციებს, აღიარებას ხედავს, რაც მხოლოდ ზედაპირია, რასაც ჩემთვის მომხიბლაობა მაინცდამაინც არ ახლავს. პროფესიის სირთულეს მსახიობი წლების შემდეგ აცნობიერებს, თუმცა ეს იმდენად საინტერესო პროფესიაა, ახლა თავიდან რომ მომეცეს არჩევანის საშუალება, ისევ ამ გზას დავადგებოდი, ჩემს პროფესიას ბევრჯერ ვუხსნივარ ყოფითი სტრესებისაგან...

— **რომელიც, ალბათ, ისევ ხელოვნებას უკავშირდებოდა...**

— დიახ, ძალიან მეცოდება ჩემი თაობა, რომელსაც 14-15 წელი ფაქტობრივად უქმად ყოფნა მოუხდა დროთა ვითარების გამო, მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ ის წლები, თითქოს, არც იყო და 30 წლის ასაკიდან უცებ 14-15 წლით გავიზარდეთ. რაც მაშინ უნდა გვეკეთებინა, განუხორციელებელი დარჩა წარსულში. გულდასაწყვეტია, რომ დავკარგე წლები, როცა, გამოცდილებით, ცოდნით, ენერგიით, ემოციით და შრომისუნარიანობით ყველაზე სავსე ვიყავი, მაინც ბედნიერი ვარ, რომ ძალიან ახალგაზრდული ასაკიდან ვიმუშავე ბატონ მიშასთან, ბევრი რამ მივიღე მისგან პროფესიული თვალსაზრისით, ქართულ კინოშიც ბევრი მოვასწარი, სანამ ის არსებობდა და დღესაც ვთვლი, რომ ძალიან დაკავებული მსახიობი ვარ, მაგრამ ცხოვრებიდან ამოვარდნილი იმ წლების გამო მაინც გული მწყდება.

— **არჩევანის წინაშე რომ დამდგარიყავით, კინომსახიობობას აირჩევდით თუ თეატრისას?**

— მაშინაც კი, როცა კინოში ინტენსიურად მიღებდნენ, მე თეატრს ვანიჭებდი უპირატესობას. ძალიან ხშირად მითქვამს უარი მიწვევაზე საქართველოს გარეთ გადაღებებში იმის გამო, რომ თეატრს, ბატონ მიშას ვუფრთხილდებოდი, ამ გადასახედიდან შეიძლება გულიც მწყდება, ვფიქრობ შემეძლო, ისიც მომესწრო, მაგრამ მაშინ გადაჭრით უარს ვამბობდი, ეგ იყო და ეგ.

— **თეატრის მსახიობი სცენაზე ერთ სპექტაკლში ყოველთვის სხვადასხვანაირია, რაც მაყურებელშიც სხვადასხვა ემოციას აღძრავს. რა განაპირობებს ამას, ნუთუ ყოველთვის სხვადასხვაა მაყურებელიც?**

— რა თქმა უნდა. თეატრი მაყურებლის გარეშე ვერ შედგება, ყოველი სპექტაკლი თავისებურად ახალია, რადგან სწორედ იმ მაყურებლისთვისაა გათამაშებული, რომელიც იმ დღეს ზის დარბაზში, ამიტომ არ მიყვარს ჩაწერილი სპექტაკლები, ის, რაც ჩაწერეს, კონკრეტული მაყურებლებისთვის იყო ნათამაშები და როცა ჩანაწერს უყურებ რამდენიმე თვის ან წლის შემდეგ, აუცილებლად გრძნობ, რომ მაყურებელსა და დასს შორის კონტაქტი ირღვევა და ნანახი მიზანს ველარ აღწევს. სცენიდან წამოსული ენერგია, ისევე როგორც დარბაზიდან წამოსული, ყველა სპექტაკლზე სხვადასხვაა და სწორედ ეს არის თეატრის ყველაზე დიდი ხიბლი, რომელსაც ვერ ელევი. თუ მსახიობსა და მაყურებელს შორის ამ ენერგიის მაქსიმალური გაცვლა ხდება, ეს დიდებულია, საოცარ განცდებს ბადებს.

— **მსახიობების თავდაუზოგავი თამაში სამსჯავროს წინაშე წარდგომას ჰგავს, რომელშიც განაჩენის გამოტანის მგზნებარე მოლოდინი იგრძნობა. განაჩენი ალბათ, ოვაციაა.**

— ამ სიტყვების მოსმენა ძალიან გაუხარდებოდა ბატონ მიშას, იგი ხშირად ადარებდა თეატრს ტაძარს და ამბობდა, რომ სცენაზე ისე უნდა გამოხვიდე, თითქოს პირველად და უკანასკნელად თამაშობო, მაყურებელი უნდა გრძნობდეს, რომ შენ, თითქოს, სიცოცხლეს ემშვიდობებიო, თუ ჩვენ ამას ვახერხებთ, ე.ი. ამოცანა შესრულებულია, თუმცა რაც არ უნდა მოინდომო, ყოველთვის ეს არ გამოდის, წარმატება თითქოს დამოკიდებულია რაღაც სასწაულზე.

— **ქალატონო ნინელი, ხშირად მიხდება თეატრალური უნივერსიტეტის წინ გავლა, თვალში მხვდება სტუდენტების სიმრავლე, მეჩვენება, რომ ისინი მეტ დროს რუსთაველზე ატარებენ. რა ხდებოდა თქვენი სტუდენტობის დროს?**

— წლების შემდეგ შეიძლება ვაიდეალებთ კიდეც სტუდენტობის ხანას, ისე კი, ჩვენც ვისხედით თეატრის წინ და გვეამაყებოდა მისი სტუდენტობა, ეს თავისებური „მარიაჟი“ ახასიათებს სტუდენტებს და მასში ცუდს ვერაფერს ვხედავ, სამუშაო, სასწავლო განრიგი კი ძალიან დატვირთული გვქონდა. დილით 9-ის ნახევარზე გვეწყებოდა პირველი ლექცია და ღამის 12 საათზე ვტოვებდით ინსტიტუტს. გვეცვა სამუშაო ფორმა, გოგონებს შავი კოლგოტები, რაც მაშინ იშვიათობა იყო, ამიტომ იძულებული ვიყავით შეგვეღება, საღებავი ფეხზე გადადიოდა, რაც არაერთი კურიოზის მიზეზიც გამხდარა. ჩემს მეგობრებს საცურაო აუზზე უსაყვედურეს, ფეხები გაქვთ დაუბანელიო, არც შავი „კუპანლიკი“ იშოვებოდა ადვილად. მოკლედ, ამ უნიფორმებში გამოწყობილები მუშაობაში ვატარებდით მთელ დღეს. შინისაკენ რომ გავუყვებოდით გზას, იმ დროსაც და მაშინაც, როცა ინსტიტუტის წინ ვიდექით, უფრო მეტს პროფესიაზე ვლაპარაკობდით, ვიდრე სხვა თემებზე, ბატონი მიშა მკაცრად მოითხოვდა ჩვენგან მაქსიმალურ განათლებას, წიგნიერებას და სწორიც იყო, რადგან სცენა გამადიდებელ შუშასავითაა. მე, მაგალითად, სცენაზე რომ მსახიობს ვუყურებ, ისიც კი შემიძლია გამოვიცნო, რა ტიპის ჟურნალ-გაზეთებს კითხულობს, მიუხედავად იმისა, თუ რა როლს თამაშობს იგი. ეს არავის გამოეპარება, მით უმეტეს, მაყურებელს.

***ეკა ლომიძე***



CMYK

## ორშაბათი 24 მაისი

კვირის პალიტრა

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი“ (U) 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი“ 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 დოკ. სერიალი “მსოფლიოს ქალაქები” 15.15 სერიალი „რვაფეხა-2“ 16.25 დოკ. ფილმი „ევროპის ბუნებრივი დიდებულება“ 17.00 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ 17.30 „მუს. არჩევნები“ 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „უშიშართა ახალი თავგადასავალი“ 18.45 დოკ. სერიალი „გემრიელად მიირთვით ბავშვებო“ 19.05 „იმღერე რამე“ 19.40 ბასტი-ბუბუ 20.00 მოამბე 21.00 სერიალი „სოლედადი“ 22.00, 23.20 „ღამის მატარებელი“ 23.00 მოამბე 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე“ 00.20 მხ. ფილმი „პან თადეუში“ (12)

19.00 მულტფილმი „სიმბა ფეხბურთელი“ 19.30 სერიალი „ეშმაკუნა“ (U) 21.00 „ეგვიპტოლოგიის პიონერები“ 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.00 მხ. ფილმი „მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესში“ (12)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეღიპუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.15 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.30 მხ. ფილმი 15.20 ბუნდესლიგა 16.20 სერიალი „მაშველები“ 17.25 პერეკრიოსტოკი 18.20 „ტელეღიპუცები“ 18.55 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 სერიალი „უკვდავი“ 23.00 კურიერი 23.50 მხ. ფილმი „ოფიცერი და ჯენტლმენი“. მთ. რ-ში: დებორა უინგერი, რიჩარდ გირი (18).

08.00 მხ. ფილმი „სამი მამაკაცი და ჩვილი“ 10.00 კონცერტი 11.00 დოკ. ფილმი 11.30 მხ. ფილმი „ლუსი ობრაკი“ (15) 13.30 დოკ. ფილმი 15.20 კონცერტი 18.00 მულტფილმი 19.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი „ბილ ელიოტი“ 22.30 კონცერტი 23.00 მხ. ფილმი „სამურაი“ (18)

07.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 ქრონიკა 07.10, 11.20, 17.20, 01.30 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის“ დილა 10.00 დროება 11.30 სპ. პროგრამა „ასი“ 12.10 სერიალი „კლონი“ 13.15 ანიმ. ფილმი „საგზაო ზღაპარი“ 13.25, 01.00 ტვ-მარკეტი 14.05 თამაში „უდაბნოს სამჭედლოები“ 15.15 ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია. შესვენებისას ქრონიკა. 17.00, 18.00, 21.25, 22.00, 00.45 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი: „სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი“ 18.00 სერიალი „ტყუპები“ 19.35 სერიალი „კლონი“ 20.30 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი“ 21.30 “ვაკაჭი-ნიუსი” 23.00 „არ იდარდო“ 00.15 სპორტ. პროგრამა „გოლი“

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.10, 20.50 მინისერიალი „ხიროსიმა“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 12.10, 21.45 დეტ. სერიალი “პოლიციელთა ამბები” 13.10 მხ. ფილმი „სნაიპერი“ (U) (ტომ ბერენჯერი) 15.10 სერიალი „მარია ემილია“ 16.10 სერიალი „მეათე სამეფო“ 17.10 მულტსერიალი „ყველაზე პატარა ზოომაღაზია“ 17.35 მულტსერიალი „არგაი“ 18.10 მულტსერიალი „კლიფორდი“ 18.35 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი“ 19.00 სერიალი „ველური მთვარე“ 22.45 არჩევანის ზღვარზე 00.00 მხ. ფილმი „საცეცები“ (18) (ჯეი პარინგტონი)

12.00 ინდური მხ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.15 მუსიკა 19.20, 21.00 სპექტრი 22.30 „საქმე და ეკონომიკა“

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 პროფათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო“ 03.00 პაუზის გარეშე

10.00 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „რობინ ჰუდი“ (U) 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები“ (გან.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა“ 20.00 მხ. ფილმი „უძინარნი სიეტლში“ (მეგ რაიანი) (U) 22.00 სერიალი „მუსკულები“ 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. საღინაძის „კენო“ 22.45 ანიმ. ფილმი „დარდუბალა“ 23.00 დებატები 00.00 მხ. ფილმი „ზარი“ (18)

09.00, 18.30 საინფ. დაიჯესტი 09.30 ფილმი-კატასტროფა „მეათე სამეფო“ 1 ნ. 10.55 მუსიკა 11.10 კომედია „მკურნალი ადამსი“ 13.00 დრამა „ბაჭიების გალია“ 14.30 მხ. ფილმი „დრუიდები“ 16.25 მულტფილმი 16.55 კომედია „დები ბენგერები“ 20.00, 22.30, 00.00 საინფ. დაიჯესტი 20.30 მხ. ფილმი „ნემეზიდა ვარსკვლავური გზა“ 22.20 მუსიკა 23.00 დოკუმენტური ფილმი 00.30 ისტორიული ფილმი „ბენ ჰური“ 04.00 მხ. ფილმი „მკვდარი“

07.00 “Доброе утро”. 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости. 10.20 Дэвид Духовни в комедии “ЭВОЛЮЦИЯ”. 12.10 Док. детектив. “Гвозди для инкассаторов”. 12.40 Следствие ведет Колобков. 13.20 Город женщин. 14.10 Лариса Удовиченко в детективе “ДОПИНГ ДЛЯ АНГЕЛОВ” 16.20 Сериал “БЕРЕГ МЕЧТЫ”. 17.20 “Угадай мелодию” 17.50 “Большая стирка” 19.20 “Шутка за шуткой”. 19.50 Сериал “КЛОН”. 20.50 “Стирка на миллион”. 21.00 Жди меня. 22.00 Время. 22.30 Телесериал “УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ”. 23.30 Криминальная Россия. “Ночные ястребы”. 2-я серия. 00.00 Премьера. “Вождь и писатель. Сталин и Шолохов”. Фильм 1-й. 00.40 “Фабрика звезд”. 01.00 Сканер. “Спасение подводников”. 01.30 “Русский экстрим”. 02.00 Триллер “ЗЛАЯ”. 03.30 Берт Ланкастер в фильме “РЕЙД УЛЬЗАНЫ”. 05.10 Фильм “УКРАДЕННОЕ ЛЕТО”.

## სამშაბათი 25 მაისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი“ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი“ 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ლერერის შოუ 15.15 სერიალი „რვაფეხა-2“ 16.25 დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში“ 16.35 დოკ. სერიალი „მხატვრები“ 17.00 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო“ 1-ლი ს. 17.30 „ამბობენ“ (განმ.) 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „უშიშართა ახალი თავგადასავალი“ 18.45 დოკ. სერიალი „გემრიელად მიირთვით ბავშვებო“ 19.05 „იმღერე რამე“ 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 სერიალი „სოლედადი“ 22.05 სერიალი „ფსიქ-ფაქტორი“ 23.20 „მუსიკალური არჩევნები“ 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე“ 00.20 მხ. ფილმი „ერთადერთი გამოსავალი“ (15)

19.00 მულტფილმი „სიმბა ფეხბურთელი“ 19.30 სერიალი „ეშმაკუნა“ (U) 21.00 პალიტრა 21.30 ისტორიანი 22.00 მხ. ფილმი „სე ლა ვი“ (12)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეღიპუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 სერიალი „უკვდავი“ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.20 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი „მაშველები“ 18.20 „ტელეღიპუცები“ 19.10 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 23.00 კურიერი 23.50 მხ. ფილმი „განდი“. მთ. რ-ში: ბენ კინგსლი, მარტინ შინი. (U)

08.00 დოკ. ფილმი 10.00 კონცერტი 13.00 მხ. ფილმი „სამურაი“ (18) 14.10 დოკ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი „ბილ ელიოტი“ 17.30 კონცერტი 19.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი „საუზმე ტიფანისთან“ 21.00 კონცერტი 22.30 მხ. ფილმი „დიახ, მაგრამ“ (18)

07.00 ქრონიკა 07.15, 16.05, 17.20, 02.10 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის“ დილა 10.00 არხის პროფილაქტიკა 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.20 ქრონიკა 16.15 ანიმ. ფილმი „კონფლიქტი“ 16.25, 01.40 ტვ-მარკეტი 17.25 ანიმაციური ფილმი: „სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი“ 18.05 სერიალი „ტყუპები“ 19.35 სერიალი „კლონი“ 20.30 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი-2“ 1-ლი ს. 21.30 ლარის მახე 23.00 „კანონის უზენაესობა“ „ზღვარი“ 23.30 მხ. ფილმი „დანაკლისი“ (ჯ. აირონსი) (18)

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 11.10, 20.50 მინისერიალი „ხიროსიმა“ 12.10, 21.45 დეტ. სერიალი “პოლიციელთა ამბები” 13.10 მხ. ფილმი „ხანგრძლივი მოგზაურობა“ (U) (მ. გრიფიტი) 15.10 სერიალი „მარია ემილია“ 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 16.10 სერიალი „მეათე სამეფო“ 17.10 მულტსერიალი „ყველაზე პატარა ზოომაღაზია“ 17.35 მულტსერიალი „არგაი“ 18.10 მულტსერიალი „კლიფორდი“ 18.35 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი“ 19.00 სერიალი „ველური მთვარე“ 22.45 არჩევანის ზღვარზე 00.00 მხ. ფილმი „შარლოტა ხანდახან“ (18) (ჟაკლინ კიმი)

12.00 მხ. ფილმი 13.30 „საქმე და ეკონომიკა“ 14.30 მხ. ფილმი „ზვიგენი“ (15) 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.15 მუსიკა 19.20, 21.00 სპექტრი 23.00, 00.30 მუსიკა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15, 22.35 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 “ბრავო” 03.00 პაუზის გარეშე

10.00 დებატები 202-ზე (განმ). 11.30 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი „ზარი“ (18) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „მამაკაცი გამოძახებით“ (რობ შნაიდერი) (15) 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები“ (გან.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა“ 20.00 მხ. ფილმი „ძაღლი“ (სანდრა ბალოკი) (12) 22.00 სერიალი „მუსკულები“ 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. საღინაძის „კენო“ 23.00 დებატები 00.00 მხ. ფილმი „წყეული სეზონი“ (კურტ რასელი) (18)

09.00, 18.30 საინფ. დაიჯესტი 09.30 ფილმი-კატასტროფა „მეათე სამეფო“ 2 ნ. 10.55 მუსიკა 11.05 კომედია „აგენტი მეტსახელად სპოტი“ 12.40 მუსიკა 12.20 მხ. ფილმი „პელიკანების საქმე“ 15.05 მუსიკა 15.15 მხ. ფილმი „ქუხილის დღეები“ 17.00 მულტფილმი „ნოტრდამელი კუზიანი“ 18.00 თრილერი „კვალისნამშლელი“ 20.00, 22.30, 00.00 საინფ. დაიჯესტი 20.30 კომედია „გამოუსწორებელი თაღლითები“ 22.20 მუსიკა 23.00 დოკუმენტური ფილმი 00.30 ისტორიული ფილმი „ჟანა დ’არკი“ 1 ს. 03.00 მუსიკა 03.30 მელოდრამა „ქვირფასეულობა“ 1 ს.

07.00 “Доброе утро”. 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости. 10.20 Телесериал “УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ”. 11.20, 19.50 Сериал “КЛОН”. 12.20 “Ералаш”. 12.40 Дисней-клуб: “Мышиный дом”. 13.20 Город женщин. 14.10 Владлен Бирюков в фильме “ПРИКАЗ: ОГОНЬ НЕ ОТКРЫВАТЬ” 16.20 Сериал “БЕРЕГ МЕЧТЫ”. 17.20 “Угадай мелодию” 17.50 “Большая стирка” 19.20 “Кумиры”. Лев Барашков. 20.50 “Стирка на миллион”. 21.00 Телесериал “ДРУГАЯ ЖИЗНЬ”. 22.00 Время 22.35 Телесериал “УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ”. 23.35 Футбол. Товарищеский матч. Сборная Австрии - сборная России. Прямой эфир из Австрии. В перерыве “Новости”. 01.20 “На футболе” 01.50 “Гении и злодеи”. 02.20 Уильям Петерсен в триллере “ЗВЕРЬ” 1-я с. 04.05 Аль Пачино в фильме “В ПОИСКАХ РИЧАРДА” 06.05 “Русский экстрим”.

## ოთხშაბათი 26 მაისი

07.30 ალიონი 09.45 „ეთნოგრაფიული ჩანახატები“ 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი“ 10.00 დოკ. ფილმი 10.45 სატ. ფილმი „ლაზარეს თავგადასავალი“ 12.00, 15.00, 20.00, 00.40 მოამბე 12.15 სატ. ფილმი „ქვევრი“ 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 დოკ. ფილმი „წინანდალი“ 15.15 მხ. ფილმი „საბუდარელი ჭაბუკი“ 16.35 „საქართველო არის ესე“ 17.00 „მუსიკალური არჩევნები“ 17.35 ვიდეოფილმი „საქართველო“ 18.00 ვესტნიკი 18.25 მუს. ფილმი „ჩვენ მშვიდობა“ 19.05 „იმღერე რამე“ 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 ვიდეოფილმი „მარბენალი“ 22.20 აღლუმი 23.00 კონცერტი 01.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე“ 01.20 მხ. ფილმი „ამაღლება“ (U)

19.00 მულტფილმი „სიმბა ფეხბურთელი“ 19.30 სერიალი „ეშმაკუნა“ (U) 21.00 დოკ. ფილმი 21.30 ჩვენი მისამართია 22.00 მხ. ფილმები „ბაკულას ღორები“ და „კატები“ (U)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეღიპუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი „მაშველები“ 18.20 „ტელეღიპუცები“ 18.55 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 სერიალი „სოპრანოს კლანი“ 23.00 ჩემპიონთა ლიგის ფინალი. „მონაკო“-„პორტო“.

08.00 მხ. ფილმი „დიახ, მაგრამ“ (18) 10.30 ოპერა 13.15 კონცერტი 14.10 დოკ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი „საუზმე ტიფანისთან“ 17.00 კონცერტი 19.00 დოკ. ფილმი 21.30 მხ. ფილმი „კლიენტი“ 22.00 კონცერტი 22.30 მხ. ფილმი „გზააბნეულები“ (12)

08.00, 11.00, 13.00, 15.00 ქრონიკა 08.15, 12.00, 01.55 იმედის მელოდიები 08.25, 01.25 ტვ-მარკეტი 09.00 „იმედის“ დილა 11.05 სერიალი „ტყუპები“ 12.10 სერიალი „კლონი“ 13.15 სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება“ 15.15 მხ. ფილმი „ცისფერი მთები“ 16.45 „იმედითა შენითა“ 17.00, 19.00, 22.00, 01.10 ქრონიკა 17.20 კონცერტი „პ. ბურჭულაძე თბილისში“ 19.30 „პირველი ნახევარი“ 20.00 ფეხბურთი. „დინამო“ (თბილისი) - „ტორპედო“ (ქუთაისი) 23.00 „უცხოეთის ცის ქვეშ“ - გ. რობაქიძე 23.30 მხ. ფილმი „იდეალური ქმარი“ (ჯ. მური) (U) 01.35 არტ-ბულვარი.

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 11.10, 20.50 მინისერიალი „ხიროსიმა“ 12.10, 21.45 დეტ. სერიალი “პოლიციელთა ამბები” 13.10 მხ. ფილმი „პატრიოტული თამაშები“ (U) (ჰ. ფორდი) 15.10 სერიალი „მარია ემილია“ 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 16.10 სერიალი „მეათე სამეფო“ 17.10 მულტსერიალი „ყველაზე პატარა ზოომაღაზია“ 17.35 მულტსერიალი „არგაი“ 18.10 მულტსერიალი „კლიფორდი“ 18.35 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი“ 19.00 სერიალი „ველური მთვარე“ 22.45 არჩევანის ზღვარზე 00.00 მხ. ფილმი „ალი ჯი სახლშია“ (18) (საშა ბეირონ კოენი)

12.00 მხ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი „გენერალი“ (U) 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.15 მუსიკა 19.20, 21.00 სპექტრი 23.00, 00.30 მუსიკა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 ქართ. მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო“ 03.00 პაუზის გარეშე

10.00 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი „ძაღლი“ (12) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „ანტიტრასტი“ (U) 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები“ (გან.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა“ 20.00 მხ. ფილმი „ფულით სავსე მატარებელი“ (უესლი სნაიპსი) (18) 22.00 სერიალი „მუსკულები“ 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. საღინაძის „კენო“ 22.45 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი „მკვლელისათვის“ (ნ. კინსკი) (18)

09.00, 18.30 საინფ. დაიჯესტი 09.30 სათავგადასავლო ფილმი „ჯაშუშთა შვილები“ 11.10 მუსიკა 11.20 კომედია „როგორც მაიკი“ 13.00 მუსიკა 13.10 თრილერი „რაზმი“ 14.55 მუსიკა 15.10 მხ. ფილმი „ზვიგენები-2“ 16.40 მუსიკა 16.45 მულტფილმი „მაგარი გოგონები“ 18.00 დრამა „მომხრე და მოწინააღმდეგე“ 20.00, 22.30, 00.00 საინფ. დაიჯესტი 20.30 ფილმი-კატასტროფა „ბრიტანიკი“ 22.05 მუსიკა 22.20 „ჩვენი საუნჯე“ 1 ნ. 23.00 დოკუმენტური ფილმი 00.30 ისტორიული ფილმი „ჟანა დ-არკი“ 2 ს. 03.00, 05.30 მუსიკა 03.30 მელოდრამა „ქვირფასეულობა“ 2 ს.

07.00 “Доброе утро”. 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости. 10.20, 22.35 “УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ”. 11.20, 19.50 Сериал “КЛОН”. 12.20 “Ералаш”. 12.40 Дисней-клуб: “Мышиный дом”. 13.20 Город женщин. 14.10 Владлен Бирюков в фильме “ПРИКАЗ: ПЕРЕЙТИ ГРАНИЦУ” 16.20 Сериал “БЕРЕГ МЕЧТЫ”. 17.20 “Угадай мелодию” 17.50 “Большая стирка” 19.20 Просто смех! 20.50 “Стирка на миллион”. 21.00 Телесериал “ДРУГАЯ ЖИЗНЬ”. 22.00, 00.30 Время. 23.35 Премьера. “Вождь и писатель. Хрущев и Шолохов”. Фильм 2-й. 00.50 “Фабрика звезд”. 01.10 Новые чудеса света. “Сидней. Космическая готика”. 01.40 “Большой взрыв”. 02.10 “Тихий дом”. Зинаида Шарко. 02.40 Триллер “ЗВЕРЬ”. 2-я серия. 04.20 Лайза Миннелли в комедии “ЛЕДИ УДАЧА”.

## ხუთშაბათი 27 მაისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო“ 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი“ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი“ 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 დოკ. ფილმი „გაბრიელ შანელი“ 15.15 სერიალი „რვაფეხა-3“ 1-ლი ს. 16.20 დოკ. ფილმი „ევროპის ბუნებრივი დიდებულება“ 16.50 „არტე“ წარმოგიდგენთ 17.00 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო“ 17.30 ჯანმრთელობა 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „უშიშართა ახალი თავგადასავალი“ 18.45 დოკ. სერიალი „გემრიელად მიირთვით ბავშვებო“ 19.05 „იმღერე რამე“ 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 სერიალი „სოლედადი“ 22.05 სერიალი „ფსიქ-ფაქტორი“ 23.20 „მუსიკალური არჩევნები“ 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე“ 00.20 მხ. ფილმი „იასამნისფერი ტაქსი“ (12)

19.00 მულტფილმი „სიმბა ფეხბურთელი“ 19.30 სერიალი „ეშმაკუნა“ (U) 21.00 წყვილები და დუეტები 21.30 „ჩემი მშვენიერი ლედი“ 22.00 მხ. ფილმი „წითელი და შავი“ 1-ლი ს. (15)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეღიპუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 სერიალი „წმინდა ინგლისური მკვლელობები“ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.30 მხ. ფილმი 15.20 ჩემპიონთა ლიგის ფინალი 17.05 სერიალი „მაშველები“ 18.20 „ტელეღიპუცები“ 18.55 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 სერიალი „სოპრანოს კლანი“ 23.00 კურიერი 23.50 მხ. ფილმი „ვანილის ცა“. მთ. რ-ში: პენელოპე კრუსი, ტომ კრუზი (18).

08.40 დოკ. ფილმი 10.30 კონცერტი 13.00 მხ. ფილმი „გზააბნეულები“ (12) 15.00 კონცერტი 17.00 მხ. ფილმი „კლიენტი“ 19.00 დოკ. ფილმი 20.30 მხ. ფილმი „თაგვზე ნადირობა“ 22.00 კონცერტი 23.00 მხ. ფილმი „ასეთია ცხოვრება“ (12)

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 07.15, 17.20, 02.10 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის“ დილა 10.10 სერიალი „ტყუპები“ 11.05 მხ. ფილმი „ცისფერი მთები“ 12.45 ანიმ. ფილმი „ჩვენ უწინ ჩიტები ვიყავით“ 13.25, 01.40 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება“ 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.20 ქრონიკა 15.15 მხ. ფილმი „იდეალური ქმარი“ (U) 17.25 ანიმაციური ფილმი „პრინცესა ნერის თავგადასავალი“ 18.05 სერიალი „ტყუპები“ 19.35 სერიალი „კლონი“ 20.30 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი-2“ 21.30 საქმე № 23.00 „ესტაფეტა“ 23.30 მხ. ფილმი „ლუჟინის დაცვა“ (ე. უოტსონი) (U)

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 11.10 მინისერიალი „ხიროსიმა“ 12.10, 21.45 დეტ. სერიალი “პოლიციელთა ამბები” 13.10 მხ. ფილმი „ვარსკვლავეთის კარიბჭე“ (U) (კურტ რასელი) 15.10 სერიალი „მარია ემილია“ 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 16.10 სერიალი „მეათე სამეფო“ 17.10 მულტსერიალი „ყველაზე პატარა ზოომაღაზია“ 17.35 მულტსერიალი „არგაი“ 18.10 მულტსერიალი „კლიფორდი“ 18.35 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი“ 19.00 სერიალი „ველური მთვარე“ 20.50 მინისერიალი „შოკის შემდეგ“ 22.45 არჩევანის ზღვარზე 00.00 მხ. ფილმი „მომხვიე ხელები“ (18) (შანტალ ლობი)

12.00 მხ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი „გაქცევა“ (U) 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.15 მუსიკა 19.20, 21.00 სპექტრი 23.00, 00.30 მუსიკა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო“ 03.00 პაუზის გარეშე

10.00 დებატები 202-ზე 11.30 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი „მკვლელისათვის“ (18) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „დანარჩენი 48 საათი“ (ედი მერფი) (15) 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები“ (გან.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა“ 20.00 მხ. ფილმი „სიყვარულის ისტორია“ (ჟან რენო) (U) 22.00 სერიალი „მუსკულები“ 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. საღინაძის „კენო“ 22.45 ანიმ. ფილმი „დარდუბალა 2“ 23.00 დებატები 00.00 მხ. ფილმი „შიშველი იარაღი“ (15)

09.00, 18.30 საინფ. დაიჯესტი 09.30 ფილმი-კატასტროფა „დღის სინათლე“ 11.25 მუსიკა 12.00 ისტორიული ფილმი „ბაუნტი“ 14.05 ვიდეოარტი 14.10 დოკუმენტური ფილმი 15.00 კომედია „ქალებს გაუფრთხილდით!“ 1 ს. 16.05 მულტფილმი „ახალი ბრემენელები“ 17.00 დრამა „ოკეანის ფსკერზე“ 20.00, 22.30, 00.00 საინფ. დაიჯესტი 20.30 ბოევიკი „მიმტაცებელთა ჯგუფი“ 22.25 ვიდეოარტი 23.00 „ექსკლუზივი“ 00.30 კომედია „კურსდამთავრებული“ 02.10, 04.25 მუსიკა 02.30 ბოევიკი „ჰოლივუდელი კოპები“ 05.00 დოკუმენტური ფილმი

07.00 “Доброе утро”. 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости. 10.20, 22.35 “УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ”. 11.20, 19.50 Сериал “КЛОН”. 12.20 “Ералаш”. 12.40 Дисней-клуб: “Чип и Дейл спешат на помощь”. 13.20 Город женщин. 14.10 В. Шалевич в детективе “ПОТЕРПЕВШИЕ ПРЕТЕНЗИЙ НЕ ИМЕЮТ” 16.20 Сериал “БЕРЕГ МЕЧТЫ”. 17.20 “Угадай мелодию” 17.50 “Большая стирка” 19.20 Док. детектив. “Маклеры” в погонах”. 20.50 “Стирка на миллион”. 21.00 Телесериал “ДРУГАЯ ЖИЗНЬ”. 22.00, 00.30 Время. 23.35 “Человек и закон” 00.50 “Фабрика звезд”. 01.10 “Формула власти”. Президент Египта Хосни Мубарак. 01.40 “Подлинные истории “Машины времени”. 02.10 Максим Никулин в программе “ФОРГАНГ”. 02.40 Джеймс Каан в фильме “СТРАЖ КРАСНОЙ СКАЛЫ”. 04.20 Триллер Альфреда Хичкока “ТОПАЗ”.

## პარასკევი 28 მაისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო“ 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი“ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი“ 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 დოკ. ფილმი „ბაკალავრია — გამოცდების ორი საუკუნე“ 1-ლი ს. 15.15 სერიალი „რვაფეხა-3“ 16.20 დოკ. სერიალი „პალიტრა“ 16.50 დოკ. სერიალი „საგნების ისტორია“ 16.55 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო“ 17.20 „მუსიკალური არჩევნები“ 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „უშიშართა ახალი თავგადასავალი“ 18.45 დოკ. სერიალი „გემრიელად მიირთვით ბავშვებო“ 19.05 „იმღერე რამე“ 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი“ 22.00, 23.20 „ღამის მატარებელი“ 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე“ 00.20 კონცერტი - ჯაზ-ფესტივალი 02.00 მხ. ფილმი „ორნი ქალაქში“ (12)

19.00 მულტფილმი „სიმბა ფეხბურთელი“ 19.30 სერიალი „ეშმაკუნა“ (U) 21.00 გემრიელად მიირთვით ბავშვებო 21.40 აფხაზეთის ტვ. 22.00 მხ. ფილმი „წითელი და შავი“ მე-2 ს. (15)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეღიპუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 სერიალი „წმინდა ინგლისური მკვლელობები“ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.15 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი „მაშველები“ 18.20 „ტელეღიპუცები“ 18.55 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 23.00 კურიერი 23.50 მხ. ფილმი „თმები“. მთ. რ-ში: ჯონ სევიჯი, ტრიტ უილიამსი (12). 02.30 მხ. ფილმი „საათები“. მთ. რ-ში: ჯულიანა მური, ნიკოლ კიდმანი (18).

08.00 მხ. ფილმი „ასეთია ცხოვრება“ (12) 08.40 დოკ. ფილმი 10.30 კონცერტი 12.00 მულტფილმი 13.30 დოკ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი „თაგვზე ნადირობა“ 17.00 კონცერტი 19.00 დოკ. ფილმი 20.30 მხ. ფილმი „კაპიტანი ფრაკასი“ 22.00 კონცერტი 23.00 მხ. ფილმი „შენი ხელები ჩემს თეძოებზე“ (12)

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 07.15, 17.50, 02.55 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის“ დილა 10.10 სერიალი „ტყუპები“ 11.05 სპ. პროგრამა „ესტაფეტა“ 11.30 „პირველი ნახევარი“ 12.10 სერიალი „კლონი“ 13.15 ანიმ. ფილმი „ტიაპ-ლიაპ მღებავები“ 13.25, 02.25 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება“ 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.05 ქრონიკა 15.15 მხ. ფილმი „ლუჟინის დაცვა“ (U) 17.25 ანიმაციური ფილმი „პრინცესა ნერის თავგადასავალი“ 18.05 სერიალი „ტყუპები“ 19.35 სერიალი „კლონი“ 20.30 არჩევანი თქვენ 23.00 X-კლუზივი 23.55 მხ. ფილმი „აფერა“ (დ. ჰოფმანი) (U) 01.35 „NBA“-ს ჟურნალი

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 11.10, 20.50 მინისერიალი „შოკის შემდეგ“ 12.10, 21.45 დეტ. სერიალი “პოლიციელთა ამბები” 13.10 მხ. ფილმი „აწყვეტილები“ (U) (პოლ უოკერი) 15.10 სერიალი „მარია ემილია“ 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 16.10 სერიალი „მეათე სამეფო“ 17.10 მულტსერიალი „ყველაზე პატარა ზოომაღაზია“ 17.35 მულტსერიალი „არგაი“ 18.10 მულტსერიალი „კლიფორდი“ 18.35 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი“ 19.00 სერიალი „ველური მთვარე“ 22.45 არჩევანის ზღვარზე 00.00 მხ. ფილმი „განქორწინება“ (18) (კეიტ ჰადსონი)

12.00 მხ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი „ცხელი ზაფხული“ (15) 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.15 მუსიკა 19.20, 21.00 სპექტრი 23.00, 00.30 მუსიკა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.15 სოლო 02.00 „ბრავო“ 03.45 პაუზის გარეშე

10.00 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი „შიშველი იარაღი“ (15) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „თეთრი ოლეანდრი“ (მ. ფაიფერი) (15) 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები“ (გან.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა“ 20.00 მხ. ფილმი „მანიტუს მაკასინები“ (U) 22.00 სერიალი „მუსკულები“ 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. საღინაძის „კენო“ 22.45 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი „ოცეული“ (18)

09.00, 18.30 საინფ. დაიჯესტი 09.30 კომედია „ჟუჟუ“ 11.05 მუსიკა 11.20 ვესთერნი „ამერიკის ბოროტმოქმედი“ 12.55 ვიდეოარტი 13.00 დეტექტივი „სამოქალაქო სარჩელი“ 14.50 მუსიკა 15.00 კომედია „ქალებს გაუფრთხილდით!“ 2 ს. 16.05 მულტსერიალი 17.00 ბოევიკი „ბალისტიკა“ 19.00 კომედია „თაღლითობა“ 20.00, 22.30, 00.00 საინფ. დაიჯესტი 21.00 ფანტასტიკა „გემი-მოჩვენება“ 23.00 დოკუმენტური ფილმი 00.30 მელოდრამა „სიყვარულის სიმწარე“ 02.15 მუსიკა 02.30 ბოევიკი „ჩემი ცოლი განგსტერი“ 04.20 ვიდეოარტი 04.25 კომედია „წინდაუხედავი კავშირები“

07.00 “Доброе утро”. 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости. 10.20 “УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ”. 11.20 Сериал “КЛОН”. 12.20 “Ералаш”. 12.40 Мультсериал “Принцесса Сиси”. 13.20 Город женщин. 14.05 Юрий Маляров в боевике “ПРОЕКТ “АЛЬФА” 16.20 Сериал “БЕРЕГ МЕЧТЫ”. 17.20 “Угадай мелодию” 17.50 “Большая стирка” 19.20 Премьера. “Секретное досье. Владимирский централ”. 20.00 “Основной инстинкт”. 21.00 “Поле чудес” 22.00 Время. 22.30 “Фабрика звезд”. 23.40 Что? Где? Когда? 01.00 Пенелопа Крус в комедии “ЖЕНЩИНА СВЕРХУ” 02.40 Пэт Морита в триллере “КОРОЛЕВСКАЯ КОБРА” 04.30 Джон Кэнди в комедии “КРУТЫЕ ВИРАЖИ” 06.10 “Русский экстрим”.

## შაბათი 29 მაისი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე 08.15 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი“ 10.00 დილის პემანი 11.00 მხიარული კარუსელი 11.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 12.20 მხ. ფილმი „ვალენტინი“ (U) 13.40 დოკ. ფილმი „არტე წარმოგიდგენთ“ 14.00 სერიალი „ძვირფასი მარიანა“ მე-3ს. 15.15 დოკ. ფილმი „უკანასკნელი საფარი“ 15.55 ავტორბოლა „ფორმულა-1“ 18.00 „ვესტნიკი“ 18.40 იმღერე რამე 19.15 „მაცაცერა“ 19.30 „ისტორიანი“ 20.35 ცაიტნოტი 21.55 ფორტუნა 22.30 „სალამოს საუბრები“ 23.20 „მუსიკალური არჩევნები“ 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე“ 00.30 მხ. ფილმი „მომხიბვლელი თოვლის ქალი“ (12)

19.00 მულტფილმი „სიმბა ფეხბურთელი“ 19.30 სერიალი „გრაფი მონტეკ კრისტო“ მე-7-8ს. (U) 21.00 მოგზაურობა 22.00 მხ. ფილმი „ლულუ სამუდამოდ“ (12)

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 მულტფილმი 11.00 ლუისი და კლარკი 12.20 „სიმფსონები“ 12.50 მხ. ფილმი 15.20 ველური სამყაროს ამბები 16.10 მხ. ფილმი 17.05 “დისკავერი” 18.00, 01.00 კურიერი 18.20 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 19.00 დოკ. ფილმი „თანამედროვე ტექნოლოგიები“ 19.30 სერიალი „სუფთა ინგლისური მკვლელობები“ 21.00 კურიერი P.S. 22.00 საოჯახო ტოტო 23.00 „ფსიქო“: მხ. ფილმი „სენ-პოლელი მესაათე“. რეჟ. ბერტრან ტავერნიე. 01.20 მხ. ფილმი „ჩვეულებრივი ეჭვმიტანილები“. მთ. რ-ში: სტივ ბოლდუინი, კევინ სპეისი (18).

08.00 დოკ. ფილმი 09.50 კონცერტი 11.00 მულტფილმი 13.00 მხ. ფილმი „შენი ხელები ჩემს თეძოებზე“ (12) 14.00 დოკ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი „კაპიტანი ფრაკასი“ 17.00 კონცერტი 19.00 დოკ. ფილმი 20.30 ლიტ. გადაცემა — სილუეტი 22.00 კონცერტი 23.00 მხ. ფილმი „გრაფი მონტე კრისტო“ 1-ლი ს. 00.30 კონცერტი 01.00 მხ. ფილმი „გრაფი მონტე კრისტო“ მე-2 ს.

09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ქრონიკა 09.15 სერიალი „ტყუპები“ 10.05 ანიმაც. ფილმი „მითიური მეომრები“ 10.30 დილის ფოსტა 11.00 „იმედითა შენითა“ 11.15, 19.55, 05.05 იმედის მელოდიები 12.00 საიმედო ლოტო (პირ. ეთერი) 12.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ 13.10 სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ 13.35 არჩევანი თქვენ 15.15 მხ. ფილმი „აფერა“ (U) 17.35 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური“ 18.10 ერთხელ ჰოლივუდში 18.30 დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“ 19.30 „ვაკაჭი-ნიუსი“ 20.10 სერიალი „მართლმსაჯულების 18 ბორბალი“ 22.00, 04.50 ქრონიკა 22.30 კლიპ-ლოტო 23.30 მხ. ფილმი „პარმის სავანე“ (ჟ. ფილიპი) (U) 01.30 ეროვნული საკალათ. ასოციაცია (პლეიოფი) 04.20 ტვ-მარკეტი

09.00 მულტფილმი „პრინცესა შეჰერაზადა“ 09.30 საბ. სერიალი „განძის პლანეტა“ 11.00 საბ. სერიალი „დინოტოპია“ 12.00 ფეხბურთი მზეზე 12.30 მხ. ფილმი „მოჩვენებებზე მონადირენი“ (U) (ბილ მიური) 14.00, 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 14.30 მხ. ფილმი „მეფე მორიელი“ (U) (მიშელ კლარკი) 16.30 დოკ. სერიალი „მსოფლიო კულტურის საგანძური“ 17.10 ვესტერნი მზეზე „განწირულთა ბილიკით“ 18.05 სერიალი „პროექტი „ელციინი“ 19.00 სერიალი „ქვეყნის კიდეზე“ 20.30 მხ. ფილმი „მისტერ პიტკინი საავადმყოფოში“ (U) 22.30 ფეხბურთი მზეზე 23.30 მხ. ფილმი „მატარებლის მგზავრი“ (18) (ჟან როშფორი)

12.00 მხ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი „გაპარპარებული ასფალტი“ (U) 17.00 მუსიკა 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 19.20 საბ. გადაცემა „ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები“ 19.40 მუსიკა 21.00 მხ. ფილმი 00.20 მხ. ფილმი „სიყვარულისა და დაშნის ისტორია“ (15)

07.30 მუსიკა 10.00 ტოროლა 13.00 ქართული მუსიკა 15.00 ინფორმატორი 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 პოპ. ად. ათეული 03.00 „ბრავო“

10.00 დებატები 202-ზე 11.30 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი „ოცეული“ (18) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „ბეჭდების მბრძანებელი-2“ (U) 17.00 მუსიკა 18.00 მულტფილმი 20.00 მხ. ფილმი „უკანასკნელი ბოისკაუტი“ (ბ. უილისი) (18) 22.00 მუსიკა 23.00 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი „სახის გარეშე“ (ჯ. ტრავოლტა) (18)

09.00, 18.30 საინფ. დაიჯესტი 09.30 სათავ. ფილმი „ასტერიქსი და აბელიქსი კეისრის წინააღმდეგ“ 11.15 მუსიკა 11.30 ფანტასტიკა „მაიმუნთა მეფე“ 1 ს. 12.50 მუსიკა 13.00 კომედია „გაუცხოების ექვსი საფეხური“ 14.50 ბოევიკი „გაბრიელის დევნა“ 16.15 მულტფილმი „გენიალური ბიჭუნა“ 17.35 მუსიკა 17.40 კომედია „ციხესიმაგრე“ 19.40 დოკუმენტური ფილმი 20.00, 22.30, 00.00 საინფ. დაიჯესტი 20.30 კომედია „ადგილების შეცვლა“ 22.20 მუსიკა 23.00 დოკუმენტური ფილმი 00.30 თრილერი „ანაზღაურება“ 02.20, 04.45 მუსიკა 02.40 მელოდრამა „ლოლიტა“ 05.00 დოკუმენტური ფილმი

07.00, 11.00, 13.00, 19.00 Новости. 07.10 “Ералаш”. 07.30 Валентина Серова в фильме “БЕССМЕРТНЫЙ ГАРНИЗОН” 09.20 Играй, гармонь любимая! 10.00 Слово пастыря. 10.10 Здоровье. 11.10 “Смак” 11.30 “Возвращение домой. Владимир Меньшов. Астрахань”. 12.10 “Пестрая лента”. Валентина Серова. 13.10 История с географией. “Братья по крови: Грызуны”. 14.10 Дог-шоу. 15.00 Дисней-клуб: “Приключения Мики и Дональда”. 15.30 Умницы и умники. 16.10 Док. фильм “Фаберже: таможня дает добро”. 17.10 Андрей Ростоцкий в фильме “ПЕРЕХВАТ” 18.50 Классика Уолта Диснея. Золотые годы Микки Мауса. 19.10 “Шутка за шуткой” 19.30 ПЕСНЯ ГОДА. ВЕСНА. 21.00 “Кто хочет стать миллионером?” 22.00 Время. 22.20 “Розыгрыш”. 23.50 “Золотой Граммофон”. 00.50 Шау Белль Дин в боевике “НОВЫЕ САМУРАИ” 02.30 Харви Кейтель в боевике “ТОЛКАЧИ”. 04.50 Сериал “ТЕМНЫЙ АНГЕЛ”.

## კვირა 30 მაისი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე 08.15 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი“ 10.00 დილის პემანი 10.40 „სტუმრად მსახიობთა სტუდიაში“ - სიგურნი უივერი 11.30 სპა 12.20 მხ. ფილმი „მოვდივართ და მოვიმღერით“ (U) 13.50 დოკ. სერიალი „საგნების ისტორია“ 14.00 სერიალი „ძვირფასი მარიანა“ 15.15 „მათი შვილები“ 16.00 დოკ. სერიალი „ქვეყანა, ქვეყნები“ (არგენტინა) 16.55 ავტორბოლა „ფორმულა-1“ 18.40 იმღერე რამე 19.15 ჩვენი მისამართია 20.35 კონცერტი - თ. ნიკლაური 22.00 ტვ-ლოტო 22.45 „ამბობენ“ 23.15 სატ. ფილმი „მაისის თოვლი“ 00.35 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე“ 00.50 მხ. ფილმი „რისკით უნდა იცხოვრო“ (15)

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 „სტუმრად მსახიობთა სტუდიაში“ 20.30 ძველი აფიშა 21.20 მრავალსახობა 22.00 მხ. ფილმი „ელიზა“ (15).

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 მულტფილმი 10.50 „გაზეთ 12-მდე“-ს გათამაშება 11.05 ლუისი და კლარკი 12.20 „სიმფსონები“ 12.50 მხ. ფილმი 15.20 ველური სამყაროს ამბები 16.10 მხ. ფილმი 18.00, 21.00, 23.30 კურიერი 18.20 სერიალი „განდგომილი“ 18.45 მხ. ფილმი „ადამიანი ოქროს რევოლვერით“. მთ. რ-ში: როჯერ მური (12). 21.45 „ჯეოსელის კინოკლუბი“ - დედოფალი მარგო, 877 45-79-25 (18), „კალიფორნია“ 877 45-79-26 (18), „გამოუსწორებელი თაღლითები“ 877 45-79-27 (12). 23.45 მხ. ფილმი „ბეჭდების მბრძანებელი-2“. მთ. რ-ში: ელაიჯა ვუდი, იან მაკელენი (U).

08.00 კონცერტი 09.00 მხ. ფილმი „გრაფი მონტე კრისტო“ 1-ლი ს. 10.00 დოკ. ფილმი 11.00 მულტფილმი 13.00 მხ. ფილმი „გრაფი მონტე კრისტო“ მე-2 ს. 15.00 დოკ. ფილმი 17.00 ოპერა 20.00 მხ. ფილმი „ქანდარის შვილები“ 1-ლი ს. 21.30 კონცერტი 22.30 მხ. ფილმი „ქანდარის შვილები“ მე-2 ს. 00.00 კონცერტი

09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 03.30 ქრონიკა 09.10, 12.50, 04.20 იმედის მელოდიები 09.30 ტვ-მარკეტი 10.05 ანიმაც. ფილმი “მითიური მეომრები” 10.30 „დილის ფოსტა“ 11.00 მხ. ფილმი „უმაღლესი ლიგა“ (ტ. ბერენჯერი) (U) 13.15 სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ 13.40 „უდაბნოს სამჭედლოები“ 14.30 „NBA“-ს ჟურნალი 15.15 „რეტროსკოპი“ - „მრისხანება“ (რეჟ. ფ. ლანგი) (U) 17.05 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური“ 18.00 სპ. პროგრამა „ასი“ 18.30 დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“ 19.30 „ლუდი „ალუდას“ წამახალისებელი გათამაშება“ 20.00 სერიალი „გაუხსნელ საქმეთა განყოფილება“ 22.00 დროება 23.30 მხ. ფილმი „ჩემი მტრის ხატი“ (ბელმონდო) (U) 01.30 ეროვნ. საკალათბურთო ასოციაცია - პლეიოფი. 03.50 ტვ-მარკეტი

09.00 მულტფილმი „პრინცესა შეჰერაზადა“ 09.30 მულტფილმი „მახვილი ლოდში“ 11.00 საბ. სერიალი „დინოტოპია“ 12.00 ფეხბურთი მზეზე 12.30 მხ. ფილმი „მოჩვენებებზე მონადირენი-2“ (U) 14.00, 17.00, 20.50 საინფ. გამოშვება „მზერა“ 14.30 მხ. ფილმი „უარესი რაღა გინდა“ (U) (მარტინ ლოურენსი) 16.30 დოკ. სერიალი „მსოფლიო კულტურის საგანძური“ 17.10 ვესტერნი მზეზე „განწირულთა ბილიკით“ 18.05 სერიალი „პროექტი „ელცინი“ 19.00 სერიალი „ქვეყნის კიდეზე“ 20.30 მხ. ფილმი „სადღაც კლივლენდში“ (12) (ჯორჯ კლუნი) 22.30 ფეხბურთი მზეზე 23.00 მხ. ფილმი „ბოულინგი კოლუმბინისთვის“ (18) (მაიკლ მური).

12.00 გადაცემა „შამარერა“ 12.30 მხ. ფილმი „ჯალათები“ 14.00 საბ. გადაცემა „ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები“ 15.30 მხ. ფილმი 17.00 მუსიკა 19.00 ინდ. მხ. ფილმი “კარგი ბიჭები“ (U) 22.00 „ჯაზ-პარნასი“ 22.30 მხ. ფილმი.

07.30 მუსიკა 10.00 ტოროლა 13.00 ქართული მუსიკა 15.00 ინფორმატორი 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 პროფათეული 22.35 მუსიკა 23.15 სოლო 03.00 „ბრავო“

10.00 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი „სახის გარეშე“ (18) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „ქეითი და ლეო“ (მ. რაიანი) (U) 17.00 მუსიკა 18.00 მულტფილმი 20.00 მხ. ფილმი „რონინი“ (ჟან რენო) (18) 22.00 მუსიკა 23.00 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი „ფაკულტეტი“ (18)

09.00, 18.30 საინფ. დაიჯესტი 09.30 სათავგადასავლო ფილმი „განძეულობა“ 11.25 მუსიკა 11.30 ფანტასტიკა „მაიმუნთა მეფე“ 1 ს. 12.50 მუსიკა 13.00 ბოევიკი „ვაჟიშვილის მკვლელი“ 14.30 მუსიკა 14.40 კომედია „აგენტი ჯონი ინგლიში“ 16.00 მულტფილმი „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ 17.25 მხ. ფილმი „ცის უკანა მხარეს“ 19.45 მუსიკა 20.00, 22.30, 00.00 საინფ. დაიჯესტი 20.30 დრამა „მუდამ კალასი“ 22.15 მუსიკა 23.00 დოკუმენტური ფილმი 00.30 კომედია „ბუმერანგი“ 02.20, 04.15 მუსიკა 02.25 მელოდრამა „შავი თვალები“ 04.20 თრილერი „ჩიხში მომწყვდეული“

07.00, 11.00, 13.00, 19.00 Новости. 07.10 Сериал “Все путешествия команды Кусто”. “Забытые русалки”. 07.30 Фильм “ЮНЫЙ ГЕРКУЛЕС”. 09.20 Служу Отчизне! 09.50 Дисней-клуб: “Тимон и Пумба”. 10.10 “В мире животных” 11.10 “Непутевые заметки” 11.30 Пока все дома. 12.00 “Лошадиная энциклопедия”. Закл. программа. 12.30 “Угадай мелодию” 13.10 Михаил Пуговкин в фильме “ПРИКАЗАНО ВЗЯТЬ ЖИВЫМ” 15.00 Дисней-клуб: “Приключения Мики и Дональда”. 15.20 “Путешествия натуралиста”. 15.50 ЛЕВ ЛЕЩЕНКО, АЛЕКСАНДР БУЙНОВ В КОНЦЕРТЕ ВИТАСА 17.10 Воскресный “Ералаш”. 17.40 Живая природа. “Думают ли дельфины?” “Медведь-ворюга”. 18.50 Времена. 19.45 “КВН-2004”. Высшая лига. Второй четвертьфинал. 22.00 Время 22.45 Харрисон Форд в фильме “ШЕСТЬ ДНЕЙ, СЕМЬ НОЧЕЙ”. 00.40 КОНЦЕРТ ГРУППЫ “МАШИНА ВРЕМЕНИ” НА КРАСНОЙ ПЛОЩАДИ. 02.20 Бокс. Шармба Митчелл - Майк Стюарт. 03.20 Теннис. Турнир “Ролан Гаррос”. Передача из Франции. 03.50 Баг Холл в комедийном боевике “ПАТРУЛЬ БЕЗОПАСНОСТИ” 05.30 Сериал “ТЕМНЫЙ АНГЕЛ”. 06.10 “Китайские монастыри”.

*ინფორმაცია მოგვაწოდა შპს „ინფოზავრმა“*

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**9 წლის გოგონას წელიწად-ნახევარია აქვს ტემპერატურა 37$^{0}$. იშვიათად 37 და 2 ხაზი. ყველანაირი გამოკვლევა ჩავუტარეთ. გამორიცხულია გლანდები, ჩიყვი, ფილტვები, წონასა და სიმაღლეში მატულობს. სიცხე დღის სხვადასხვა დროს აქვს ხოლმე. ღამით ტემპერატურა იკლებს და აქვს ოფლიანობა. ერთადერთი, რაც აწუხებს, დროგამოშვებით ჭიპის მიდამოს ტკივილი და მუცლის ხანმოკლე შებერილობაა. ანალიზმა ჭია არ აჩვენა. მაინც დავალევინე ვერმოქსი (3 დღე). გთხოვთ, მირჩიოთ, როგორ მოვიქცე.**

***თქვენი ერთგული მკითხველი ირა, ხობი***

ღამით ოფლიანობა ფილტვების ქრონიკული პათოლოგიის ერთ-ერთი სიმპტომია. გირჩევთ, განაგრძოთ გამოკვლევა ამ მიმართულებით. გაუკეთეთ ბავშვს მანტუს (ტუბერკულოზური) სინჯი. მუცლის შებერილობა და ტკივილი, შესაძლოა სანაღვლე გზების რაიმე დაავადებასთან (დისკინეზია, ანთება) იყოს დაკავშირებული. მის გამოსარიცხად გასტროენტეროლოგის კონსულტაციაც დაგჭირდებათ. საერთოდ კი, დიაგნოზის დასაზუსტებლად კომპლექსური მიდგომაა საჭირო, ამიტომ გამოცდილ პედიატრს უნდა მიმართოთ ანალიზების პასუხებით.

**ვარ 30 წლის, გაუთხოვარი. მაქვს ვეგეტონევროზი. ვგრძნობ მეხსიერების შესუსტებას. გთხოვთ მირჩიოთ რამე.**

***მ. ხაჭაპურიძე, თქვენი ერთგული მკითხველი***

მეხსიერების დაქვეითება დეპრესიული ნევროზის ერთ-ერთი ნიშანია. მის გამოსასწორებლად ნევროზს უნდა უმკურნალოთ. ამისთვის კი ნევროლოგს უნდა მიმართოთ.

**მაქვს თავის ტკივილი, სისტემატური წნევა, თავბრუსხვევა, ყურებში შუილი, კანკალის შეგრძნება ტანსა და ხელებში. გთხოვთ, დამეხმაროთ.**

***ნ. გელაშვილი, ბორჯომი***

კარგი იქნებოდა დაგვკონკრეტებინათ თქვენი ასაკიც. თუ ასაკოვანი ბრძანდებით, შესაძლოა, ყველაფერი ჰიპერტონიულ დაავადებასთან იყოს დაკავშირებული. თუ ახალგაზრდა ხართ, მაშინ არტერიული წნევა მეორადად არის გამოწვეული და სხვა დაავადების შედეგადაა განვითარებული. თქვენ მიერ ჩამოთვლილი სიმპტომები თირეოტოქსიკოზის (ჩიყვის) ნიშნებს ჰგავს. დიაგნოზის დასაზუსტებლად ჯერ ექიმის მიერ გასინჯვა, შემდეგ კი ჰორმონული გამოკვლევა დაგჭირდებათ. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ წნევას სხვა პათოლოგია (მაგ., თირკმლის ქრონიკული დაავადებები) იწვევდეს. ამიტომ, თავდაპირველად ზოგადი გამოკვლევა (სისხლის, შარდის საერთო ანალიზები, ელექტროკარდიოგრაფია) ჩაიტარეთ და გამოცდილ თერაპევტს მიმართეთ. ექიმი თქვენი გასინჯვისა და გამოკითხვის საფუძველზე უკეთ დაადგენს, რა მიმართულებით უნდა წარმართოთ შემდგომი კვლევა დიაგნოზის დასაზუსტებლად.

**გთხოვთ მირჩიოთ 12 წლის ბავშვისთვის ზრდის ყველაზე სწრაფი და ეფექტური საშუალება.**

***თქვენი ერთგული მკითხველი***

ორგანიზმის სიმაღლეში ზრდას ძირითადად გენეტიკური ფაქტორი განაპირობებს, თუმცა არსებობს ჰორმონული პათოლოგიები (ჰიპოფიზური ნანიზმი), რომელთა დროს ზრდის შეფერხება ზრდის ჰორმონთა დეფიციტითაა გამოწვეული. ამ დაავადების დროს ზრდაში ჩამორჩენა ძალზე აშკარაა და ჯუჯობით მთავრდება. მაგრამ დღეს არც ეს დაავადება მიიჩნევა გადაულახავ პრობლემად, რადგან შეიქმნა ჰორმონული პრეპარატები, რომლებიც სიმაღლის კორექციას ახდენს და მათი მეშვეობით ადამიანი აღწევს სიმაღლის ნორმალურ მაჩვენებელს.

რაც შეეხება იმ შემთხვევას, როდესაც ბავშვის სიმაღლე დადგენილი ნორმების ქვედა ზღვარზეა და გვსურს, ავაჩქაროთ ზრდის ტემპი, შეგვიძლია, გამოვიყენოთ A ვიტამინი და აპილაკი (ე.წ. ფუტკრის რძე), რომელთა კომბინაცია ეფექტიანია. ყურადღება მიაქციეთ, რომ ბავშვის რაციონი იოდისა და კალციუმის საჭირო დოზას შეიცავდეს (გამოიყენეთ იოდიზებული მარილი, რძის პროდუქტები). კარგი იქნება, თუ ბავშვს ატარებთ წყალბურთზე, კალათბურთზე — ამგვარად შეძლებთ, აამოქმედოთ ზრდის რეზერვი.

## კარაბადინი

**თქვენს გაზეთში ხშირად ვკითხულობ საინტერესო რეცეპტებს, რომელთაც ზოგჯერ პრაქტიკულადაც ვიყენებ, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გითხრათ. თქვენს მკითხველს მსურს ვასწავლო იმუნიტეტის და ორგანიზმის საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებელი საუკეთესო საშუალება. ვიდრე ამ რეცეპტს მასწავლიდნენ, აფთიაქში სხვადასხვა ძვირად ღირებულ საშუალებებს ვყიდულობდი, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ ვაღწევდი. ახლა კი, მეტად მარტივი და ყველასათვის ხელმისაწვდომი წამალი ვიცი და ამით გავდივარ იოლას.**

**წამლის მოსამზადებლად დაგჭირდებათ ნახევარი ლიტრი არაყი და 200 გ მაისის ჭინჭარი. ქილაში ჩაყარეთ ჭინჭარი, დაასხით არაყი, მოახვიეთ ქილას დოლბანდი თავზე და ერთი დღე დადგით ფანჯრის რაფაზე, მერე კი 8 დღე-ღამე — ბნელ სარდაფში. ამის შემდეგ ნაყენი გადაწურეთ და მიიღეთ თითო ჩაის კოვზი დილით უზმოზე, ჭამამდე 30 წთ-ით ადრე და ღამე — ძილის წინ. როცა მთელ პორციას მიიღებთ, მაშინვე იგრძნობთ სიმხნევეს, ძალის მატებას, გული საათივით ამუშავდება, გაგიუმჯობესდებათ სისხლის შემადგენლობაც, გაივლის სკლეროზიც, შეძლებთ, მსუბუქად და ლაღად იმოძრაოთ. მაისის ჭინჭარი საერთო ჯანმრთელობას გაგიუმჯობესებთ. ასეთი ბალზამი განსაკუთრებით სასარგებლოა ხანში შესულებისათვის.**

**იმედია, გამოაქვეყნებთ ჩემს წერილს. ყველას ვუსურვებ გამოჯანმრთელებას.**

***პატივისცემით კ. ბალამწარაშვილი***

**ექიმის კომენტარი:** ჭინჭრის შესახებ ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია. ვიტამინებითა და სხვა მრავალი ბიოაქტიური ნივთიერებით მდიდარი მცენარე მრავალმხრივი ფარმაკოლოგიური ეფექტით ხასიათდება და ორგანიზმზე მართლაც ზოგადგამაჯანსაღებელ მოქმედებას ახდენს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ჭინჭარში დიდი რაოდენობითაა ქლოროფილი, რომელსაც მასტიმულირებელი და მატონიზებელი ეფექტი გააჩნია, აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას, ზრდის კუნთოვან ტონუსს, აუმჯობესებს გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და სუნთქვის ცენტრის მუშაობას. ასტიმულირებს დაზიანებული ქსოვილების აღდგენას.

ჭინჭარს უძველესი დროიდან იყენებდნენ საშვილოსნოდან გახანგრძლივებული სისხლდენების, ათეროსკლეროზის, ანემიების, ქოლეცისტიტის, გასტრიტის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების, რკინადეფიციტის დროს. გარეგანი ხმარებისთვის იგი ეფექტურია დერმატოზების, ტროფიკული წყლულების, ეგზემის, დამწვრობებისა და ჭრილობების დროს.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

## მკითხველი — მკითხველს

**თუ ვინმემ იცით ხალხური წამალი რევმატიზმის სამკურნალოდ, ნუ დაიზარებთ და გამომეხმაურეთ. აუცილებლად მჭირდება დედისთვის.**

***თქვენი ერთგული მკითხველი***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## მივიწყებული რეცეპტები

**ხველების დროს** — შეურიეთ ერთმანეთს თანაბარი რაოდენობის იოდი, თაფლი, ქაფურის ზეთი და ღორის ქონი. შედგით წყლის ორთქლზე და მიიყვანეთ ერთგვაროვან მასამდე. სანამ გაცივდება, წაისვით მკერდსა და ზურგზე. 2-3 დღის შემდეგ ხველა გაგიქრებათ.

**გასტრიტის დროს** — შეურიეთ ერთმანეთს თანაბარი რაოდენობის ღვინო, თაფლი, ალოე. რამდენიმე დღე გააჩერეთ მუქი ფერის ჭურჭელში და მიიღეთ 2-3 ს/კ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

**სახსრების ტკივილის დროს** — ახალი კომბოსტოს ფოთოლს წაუსვით თაფლი, დაიდეთ მუხლზე და შემოიხვიეთ ელასტიკური ბინტით. გაიჩერეთ მანამდე, სანამ ტკივილი არ გაგივლით.

**ასთმის დროს** — იმუნიტეტის გასაძლიერებლად მომინანქრებულ ჭურჭელში ჩადეთ 300 გ კარაქი, 300 გ თაფლი, დაამატეთ 1 ჩ/ჭ შაქრის ფხვნილი და 100 გ კაკაო. ნარევი გაადნეთ, მაგრამ არ წამოადუღოთ, მიღებული ერთგვაროვანი შესქელებული მასა გადაიღეთ მინის ქილაში და შედგით მაცივარში. 1 ს/კ ნარევი შეურიეთ 1 ჩ/ჭ თბილ რძეს და მიიღეთ დღეში 2-3-ჯერ.

**ცისტიტის დროს** — 2 ჩ/კ კამა ერთ ჭიქა წყალში მოხარშეთ (თესლიანად), გააჩერეთ 30 წუთი, მიიღეთ ნახევარ-ნახევარი ჭიქა დღეში ორჯერ (ჭამამდე 20 წუთით ადრე). ერთი კვირის შემდეგ იგრძნობთ შვებას, ორ კვირაში სრულიად განიკურნებით. პროფილაქტიკისათვის გაიმეორეთ პროცედურა წელიწადში ერთხელ.

**გაციების** საწინააღმდეგოდ და იმუნიტეტის გასაძლიერებლად: 1. ერთი მწიკვი მარილი ჩაიყარეთ პირში და გააჩერეთ გადნობამდე. რამდენიმე წუთის შემდეგ მიაყოლეთ თბილი წყალი. 1 ჩ/ჭ წყალში გახსნილი ერთი კბილი დანაყილი ნიორი გამოივლეთ ყელში — არ ჩაყლაპოთ. ეს საშუალება სპობს ინფექციას.

2. გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში 3 ცალი ლიმონი, 3 თავი ნიორი, დაუმატეთ 1 ჭიქა თაფლი. მიიღეთ ყოველდღე თითო ს/კ.

**წნევისას** — პირველ რიგში უნდა გაიზომოთ წნევა: თუ დაბალი გაქვთ წნევა (110-80), არ დაწვეთ, არ დახუჭოთ თვალები, მოხერხებულად დაჯექით, გაიხსენით საყელო და წრიული მოძრაობით, საათის ისრების მიმართულებით დაიზილეთ საფეთქლები. თუ ხელთ გაქვთ სუნამო ან ლიმონის წვენი (რამდენიმე წვეთი), შეიზილეთ საფეთქლებში. დალიეთ ცხელი ყავა.

თუ წნევა მაღალია (130-90), კეფაზე დაიდეთ მდოგვის საფენები და ფეხები ჩააწყვეთ მდოგვიან ცხელ წყალში, დაწექით ისე, რომ თავი ფეხებზე მაღლა გქონდეთ.

**ასთმის შეტევის დროს** — შეურიეთ ერთმანეთს 2კგ შვრიის თესლი, 200გ ალოეს დაქუცმაცებული ფოთოლი, 200-200გ კონიაკი და თაფლი. ნარევს დაასხით 5 ლ წყალი, 2 საათით შედგით ჰაერღუმელში. შემდეგ კიდევ დაამატეთ 200-200გ ალოე, კონიაკი და თაფლი. მიიყვანეთ ადუღებამდე და გაწურეთ, მიიღეთ 0,5 ჩ/ჭ დღეში 3-ჯერ ჭამის შემდეგ.

3 ლ რძის შრატს დაამატეთ 1 ჩ/ჭ თაფლი, 100გ დაქუცმაცებული კულმუხოს ფესვები. 4 საათით შედგით ჰაერღუმელში, მიიღეთ 1 ს/კ ნაყენი წინა წამალთან ერთად.

**მეჭეჭებს სპობს** — კარგად დაქუცმაცებული 2 ცალი ლიმონის ქერქს დაასხით 0,5 ჩ/ჭ 30%-იანი ძმარი, 8 დღე გააჩერეთ მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში და პერიოდულად შეანჯღრიეთ. გაწურეთ. წვენში დასველებული ბამბის ტამპონი დაიდეთ რამდენჯერმე დღეში.

**ფერიმჭამელებს აქრობს** — 100 გ თაფლს შეურიეთ 1 ც ლიმონის წვენი. ამ წვენში დასველებული და გაწურული მარლა დაიდეთ ყოველდღე 15-20 წუთი ფერიმჭამელებზე. შედეგს მიაღწევს 15-20 ნიღბის შემდეგ.

**თავის ტკივილის დროს** — ახალი ლიმონის ქერქს გააცალეთ ცედრა, დაიდეთ საფეთქლებზე და გაიჩერეთ რამდენიმე წუთი. მალე კანი გაწითლდება, გაცხელდება და ქავილს დაიწყებს — მაგრამ თავი დაგიამდებათ.

**თმის ცვენას შველის** — გახეხეთ ერთი უმი კარტოფილი და გამოწურეთ წვენი, დაამატეთ 2 ს/კ ალოეს წვენი და 20გ თაფლი. კარგად აურიეთ და ეს ნარევი შეიზილეთ წრიული მოძრაობით თმის ძირებში, შეიკარით თავი პირსახოცით და 2 საათის შემდეგ კარგად ჩამოიბანეთ. პროცედურა გაიმეორეთ კვირაში 2-ჯერ, მანამ, სანამ თმის ცვენა არ შეწყდება.

**იმუნიტეტს აძლიერებს და დაღლილობას ხსნის** — მომინანქრებულ ჭურჭელში ჩადეთ 3 ც შავი ქლიავი, 3-3 ცალი გარგარი და ლეღვი (შეიძლება ახალიც და ჩირიც), 1 ს/კ ქიშმიში, ერთი წვრილად დაჭრილი ვაშლი და 2 პატარა ნაჭერი ლიმონი. დაასხით წყალი და შედგით ნელ ცეცხლზე, ურიეთ 5 წუთი, მაგრამ არ მიიყვანოთ ადუღებამდე. თუკი ამ „წამალს“, რომელიც წარმოადგენს ვიტამინებისა და სასარგებლო ნივთიერებათა წყაროს, მიიღებთ დილას, საუზმეზე, მთელი დღე ისე იმუშავებთ, რომ დაღლილობას არ იგრძნობთ.

## ყველაფერი ვიცით ჩაიზე?



ცხელი, არომატული, მუქი ქარვისფერი სითხე გვათბობს, გვამხნევებს და ანათებს გონებას... ფიქრობთ, რომ ეს ყველაფერია, რაც ჩაის შეუძლია? ცდებით. სინამდვილეში ის ძალიან ბევრი სხვა თვისების მატარებელია.

ის არა მარტო კლავს წყურვილს, გვკვებავს, არამედ აჯანსაღებს და არეგულირებს ორგანიზმში ფიზიოლოგიურ პროცესებს.

ჩაის ფოთოლი შეიცავს ცილებს (არანაკლებს, ვიდრე პარკოსანი კულტურები), ვიტამინების 10-მდე სახეობას, მათ შორის მიკროელემენტებს: კალიუმს (რომელიც „კვებავს“ გულის კუნთებსა და ნერვებს), ფთორს (რომელიც სასარგებლოა ღრძილებისა და კბილებისათვის), იოდს (აუმჯობესებს ენდოკრინული სისტემის მუშაობას), მანგანუმს (ამაგრებს ძვლებს), ასევე ჩაის ფენოლს, თეინს (კოფეინის ანალოგია) ფლავონოიდებს, ლიპიდურ შაქარს და სხვა.

ფენოლი, რომელსაც შეიცავს ჩაი, ანეიტრალებს მავნე გამოსხივებას და იცავს მხედველობას, ამიტომ ვიდრე კომპიუტერს ან ტელევიზორს ჩართავთ, სასურველია მიირთვათ ჩაი.

ფენოლთან ერთად თეინი ამცირებს ქოლესტერინს, ასუფთავებს სისხლძარღვების კედლებს და ხელს უშლის მიოკარდიის ინფარქტის განვითარებას, ფლავონოიდები კი — კიბოს. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. დღეს მეცნიერებაში დამტკიცებულია, რომ ჩაი:

...სასიკეთოდ მოქმედებს სისხლძარღვოვან სისტემაზე;

...ხელს უწყობს წონის დაკლებას;

...აუმჯობესებს სახის კანს, ხელს უშლის უჯრედების დაბერებას;

...დადებითად მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე;

...აძლიერებს იმუნიტეტს;

...აქვს ბაქტერიციდული თვისება, ახდენს კუჭის, ღვიძლისა და თირკმლების დეზინფექციას;

...არეგულირებს არტერიულ წნევას;

...აუმჯობესებს მხედველობას, გუნებას.

სხვათა შორის, ყველაზე სასარგებლოა მწვანე ჩაი.

ინგლისელმა მედიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ ლონდონში, სადაც ძალიან ბევრი საწარმოა და ეკოლოგიურად დაბინძურებულია ჰაერი, ცხოვრობს 100 წლის და უფრო მეტი ხნის 650 ადამიანი, რომლებიც თურმე სისტემატურად სვამენ ძალიან ბევრ მაღალხარისხოვან ჩაის.

ასე რომ: მიირთვით ჩაი, მხოლოდ ყოველთვის ახალი დაყენებული, ხშირად და ცოტ-ცოტა (მწვანე ჩაი შეიძლება განმეორებით, 2-3-ჯერ მოადუღოთ).

***ლიზა-ჰოროსკოპი №5***

## ივახშმეთ მაგრამ...



ამბობენ, თუ გინდა გახდე, ვახშამი მტერს დაუთმეო. თუმცა, სწორედ საღამოს გვემატება მადა, რომელსაც ვერაფრით ვაცხრობთ. საკმარისია სუფრასთან დაჯდომამდე 20 წთ-ით ადრე მიირთვათ 1 ჩ/ჭ ჩვეულებრივი ან მინერალური წყალი, მწვანე ან ბალახეული ჩაი, რომ მადაც დაგეკარგებათ, სითხის მიღების შემდეგ გაცილებით ნაკლებს მიირთმევთ, ვიდრე გინდოდათ. აღარაფერს ვიტყვით ღამით ცხიმიანი ან კალორიული საჭმელების მიღებაზე, ძილს რომ გიფრთხობთ — ეს ისედაც იცით. ბოსტნეულის სალათები, ლობიო, უცხიმო თევზი და უშაქრო სიმინდის ბურბუშელა აოკებს შიმშილს და არც ზედმეტ კილოგრამს შეგმატებთ.

***ოტდოხნი! №19***

# მენიუ ჭკუა-გონებისათვის



ტვინის უჯრედები არანაკლებ ითხოვენ სწორ კვებას, ვიდრე კუჭ-ნაწლავი. შეიტანეთ რაციონში მეტი თევზეული, მცენარეული ზეთები (მზესუმზირის, სოიის, ზეითუნის), ასევე ნიგოზი, მზესუმზირა, ნახშირწყლები, რომლებიც გამოიმუშავებენ გლუკოზას — ნეირონების მთავარ საწვავს, ცილების წყალობით გამომუშავდება ნერვებისა და ტვინისათვის აუცილებელი ამინომჟავები (რეკომენდებულია რუხი ბრინჯი, წითელი ლობიო, ხაჭო, მწვანილი, უცხიმო ძროხის ხორცი, ჭერმის ჩირი, ოსპი). მაგრამ პირველობა ეკუთვნით B ჯგუფის ვიტამინებს, სწორედ ისინი აძლიერებენ მახსოვრობას — მიირთვით მეტი ბანანი, კომბოსტო, პომიდვრის წვენი.

***ოტდოხნი! №18***

# ჟენშენი — ბუნების საგანძური

სამი ათას წელზე მეტია, რაც ჩინელმა მკურნალებმა აღმოაჩინეს ჟენშენის ფესვების სამკურნალო თვისებები, ხოლო ევროპაში კი მხოლოდ XV ს-ში გახდა ცნობილი.

ეს მცენარე ცოცხლობს 350-400 წლამდე, იზრდება ძალიან ნელა, შეიცავს დიდი რაოდენობით სასარგებლო ნივთიერებებს (თუმცა, დღემდე სრულად არ არის შესწავლილი მისი ქიმიური შემადგენლობა), როგორიცაა: საპონინი, ცხიმოვანი და ეთეროვანი ზეთები, შაქარი, სახამებელი, ფერმენტები, პექტინური ნივთიერებები, B ჯგუფის ვიტამინები, მიკროელემენტები, ფიტოესტროგენები და ბევრი სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება. ამ უნიკალური შემადგენლობის წყალობით ჟენშენს იყენებენ დაღლილობის, სისუსტის, წონის დაკარგვის, იმპოტენციის სამკურნალოდ, ის არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას, აუმჯობესებს ცენტრალური ნერვული სისტემის მუშაობას, ბრწყინვალე შარდმდენი ანტიოქსიდანტია და ამაღლებს შრომის უნარს, ხელს უწყობს ჭრილობის სწრაფად შეხორცებას, გარდა ამისა, ადაპტაგენური და ანტისკლეროზული საშუალებაა, ამაღლებს იმუნიტეტს, ხელს უშლის კიბოს უჯრედების წარმოქმნას და განვითარებას.



ჟენშენი შეიძლება შეიძინოთ აფთიაქში ან თავად მოამზადოთ: აიღეთ 50 გრ ჟენშენის ფესვები, დაასხით მდუღარე წყალი და გააჩერეთ 3 საათი, შემდეგ ფესვები დააქუცმაცეთ და დაასხით 0,5 ლ (40%) არაყი და გააჩერეთ 20 დღე ბნელ ადგილას. ასეთი ნაყენი აძლიერებს იმუნიტეტს, ხსნის გონებრივ და ფიზიკურ დაღლილობას, აღადგენს ავადმყოფობის შემდეგ ორგანიზმის სასიცოცხლო ძალებს. მისი მიღება რეკომენდებულია დღეში ერთხელ 20-25 წვეთი ჭამამდე ერთი საათით ადრე, არ დააყოლოთ წყალი. მკურნალობის კურსია 3 თვე, თითო კვირის შესვენებით.

ზოგადგამაჯანსაღებელი თვისება აქვს ჟენშენის თაფლიან ნაყენს, რისთვისაც საჭიროა 50-60 გ ჟენშენის ფესვები ჩადოთ 0,5 ლ ცაცხვის თაფლში და მიიღოთ ზამთარსა და ზაფხულში 1 ჩ/კ დღეში ერთხელ.

მაგრამ გახსოვდეთ: მიუხედავად იმისა, რომ ჟენშენი უსაფრთხოა, შეიძლება ზოგჯერ (იშვიათ შემთხვევაში) გამოიწვიოს უძილობა, დაგერღვეთ მენსტრუალური ციკლი, ჰიპერტონიკებმა კი რჩევისათვის უნდა მიმართონ ექიმს, ინდივიდუალური მგრძნობელობის შემთხვევაში, თავი უნდა შეიკავოთ მისი მიღებისაგან.

***ლიზა №15***


**გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად**

შეიძინეთ!!! 95 ლარად



• აპარატები
• ტესტ-ჩხირები
• ერთჯერადი ნემსები
• ავტომატური საჩხვლეტი
• კარდიოლოგიური ფონენდოსკოპი

შპს „კონტრასტი"
ბორჯომის ქ. 4
☎35-44-05; 34-74-03;
899-19-60-55



**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

– ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
– ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
– კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მის: გამსახურდიას (პეკინი) №10
პოლიკლინიკა, კაბ. №7, 10-13სთ-მდე
☎ 8(93) 31 42 35







**გთხოვთ მოგვითხროთ ქალის ორსულობისა და მეძუძურობის პერიოდის შესახებ.**
***თამარ გაჩეჩილაძე, თბილისი***

# ორსულობისა და ძუძუთი კვების პერიოდი



ქალის მომზადება მშობიარობისათვის ჯერ კიდევ მისი (მომავალი დედის) მუცლადყოფნის პერიოდში იწყება. ამ ეტაპზე ნაყოფის არასრულფასოვანი განვითარება მომავალში მას გამრავლებასთან დაკავშირებულ პრობლემებსაც შეუქმნის. მაგ, დედის არასწორმა კვებამ შესაძლოა ნაყოფის ძვლოვანი სისტემის დაზიანება გამოიწვიოს, როგორც ეს რაქიტის შემთხვევაში ხდება. რაქიტულ მენჯს კი ნორმალური მენჯისაგან განსხვავებული ზომები და პროპორციები გააჩნია, რაც მშობიარობის პროცესს ართულებს.

მთელი შემდგომი ცხოვრებაც (ბავშვობა, მოზარდობის ასაკი) გოგონა ცნობიერად თუ ქვეცნობიერად დედობისთვის ემზადება. განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა უშუალოდ ორსულობის წინაპერიოდი — დაორსულებამდე მომავალმა მშობლებმა სხვადასხვა ინფექციაზე უნდა გამოიკვლიონ თავი და აუცილებლობის შემთხვევაში მკურნალობა ჩაიტარონ.

**მავნე ჩვევები და მედიკამენტები**: ორსულობის პირველივე დღეებიდან (სასურველია, დაორსულებამდეც) ქალმა უარი უნდა თქვას სიგარეტზე, ყავაზე, ალკოჰოლზე (თუნდაც მინიმალურ დოზაზე), ასევე დაუშვებელია ნებისმიერი სამკურნალო პრეპარატის თვითნებური მიღება. არსებობს მედიკამენტების ჯგუფები, რომლებიც ნაყოფის განვითარებაზე სერიოზულ უარყოფით ზეგავლენას ახდენს. საჭიროების შემთხვევაში ექიმი თვითონ დაგინიშნავთ წამალს, რომელიც თქვენს პატარას საფრთხეს არ შეუქმნის. პირიქით, ზოგჯერ საჭირო ხდება ორსულობის შემანარჩუნებელი მედიკამენტოზური თერაპიის შერჩევაც.

**კვება:** ორსული ბუნებრივი, ახალი საკვებით უნდა იკვებებოდეს. მნიშვნელობა აქვს ჭამის რეჟიმსაც, სჯობს ჭამა ხშირად (დღეში 6-7-ჯერ) და მცირე ულუფებით. საკვები მაქსიმალურად მდიდარი უნდა იყოს ხილით, განსაკუთრებით კარგია ვაშლი, ბოსტნეული, ეს უკანასკნელი ორსულობის 32 კვირიდან მოხარშული სახით უნდა მიიღოთ. აუცილებელია მოხარშული ძროხის ხორცი, ღორისა და ცხვრის ხორცი არაა რეკომენდებული ორსულობის ბოლომდე. სასურველია თევზი, ქათამი (თავისივე ბულიონით), ხაჭო, მაწონი, რაც შეეხება მწარე, ცხარე საკვებს, მასზე ორსულობის დასაწყისშივე უნდა თქვათ უარი.

**წონის რეგულირება:** ნორმალური მშობიარობისათვის მეტად მნიშვნელოვანია დედისა და ბავშვის წონა. მთელი ორსულობის მანძილზე ქალმა 10-12 კგ-ზე მეტი არ უნდა მოიმატოს, გაძლიერებული მატების შემთხვევაში ექიმი სპეციალურ დიეტას ნიშნავს. (ცხიმის, ნახშირწყლების შეზღუდვა).

**უმარილო დიეტა:** მარილის ნორმალური შემცველობა აუცილებელია ორსულის კვების რაციონში. თუმცაღა, დადგინდა, რომ მისი შეზღუდვა მშობიარობის წინაპერიოდში, მშობიარობის პროცესს შედარებით უმტკივნეულოს ხდის. ამიტომ ორსულს შეუძლია მშობიარობამდე 3-4 კვირით ადრე შეზღუდოს მარილის მოხმარება, უფრო ადრეულ ვადებში ამ ღონისძიების საჭიროება არ არსებობს.

**ფიზიკური ვარჯიში:** არსებობს ვარჯიშთა კომპლექსი, რომელიც გათვალისწინებულია 16, 32, 36 კვირის და შემდეგი ვადის ორსულებისათვის. იგი ორსულობის ნორმალურ მიმდინარეობას განაპირობებს (იცავს ქალს ფეხების შეშუპებისაგან, წელის ტკივილისაგან) და მშობიარობასაც აადვილებს.

**სპეციალური ვარჯიშები:** მშობიარობისთვის ყველაზე ხელსაყრელი ვარიანტია ნაყოფის თავის წინამდებარეობა — როდესაც დაბადებისას სამშობიარო გზებს ჯერ ნაყოფის თავი გაივლის. მაგრამ ზოგჯერ იგი სხვა მდგომარეობაშია (ჯდომითი, გარდიგარდმო). ასეთ შემთხვევაში ორსულს სპეციალური ვარჯიშები უტარდება, რაც ყველაზე ადრე, 28-29 კვირიდან იწყება. შემოტრიალებული ნაყოფის თავი კი ბანდაჟის საშუალებით ფიქსირდება. ასეთი ვარჯიშებით ხდება ნაყოფის კისერზე შემოხვეული ჭიპლარის მოხსნა (ის კი ზოგჯერ 2-3-ჯერაა შემოხვეული. ასე რომ, პრობლემის დროული აღმოჩენა მისი მოგვარების მეტ შანსს იძლევა (გამოტოვებული სუნთქვითი ვარჯიშები).

**სხვა წვრილმანები:** ორსული ყველა მოძრაობას ფრთხილად უნდა აკეთებდეს. საწოლიდან ადგომისას გვერდზე გადატრიალდეს, ჩამოუშვას ფეხები, ხელებს დაეყრდნოს და ისე ადგეს, არ უნდა გადაიდოს ფეხი ფეხზე. სასურველია ქალმა საშუალო სიმაღლის ქუსლიანი ფეხსაცმელი ატაროს, რათა წელზე, წვივის, მენჯ-ბარძაყის სახსარზე დატვირთვა შეუმსუბუქდეს.

ორსული უნდა მოერიდოს ინფექციებს, ხალხმრავალ ადგილებს, ცუდ ემოციებს, საშინელებათა ფილმებს... სჯობს უსმინოს კლასიკურ მუსიკას, დატკბეს ლამაზი ბუნებით. ეს ემოციები ძლიერ მოქმედებს პატარაზე და შემდეგ მისი ხასიათის ფორმირებას იწვევს.

მშობიარობამდე 1 თვით ადრე ქალმა უნდა შეწყვიტოს სქესობრივი ცხოვრება. ასევე ორსულობის პირველი სამი თვის განმავლობაში, რათა არ განვითარდეს მუცლის თვითნებური მოწყვეტა.

**ძუძუს წოვების წესები:** ახალშობილს შეიძლება მაშინვე მიეწოდოს დედის რძე. ხსენი სასარგებლო, მაღალკალორიული საკვებია ბავშვისთვის. უკვე ლაქტაციის მე-3 დღიდან იგი ხსენიან რძედ, მე-4-5 დღეს გარდამავალ რძედ, ხოლო მეორე კვირიდან — მწიფე რძედ გარდაიქმნება.

ყოველი კვების წინ დედამ ხელები თბილი წყლითა და საპნით უნდა დაიბანოს. ძუძუს დვრილები გადადუღებული წყლით მოიწმინდოს. ბავშვს თავი მოხერხებულად უნდა ეჭიროს, რათა ამოქაფოს წოვისას გადაყლაპული ჰაერი. წოვის დამთავრებისთანავე საჭიროა ძუძუს შემშრალება და რბილი ნაჭრის დაფენა.

**რატომ ქრება რძე:** ლაქტაციის რეგულირებას ჰორმონები — ოქსიტოცინი და პროლაქტინი ახორციელებენ. ბავშვის ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნილება რძეზე, რისი უზრუნველყოფაც ზემოთ ხსენებულ ჰორმონებს სულ უფრო უჭირთ. ოქსიტოცინისა და პროლაქტინის ე.წ. გადაღლა პერიოდულად ხდება და დგება ლაქტაციის კრიზისი. ის თავს იჩენს, როგორც წესი, მე-3-6 კვირაზე, შემდეგ რძის მოდინება აღდგება და ლაქტაციური კრიზისი განახლდება მე-3-4 და მე-8 თვეზე. რძის დეფიციტი 3-4 დღე გასტანს. ამან დედა არ უნდა შეაშფოთოს. კრიზისული დღეებისთვის შესაძლებელია წინასწარ მოვემზადოთ.

— იკვებეთ, რაც შეიძლება კალორიული საკვებით და შეძლებისდაგვარად ხანგრძლივად იძინეთ;

— გაიკეთეთ მკერდზე თვითმასაჟი, გამოიწველეთ რძე;

— მიიღეთ წინასწარ შემზადებული რძის მომგვრელი მცენარეული ნაყენები.

***მაია მუხიგული***

# თვალი ალმასია



სტატისტიკური მონაცემებით, ბოლო 15 წლის განმავლობაში 20-35 წლის ადამიანები 2-ჯერ მეტად ავადდებიან მიოპიით (ახლომხედველობა). მეცნიერთა აზრით, ამის მიზეზია თვალების დიდი დატვირთვა და არარაციონალური კვება. მეცნიერთა ეს თეორია დაადასტურა წყნარი ოკეანის კუნძულის მცხოვრებლებზე დაკვირვებამ. იქ ახლომხედველი თითქმის არ გვხვდება, რადგან ისინი იკვებებიან ძირითადად თევზით, ბოსტნეულითა და ხილით.

ევროპასა და აშშ-ში ერთ-ერთ აქტიურ ანტიოქსიდანტად ითვლება მოცვი. იგი შეიცავს ანტიოციანიდებს — ნატურალურ ნივთიერებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება მავნე თავისუფალი რადიკალების ზემოქმედებას თავის ტვინსა და თვალებზე.

მოცვი ხელს უწყობს სისხლძარღვებში სისხლის ცირკულაციას, აუმჯობესებს დაბინდულ მხედველობას და ამშვიდებს გადაღლილ თვალს — გადაღლას იწვევს ხანგრძლივი კითხვა, კომპიუტერთან დიდხანს მუშაობა, კაშკაშა სინათლე...

***კომსომოლსკაია პრავდა №70***

# კუჭმა რომ არ გვიღალატოს...

## დიეტა დიარეის დროს

**1-ელი საუზმე:** ორთქლზე მომზადებული ხორცის კატლეტი ან თევზის სუფლე, წყლით მომზადებული შვრიის ბურბუშელას ფაფა, 1 ჩ/კ შაქრით დამტკბარი 1 ჭიქა ჩაი.

**მე-2 საუზმე:** შინ მომზადებული ხაჭო (1ლ რძეს დაამატეთ 4 ს/კ კალციუმ ქლორი ან ჭვავის პური).

**სადილი:** 1 თეფში ქათმის უცხიმო თეთრი ხორცის კვერცხიანი ბულიონი (ერთი კვერცხი ათქვიფეთ და ჩაასხით მდუღარე ბულიონში) ან სუპ-პიურე, სუფლე ან გუფთა, წყალში მოხარშული ბრინჯის გარნირით. კარგად მოხარშული წიწიბურა ან კარტოფილის პიურე მცენარეული ზეთით. 1 ჩ/ჭ ბროწეულის წვენი ან მოცვის კისელი.

**ვახშამი:** ორთქლზე მომზადებული ომლეტი, წყალში მოხარშული მანანის (ან შვრიის) ფაფა.

**საღამოს:** 1 ჩ/ჭ მაწონი;

**მთელი დღე:** 100-150გ თეთრი პურის ორცხობილა, ჩაი — 2ჩ/კ შაქრით.

## დიეტა შეკრულობის დროს

**1-ელი საუზმე**: თოხლოდ მოხარშული კვერცხი ან ორთქლზე მოხარშული თევზი ბოსტნეულის პიურეთი, ჩაი რძით და თაფლით.

**მე-2 საუზმე:** ვაშლი ან ახალგამოწურული ბოსტნეულის ან ხილის 1 ჩ/ჭ წვენი.

**სადილი:** კარტოფილის ან ბოსტნეულის წვნიანი ან წვნიანი-ატრია, მოხარშული ძროხის ან ქათმის ხორცის პატარა ნაჭერი გარნირით (მოხარშული სტაფილო, ჭარხალი, კარტოფილი მცენარეული ზეთით), შავი ქლიავის ნახარში;

**ვახშამი:** გახეხილი სტაფილოს სალათი ან ჭარხლის პიურე ქლიავის წვენით.

**ღამით:** 1 ჭიქა მაწონი.

**მთელი დღე:** 150 გ ჭვავის პური, 1 ჩ/კ კარაქი, 1 ს/კ მცენარეული ზეთი, შაქრის ფხვნილი — 2 ჩ/კ.

***ჟენსკიე დელა №4***

## ტაივანი დამოუკიდებლობას არ მოითხოვს

ტაივანის პრეზიდენტმა ჩენ შუიბინმა, რომელიც მეორე ვადით აირჩიეს, ფიცის დადებისას განაცხადა, — ვეცდები, ჩინეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, მაგრამ რაკი ის გვემუქრება, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა უნდა გავაძლიეროთ. ჩვენ არ გადავდგამთ წინდაუხედავ ნაბიჯს და მეზობელს შეიარაღებული კონფლიქტის გაჩაღების საბაბს არ მივცემთო. პრეზიდენტმა დასძინა, — ყველაფერს ვილონებ ქვეყნის კონსტიტუციის ხელახლა დასაწერადო.

ჩინეთი ეწინააღმდეგება ტაივანის მიერ ახალი კონსტიტუციის მიღებას, რადგან ეშინია, რომ მასში შეიტანენ მეტროპოლიიდან კუნძულის გამოყოფის მუხლს. მაგრამ ტაივანის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავარ კანონში შეტანილი ცვლილებები არ შეეხება ამ რთულ საკითხს. ჩინეთს ამის თაობაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

***კომერსანტი №86***

## სირიას სხვა გზა არა აქვს...

შარშან, როცა ამერიკელები ერაყში შეიჭრნენ, სირიის მთავარი მუფთი აჰმედ ქაფთარი (რა თქმა უნდა, ხელისუფლების თანხმობით) აცხადებდა, — მსოფლიოს მუსლიმანები უნდა დაირაზმონ ამერიკელ ინტერვენტთა წინააღმდეგო. ახლა ოფიციალური დამასკო აშშ-ის მიმართ მეტისმეტად თავშეკავებულია. შეერთებულმა შტატებმა კი გადაწყვიტა, ეკონომიკური სანქციების შემოღებით დასაჯოს სირია მასობრივი იარაღის შექმნის, ერაყელ მეომართა და ანტიისრაელური ორგანიზაციების მხარდაჭერისათვის. სირია მშვიდად შეხვდა ამას. პრეზიდენტმა ბაშარმა განაცხადა, — არ ვაპირებ სირიიდან პალესტინელთა შეიარაღებული ჯგუფების გაძევებას, ჩვენ არც მასობრივი განადგურების იარაღის შექმნაზე ვმუშაობთ და ვერც იმას დაადასტურებს ვინმე, თითქოს ერაყში სირიის გავლით იარაღი შედისო.

ამერიკელების მიერ სირიის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების შემოღება იმის მანიშნებელია, რომ აშშ კვლავ გეგმავს ახლო აღმოსავლეთში საკუთარი წესრიგის დამყარებას.

ანალიტიკოსთა აზრით, აშშ-ს სწორედ ახლა შეუძლია მიიღოს სირიისგან ყველაფერი, რასაც მოისურვებს, მაგრამ სანაცვლოდ არ უნდა შეეხოს ქვეყნის მმართველ ელიტას. მართალია, ოფიციალურად სირიას სუნიტთა პარტია „ბაასი" მართავს, მაგრამ სინამდვილეში წამყვანი პოსტები უჭირავთ ალავიტური (შიიტთა სექტა) უმცირესობის წარმომადგენლებს, რომლებმაც დიდი ქონება იშოვეს ერაყისთვის იარაღისა და ნავთობის მიყიდვით.

სპარსეთის ყურეში ომის დაწყების შემდეგ სირიამ საბოლოოდ დაკარგა რეგიონის გავლენიანი სახელმწიფოს სტატუსი. ახლა სირიამ თამაშის წესები უნდა შეცვალოს და ამერიკელთა პირობებს დაჰყაბულდეს.

***ნიუზუიქი***

## ფინეთი ნატოს წევრობას ფიქრობს



კარგა ხნის განმავლობაში ფინეთის ნატოში შესაძლო გაწევრების თემას ამ ქვეყანაში ლამის ტაბუ ედო. მაგრამ ახლა ბევრი ანალიტიკოსის აზრით, ფინეთი ნატოში შესვლაზე იწყებს ფიქრს. ქვეყნის პრეზიდენტმა, ქალბატონმა ტარია ჰალონენმა ერთ-ერთ ბოლო გამოსვლაში აღნიშნა, — საერთაშორისო კავშირებში შესვლაზე უნდა ვიფიქროთო.

ფინეთში გავლენიან პოლიტიკოსთაგან ჯერჯერობით ცოტა ვინმე თუ ემხრობა აშკარად ნატოში გაწევრებას. თავდაცვის მინისტრმა სეპო კარიანენმა განაცხადა, — ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რას მოგვცემს ნატოში გაწევრება და რას მოითხოვს ის ჩვენგანო.

ნატოში შესვლის იდეა მოიწონეს ფინელმა ბიზნესმენებმა, სამხედროებიც ემხრობიან მთავრობის ამ განზრახვას.

ფინეთისა და შვედეთის ნატოში შესვლით დასრულდება სამხედრო-პოლიტიკური კონფიგურაციის რადიკალური ცვლილებები ჩრდილოეთ ევროპაში, რომელიც რუსეთისთვის ყოველთვის იყო სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ზონა. ბალტიის ზღვა „ნატოს ზღვა" გახდება, პეტრე დიდის მიერ რუსეთის ფლოტისთვის გამოჭრილი „ფანჯარა ევროპაში" — პატარა სარკმლად, რომლის დახურვა, საჭიროების შემთხვევაში, ძნელი არ იქნება.

***იზვესტია №86***

## ერაყელებს ხელისუფლებას აღარ გადასცემენ

ერაყში ამერიკელთა უახლოესი მოკავშირე აჰმედ ჩალაბი შესაძლოა ჯაშუში აღმოჩნდეს. მისი ბინის ჩხრეკის დროს ამერიკელმა მოხელეებმა იპოვეს საბუთები, რომელიც ადასტურებს, რომ ჩალაბი ირანს გადასცემდა საიდუმლო მასალებს.

ყოფილ ბანკირს, აჰმედ ჩალაბის, რომელიც 30 წლის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდა სადამ ჰუსეინის რეჟიმს, ვაშინგტონი ერაყის მეთაურად ამზადებდა. მას შემდეგ, რაც ჩალაბიმ განაცხადა, — ერაყელებისათვის სუვერენიტეტის მინიჭება გულისხმობს მათთვის ერაყის ნავთობზე, სახელმწიფო სიმბოლოებზე სრული კონტროლის გადაცემასო, — აშშ-თან ურთიერთობა გაუმწვავდა. ჩალაბი იმასაც ამბობდა, — სასწრაფოდ უნდა შეიქმნას დროებითი მთავრობაო, რასაც ვაშინგტონი არ ეთანხმებოდა. ერაყის ნაციონალური კონგრესი კი ჩალაბის მეთაურობით გადაჭრით აცხადებდა, — 30 ივნისს, დროებითი ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ამერიკელთა მიერ დანიშნულ მინისტრებს, ადგილობრივ ადმინისტრაციათა ხელმძღვანელებს, მოსამართლეებს გაათავისუფლებენო. ამას ამერიკის მხრიდან მკვეთრი ნაბიჯები მოჰყვა. თავდაცვის მინისტრის მოადგილემ პოლ ვულფოვიცმა განაცხადა, — ვაშინგტონი ერაყის ნაციონალურ კონგრესს დაფინანსებას შეუწყვეტსო. ამას მოჰყვა ბრალდებები ჩალაბის მისამართით.

ამერიკულ პრესაში გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც ნათქვამია, რომ ჩალაბი და კონგრესი, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, ცდილობდნენ, უკანონოდ მიეღოთ ერაყის აღსადგენად გამიზნული თანხები. სწორედ იმ საბაბით გაიჩხრიკა მისი ოფისი და ბინა, სადაც მაკომპრომეტირებელი საბუთები ნახეს. შესაძლოა ჩალაბი დააპატიმრონ, თუმცა ამას ალბათ მისი შეიარაღებული ფორმირების წინააღმდეგობა მოჰყვება. ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ ერაყის პოლიტიკური მოწყობის ამერიკული პროგრამა ჩავარდა.

***ნიუს რუ***

## ინდოეთი — ინდოელებისათვის



**სონია განდი და ინდოეთის ახალი პრემიერ-მინისტრი მანმოჰან სინგჰი**

ინდოეთში კარგა ხანია სენსაციას სენსაცია მოსდევს. ჯერ იყო და, საყოველთაო არჩევნებზე ქვეყნის მმართველმა პარტიამ, ვარაუდის მიუხედავად, ხმათა უმრავლესობა ვერ მიიღო და პირველობა პარტია „ინდოეთის ნაციონალურ კონგრესს" დაუთმო. მეორე სენსაცია ის გახლდათ, რომ ამ პარტიამ ერთსულოვნად დაასახელა პრემიერის პოსტზე კანდიდატად თავისი ლიდერი, 1991 წელს მოკლული პრემიერ-მინისტრის, რაჯივ განდის ქვრივი სონია განდი. ამას საფონდო ბირჟაზე პანიკა მოჰყვა. ამ ბირჟას, არსებობის 129 წლის მანძილზე, ასეთი დონის დაცემა არ ახსოვს. ბაზრის ინდექსი 15%-ით დაეცა და ბირჟის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, ვაჭრობა შეეწყვიტა. ბირჟის შენობასთან შეიკრიბნენ წვრილი ინვესტორები, რომლებიც განდის გადადგომას ითხოვდნენ. ინდოეთი ორად გაიყო — ერთი ნაწილი კატეგორიულად მოითხოვდა, „იტალიელი" (სონია იტალიელია) მოგვშორდესო, მეორე ნაწილს — ის ქვეყნის ერთადერთ ღირსეულ ლიდერად მიაჩნდა.

შექმნილ ვითარებას თავად განდიმ დაუსვა წერტილი. პარლამენტში შეკრებილ თანამოაზრეებს განუცხადა, — შინაგანი ხმა მკარნახობს, უარი უნდა ვთქვა პრემიერობაზე, ასე აჯობებსო. მისმა თანამოაზრეებმა ვერც თხოვნით და ვერც კოლექტიური „პოლიტიკური თვითმკვლელობის მუქარით" ვერ დაიყოლიეს. პარლამენტის შენობასთან კი ათასობით ადამიანი შეიკრიბა, რათა მხარი დაეჭირათ იტალიელი ქალბატონისათვის, რომლისთვისაც ინდოეთი მეორე სამშობლოდ იქცა. სონია განდის განზრახვა ვერ შეაცვლევინეს. მან განაცხადა, — ნერუ-განდის დინასტია მიღებულ გადაწყვეტილებას არ ცვლისო. პარტია „ინდოეთის ნაციონალურმა კონგრესმა" პრემიერის პოსტზე დაასახელა თავისი ერთ-ერთი ლიდერი, ყოფილი ფინანსთა მინისტრი მანმოჰან სინგჰი, იგი სონია განდის უახლოესი თანამოაზრეა. ახლა ინდოეთის მთავრობას სათავეში ჩაუდგება ადამიანი, რომელიც ძალიან კარგად იცნობს ქვეყნის ეკონომიკას, ამასთან, ნამდვილი ინდოელია.

P.S. 71 წლის მანმოჰან სინგჰიმ უკვე დადო ფიცი და პრემიერის მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

***კომსომოლსკაია პრავდა №91***

## მოკლედ

**ტუნისში** გაიხსნა არაბულ სახელმწიფოთა ლიგის ყოველწლიური სამიტი. მთავარი თემებია — სიტუაცია ერაყში და პალესტინის ტერიტორიაზე ძალმომრეობის ესკალაცია. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს ამერიკის წინადადება — ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში პოლიტიკური რეფორმების გატარების თაობაზე. ადრე არაბული სახელმწიფოები ამ გეგმას მათ საშინაო საქმეებში ჩარევად მიიჩნევდნენ.

**ბანგლადეშში,** ქალაქ სილპეტში, ბომბის აფეთქების შედეგად დაიჭრა დიდი ბრიტანეთის ელჩი ამ ქვეყანაში ანვარ ჩოდური. დაიღუპა მისი 2 მცველი, დაჭრილია 20 კაცი. ბანგლადეშის პოლიციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, აფეთქებისას დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი და მისი ორი მცველი ეკლესიიდან გამოდიოდნენ. აფეთქებაზე პასუხისმგებლობა არც ერთ ექსტრემისტულ დაჯგუფებას არ აუღია. ანვარ ჩოდური დიდ ბრიტანეთში დაბადებული ბანგლადეშელია და სულ ორი კვირაა, რაც დიპლომატიურ საქმიანობას შეუდგა.

**თურქი** ჟურნალისტი, რომელმაც შეურაცხყოფა მიაყენა 312 გენერალს, ყოველ მათგანს ორი ათას დოლარს გადაუხდის. ერთი წლის წინ ჟურნალისტმა მეჰმედ დოგანმა გაზეთ „ვაქითში" გამოაქვეყნა სტატია სათაურით — „ქვეყანა, რომელშიც გენერლები ეფრეიტორობის ღირსნიც არ არიან". გენერლებმა მუნდირის დასაცავად უჩივლეს ჟურნალისტს. სასამართლომ მეჰმედ დოგანს, გაზეთის მეპატრონეს და მთავარ რედაქტორს ფულადი ჯარიმა დააკისრა.

**ისრაელის** ჯარმა გამოსვლა დაიწყო ღაზის სექტორის ქალაქ რაფიაჰიდან. თუმცა პატარა ჯგუფი მაინც დარჩება. მათ უნდა გაანადგურონ ის გვირაბები, რომლითაც ღაზის სექტორი მეზობელი ეგვიპტიდან იარაღსა და ტყვია-წამალს იღებდა.

**აშშ-ის** წარმომადგენელთა პალატის სხდომაზე გადაწყდა, რომ პირისაგან მიწისა აღგავონ ციხე აბუ აგრეიბი, სადაც ჯარისკაცები თვეების მანძილზე შეურაცხყოფას აყენებდნენ სამხედრო ტყვეებს. აქ მყოფ პატიმრებს სხვა ციხეებში გადაანაწილებენ.

**იაპონელმა** ალპინისტმა ქალმა, ჰიროსიმელმა 63 წლის სოკო ოტომ დალაშქრა მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ევერესტი. დაშვების დროს სოფო ოტომ გრძნობა დაკარგა და მაშველ თოკს ჩამოეკიდა. მოგვიანებით მისმა თანამგზავრებმა ორგანიზატორებს ალპინისტი ქალის გარდაცვალება შეატყობინეს.

**ყაზახეთის** პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა განაცხადა, რომ მონაწილეობას მიიღებს 2006 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. ის თავის მისიად მიიჩნევს სახელმწიფოს განმტკიცებასა და მოქალაქეების კეთილდღეობის გაუმჯობესებას. იმის მიუხედავად, რომ ნაზარბაევს ადანაშაულებენ კორუფციასა და ოპოზიციის ჩახშობაში, იგი პოსტსაბჭოთა სივრცეზე მმართველობის ხანგრძლივობის რეკორდის მოხსნას აპირებს.

***გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ***



# „მეფის“ სიტყვა კანონია?!

## გვექნება თუ არა სტაბილური ეკონომიკური კანონმდებლობა

მძაფრი პოლიტიკური მოვლენების ფონზე, ჩვენმა ხელისუფლებამ ეკონომიკური რეფორმების გატარების აუცილებლობა თითქოს მიივიწყა. პრეზიდენტის ხმამაღალი დაპირებები, რომელიც ეკონომიკას ეხებოდა, ჯერაც არ შესრულებულა. „ამბიციური“ ბიუჯეტის თემამ ისე გაიტაცა მთავრობა, რომ არც ახალი ლიბერალური საგადასახადო კოდექსი გახსენებიათ, არც მოახლოებული ფინანსური ამნისტია და არც ინდმეწარმეებისთვის მიცემული სიტყვიერი დაპირება. ზოგადად, მთავრობის გეგმები ფრიად შესაშურია, 2004 წელს გეგმავენ 6%-იან ეკონომიკურ ზრდას, გადასახადების ადმინისტრირების მაჩვენებელი მთლიან შიდაპროდუქტთან მიმართებაში 13,3-დან 16,3 პროცენტამდე უნდა გაზარდონ. ჯერჯერობით ხელფასებისა და პენსიების გაცემაც ნორმალურად მიდის, რაც მისასალმებელია. ქვეყანაში გამეფებული კორუფციის, კონტრაბანდის, შავი ფულის მიმოქცევის აღკვეთა კი ვერ ხერხდება.

ხელისუფლების კიდევ ერთი დანაპირები საინვესტიციო კლიმატის „გაჯანსაღებას“, „სახარბიელო“ საინვესტიციო გარემოს შექმნას და ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას ეხება. საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღების უპირველესი პირობა კი საგადასახადო კოდექსის გამარტივება და გადასახადების შემცირებაა. პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით შექმნილი 17-კაციანი კომისია, რომელიც ახალ საგადასახადო კოდექსზე მუშაობს, პროექტის წარდგენას ერთი თვით აგვიანებს, მაგრამ საეჭვოა, დაგვიანებისთვის ვინმემ პასუხი მოსთხოვოს. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს ნიკა გილაურს, რომელიც კომისიის ერთ-ერთი წევრია, პროექტის დაგვიანების მიზეზი ვკითხეთ. მან კონკრეტული მიზეზი ვერ დაასახელა, თუმცა საკუთარი მოუცლელობა იმით ახსნა, რომ თურქეთში იმყოფებოდა და ოფიციალურ შეხვედრაზე ეჩქარებოდა. მოუცლელობას უჩივის ახალი საგადასახადო კოდექსის შემმუშავებელი ჯგუფის შვიდივე მინისტრი. სავარაუდოდ, საკმაოდ მოუცლელი ბრძანდება კომისიის ორი ექსპერტიც, რომლებსაც პარალელურად პარლამენტარის მოვალეობის შესრულებაც უხდებათ. კომისიაში ექსპერტის სტატუსით იმყოფებიან გიორგი არველაძე და ბესო ჯუღელი. თავისუფალი დრო ალბათ კომისიის წევრ სხვა პარლამენტარებს, მიხეილ მაჭავარიანსა და დავით სალარიძესაც არა აქვთ. ამრიგად, რეალური შანსია, გამართლდეს არაოფიციალური ინფორმაცია, რომ ახალ კოდექსზე არავითარი კომისიური მუშაობა არ მიმდინარეობს და ახალ საგადასახადო კოდექსს ერთპიროვნულად წერს ფინანსთა სამინისტრო, კერძოდ კი ფინანსთა მინისტრის მოადგილე ზურაბ ანთელიძე. ასევე არაოფიციალური ინფორმაციით ირკვევა, რომ ახალი კოდექსი დიდად არ განსხვავდება 1997 წელს ამოქმედებული, მეწარმეთა დამაქცევარი მოქმედი საგადასახადო კოდექსისაგან, რომელმაც ფაქტობრივად დაანგრია ლეგალური ქართული ეკონომიკა და ჩრდილოვანი ეკონომიკის სამარცხვინო მაჩვენებლით, დღეისათვის მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზე გაგვიყვანა.

ფინანსურ ამნისტიას ხელისუფლება ახლა უკვე სექტემბრისთვის გეგმავს, რითაც მეწარმეებს გარკვეულ შეღავათებს ჰპირდება, მაგრამ ჯერ არავინ იცის, ამით ქვეყანა რა შედეგს მიიღებს, მით უმეტეს, რომ ხელისუფლებაში ამასთან დაკავშირებით კონკრეტული გათვლები არ არსებობს. როდესაც პრეზიდენტმა ამნისტიის შესახებ განაცხადა, მან მეწარმეებს შესთავაზა, მოეხდინათ ექვსი წლის განმავლობაში დაფარული გადასახადების დეკლარირება. აქედან ერთ მილიონს ხელისუფლება ბიზნესმენს აპატიებდა, მილიონზე მეტი თანხის 10%-ს წელს გადაახდევინებდა, 10%-ის ზემოთ კი 15 წლით რესტრუქტურიზაციას გაუკეთებდა. ექსპერტების აზრით, ფინანსური ამნისტია დღევანდელ პირობებში სრული აბსურდია, რადგან ვინც საკუთარ ტყავზე მოირგებს პრეზიდენტის ამ შემოთავაზებას, მიხვდება, რომ მეწარმეს სთავაზობენ გაამჟღავნოს მისი მონაპარის ყოველწლიური ნორმა, ანუ ის, რის დამალვასაც მას საგადასახადო კოდექსი აიძულებდა. იმ პირობებში კი, როდესაც ჯერ კიდევ ძველი საგადასახადო კოდექსი მოქმედებს და დიდია ალბათობა, რომ მეწარმეებს წელსაც ამ კოდექსით მოუწევთ მუშაობა, პრეზიდენტი მათგან ყველაფრის „სუფთად“ გადახდას მოითხოვს, ამის გაკეთება კი ერთი წლის განმავლობაში ფაქტობრივად შეუძლებელია. მართალია, კანონი კანონია, მაგრამ, როდესაც ქვეყნის მეთაური ფინანსურ ამნისტიაზე საუბრობს, იგი თავისთავად აღიარებს მოქმედი საგადასახადო კოდექსის უსამართლობას. ექსპერტების აზრით, მხოლოდ ლიბერალური საგადასახადო კოდექსის ამოქმედების შემდეგაა შესაძლებელი, ამუშავდეს ფინანსური ამნისტია, ბიზნესმა დაიწყოს გათეთრება და ქვეყნის სამსახურში ჩადგეს. გავიხსენოთ, რა ვადა მისცა პრეზიდენტმა მეწარმეებს მოპარული ფულის გამოსაჩენად — ვადები განისაზღვრა 1-ელ ივლისამდე. საინტერესოა, აღიარა თუ არა ვინმემ, ამ კუთხით „ჩადენილი“ დანაშაული. ამ კითხვით მივმართეთ ერთ-ერთი სახელმწიფო უწყების წარმომადგენელს, რომელმაც ობიექტური ინფორმაციის სანაცვლოდ ინკოგნიტოდ დარჩენა გვთხოვა. „სულელი უნდა იყო, მოპარული გადასახადების დეკლარირება მოახდინო, თანაც იმ პირობებში, როცა ამისთვის არც იურიდიული საფუძველი არსებობს და არც ხელშეუხებლობის გარანტიები. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ჯერ არც ერთ მეწარმეს თუ ბიზნესმენს არ ულიარებია, რომ სახელმწიფოს გადასახადები დაუმალა. ხოლო ისინი, ვინც პრეზიდენტის სიტყვას ენდო და გულახდილობა სცადა, დაიჭირეს“ — განაცხადა ჩემთან საუბარში რესპონდენტმა.

„სულელი უნდა იყო, მოპარული გადასახადების დეკლარირება მოახდინო, თანაც იმ პირობებში, როცა ამისთვის არც იურიდიული საფუძველი არსებობს და არც ხელშეუხებლობის გარანტიები“.

მოქმედი საგადასახადო რეჟიმის პირობებში, მცირე და მსხვილი მეწარმე ერთნაირად იბეგრება, რაც თავისთავად ეკონომიკური ნონსენსია და ასეთი რამ, მსოფლიოს არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში არ ხდება.

მთავრობას ჯერჯერობით არ წარმოუდგენია მცირე მეწარმეობის რეფორმირების რაიმე რეალური პროგრამა და ეს იმ ფონზე, როდესაც მოსახლეობას ჯერ კიდევ ახსოვს პრეზიდენტის წინასაარჩევნო დაპირებები, მცირე ბიზნესის ორი წლით გადასახადებისგან გათავისუფლების შესახებ. მოგვიანებით ამ დაპირებამ სახეცვლილება განიცადა და პრეზიდენტმა „პირიმზის“ თანამშრომლებს პირადად ახარა გადასახადებისაგან გათავისუფლება. თუმცა, ინდმეწარმეების სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა...

მცირე ბიზნესისთვის წელს შემოიღეს ახალი გადასახადი, რომელიც მთელი ბრუნვის 5%-ს გულისხმობს.

ექსპერტების მოსაზრებით კი ბიზნესის ზოგიერთ სფეროში მთელ ბრუნვაში მოგების წილი 5%-ს არც კი აღემატება და შესაბამისად, შესაძლოა, გადასახადი მოგების 100%-ს და მეტს უდრიდეს. ეს კი ვერაფრით ჩაითვლება შეღავათიან დაბეგვრად.

ჯერ კიდევ 2001 წელს გაერო ავალდებულებდა საქართველოს, რომ მცირე მეწარმეობისთვის შეემუშავებინათ ადგილობრივ პირობებს მორგებული საკუთარი სტრატეგიული, ეკონომიკური და საგადასახადო მოდელები და რამდენიმე წლით მცირე მეწარმეობაში გამოეცხადებინათ საგადასახადო მორატორიუმი. ყოველივე ეს აბსოლუტურად იგნორირებული იყო ძველი ხელისუფლების მიერ და, სამწუხაროდ, იგნორირებულია დღესაც. მცირე მეწარმეები აცხადებენ, რომ ისინი განიცდიან ზღვარგადასულ იურიდიულ, სამართლებრივ და ეკონომიკურ დევნას, რის გამოც საკუთარი ხელით შემუშავებული დეკრეტის პროექტი პრეზიდენტ სააკაშვილს პირადად გადასცეს.

ანზორ ბაბუხადია, მეცნიერი-ეკონომისტი, მცირე მეწარმეთა ასოციაციის წარმომადგენელი:

— რამდენიმე თვის წინ პრეზიდენტის ინიციატივით კინოთეატრ „ამირანში“ შედგა შეხვედრა მცირე მეწარმეებთან, სადაც ფაქტობრივად უნდა განხილულიყო ამ სფეროში შექმნილი პრობლემები. უკეთ რომ ჩაგვეყენებინა საქმის კურსში, პრეზიდენტს პირადად გადავეცით ჩვენ მიერ შემუშავებული დეკრეტი. პრეზიდენტმა იქვე გადასცა ეს დოკუმენტი ზურაბ ჟვანიას და ყურშიც რაღაც ჩასჩურჩულა. ჟვანიას არ დაუხედავს ამ დეკრეტისთვის, ისე გადასცა იგი ეროსი კიწმარიშვილს. კიწმარიშვილმა იქვე, ჩვენი თანდასწრებით გადასცა ეს დოკუმენტი ერთ-ერთ მეწარმეს, გვარად გეგეშიძეს. აი, ამგვარია ხელისუფლების დამოკიდებულება ფრიად მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ. სად არის ახლა ეს დოკუმენტი, არ ვიცით. ამიტომ ხმამაღლა ვაცხადებ, რომ პრეზიდენტს მისი გუნდის ზოგიერთი წევრი ღალატობს...

რეალური შანსია, გამართლდეს არაოფიციალური ინფორმაცია, რომ ახალ კოდექსზე არავითარი კომისიური მუშაობა არ მიმდინარეობს და ახალ საგადასახადო კოდექსს ერთპიროვნულად წერს ფინანსთა სამინისტრო, კერძოდ კი ფინანსთა მინისტრის მოადგილე.

არ ვიცი, პრეზიდენტს მისი ეკონომიკური გუნდი ღალატობს თუ როგორც მეცნიერი ეკონომისტები ამბობენ, ეს მათი დაბალი პროფესიონალიზმის ბრალია, ფაქტი ერთია, რომ პრეზიდენტის ბევრი დაპირება ან არ სრულდება, ან კანონთან შესაბამისობაში არ მოდის. ხელისუფლების ძირითადი საზრუნავი კვლავაც ბიუჯეტია, ანუ „მთავრობის ჯიბე“, ხოლო სტაბილური ეკონომიკური კანონმდებლობა კვლავ შორეულ პერსპექტივად რჩება. ამგვარ პირობებში კი, შეიძლება კიდევ ერთი დაპირება შეემატოს შეუსრულებელ დაპირებათა სიას — უცხოური ინვესტიციები. ისე, ცოტა ღიმილის მომგვრელია, როდესაც ქართული კაპიტალის ქვეყნიდან გადინების საფრთხე არსებობს, უცხოელ ინვესტორებს კი საუკეთესო გარემოს ჰპირდები. ისევ ექსპერტებს დავესესხები და გეტყვით, რომ რეალურად საქართველოში ჯერჯერობით ახალი უცხოური ინვესტიციები არ შემოდის. ხოლო ის ინვესტიციები, რაც უკვე არსებობს, ძირითადად ისეთ სფეროებშია ჩადებული (ნავთობი, გაზი), რომელიც ექსკლუზიური საგადასახადო შეღავათებით სარგებლობს.

*ემა ტუხიაშვილი*

# რას ეხვეწებოდა თავდაცვის ყოფილი მინისტრი კახა თარგამაძეს 11 ოთახის სანაცვლოდ?!

*(დასაწყისი იხ. გვ. 6)*

თუმცა მისი წერილობითი კომენტარის მოპოვება მაინც შევძელით. დევი ჭანკოტაძე თავდაცვის ახალ მინისტრს, გელა ბეჟუაშვილს სწერს: „ამ საქმესთან დაკავშირებით ჩემმა სახელმა და გვარმა მეტად არასასიამოვნო ფორმით რამდენჯერმე გაიჟღერა. არადა, საქმე გვაქვს კერძო სამოქალაქო პირების მიერ არაერთგზის ჩადენილ შეგნებულ დანაშაულთან, რაც გამოიხატება სამინისტროს ბალანსზე რიცხული სახელმწიფო ქონების მითვისებით... 2000 წელს, როდესაც რუსეთის მხარემ გაფრთხილების გარეშე დატოვა ხსენებული სამხედრო ქალაქი და გაიტანა ხელსაწყოები ცალკე მდგომი სამხედრო მეტეოროლოგიური ლაბორატორიიდან და ასევე ერთ-ერთი შენობის ნაწილი გამოათავისუფლა, ჩვენ ეს ფართი სასწრაფოდ გადავეცით 12 სამხედრო მოსამსახურის ოჯახს. მოულოდნელად სამხედრო ქალაქში გამოცხადნენ პოლიციის ფორმაში ჩაცმული პირები, ვინმე მაიორი ლალი ღვინეფაძე და შს სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ანზორ გაბიანი. თან ახლდათ რამდენიმე დაბალი რანგის პოლიციელი. მათ აღნიშნული შენობების დაცლა მოითხოვეს. ამ დღიდან დაიწყო სამხედრო ვეტერანების ოჯახების შევიწროება პოლიციის, ე. წ. შავების და თვითონ ღვინეფაძის მიერ. სცადეს ჩემი დაყოლიებაც — უნდა დამერწმუნებინა სამხედრო პირების ოჯახები, რომ გამოსულიყვნენ დაკავებული ფართიდან. სამაგიეროდ, ვარკეთილში ჰპირდებოდნენ ერთოთახიანი ბინების ყიდვას. უზენაესმა სასამართლომ რამდენიმეწლიანი დავის შემდეგ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნა დააკმაყოფილა. ამჯერად მეორე მხარე მაინც არ ისვენებს და სამხედროებზე გაცემული ბინების ორდერების ბათილად ცნობას ითხოვს. ამასვე ითხოვს ეკონომიკის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა...“.

დასასრულ, ჩვენ კომენტარი ვთხოვეთ თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის მთავარი სამმართველოს ყოფილ უფროსს, პოლკოვნიკ **რეზო ბეჟაშვილს**:

— პირველად მე ავიმაღლე ხმა თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი უძრავი ქონების უკანონოდ მისაკუთრებაზე.

**— ზოგიერთი სამხედრო მოსამსახურე აცხადებს, რომ საბინაო კომისიის თავმჯდომარე ბინებს ოფიცერთა ოჯახებზე იმ შემთხვევაში გასცემდა, თუ ოფიცერი ქრთამად ორიდან ხუთი ათას დოლარამდე მიუტანდა. ტარიფი იმის მიხედვით მერყეობდა, რამდენოთახიანი ბინა უნდოდა ოფიცრის ოჯახს და რომელ უბანში.**

— დევი ჭანკოტაძე ჩემზე გაცილებით მაღალი რანგის სამხედრო პირია. მე არ შემიძლია ვთქვა, ასეთ რამეს აკეთებდა თუ არა. ჭანკოტაძე მომიტანდა საბინაო კომისიის დადგენილებას და მე კი რეგისტრაციაში ვატარებდი.

**— რუს სამხედროთა კუთვნილი საბავშვო ბაღი ამჟამად ვის ეკუთვნის?**

— არ ვიცი. ამბობენ, თევზაძის მეუღლემ იყიდაო.

**— დიდუბეში კავშირგაბმულობის ნაწილის ტერიტორია რეალურად რა ფასად გაიყიდა?**

— ობიექტის პრივატიზება 2002 წლის 24 ივლისს მოხდა. 283 ათას დოლარად...

ის, რაც ბეჟაშვილმა არ (ან ვერ) გვითხრა, ინფრასტრუქტურის ერთ-ერთმა ოფიცერმა გაგვიმხილა: „სანამ კავშირგაბმულობის სამხედრო ნაწილის ტერიტორიას გაასხვისებდნენ, მასზე რამდენიმე გავლენიანი პირი ილესავდა კბილებს. ეს ყველაფერი კონტროლის პალატის საიდუმლო აქტშია ასახული. კონკრეტულ სახელებს ვერ გეტყვით, თუ სამართალდამცველები ამით დაინტერესდებიან, ამის გარკვევა არ იქნება ძნელი. ოფიციალურად ნახევარ მილიონ ლარად გაიყიდა ის ტერიტორია. ნახევარი მილიონი ლარის მარტო აგური გამოვიდა, როდესაც ყაზარმები დაშალეს. როგორც ვიცი, მეპატრონემ დამატებით კიდევ ერთი მილიონი დოლარი გადაიხადა...“

P. S. ათასობით ბინა და ათიათასობით ჰექტარი მიწა დატოვა რუსეთის არმიამ საქართველოში, რომელიც შემდგომ თავდაცვის სამინისტროს გადაეცა. დღეს ამ მრავალმილიონიანი ქონების უდიდესი ნაწილი გაყიდულია და ამონაგები თანხა ბიუჯეტს, საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას ან ქართველი სამხედროების საბინაო პირობების გაუმჯობესებას კი არ მოხმარდა, არამედ თავდაცვის, ქონების მართვის სამინისტროებსა და სხვა სამსახურების ზოგიერთ მაღალჩინოსანთა კეთილდღეობას. მაშ, ქვეყანას რაღა?!

*ზვიად ჩაკვეტაძე*

ამერიკა-ისრაელის ერთობლივი წარმოება
იყიდება მხოლოდ თბილისის ოფისიდან
უნივერსალური
სასათბურე ფირები
გარანტირებული დაცვა
- მზის მავნე გამოსხივებისაგან
- ვირუსებისა და მწერებისაგან
- ცვარისაგან
- ტემპ. ცვალებადობისაგან
- მოყინვისა და ჩახურებისაგან
სიახლე
- გარანტია = 2 წ; 3 წ
მრავალწლიანი პრაქტიკული
გამოცდილებით საქართველოში
შპს შალი, თბილისი, მარჯანიშვილის 5
ტელ: 267888; 969164; ტელ/ფაქსი: 969195;
მობ: 8.99. 569195; 899 931110
ამერიკა-ისრაელის ერთობლივი წარმოება

შპს „გეოკორი“

აწარმოებს
ბურღვით
სამუშაოებს
სასმელი და
ტექნიკური
წყლის
მისაღებად
მის: აკურის ქ. №8
(საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

„ტრანსტრონის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა,
მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

შპს „პოლიგრაფისტი“
(სტამბა №17) გთავაზობთ:
• ბეჭდვას შოლკოგრაფიით როგორც ქაღალდზე, ასევე სხვა მასალაზე.
• ყველა სახის პოლიგრაფიულ მომსახურებას.
მის: სურამის ქ. №13
(რკინიგზის დეპარტამენტის უკან)
☎ 95-00-97

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
22 მაისიდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,9200 |
| ევრო | 2,3048 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,4272 |
| რუსული რუბლი | 0,0662 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,2339 |

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. პაციენტი



კვლავ ვერ გაიღვიძა დილით თავის დროზე ჩემმა მეზობელმა ჰამლეტმა (ხომ იცით, გურიაში მოდაში იყო უცხოური სახელები). შეეშინდა, ორი საყვედური უკვე მაქვს დაგვიანებისთვისო, რით უნდა ემართლა თავი... მოიფიქრა და სწრაფად გაქანდა სტომატოლოგთან.

— ეს კბილი ამოიღეთ! — უბრძანა ექიმს.

— კი მაგრამ, ეს ხომ საღი კბილია? — შეწუხდა ექიმი.

— ამოიღეთ! — გაუმეორა პაციენტმა.

ექიმმა შეასრულა „ბრძანება“ და საღ-სალამათი კბილი წინ დაუდო.

— ახლა დაწერეთ ცნობა, რომ დღეს დილით კბილი ამომიღეთ!

ექიმი ასრულებს მოთხოვნას, თან ეკითხება:

— თუ საიდუმლო არ არის, რისთვის გჭირდებათ ეს ცნობა?

— როგორ თუ რისთვის? — გაიკვირვა ჰამლეტმა (თან ცნობა გულისჯიბეში ჩაიდო). — რასაკვირველია, სამსახურისთვის.

— დღეეს?!

— რა თქმა უნდა!

ექიმმა თავში შემოირტყა ხელი და აშკარად შეწუხებულმა წამოიძახა:

— დღეს ხომ კვირაა?!

***გურამ ბისეიშვილი, ლანჩხუთი***

## 2. უცნაური შეკვეთა



სტუდენტობის დროს, ოთხმოციან წლებში, სტიპენდიების მიღების დღეს, ოთხი მეგობარი ტრადიციულად „ზემელზე“ მდებარე რესტორან „კინოს სახლში“ მივდიოდით (იმდროინდელი სტიპენდია — 40 მანეთი, გვაძლევდა ამის საშუალებას). ერთ-ერთ ასეთ საღამოს, გვიან მოგვიწია რესტორანში მისვლა და ხალხის სიმრავლის გამო, გაჭირვებით მოვახერხეთ მაგიდასთან დასხდომა. შუა ქეიფში სუფრაზე კატა ამოხტა, მიიხედ-მოიხედა, ტატოს წინ მდგარ ჭიქასთან „მოისაქმა“ და სანამ აზრზე მოვიდოდით, გაქრა. მომხდარით გაკვირვებულებმა ერთმანეთს გადავხედეთ. კატის საქციელით შეურაცხყოფილი ტატო უცებ აილეწა, — ვახ, ამათი დედა! და ადმინისტრატორისკენ გაქანდა, დასაწყნარებლად უკან მივყევით. მცირე ხნის „საუბრის“ შემდეგ, ადმინისტრატორმა მუსიკოსებისკენ მიგვითითა: — მე რა შუაში ვარ, ეგ კატა მაგათიაო. ახლა მათთან მივარდა გააფთრებული:

— ბიჭო, შენმა კატამ ჩემს ჭიქაში ჩააფსა, იცი?!.

— კი, ძმაო, რაზეა ლაპარაკი!.. — შეშინებულმა დამკვრელებმა ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და უცებ დააგუგუნეს: „შენმა კატამ ჩემს ჭიქაში ჩააფსა“...

იქ ამბავი ატყდა, ალბათ წარმოიდგენთ.

***პაატა ბაკურაძე, თბილისი***

## 3. მსგავსება



ერთ ჩემს ახლობელს, დავით გ.-ს შვილიშვილი შეეძინა. დავითს ოჯახში „ავტორიტეტი“ თითქმის აღარ ჰქონდა, ვინაიდან ახალ ცხოვრებას ვერ აუღო ალღო და ცოტა სმასაც მიჰყო ხელი. ჰოდა, სამშობიაროდან გამოყვანილ ბავშვს შემოეხვივნენ ოთხივე ბებია-ბაბუა. ერთი ბებია აცხადებს, სულ ჩემნაირი თვალები აქვსო. მეორე ბებია კი ტუჩებისკენ უთითებს — ჩემსას მიუგავსო. „ავტორიტეტიანი“ ბაბუა კი რიხიანად გაიძახის, — შეხედეთ, რამხელა თვალებს აბრიალებს ჩემსავით და ცხვირიც ჩემი ექნებაო. უსმინა, უსმინა საწყალმა დავითმა და წყნარად იკითხა — კბილები თუ აქვს პატარასო? სამივე უხეშად მიუბრუნდა და ერთხმად მიაყარეს: — ახალშობილის კბილები სად გაგონილაო? — ჰოდა, თქვე კაი ხალხო, მაგაში მაინც დამმგვანებია ჩემი შვილიშვილიო! — საცოდავად ჩაილაპარაკა „უავტორიტეტო“ ბაბუამ.

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***

## 4. მძახლები



ერთხელ, შაშიანელი (გურჯაანის რაიონი) დათა იმედაშვილი მძახალს, ქალბატონ თინას ესტუმრა. ერთმანეთი რომ მოიკითხეს, თინამ თავის ვაჟზე ჰკითხა დათას, სიძე ხომ არ გაბრაზებსო.

— როგო არ მაბრაზებს, მაგის დედა კი... — დაიწყო დათამ და ჩამოთვალა სიძის სიზარმაცის, ძმაკაცებში ხშირი ქეიფის და „ბირჟავიკობის“ ამბები. თან ყოველ წინადადებას გინებას მოაყოლებდა.

უცბად მძახალი დათას ეკითხება: — დათავ, რად მაგინებ, მე რაღა დაგიშავეო.

— შენ კი არა, ჩემს სიძეს ვაგინებ, მაგის დედა კიო... — ისევ შეუკურთხა დათამ უსაქმურ სიძეს.

***თინა ლაზარიაშვილი, თბილისი***

## 5. „კარგი“ ექიმი



დიმიტრი გ.-ს 10 წლის გიორგი დიდი გურმანი ვინმეა, უკვე 80 კგ-ს იწონის. მამამ გადაწყვიტა ექიმისთვის ეჩვენებინა, რაიმე დაავადება ხომ არა აქვს ბავშვსო. ექიმმა გასინჯა გიორგი და დაადგინა, რომ იგი ჯანმრთელი იყო. მამას კი უთხრა, მოდი ერთი, სასადილოში შეიყვანე, საინტერესოა, რამდენს შეჭამსო. დიმიტრიც ასე მოიქცა. გიორგიმ 20-ოდე წუთში შეჭამა 30 ცალი ხინკალი, 5-5 ულუფა მწვადი და ქაბაბი, 3 ბოთლი ლიმონათიც დააყოლა.

— ეს რა კარგი ექიმი ყოფილა, მამი!.. — გაიხარა ბავშვმა.

***პაატა წიქარიშვილი, ხაშური***

## 6. პურის ცხობა კახურად



ეს ამბავი კახეთის ერთ-ერთ სოფელში მოხდა და ჩემი ახლობლის რძალს შეემთხვა, რომლის მამამთილი მეცხვარეა და შინ იშვიათად მოდის. ზაფხულის ერთ ცხელ დღესაც, როდესაც სახლში არავინ იყო, რძალმა გადაწყვიტა სტუმრად წასული დედამთილი გაეხარებინა და თონეში პური გამოეცხო, რაშიც არცთუ ისე დიდი გამოცდილება ჰქონდა. ცომი მოზილა, თონე გაახურა და პურის ჩაკვრა დაიწყო, მაგრამ მიუჩვეველს სახე და ხელები საშინლად ეწვოდა.

ამ გასაჭირში იყო, რომ გაახსენდა შვილის მიერ მოტანილი კინგ-კონგის საშინელი ნიღაბი, რომელიც ერთ დროს ძალიან მოდაში იყო (ბავშვები ერთმანეთს აშინებდნენ). იპოვა, სახეზე აიფარა და პურის ჩაკვრა გააგრძელა. ამ დროს ეზოში შემოვიდა ხურჯინაკიდებული მამამთილი, რომელსაც სათონედან ხმაური შემოესმა და იქით გასწია. მოულოდნელად დაინახა, როგორ ამოიმართა თონიდან საშინელსახიანი არსება, რომელიც მას უყურებდა. კაცი ადგილზე გაქვავდა და შიშისგან იღრიალა. რძალი ვერ მიხვდა, რა მოუვიდა მამამთილს, ნიღაბი მოიგლიჯა და მისკენ გაექანა მისაშველებლად. მამამთილმა იცნო რძალი, ხურჯინი იქვე დააგდო, ეზოდან გავარდა და რძალს მიაძახა, — ვინც ჩემთავად შენი გამომცხვარი პური შეჭამოს, იმისი დედაცო!..

***ლ. ქაცანაშვილი, საგარეჯოს რაიონი, სოფელი პატარძეული***

## 7. „პამოჟეტ – ნე პამოჟეტ“!..



სამამულო ომის დროს, 1942 წელს 62-ე საშუალო სკოლა გადაკეთდა ჰოსპიტალად. მე იმ წელს დავამთავრე საფერშლო ტექნიკუმი და მუშაობა დავიწყე იმ ჰოსპიტალში.

ჯერ 18 წლისაც არ ვიყავი, რუსულიც კარგად არ ვიცოდი. ერთ დღეს ჩემთან მოდის ერთ-ერთი ავადმყოფი და მეუბნება: — სესტრა ტამარა, მე-7 პალატაში გთხოვენო (სხვათა შორის, ის პალატა ადრე ჩემი საკლასო ოთახი იყო). მივედი იმ ავადმყოფთან, ვინც გამომიძახა (პალატაში 13 კაცი იწვა). მეუბნება: — სესტრა ტამარა, უ მენია პანოს კაკ ვადა, ტაკ იდიოტო. ის კი ვიცოდი, „ნოს“ ცხვირი რომ არის და „ვადა“ წყალი. ვიფიქრე, ალბათ ცხვირზე აქვს რაიმე პრობლემა, სურდო ან რაღაც ასეთი-მეთქი. თან გამიხარდა, რომ თარჯიმანი არ დამჭირდა, თავად მივხვდი, რა სჭირდა ავადმყოფს. ახლავე მოგიტან წამალს-მეთქი. რა წამალსო. — ასპირინს! — ვუთხარი გახარებულმა. მეუბნება, ასპირინ ნე პამოჟეტ!.. მე ვამშვიდებ, პამოჟეტ! ის ისევ იმეორებს: — ნე პამოჟეტ! ავუხსენი, ასპირინს რომ დალევ, ოფლი მოგივა და ცხვირიც გაგითავისუფლდება-მეთქი. ავადმყოფი მიხვდა, რომ ვერ გავუგე, რა აწუხებდა და ბოდიში მომიხადა. ცხვირზე ხელი დაიდო და მითხრა: — სესტრა ტამარა, აქედან კი არა, აქედანო და ახლა უკან დაიდო ხელი... ავადმყოფებს სიცილი აუტყდათ. მე შემრცხვა და პალატა დავტოვე. უფროსმა ექთანმა მითხრა „პანოს“ კუჭის აშლას ნიშნავსო. რამდენიმე დღე იმ პალატისკენ გახედვაც აღარ მინდოდა...

***თამარ თვაური, სამამულო ომის მონაწილე***

## 8. ეს ასი პატიმარი



კახეთის ერთ-ერთ რაიონში, კომუნისტების დროს რაიკომის პირველ მდივან ქალბატონს არ უყვარდა ერთ-ერთი დიდი ქარხნის დირექტორი და ყოველნაირად ცდილობდა მის აბუჩად აგდებას. ეს უკანასკნელიც, საკმაოდ გამოცდილი კაცი, თავის მხრივ შეძლებისდაგვარად ცდილობდა არ შეკამათებოდა და მისი ყოველგვარი კაპრიზი შეესრულებინა. ერთხელაც, უქმე დღეს, დაახლოებით საღამოს 8 საათზე პირველმა მდივანმა დაურეკა დირექტორს: ეს ასი პატიმარი რომ ზის, სასწრაფოდ რაიკომთან ამოიყვანეო. რადგანაც ქარხანაში მიმაგრებით თითქმის ასამდე პატიმარი მუშაობდა, დირექტორმა ორგანიზაცია გაუკეთა ქარხანაში ლამის მთელ ტრანსპორტს და ასი მსჯავრდადებული (ასი რომ გამხდარიყო, ჩვეულებრივი მუშებიც დაამატა) მიიყვანა რაიკომთან. პირველი მდივანი გაცეცხლებული, ხოლო რაიკომის მუშაკები ახარხარებულნი შეხვდნენ ასკაციან „დესანტს“... შეცბუნებულ დირექტორს კი განუმარტეს, რომ ასი პატიმარი კი არა, ბულდოზერი „ეს-100“ სჭირდებოდათ, რომელზეც პატიმარი იჯდა.

***ვახტანგ ბედოშვილი, საგარეჯო***

# ყურადღება!

## კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ“ მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

| კურიოზების კონკურსი |
| --- |
| საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ____ |
| კვირის პალიტრა №21 |

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 26 მაისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 27 მაისის 13 საათამდე.*

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



**9.** — მიხომ თავისი მარჩენალი ვირი დაკარგა და პოლიციაში განაცხადა.

— არა გვცალია ახლა ვირის საძებნელად და ხვალამდე მოიცადე! — უთხრა პოლიციელმა.

— ხვალამდე ხალხში გაერევა და მერე ჩემს ფეხებს იპოვით!.. — გააპროტესტა მიხომ.

***პ. წ., ხაშური***

## მილოცვა

**გიული ბუაძეს!**

ჩვენო კარგო გიული მასწავლებელო, გილოცავთ იუბილეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ბედნიერებას შვილებთან, შვილიშვილებთან და თქვენს მესამეკლასელებთან ერთად. ძალიან გვიყვარხართ.

*თბილისის თეთვაძის სახელობის საშუალო სკოლის III(დ) კლასი*

**მარინა ბეკოშვილს!**



ჩვენო საყვარელო მარინა! გილოცავთ დაბადების დღეს – 27 მაისს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს.

ბედნიერ საქართველოში დაბრუნებას გისურვებთ. ღმერთი იყოს შენი მფარველი.

*თენგო, ნანული ბეკოშვილები*

**ესმა ფიცხელაურს!**

ჩემო მამიდა! გულით გილოცავ დაბადების დღეს. იცოცხლე, იდღეგრძელე, გაიხარე შენს საყვარელ შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად.

*შენი ძმისშვილები თამუნა და რაფიელ ფიცხელაურები*

## ქირავდება

ვაკეში, ყიფშიძის ქუჩაზე, გალაკტიონის ძეგლთან, ოთახნახევრიანი (გადაკეთებული 2-ად) სუფთა ბინა, მუდმივი დენით, ბ/აირით, ტელეფონით, საჭირო ავეჯით, მე-3 სართულზე. სასტუმრო ოთახის ფართი – 40 კვმ, საძინებელი – 12 კვმ. აქვს შემინული ლოჯია და სამზარეულო ერთად. ფასი $250. ტელ: 34-32-79; 899 53-42-51; 893 96-00-42

უცხოელებზე, ვაკეში, თამარაშვილის ქუჩაზე ოთხოთახიანი, 140 კვმ ფართის ბინა ახალაშენებულ სახლში, მუდმივი დენით, ბუნებრივი აირით, თერმექსით, ტელეფონით. მე-3 სართულზე. ბინა საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს. შეთანხმებისამებრ შესაძლებელია პირველი თვეების ქირით გარემონტდეს 20-25 დღეში. ტელ: 22-78-56; 893 12-25-05; 893 12-70-37

ქირავდება ქეთევან წამებულის №25-ში („მეტეხთან" ახლოს) 200 კვმ საოფისე ფართი. ფასი $1000. ტელ: 39-57-54; 32-59-59; 899 54-00-40

ქირავდება ქალაქის ცენტრში (ვერა, ვაკე) ოფისი საათობრივად. დაგვიკავშირდით მაშინაც კი, თუ თქვენ გჭირდებათ ოფისი მხოლოდ 1 საათით კვირაში. ტელ: 29-41-27

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 12 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი, განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპების და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი – პირველსავე სეანსზე; სახის გაწმენდა; მასაჟი საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარჩენილი [illegible] გაგრძელდება. მის: იოსებიძის 66. II სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

კომპიუტერული კომპანია „ბაზისი" – ახალი და მეორადი კომპიუტერების შეკეთება, ორგანიზება [illegible], CD დისკების ჩაწერა. მომსახურება გამოძახებით, არასტანდარტული და პროგრამული უზრუნველყოფა. მის: ილია ჭავჭავაძის 74, „საქკაბელმშენებლობის" შენობა, XIV სართ. ტელ: 29-97-82

ინდივიდუალური და ჯგუფური დასვენება ქობულეთში, კერძო დასასვენებელ სექტორში, საზღვაო [illegible] 1 ოჯახისთვის საგზურის ღირებულება, 10 დღე – 80-დან 120 ლარამდე. საგზურის ღირებულებაში შედის სამგზავრო [illegible] თანხა და განისაზღვრება საცხოვრებელი პირობების მიხედვით. მის: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №113-115 (ეზოში); კაბ. №31. „მკურნალი სუმბაძე". ტელ: 91-18-38 (სამს.); 69-18-38 (ბინა); 877 41-86-16. ცისანა სუმბაძე

მოსწავლე-ახალგაზრდული ბანაკი გთავაზობთ 12 და 24-დღიან საგზურებს ქობულეთში (ფიჭვნარი), კერძო დასასვენებელ სექტორში, საზღვაო კვებით. საგზურის ღირებულება, 12 დღე – 90-185 ლარი; 24 დღე 160-185 ლარი. [illegible] სპორტული სექციების, სხვადასხვა წრის, ანსამბლების ხელმძღვანელები, [illegible] ექსკურსიები. [illegible] მის: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №113-115 (ეზოში, [illegible]), კაბ. №31. „მკურნალი სუმბაძე". ტელ: 91-18-38 (სამსხ.); 69-18-38 (ბინა); 877 41-86-16. ცისანა სუმბაძე

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიაში და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმება და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა: [illegible] ჯიბის ფული (ხელფასი), საცხოვრებელი, კვება, სამედიცინო დაზღვევა და საქალაქო ტრანსპორტი. [illegible] ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

[illegible] 4 [illegible]. სათანამშრომლოდ მივიღებთ [illegible], რუსული მცოდნე ადამიანებს. [illegible] 200-400$ [illegible]. მიმღებ [illegible] „დიდუბე", „სამხედრო [illegible]", 1 სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; [illegible]

ყურადღება!!! [illegible] კომპანიას [illegible] ტერიტორიაზე [illegible]

ესებს 50 ბიზნესპარტნიორი. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 893 33-18-86

ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია აფართოებს სტრუქტურას. მას სათანამშრომლოდ ესაჭიროება სხვადასხვა სპეციალობის მქონე ახალგაზრდა კადრი. აგრეთვე სხვადასხვა ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები. შერჩევა – კონკურსის გზით. ტელ: 92-17-62. ნათია გელაშვილი

ქართულ სამედიცინო ორგანიზაციას, უბნებზე ფილიალების გახსნასთან დაკავშირებით ესაჭიროება ლიცენზირებული ექიმები ექიმ-კონსულტანტის თანამდებობაზე, აგრეთვე სხვა სამედიცინო განათლების მქონე პირები ექიმის თანაშემწეებად. სამუშაო მკაცრად საოფისეა. ტელ. 92-17-62. თეა დევდარიანი

„გაცნობის და დაოჯახების ცენტრი" სამუშაოდ იწვევს 18-დან 45 წლამდე მანდილოსნებს მენეჯერ-კონსულტანტის თანამდებობაზე, როგორც თბილისიდან, ასევე რეგიონებიდან, მაღალი ანაზღაურებით. მის: თბილისი, კოსტავას ქ. №14, II სართ. ოთახი 210 (შესასვლელი ჭოველიძის ქ. №2-დან). ტელ: 93-49-72; 899 56-32-59. დათო

ყურადღება! პრესტიჟულ უცხოურ კომპანიაში მიმდინარეობს კადრების შერჩევა. გვესაჭიროება თანამშრომლები საორგანიზაციო სამუშაოების შესასრულებლად. ანაზღაურება მაღალია. აუცილებელი პირობები: ასაკი – 25-55 წელი და უ/განათლება. ასევე გვაინტერესებს არატრადიციული მედიცინის მიმდევრები და ვიზიონში, დერმაჯეტიქსში, ნიუვეისში, დოვგანში, ორიფლეიმში და ა.შ. მუშაობის გამოცდილების მქონე კადრები. ტელ: 30-09-49 (20 სთ-ის შემდეგ); 893 37-33-00

გვესაჭიროება პარტნიორები ახალი ტექნოლოგიების განვითარებად კომპანიაში, სადაც პროფესიის მიუხედავად, გეძლევათ შანსი, დაიკავოთ ხელმძღვანელი ადგილები და მუშაობის თავისუფალი გრაფიკით გამოიმუშაოთ მზარდი შემოსავალი. გვაინტერესებს რეგიონებიც. ინფორმაცია უფასოა. ტელ: 94-01-64 (18-24 სთ)

## ვეძებ სამუშაოს

ვარ 24 წლის მანდილოსანი. ვიმუშავებ მდივნად, ოპერატორად, კონსულტანტად, აფთიაქში, გამყიდველად, ნორმალური ანაზღაურებით. ტელ: 76-79-18

## მკურნალობა

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი ($t = 37,2^0C$), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი", ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03; 893 20-68-21

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. განკურნება გარანტირებულია. ტელ: 34-62-51; 899 54-64-81

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ციცო მჭედლიძე

პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე მკურნალობს იაპონური აპარატით, უნებლიე შარდვას, ნევროზებს, რადიკულიტს, სექსუალურ დარღვევებს, ბუასილს, ფრჩხილების სოკოს, თმის ცვენას, ფსორიაზს, ქოლეცისტიტს, ორგანიზმში დაგროვილ სითხეს. საერთო მკურნალობის კურსი 10-დღიანია. მის: დავით აღმაშენებლის №113. ტ: 95-74-29 (სამს.); 96-38-27

ყურადღება!!! ხერხემლისა და სახსრების დაავადებების, ნევრალგიების, რადიკულიტების, პლექსიტების, მიოზიტების მკურნალობა. ეფექტი – პირველივე დღეებიდან!!! მეთოდი აპრობირებულია თბილისის ნევროლოგიის ინსტიტუტში. მიღება კლინიკაში – წინასწარი ჩაწერით. ტელ: 61-02-97; 69-91-92 (კაბ.); 899 57-16-99. ექიმი მ. ალექსიშვილი

ანტიალკოჰოლი, ანტითამბაქო, ექსკლუზივის უფლებით Loobit პროგრამებით; აგრეთვე ნევროზები, შიშები, უძილობა, თავბრუსხვევები, კუჭ-ნაწლავის პრობლემები, კოლიტი, ზრდის პრობლემები ბავშვთა ასაკში, ქრ. ბრონქიტი, ქრ. პნევმონია. მიღება ყოველდღე, 12-დან 18 სთ-მდე. ტელ: 899 43-97-34; 32-39-46 (საღამოს). ნათია

სიახლე: რუსული წარმოების სერტიფიცირებული პროდუქცია ბავშვებისათვის: უნებლიე შარდვა, სიმაღლეში ზრდა, გონებრივი ჩამორჩენილობა, ძილის მოწესრიგება, იმუნიტეტის გაძლიერება, ჭირვეულობა, უმადობა. აუცილებელი ამინომჟავების, ვიტამინებისა და მინერალების კომპლექსი. ტელ: 899 72-39-20; 99-75-90. ნოდარიაკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდით! ანტიალკოჰოლი, ანტითამბაქო, ნევროზი, უძილობა, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ბუასილი, კოლიტი, სოკო, ფსორიაზი, თვალის დაავადებები, სახსრების მარილოვანი დაავადებები, კუჭის წყლული. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

ალკოჰოლიზმით დაავადებულთათვის! გთავაზობთ პრეპარატებს, რომლებიც ეფექტურად მოქმედებს ალკოჰოლიზმზე; ბახუსის სინდრომის მოხსნა, ფსიქოემოციური პრობლემები. პრეპარატები მოსკოვშია დამზადებული. სერტიფიცირებული, უსაფრთხოა, გვერდითი მოვლენების გარეშე. თამბაქოსაგან გათავისუფლება. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 893-36-87-62 ავთანდილი

ქართული ფლორის მცენარეებით ვმკურნალობთ: კოლიტს, ბუასილს (უოპერაციოდ), გასტრიტს, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვან დაავადებას, ალერგიას, ნევროზს, ღვიძლს, ნაღვლის ბუშტსა და თირკმლის დაავადებებს. აქვე ტარდება კომპიუტერული დიაგნოსტიკა. დ. აღმაშენებლის ქ. №109 (ეზოში ხელმარჯვნივ, ნაცრისფერგისოსებიანი ოფისი, ექიმი – ტასო ელიზბარაშვილი). ტელ: 96-35-92 (სამს.); 899 74-23-69

ნაბახუსევის (პახმელიის) სინდრომის მოხსნა ყოველგვარი გართულების და დისკომფორტის გარეშე. ალკოჰოლიზმისგან სერიოზული განკურნება. ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან გათავისუფლება (მოსკოვის კრემლის ყოფილი ლაბორატორიის ექსკლუზიური, სერტიფიცირებული პრეპარატები). მკურნალობა შეიძლება პაციენტისგან ფარულად. ტელ: 53-08-02

ალკოჰოლიზმისგან გათავისუფლება ნაბახუსევის (პახმელიის) სინდრომის მოხსნა, ორგანიზმის გასუფთავება, ალკოჰოლური ინტოქსიკაციის, ნევროზების, გაღიზიანებადობის მკურნალობა, ნარკომანიის შემდგომი გართულებებისგან განკურნება, ჰეპატიტები, ნევროზები. მკურნალობა შეიძლება პაციენტისგან ფარულად (ოჯახის წევრის მიერ). პრეპარატები სერტიფიცირებულია. ტელ: 899 22-63-90

ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ჰიპერტონია. ვმკურნალობთ ძალიან ეფექტურად, აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდით. ტელ: 893 24-67-49; 777-122 (საღამოს); 99-75-99 ლელა

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაჯი" კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის №115, კაბ. №20. ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახ.); 96-22-89 (ბინა)

მიღება კოსმეტიკის კურსებზე, დაჩქარებული მეთოდით. შეისწავლება: კანის აგებულება, მკურნალობა, მალამოები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), მასაჟი, ეპილაცია, კანის გაწმენდა, ნიღბები, რძეები, ლოსიონები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. მის: აღმაშენებლის №90 (მ. „მარჯანიშვილთან"), I სად, II სართ. ტელ: 95-47-67; 66-53-56; 893 33-09-66

სამეჯლისო სპორტული ცეკვების სტუდია „გრაცია" იწვევს 15-დან 50 წლამდე მსურველებს, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, ინსტრუქტორთა შემსწავლელ კურსებზე. დაგეხმარებით კლუბის გახსნით თქვენს რეგიონებში. მის: დ. უზნაძის №59, 23-ე სკოლა. ტელ: 56-61-63; 61-73-18; 93-13-45; 899 55-16-09

შევასწავლი კომპიუტერზე მუშაობას. საოფისე: Windows, Word, Excel, Internet, E-mail, საგამომცემლო და გრაფიკა: Page Maker, PhotoShop., CorelDraw; Quarkxpress, AutoCAD, Arcicad, 3d-MAX; veb-dizaini: Flash, Dreamweaver და პროგრამირების ენები. მის. მ. „რუსთაველთან", რესტორან „სამოთხის" უკან. გაბაშვილის ქ. 7. ტელ. 98-80-23

ძვირფასო თბილისელებო! ორგანიზაცია აწარმოებს უფასო სასწავლო პროგრამას მმართველებისა და იმ მოქალაქეებისათვის, ვისაც სურვილი აქვს, ამ სფეროში სათანადო ცოდნა მიიღოს. წარჩინებულებს ორგანიზაცია დაიტოვებს ადგილზე სამუშაოდ. ტელ: 92-17-62. ირმა ჯინაშვილი

## იყიდება

იყიდება 1993 წლის C კლასის „მერსედესი", კონდიციონერით, 111 პლიტა ძრავით, ნორმალურ მდგომარეობაში. გარბენი 190000 კმ. ფასი $7.000. ტელ: 39-57-54; 32-59-59; 899 54-00-40

სასწრაფოდ და იაფად „ფორდ მონდეო", ფრანგული, თეთრი, 1993 წლის „აბს"-ით, ჰიდრავლიკით, ლიუკით, ცენტრალური საკეტით, ალუმინის დისკებით, ახალი ჩამოყვანილი, განბაჟებული, ნომრებით. ფასი $3.100. ტელ: 893 32-14-12; 58-78-88

ახალი კორეული სატელიტური ანტენა ციფრული მიმღებით. იღებს ქართულ, რუსულ, ევროპულ ტელეარხებს. აჩვენებს ყველგან – ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში, აგრეთვე საზღვარგარეთ. არხების რაოდენობა – 300. კომპლექტის ფასი – 270 ლარი. მონტაჟი – 40 ლარი. რუსეთის 25 ტელეარხი ფასი – 400-450 ლარი მონტაჟით. ტელ: 899 94-27-04

გთავაზობთ კავკასიური ნაგაზის დარეგისტრირებულ შესანიშნავ ლეკვებს საუკეთესო საგვარეულო ნუსხით: მამა – საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი დეიკი (ბასარა) ჩამოყვანილია რუსეთიდან; დედა – ცნობილი ნაგაზის ლეგას შვილი ბეგა (ლესი), გამოფენებზე რამდენჯერმე დაჯილდოებული. ტელ: 44-10-14; 22-84-94; 899 55-26-08

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

ქალისა და მამაკაცის საზაფხულო ზედა ტანსაცმელი, ამერიკიდან, ახალი, იაფად! (კონტეინერი, პირველი ხელი). ფასი 12-დან 20 ლარამდე. მის: ჯანაშიას ქ. №16 (სასტუმრო „საქართველოსთან"), მე-5 სართ (ლიფტით), ყოველდღე, 14-18 სთ. ტელ: 91-23-05; 899 56-11-16

## სხვადასხვა

2004 წლის 25 მაისს, 17 საათზე მოწვეულია ბინათმშენებლობის ამხანაგობა „სიხარულის" წევრთა საერთო კრება შემდეგ მისამართზე: თბილისი, დოლიძის ქ. №46. წევრთა დასწრება სავალდებულოა.

*გამგეობა*



## ემზარ ლაშაურის გახსენება



ჩვენო საყვარელო შვილო! წელს მეორედ შევხვდით უშენოდ შენი დაბადების დღეს – 20 მაისს. 45 წელი მიწაში შეგისრულდა, შვილო. გტირით დღეცა და ღამეც. შენი წასვლით გამოწვეული სევდა და ტკივილი არ ცხრება.

გვიჭირს უშენობა, გვენატრები.

*შენი ოჯახი*

## მირზა ასხაბაძის ხსოვნას



*„სიკვდილო, კარგის მოკლონისავ, ნეტავ, ვინ გეტყვის ქებას?!“*

ოჯახის დიდი ტრაგედია, ედდის გაუცრეხელი ტკივილი და შეუმშრალი ცრემლი, მირზა, ძმაო, შენმა სიკვდილმა ჩვენს გულებში გაიარა. ჩვენც მაშინ მოვკვდით, როცა შენ წახვედი ამ წუთისოფლიდან.

ჩვენო ერთადერთო, საფიცარო და უკვე სანატრელო ძმაო მირზა, უშენოდ მეოთხედ შევხვდით შენს დაბადების დღეს, 25 მაისს. შენ 39 წლის გახდებოდი. გილოცავთ ამ ქვეყნად.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი უზომოდ კეთილი და სპეტაკი სული. ეკლესიაში შენს სახელზე დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა სასუფეველში.

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი წიწკის მიწა.

*შენი უბედური მშობლები და დები*

## იური ბახას გახსენება



უკვე მეორედ მოვიდა, ჩემო ძამიკო, შენი დაბადების დღე. დრო უძლური აღმოჩნდა, გავხუნებინა ჩვენი განუმეორებელი მამაშვილური სიყვარული. რამდენ სიკეთეს იტევდა შენი გული. შენ ამშვენებდი ოჯახს, სანათესაოს, სამეგობროს. იყავი ერთადერთი ქალიშვილის სათუთად აღმზრდელი მამა, მზრუნველი ბაბუა, ერთგული მეუღლე. შენგან ნასწავლი სიკეთითა და სიყვარულით ვზრდი ორ შვილს, რომლებიც თვალისჩინივით უფრთხილდებიან საფიცარ ბაბუის სახელს.

გვწამს, შენი ნათელი უფლის ჩაუმქრალი კელაპტრისა, მარად რომ ენთება შენი ოჯახისა და შვილიშვილების გულებში.

*მარინა ბახა*

## იოსებ (სოსო) გაბუნიას ხსოვნას!



კეთილხმოვანებას დატოვებ უკურნებელ სენთან ჭიდილში დამარცხებულმა, მაგრამ სიკვდილმა მაინც გაიმარჯვა შენზე. მაინც გიყვარდი, – იმედს არ კარგავდი, მაგრამ ამაოდ, ესეც ღვთის ნება იყო. თავად მომაკვდავი, ღმერთს ყოველდღე მხოლოდ შენი ოჯახის, სანათესავოსა და სამეგობროს ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს ევედრებოდი. თავად პატიოსნებისა და სიკეთის განსახიერებას, ღმერთმა გიბოძა გაჭირვებულის დახმარების უნარი და მოწყალე გული, რომელიც უსაზღვრო სიყვარულს იტევდა.

გვწამს, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს და შენი სულისთვის დანთებული სანთლები გაგინათებენ გზას ცათა სასუფეველში.

*შენი ოჯახი*

## დათო ფირცხალაიშვილის მონატრება



დათო, ჩემო სიცოცხლევ, ბებიკო, უკვე მეოთხედ მოვიდა გაზაფხული და შენი დაბადების დღე უშენოდ – 27 მაისი. ჩემო ბედდამწვარო ბიჭო, რამდენი აუხდენელი ოცნება დაგრჩა, ჩემო ვაჟკაცო. ახლა უკვე 29 წლის ხარ, ბები. 29 სანთელს აგინთებ ტაძარში და უფალს შევთხოვ, დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

ეს რა უბედური სიბერე მარგუნე, ბებიკო, რა აზრი აქვს ჩემს სიცოცხლეს?! აბა შენ იცი, როგორ მალე მომიკითხავ! სხვისკენ არავისკენ გაიხედო, ჩემსავით ვერავინ მოგივლის, ჩემო სპეტაკო ბიჭო.

*დღე და ღამე მტირალი ლუბა ბებო*

## დათო (სიხო) ქადაგიშვილის გახსენება



ჩვენო საყვარელო დათო! ცხრა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შენი ლამაზი სიცოცხლე ჩაქრა. რა ძნელი ყოფილა უშენოდ. შენი მშობლები შენს დაბადების დღეს გულისტკივილით, სევდითა და ცრემლებით ვხვდებით. სევდა ჩაგუბებულა გულში. შენ ხომ ადამიანებთან ურთიერთობის საოცარ ნიჭს ფლობდი.

უზომოდ გვენატრები, შენით ვამაყობდით და ვაი, რომ ვერ შევძელით უდროოდ შენკენ მომავალი სიკვდილის შეჩერება.

24 მაისს შენი დაბადების დღეა. 30 წელი შეგისრულდა – კიდევ ერთი დაბადების დღე უშენოდ.

მშობლებისთვის მუდამ ტკივილო, სიცოცხლე ტანჯვად რომ გადაგვიქციე, ღმერთს შევთხოვთ, სანთელ-საკმეველი არ მოჰკლებოდეს შენს ლამაზ სულს. ჩვენმა ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

*მშობლები*

## ევა საზანიშვილის გახსენება



ევიკო, ჩვენ უკვე სკოლას ვამთავრებთ. ორი წელი გავიდა, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. ძნელია შეგუება, რომ სხვა სამყაროში ცხოვრობ.

ჩვენ სიკვდილიც არ ვიცოდით, რა იყო და შენ გვასწავლე. შენს მონატრებას მოვყავართ შენს საფლავთან. ცივი ქვიდან პატარა გოგონა გვიყურებს, რომელიც ვერ გავითავისეთ. ის არ არის ჩვენი ევიკო. შენ ჩვენში დარჩი სამუდამოდ: მეგობრული, თბილი, გულუბრყვილო, სიცოცხლით სავსე...

ამ კვირას სკოლიდან მივდივართ და მიგვყვება შენზე ტკივილი.

ისევ მოვალთ შენს საფლავთან, მოგიტანთ ყვავილებს, დაგინთებთ სანთლებს, მაგრამ ტკივილი შენთან განშორებისა ჩვენთან დარჩება.

გვიყვარხარ და გვახსოვხარ, ევიკო!

*ყვარლის I საშ. სკოლის XI-კლასელები;*
*კლასის ხელმძღვანელი მანანა ხვედელიძე*

## ჯოდო კანკავას ხსოვნას!

ბიძია ჯოდო, თქვენი სული მარადიულ სასუფეველში გადაბრძანდა. თქვენ ჩვენთვის უერთგულესი მეზობელი და მამის ტოლი პიროვნება ბრძანდებოდით. როცა მამა ცუდად იყო, მისი ყველა სურვილის შემსრულებელი იყავით. ამისთვის დიდი მადლობა.

ღმერთს ვთხოვთ, ნათელში გვიმყოფოს თქვენი სული.

*ცისმარ და არჩილ გეთიები*

## ხატია კვირჭიშვილის მონატრება



2003 წლის 19 ნოემბერი ჩვენს ოჯახში საზარელი დღე იყო. შენს სიცოცხლესთან ერთად ჩემი სიცოცხლეც დამთავრდა. შვილო, დრო ყველაფრის მკურნალი არ ყოფილა, უშენობით გამოწვეული ტკივილი არ განიკურნება. ჩვენ გვერდით აღარ გვყავხარ ერთგული და მოსიყვარულე შვილი, რომელიც განგებამ იშვიათი თვისებებით დაგაჯილდოვა. ჩვენთვის დილა შენი სურათის ამბორითა და შენთვის სანთლების დანთებით იწყება.

ძალიან, ძალიან გვენატრები. უსაზღვროა შენი მონატრება. რა მძიმეა ცხოვრება უშენოდ, ჩემო უსიტყვო, უპრეტენზიო გოგოვ. რა გულისტკივილი, რა მოუშუშებელი ჭრილობა, რა სევდა-ნაღველი, რა ცრემლიანი გული დამიტოვე, ჩემო სიცოცხლევ. დარწმუნებული ვარ, უფალი სასუფეველს დაგიმკვიდრებს იმ ქვეყნად და ნათელს არ მოაკლებს შენს ლამაზ სულს. მე კი აქედან არაფერს დავიშურებ შენთვის. ვილოცებ და წმინდა სანთლებით გაგინათებ გზას.

23 მაისს 20 წელი შეგისრულდებოდა. მოვალთ საფლავზე მდუმარედ, აგინთებთ სანთლებს და ღმერთს შევავედრებთ შენს ლამაზ სულს.

უფალო იესო, მუხლმოდრეკილი ვევედრები შენს სახიერებას, შენი პირის ნათელი არასოდეს მოაკლო ჩემს შვილს – ხატიას.

ღმერთს ვთხოვ, ნათელში მიმყოფოს შენი სპეტაკი სული.

*დედა*

*ერთი გაზაფხული კიდევ მოვიდა*
*ვარდებს მოურთია შენი მუხიანი.*
*შენი დაბადების დღეც კიდევ მოვიდა,*
*ჩვენ კი ვეგებებით მწუხარე და დარდიანი.*
*ასე მგონია, ამ ვარდებიდან ერთი შენ იქნები,*
*მე კი დავდივარ და ყველას ვეფერები,*
*ოღონდ ხმა გამეცი, ჩემო ხატიავ,*
*ნეტავ რომელი ხარ, გევედრები.*
*შენი ყაზბეგი, შენი სიონი*
*ნეტავ იცოდე, როგორ გელოდება,*
*აბა გახედე, შენი ნაროვანი, შენი გარემოა*
*როგორი სილამაზით მორთულია,*
*შენი სიონის ტყეც მწვანეში ჩაფლულია.*
*ბილილებს დაუფარავს წმინდა სამება.*
*ქაბარჯინასაც ძმები გაუხდია,*
*მყინვარსაც მზის სხივებით თავი მოურთია,*
*ჩვენ კი, ყოველდღე შენს კაკუნს ველოდებით,*
*ოღონდ დაგვიბრუნდი, გევედრებით.*
*კიდევ მოვიდა ერთი მაისი,*
*ჩვენთვის სანატრელი შენი დაბადების დღე.*
*როგორ მოგილოცოთ ლამაზი აისი,*
*ოღონდ ხმა გაგვეცი, ოღონდ ხმა გაიღე.*
*დედ-მამა გელოდება მწუხარე და დარდიანი,*
*როგორ ავიტანოთ, როგორ ავიტანოთ*
*შენი განშორება ასე ადრიანი.*

*მამა*

## ლალი მენაბდიშვილის ტკივილიანი მონატრება



წელს პირველად მოვიდა შენი დაბადების დღე უშენოდ. ძნელია, ლალი, უშენობა. შენი წასვლით დიდი ტკივილი დაუტოვე შენს მეუღლე გოჩასა და ახლობლებს. გვენატრება შენი ღიმილიანი სახის დანახვა. შენ რძალი კი არა, შვილი იყავი ჩვენი.

სიცოცხლეზე თავად გულდარჩენილო, იძინე მშვიდად. ჩვენ გვჯერა, რომ შენ ცათა სასუფეველში ხარ.

*დაბადების დღეს მოგილოცავთ სასუფეველში,*
*ისე წახვედი, რომ ამქვეყნად შვილიც არ დაგრჩა,*
*ჩუმად, ნელ-ნელა ჩაიფერფლა შენი სიცოცხლე,*
*შენი ლამაზი ღიმილი და სიცოცხლე ჩაქრა.*

შენი ლამაზი სულისთვის ვილოცებთ:

*მეუღლე გოჩა, დედამთილი ნელი, მამამთილი ჯუბა, მაზლები: ხვიჩა, მამუკა; მაზლისცოლები: ლელა, ნინო; მაზლიშვილები: ნიკა, გიორგი, ანი*

## კობა პეტრიაშვილის ხსოვნას!



ძვირფასო კობა! ორმოცი დღე უცებ გავიდა იმ ავბედითი დღიდან, როცა თვალსა და ხელს შუა მოულოდნელად გამოგვეცალე. მუდამ სხვის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე მზრუნველმა, საკუთარ თავს ვერ მიხედე სათანადოდ და უდროოდ დაამწუხრე უამრავი ადამიანი.

ღმერთს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი, სპეტაკი სული!

*რა საშინელი იყო ის მარტი,*
*როცა გავიგეთ, რომ აღარ გვყავდი,*
*მეხი დაგვეცა, მაშინ ჩვენ ყველას,*
*ეჰ, ჩემო კობა, როგორ გვიყვარდი.*
*დაგტირით მწარედ, უდროოდ წასულს,*
*მუდამ გიგონებთ და გვენატრები,*
*სასუფეველში გამყოფოს ღმერთმა,*
*მარად უკვდავი ჩვენში დარჩები.*

*ახლობლები, ნათესავები*

## გურამ მოლოდინის გახსენება



22 მაისი შენი უკანასკნელი ამოსუნთქვის დღეა. 16 წელია, რაც ამ ქვეყნიდან წახვედი. ძალიან მწარე და ტკივილიანი გასახსენებელია ეს დღე. ულმობელი სიკვდილი ძლიერი აღმოჩნდა და წაგვართვა შენი თავი. ულმობელმა სენმა წამართვა მამა.

საშინელი და გაუსაძლისია უშენოდ ყოფნა. ვერაფრით ვუშველე ამ ტკივილიან მონატრებას. სიყვარულით გიგონებენ სუყველანი, ყველგან შენი კარგი ადამიანობის ამბებს მიყვებიან ხოლმე.

მიყვარხარ და მენატრები, მამი, ძალიან მეც და შენს შვილიშვილებსაც, რომლებიც მხოლოდ სურათებით გიცნობენ. ცრემლების, ყვავილებისა და სანთლების გარდა ვერაფერს გიძღვნი, ჩემო სანატრელო. არ დამიტოვე სხვა სათქმელი, გარდა ერთისა: მეამაყება, შენი შვილი რომ ვარ!

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, გულმართალო და მოუშუშებელო ტკივილო. ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული უფალმა, მამი.

*შენი შვილი – მარინა მოლოდინი*

## შენ მუდამ ჩვენთან იქნები!

*კუკური შალვას ძე სიმონიას გახსენება*



წელიწადი სრულდება, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. შრომისა და სიკეთისთვის გაჩენილმა, უდროოდ მარადისობაში გადაინაცვლე. ყველას გვაკლია შენი სითბო, გულისხმიერება და ალალმართლობა, რის გამოც ახლა უკვე ეჭვიც კი გვეპარება ამ ფრთიანი გამოთქმის ჭეშმარიტებაში: „დრო ყველაფრის მკურნალია“...

ხშირად დავდივართ შენს სამუდამო ბინასთან და ყოველთვის ვიგონებთ შენი უპრეტენზიო, უხმაურო, თავდადებული და დაუმადლებელი შრომისა და ურთიერთობის დეტალებს.

8 ივნისს შენი თაყვანისმცემლები და ახლობელ-ნათესავები ერთელ კიდევ შევიკრიბებით შენს ნაშრომ-ნალოლიავებ ოჯახში და ვისაუბრებთ მხოლოდ და მხოლოდ შენზე...

შენ მუდამ ჩვენთან იქნები, ძვირფასო მამა!

*კუკური სიმონიას ოჯახი: მეუღლე ელეონორა ფრანგიშვილი, შვილები ციცინო და ალეკო სიმონიები*

## დალი იორდანიშვილი-ფლენტის მონატრება



შვილო დალი, მეხუთედ ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს 27 მაისს. რამდენი რამ შეიცვალა შენი ამ ქვეყნიდან მარადისობაში გადასვლის შემდეგ...

ოღონდ არ შეცვლილა ტკივილით დამძიმებული გული და იმედი იმისა, რომ სული უკვდავია და კვლავ შევხვდებით ცათა სასუფეველში.

ხუთი წელია, ზეციდან გადმოსცქერი შენს საყვარელ შვილებს. უჭირთ მათ უდედობა, შენ ხომ მაშინ მიგვატოვე, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდი შენს შვილებს – ანასა და მანჩოს. მაგრამ გჯეროდეს, შვილო, რომ შენი სახელი მარად იცოცხლებს მათ გულებში. შენ ყოველთვის ჩვენთან ხარ, ჩვენს ფიქრებსა და სიყვარულში.

ძალიან, ძალიან გვენატრები. უსაზღვროა შენი მონატრება. რა მძიმეა ცხოვრება უშენოდ, ჩემო უსიტყვო, უპრეტენზიო შვილო დალი.

რა გულისტკივილი და სამუდამო ცრემლები დაგვიტოვე, ჩემო სიცოცხლევ.

შენ ყვავილები გიყვარდა. ლამაზი ყვავილებით შევამკობთ შენს სამყოფელს. სანთლებს ავანთებთ, ვილოცებთ, რომ ღმერთმა ნათელი არ მოაკლოს შენს სპეტაკ სულს, ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა და დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

*შენი მონატრებული მშობლები, შვილები, ძმები, რძლები და ძმისშვილები*

## ეკა ბესელიას ხსოვნას!



ჩვენო ეკუნი, პირველი დიდი ტკივილი ხარ, ჩვენი მშობლების, ლამაზი დეიდების და ბებიების ზეციურ სასუფეველში წასვლის შემდეგ. შენ გამორჩეული იყავი ჩვენს სანათესავოში სილამაზით, გულისხმიერებით. ყველას სიხარული გიხაროდა, ყველას ტკივილი გტკიოდა. აკი ვერ გაუძლო შენმა გულმა იმ ტკივილებს, რაც შენი შესანიშნავი მეუღლის – ნესტორ ახრახაძის გარდაცვალების შემდეგ მოგიზღვავდა.

ჩვენო საყვარელო ბიძაშვილო, 40 დღე ხდება, რაც ჩვენ შორის აღარა ხარ. თან წაიღე შენი განუმეორებელი იუმორი, ჩვენ კი დაგვიტოვე დიდი გულისტკივილი.

გვიყვარხარ, დაგტირით.

*მაყვალა, გულნარა ოდიშარიები*

## ნათელა გამყრელიძის ხსოვნას!

ჩვენო ძვირფასო, საყვარელო მასწავლებელო!



„ნათელა შალვოვნა“ – ასე მოგმართავდით თითქმის 50 წლის მანძილზე, ჩვენო დამრიგებელო და კეთილო მეგზურო, ჩვენი ჭირისა და ლხინის გამზიარებელო! სრულიად ახალგაზრამ შემოაღეთ ჩვენი კლასის კარი, დაიპყარით ჩვენი ბავშვური გულები და დღემდე ბავშვური სიყვარულით შემოგხაროდით.

ვაი, რომ გაილია და დასრულდა ჩვენი ცხოვრების ის ნაწილი, ის დიდი ნახევარი საუკუნე, რომელიც თქვენთან ერთად გამოვიარეთ და აწ ვეღარ გავიგონებთ ჩვენთვის ძვირფას ხმას, ყოველ წელს სიყვარულით რომ გვილოცავდა დაბადების დღეს!

სანამ თქვენ გვეგულებოდით აქ, ჯავახიშვილის აღმართზე, მუდამ ჩვენი მომლოდინე, ჩვენი თავი ისევ მაშინდელი ბავშვები გვეგონა, როდესაც 23-ე სკოლის ერთ ნათელ საკლასო ოთახში შემოანათებდით – მაღალი, სადად და ლამაზად ჩაცმული (განსაკუთრებით შინდისფერი, მაღალყელიანი, კოხტად გამოყვანილი კაბით დაგვამახსოვრდით), სიცოცხლით სავსე და ხალისიანი... ყველასთვის გყოფნიდათ სითბო და სიყვარული, გაჯავრებაშიც კი რომ უხვად იგრძნობოდა... უკვე სამოც წელს გადაბიჯებულებს რამდენჯერ გაგვხსენებია და მოგვენატრებია მერხებს შორის რიგებში მოხდენილი სიარულისას თქვენი „მკაცრი“ სიყვარულნარევი „წკიპურტები“; თქვენი გულიანი, გაბზარული სიცილი და ხელების აწევით დანებების ამოძახილი – „СДАЮСЬ, СДАЮСЬ!“ – როცა სიხარულითა და კმაყოფილებით აღიარებდით თქვენს აღზრდილებთან კამათში „მარცხს“; მოგვენატრებია ის ბრწყინვალე და ნათელი ლიტერატურული საღამოები: ჩვენი სკოლის დიდ დარბაზში ტურგენევის, ტოლსტოის, გოგოლის გმირების ინსცენირება; პუშკინის, ლერმონტოვის მხატვრული კითხვა...

დიახ, თქვენ რუსულ ენასა და ლიტერატურას გვასწავლიდით, მაღალი ცოდნითა და პროფესიონალიზმით, მაგრამ რუსული სიტყვის მშვენიერებასთან ერთად ქართულის დიდებულებასა და მშვენიერებასაც გვაზიარეთ. თქვენ უდიდესი გავლენა მოახდინეთ თითოეული ჩვენგანის პიროვნული და ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაზე და ჩვენი ცხოვრების მთელ გზაზე – დღემდე ჩვენი და თქვენს ხელში გამოვლილი მომდევნო თაობების გულშემატკივარი, სიხარულისა თუ დარდის, წარმატებისა თუ წარუმატებლობის თანაზიარი იყავით. მაგრამ ჩვენ მაინც მუდამ გამორჩეულებად ვგრძნობდით თავს თქვენს გულში და ამას არც მალავდით, რადგანაც ჩვენთან ერთად შეუდექით იმ რთულსა და განსაცდელებით აღსავსე აღმართს, რომელსაც ჭეშმარიტი მასწავლებლის ცხოვრების გზა ჰქვია.

ჩვენო გულითადო მეგობარი, თქვენთან ერთად დასრულდა ჩვენი ხანგრძლივი ბავშვობაც და ახლა სევდით გაცილებთ უკანასკნელ გზაზე იმ ახალი, მარადიული ცხოვრებისკენ, სადაც არ არის ჭირი და მწუხარება და სადაც სიხარულით შეგეგებებიან ამ წუთისოფლიდან ადრე წასული ჩვენი თანაკლასელები...

*ილია ჭავჭავაძის სახ. 23-ე საშ. სკოლის 1957 წლის კურსდამთავრებულების, XI[1] კლასის სახელით დამანა მელიქიშვილი*

## ბერდია ხანიაშვილის გახსენება

25 მაისი შენი დაბადების დღეა, ბერდი, 23 წლის გახდებოდი, ჩვენო ჭკვიანო, ლამაზო, სიკეთით სავსე, მხიარულო ბიჭო. 19 წლისამ დაამთავრე შენი ლამაზი სიცოცხლე, უნუგეშოდ დატოვე მშობლები, ძმა.

გვიყვარხარ და გვენატრები. იძინე ტკბილად შენს დეიდაშვილებთან – დათოსთან და ზაზასთან ერთად.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი ლამაზი სულები.

*ბიძა მიშა; დეიდები: ნანა, დალი, მზია, ნელი შიშნიაშვილები*

## გრიშა შავერდაშვილის გახსენება



28 მაისი შენი დაბადების დღეა. ამ დღეს მეორედ ვხვდებით უშენოდ. კიდევ ერთხელ შევიკრიბებით შენს საფლავზე და იქ მოგილოცავთ დაბადების დღეს. ყველაზე ძნელი და გულდასაწყვეტი ისაა, რომ სიცოცხლე გინდოდა, გსურდა, შენს შვილებში, შვილიშვილებში, ახლობლებში, ნათესავებში კიდევ ცოტა ხანს მაინც ყოფილიყავი.

უზომოდ გვენატრები. შენ ხომ ადამიანებთან ურთიერთობის საოცარ ნიჭს ფლობდი. როგორ გვაკლიხარ, როგორ ენატრები შენს მოხუც დედას!

გვჯერა, რომ შენი ამქვეყნიური კაცურკაცობით განვლილი გზა იმქვეყნიურ სასუფეველს დაგიმკვიდრებს.

ღმერთმა ნათელი ნუ მოაკლოს შენს სპეტაკ სულს.

*შენი მეუღლე ლალი, შვილები – თამაზი, თეა*

## ნელი ჯანელიძე-ასკურავას მონატრება



ოცი ტკივილიანი წელი გვაშორებს იმ დღეს, რაც ჩვენთან აღარ ხარ.

ჩემო უსაყვარლესო დაო ნელი. ყოველდღე გიგონებ, ძალიან მენატრები.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სათნო, სპეტაკი სული.

*მარად შენს სულზე მლოცველი შენი და კლარა*

## ავთანდილ ლაშაურის გახსენება



2003 წლის 24 მაისი დაგვამახსოვრდა საშინელი ტკივილითა და ცრემლით. ავთანდილ, შვილო, დღეს ერთი წელი შეგისრულდა იმ ავადმოსაგონარი დღიდან.

მაისი წელიწადის ყველაზე ლამაზი თვეა. ამ დროს მოგიღო ბოლო უაზროდ და უმიზეზოდ გასროლილმა ტყვიამ. რატომ? – ჩვენთვის დღესაც გაურკვეველია. მხოლოდ ის ვიცით, რომ გვერდით აღარ გვყავხარ. შენ ხომ მხოლოდ 30 წლის იყავი. რა ხელი ჰქონდა შენთან სიკვდილს?! ისედაც ობლობით გაზრდილს, მამას თვეების დარჩი. ახლა კი შენ დატოვე გასაზრდელი სამი პატარა ქალვაჟი, ახალგაზრდა, უერთგულესი მეუღლე, გამწარებული დედა, შენი საფიცარი ძმა თამაზი – რომელიც ყოველთვის შენით ამაყობდა, გამწარებული ბებია – დღენიადაგ მოთქმით რომ ტირის და გელოდება.

ჩვენო საყვარელო ძმისშვილო ავთანდილ, ჩვენო სისხლო და ხორცო, ჩვენო ჭკვიანო და ლამაზო ბიჭო, უზომოდ გვტკივა გული შენი უდროოდ დაკარგვით.

ღმერთს ვევედრებით, შენი ლამაზი სული ნათელში დაგვიმკვიდროს.

*შენი დამწუხრებული მამიდები და ბიძა: ლეილა, ლამზირა და ამური ლაშაურები*

## გია გელაშვილის ხსოვნას!



უშენოდ მოვიდა მშვენიერი გაზაფხული, მაგრამ უშენოდ ცარიელია სამყარო. დაიშრიტა სიხარულის წყარო, რადგან შენ იყავ ჩვენი სიხარულიც, ჩვენი ხვალინდელი დღეც, ჩვენი მიზანიც, ჩვენი ხალისიც და იმედიც... ეს ყველაფერი შენ წაიღე და ჩვენ რისთვის ვიცოცხლოთ? განა სიცოცხლე ჰქვია უსიხარულო, უმომავლო, უმიზნო და უიმედო ყოფას? თავად გვითხარი, ჩვენო უკვე 36 წლის ვაჟკაცო, უსპეტაკესო, ამაყო შვილო – როგორ გავძლოთ?

ვერ გაგვიგია, ვერ მივმხვდარვართ, შენ მაგივრად ჩვენ რატომ არ ვწევართ მაგ ცივ მიწაში და შენ რატომ არ ხარ ჩვენი ჭირისუფალი? თუ შენი წასვლა ღვთის განგება იყო, რატომ ხუთი წუთის წინ არ წაგვიმძღვარა უფალმა თავის სამსჯავროში? თორემ ისე მძიმე და აუტანელია შვილმკვდარი დედის სიცოცხლე, რომ ამ ტანჯვასთან შედარებით, იმქვეყნიური ჯოჯოხეთი იქნებ სამოთხედაც კი მომეჩვენოს.

შენი ხანმოკლე სიცოცხლითა და უეცარი სიკვდილით სამყაროს კიდევ ერთხელ შეაგნებინე, რომ წუთისოფელში გაწეული უანგარო სიკეთე, ყოველ ჩვენგანს გზას გაუნათებს მარადიული სასუფევლისკენ.

*შენი მშობლები*

## ვლადიმერ (ვოვა) მუგასაშვილის გახსენება



როგორ აკლიხარ ცოლ-შვილს და უცნობ შვილიშვილებს! როგორ აკლიხარ მეგობრებს და უნივერსიტეტს!

როგორი ძნელი გამოდგა შენი დავიწყება! როგორი ტკბილ-მწარე იქნება 26 მაისი შენს საფლავზე – უსასრულო მოგონებებით, ცრემლებით, მონატრებით...

*მეგობრები*



მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა სახალხო არტისტი

**ნელი მგალობლიშვილი**

და თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

*მეგობრები*

# გარდაცვლილის საყვარელი ნივთი



უჩვეულო ამბავი, რომელიც 52 წლის ქალბატონმა დალი იამანიძემ მიამბო, ნამდვილადაა იდუმალებით მოსილი და ყურადღებასაც იმსახურებს.

— ხუთი წლის წინ ბებია გარდამეცვალა. მას არასოდეს მოუშორებია მძიმე ძეწკვზე ჩამოკიდებული ბაჯაღლოს მედალიონი, რომელიც XVI საუკუნეში იყო დამზადებული საფრანგეთში...

ცხოვრება რომ აირია, ბუნებრივია, ჩვენც გაგვიჭირდა და ბებიას ვთხოვეთ, შელეოდა მედალიონს, რის გამოც ძალიან შემოგვწყრა: „ვინც ამ ნივთის დასაკუთრებას გაბედავს და საფლავში არ ჩამატანს, ყველა იმ უბედურებას მიიღებს მემკვიდრეობად, რაც კი მის წინა მფლობელებს ჰქონიათო!...

ბებია 1902 წელს იყო დაბადებული და ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში მართლაც წისქვილის ქვაც კი დატრიალებულა თურმე მის თავს. შეყვარებული ჰყოლია, რევოლუციონერი, რომელიც 1921 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს. 19 წლის ბებია ფეხმძიმედ დარჩენილა საყვარელი მამაკაცისაგან, რაც იმ დროს დიდ ცოდვად ითვლებოდა და არ აპატიეს ახლობლებმა, შინიდან გააგდეს... მედალიონი იმ თავისი შეყვარებულისგან დარჩენია. ბებიასაგან ის ვიცოდით, რომ მედალიონი საგვარეულო განძი იყო და მხოლოდ ვაჟის ცოლს, ანუ ოჯახის პირველ რძალს გადაეცემოდა და ამ შემთხვევაში მოჰქონდა ბედნიერება. სხვა მხრივ, მას უბედურების მოტანა შეეძლო მხოლოდ, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც მის მოპარვას ან ძალით მისაკუთრებას დააპირებდა. რამდენიმეჯერ მოუპარავთ იგი პატრონებისთვის, მაგრამ იმდენი უბედურება დატყდომიათ ამის გამო არაკანონიერ მფლობელებს, ყოველთვის უკან აბრუნებდნენ.

ბებიას ქალიშვილი შეეძინა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მედალიონი მასთან ერთად უნდა დამარხულიყო.

ბებიას მეორე ქმართან კი ჰყავდა ვაჟები, მაგრამ ისინი მემკვიდრეებად არ ითვლებოდნენ.

თუმც მკაცრად ვიყავით გაფრთხილებულები, რომ მედალიონი ბებიასთვის უნდა ჩაგვეყოლებინა, ცდუნებას ვერ გავუძელით და დაკრძალვის წინ გარდაცვლილს მედალიონი შევხსენით — „ხელი ვიბრუნეთ“ ჩვენებური ტრადიციის მიხედვით.

გადაწყვეტილი გვქონდა, მედალიონი გაგვეყიდა (მასში ათობით ათას დოლარს გვთავაზობდნენ) და წილი თანაბრად გაგვეყო ყველას. კლიენტიც გვყავდა, გერმანელი კოლექციონერი, რომელიც ჯერ კიდევ ბებიის სიცოცხლეში გვთხოვდა ხსენებული ნივთის დათმობას.

ის გერმანელი მედალიონის პირველი „მსხვერპლი“ გახდა ალბათ. საკუთარი მანქანით მოდიოდა და ვერ ჩამოაღწია საქართველომდე. ავტოკატასტროფაში მოჰყვა და ცოცხლად დაიწვა მანქანაში...

ამის შემდეგ აღარ ვიცოდით, კიდევ ვისთვის გაგვემხილა, რომ მედალიონის გაყიდვას ვაპირებდით და ნივთი შინ გვქონდა საგულდაგულოდ დამალული. მანამდე რომ უჩვეულო არაფერი შეგვიმჩნევია, ჩემს 16 წლის გოგონას გაეხსნა უნარი, სხვა განზომილებიდან შემოსული ინფორმაცია მიეღო, თუმცა, ამას მოგვიანებით მივხვდით. თავიდან კი გვეგონა, ბავშვს მოჩვენებები დაეწყო, რადგან ღამით მისი შეკივლება გვაღვიძებდა და როცა მის საძინებელში შევცვივდებოდით, აკანკალებული გვიყვებოდა, როგორ გადმოვიდა სარკიდან გარდაცვლილი ანგელინა ბებია, საწოლზე ჩამოუჯდა და დაემუქრა: „თუ ჩემს საყვარელ ნივთს არ დამიბრუნებენ, სანაცვლოდ რაც კი რამ ძვირფასი გააჩნიათ, ყველაფერს წავიღებ და პირველი შენი სიცოცხლე იქნება, თუ არ დამეხმარებიო!..“

ერთხელაც ბავშვი მეუბნება: — „ანგელინა ბებიამ მითხრა: „როგორც ჩანს, თქვენთვის სიტყვიერი გაფრთხილება საკმარისი არაა, რადგან ურწმუნოები ხართ და მელოდეთ, ამაღამ ცეცხლით მოვალ!..“ იმ ღამეს გაზის ბალონი აგვიფეთქდა... სულ დაგვეწვა სახლი, ხალხი ძლივს გადავრჩით.

გალიზიანებულმა ჩემმა ქმარმა გოგონას უთხრა: — ჰკითხე ერთი იმ სულწაწყმედილს, მედალიონი როგორ გავუგზავნოთ, მისამართი ჩაგაწერინოსო...

იმ ღამეს მაღალი სიცხე მისცა ბავშვს და გონი დაკარგა. ბოდავდა და ძილში სულ ანგელინა ბებიას ახსენებდა. თვალსა და ხელს შუა გვადნებოდა ბავშვი. ახლობლებმა მღვდელი მოიყვანეს — სანამ ცოცხალია, ზიარება მოვასწროთო!..

მღვდელმა ბავშვი აზიარა, მედალიონის ამბავიც ვუთხარით. ჩემმა ქმარმა — ოღონდ ბავშვი გადარჩეს და იმ მედალიონს ეკლესიას შევწირავო. მოძღვარმა — მედალიონს ხელი არ ახლოთ, უფალმა უკეთ იცისო და წავიდა.

ბავშვს ორიოდე დღეში ცნობიერებაც დაუბრუნდა, მამასთან მარტო დარჩენა ითხოვა და უთხრა: „უკვე გვიანია, მსხვერპლს ვერც ავცდებით, ანგელინა ბებიამ თქვა: „მედალიონი ვინც შემხსნა, იმან უნდა დამიბრუნოსო!!!“

მედალიონი ჩემმა მაზლმა შეხსნა გარდაცვლილს. არ ვიცოდით, როგორ გვეთქვა მისთვის თინიკოს „მოტანილი ამბავი“. ორიოდე დღეში კი კაცს ინფარქტი მოუვიდა და ვერაფერი ვუშველეთ... მედალიონი მას ჩავაყოლეთ საფლავში.

რაც არ გერგება — არ შეგერგებაო, — უთქვამს ქართველს და რაც მთავარია, გვაქვს რწმენა, რომლის ერთ-ერთი პირობა სიკვდილისადმი მოკრძალებული და ფრთხილი დამოკიდებულებაა....

***ინგა ჯაყელი***

# წინასწარმეტყველური სიზმრები

*** 1941 წლის ზაფხული იდგა. სულ პატარა გოგო ვიყავი. ერთ ღამეს მესიზმრა, ცაზე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ საშინელი შავი ღრუბელი მიიგრაგნებოდა და ყველაფერს ფარავდა. შემეშინდა — ეს რომ ჩავისუნთქოთ, დავიხრჩობით-მეთქი და ვიყვირე: — დედა, მამა! ჩქარა, სველი საბნები მომაწოდეთ-მეთქი. ჩამოვაფარე ფანჯრებზე. მშობლები მეხვეწებოდნენ, ჩამოხსენიო. ჯერ ადრეა, დავბრმავდებით-მეთქი, ვპასუხობდი. გავიდა დიდი დრო. ჩუმად ავწიე საბნის კუთხე (თუ დავბრმავდები, ცალი თვალი მაინც შემრჩება-მეთქი, — ვფიქრობდი სიზმარში). კრიალა ცაზე თბილი მზე ბრიალებდა. ჩამოვყარე ყველაფერი ფანჯრიდან... სიზმარი ვუამბე ყველას. მეორე დღეს ომი დაიწყო. ჩემი ახლობლები მშვიდობით დაბრუნდნენ.

*** ჩემი დის მეუღლეს კუჭი აწუხებდა. მესიზმრა: მის ოთახში, რკინის სეიფში იყო რკინის კუჭი, რომლიდანაც სითხე წვეთავდა. სიძე გავაფრთხილე, სასწრაფოდ გაეკეთებინა ოპერაცია. არ დამიჯერა. ერთ კვირაში გაუსკდა კუჭი. რამდენიმე დღის შემდეგ იგივე სიზმარი ვნახე. ხელმეორედ დასჭირდა ოპერაცია.

*** დიპლომის დაცვის პერიოდში სიზმარი ვნახე: ერთი ჩვენი კურსელი იცინოდა და ყვავილებით ხელში ცეკვავდა. მეორე დღეს ვთხოვე, გადაედო დაცვა, არ დამიჯერა და ჩაიჭრა. მისი ცრემლი ზღვას ერთვოდა...

*** ჩემი თანამშრომლის სახლში ჭერიდან მაგიდაზე ჩამოვარდა გამდნარი სარეცხის საპონი და ყველაფერი გაიწუწა. დილით სამსახურში რომ მოვიდა, ვურჩიე, — წადი შინ, რაღაც ცუდი ამბავია-მეთქი. დამიჯერა და ბავშვი დახრჩობას გადაარჩინა.

*** მარტი იწურებოდა. სიზმარში ვხედავ: ჩემი სამსახურის ფანჯრიდან რუსთაველის გამზირს გავყურებ. მთელ სიგრძეზე გაშლილია სუფრა. გაისმა დოლის ხმა. მარჯვენა მხრიდან ცეკვით შემოვიდნენ ჩოხოსნები. ხელში თოფები ეჭირათ. უცებ მარცხენა მხრიდან ხმალამოწვდილი მეომრები გამოჩნდნენ. სამუშაო მაგიდას მივუბრუნდი შეშინებული. როცა ფანჯრიდან კვლავ გადავიხედე, რუსთაველის გამზირი ნაომარი იყო. სუფრაზე აქა-იქ მოჩანდა ხელშეუხებელი თეფშები და დანა-ჩანგლები. შემოსასვლელ კარებთან კი იდგა ცულით ხელში ხანში შესული კაცი და ხორცს კეპავდა. ჩავედი ხორცის საყიდლად. მან შემომთავაზა მხოლოდ ქონი. უკან გავბრუნდი. რამდენიმე დღეში 9 აპრილის ტრაგედია დატრიალდა.

***მარიამ ფხოველიშვილი***

**„საზალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები**

I. ვარდი.

II. მე-5 და მე-9 მცენარეები.

III. **აბა, გამოიცანი:**

1) — ა); 2) — გ); 3) — გ); 4) — დ); 5) — ბ); 6) — დ); 7) — ბ); 8) — გ); 9) — დ).

**ჩვენ გვწერენ**

# განძი მძებნელს ელის...



ჩემი დიდი პაპის ოჯახი სოფლად ცხოვრობდა, თავისი მეურნეობა ჰქონდა. ერთხელ, საღამოს, უფროსი ვაჟი, 13 წლის ბესო, სამწყემსურიდან დაბრუნებულა და ეზოში შემოსვლისთანავე მუხლი მოჰკვეთია, დაცემულა. ვინ არ მოიყვანეს თურმე — მკურნალი, მლოცველი თუ მკითხავი, ვერავინ ვერაფერი გაუგო და ბიჭი ლოგინად ჩავარდა... არც ჭამდა, არც სვამდა. დედა რამდენიმე წვეთ ღვინოს ძალით ჩაასხამდა თურმე პირში, გაშეშებულ ყმაწვილს თვალები მუდამ გახელილი ჰქონია...

ორი თვის მერე უცებ წამომდგარა და, არ დაიჯერებთ, ოდნავ გამხდარიც კი არ ყოფილა. ეგ იყო, რომ იმ ამბის შემდეგ სიმაღლეში აღარ გაზრდილა. უმცროს ძმებს მხოლოდ მხრებამდე სწვდებოდა, მაგრამ ყველაფერი მათზე უკეთ შეეძლო — შრომაც, ლხინიც. 104 წელი იცოცხლა, ავად არ გამხდარა. უმცროსი დედმამიშვილები მის ხელში გარდაიცვალნენ. ის კი იყო და იყო კერკეტი კაკალივით.

მახსოვს, ბავშვები შემოვეხვეოდით და ვეკითხებოდით: — პაპა, ბავშვობაში ორი თვე რომ გეძინა, სიზმრად რა ნახე-თქო. თავს უკმაყოფილოდ გააქნევდა: — არა მძინებია, აქ არ ვიყავიო.

ბავშვებს მისი ნათქვამისა ბევრი არაფერი გვესმოდა, ამიტომ სიცილით ვიხოცებოდით (თანაც მაშინ, კომუნისტების დროს, სასწაულს არ ვაღიარებდით, ამიტომ პაპაჩვენიც შეურაცხადად ჰყავდათ მიჩნეული). ცოტა რომ წამოვიზარდე, უფრო გულდაგულ დავუწყე გამოკითხვა.

ერთხელ მან ასეთი რამ მიამბო:

— ბინდდებოდა, ის-ის იყო, შინისაკენ გამოვირეკე საქონელი, რომ დავინახე, როგორ ავედი მაღლა, სამი მეტრით მაინც მოვწყდი მიწას. ქვემოთ ვხედავდი ჩემს ნიშა ხარს, ჭრელა ძროხას, წიქარასა და თოთანას. უკან მე მივყვებოდი, ოღონდ მე იქ აღარ ვიყავი, მაღლა ვტივტივებდი. ეზომდე ვდიე ჩემს თავს ზემოდან. ჭიშკარში შევედი თუ არა, რაღაცამ შემბოჭა, შინ შესვლა ვერ შევძელი და ასე ჰაერში ნება-ნება მივენდე დინებას.

ჩამოვიხედე ქვემოთ და რა ვნახე: ჩვენი სოფლის სერები, ახლა რომ საძოვრებად გვქონდა, მიჯრით მიწყობილი ქვის ქოხებით იყო დაფარული. იქიდან ტილოს ტანსაცმლიანი ქალები და ბავშვები გამოდიოდნენ, ზოგს თუნგი მოჰქონდა, ზოგს გოდრით ფიჩხი, მოკლედ, ცხოვრება დუღდა. მოშორებით, სამჭედლოში, რამდენიმე კაცი თავს ეხვია მჭედელს — ცხენის ნალებს ჭედდნენ.

განსაკუთრებით ერთი კაცის სახლს დავტრიალებდი თავს. ერთხელ ის კაცი ღამით შინიდან გამოიპარა, ხეობას ჩაჰყვა და ვიღაც მდიდრულად შემოსილ სპარსელს შეხვდა. გამთენიისას კი ცოლ-შვილი გამოიყვანა სახლიდან და გზას გაუყენა... ასე, ორ საათში კი ფეხაკრეფით მომავალი მტერი უკვე სოფელს მოადგა. უმწეოდ ვაწყდებოდი აქეთ-იქით, მაგრამ რა შემეძლო, რით უნდა დავხმარებოდი ხალხს. დაიწყო წივილ-კივილი, ცოდვის კითხვა. ყველაფერი ერთმანეთში აირია. მოხუცი თეთრწვერა კაციც დავინახე, ალბათ სოფლის თავი იყო, აქოშინებულმა აიარა აღმართი და მიწაში რაღაც ჩაფლა, ეტყობა, განძეული გადამალა. მერე მარდად დაეშვა აწიოკებული სოფლისაკენ სიკვდილის შესახვედრად... გონს რომ მოვედი, წამოვდექი, სირბილით ავიარე აღმართი საძოვრებისაკენ. ის ადგილიც ვიპოვე და დავნიშნე...

— მერე, გვითხარი, პაპა, სად არის, წავალთ და ამოვთხრით...

— ვერ ამოთხრით!

— რატომ?

— არ შეიძლება! ის ადგილი რომ ვიპოვე, ის თეთრწვერა კაცი გამომეცხადა და მითხრა: ვიდრე ამ ველებზე სახნისს არ გაატარებთ და ასოცი კომლის საძირკველს არ გათხრით, განძი არ გეჩვენებათო.

სოფელში დავბრუნდი. ბევრი ვილაპარაკე: — წავიდეთ, ზემოთ ვიცხოვროთ, განაყოფები მაინც იქ დავსახლდეთ-მეთქი... დამცინეს — ბალღს სიზმარი გინახავსო...

ასე დარჩა განძი დღემდე გაუხსნელი.

***ბონდო კევლიშვილი, თბილისი***

# უკვდავებისა წყაროო...

## ჩხრიალის ხმა მიწის გულიდან ამოდიოდა

„ოდეს მაშვრალს მოსწყურდების, მაშინ წყალიც ღვინოდ ღირსა“ — ბრძანებდა გურამიშვილი... კახეთში ღვინოს რა გამოლევს, მაგრამ გურჯაანელებს XX საუკუნემდე სასმელი წყალი ღვინოდ კი არა, ოქროდაც უღირდათ. ამაოდ ეძებდა ქალი და კაცი მაცოცხლებელ წყაროს. ადგილის დედის სანახები ჯერ ისევ ტყით იყო დაფარული. ვაკეზე ხალხი მრავლდებოდა, ღელეებთან კი მატულობდა თიხისკოკებიანი ქალების გრძელი რიგი. ან რა უნდა ექნათ: ცივგომბორის კალთებიდან ჩამომდინარე თოვლის ნაჟური ადრე გაზაფხულზე თუ აამწვანებდა, ააბალახებდა იქაურობას... მაგრამ ხანმოკლე იყო ბუნებისაგან მომადლებული სიხარული. ამ დალოცვილ ქედს ერთი ზნე სჭირს დასაბამიდან: ჩამოიბერტყავს თუ არა თოვლჭყაპიან კალთებს, გადმოსკდება უთვალავი ღელე: მოდის, მობღავის, მოაქვს არემარე, ნარიყი და ნაშალი, ღორღი და რისხვა... ჩამოივაკებს, შეასკდება სახლებსა და მამულებს, ჭალასა და მინდორს, დატბორავს, გადალეკავს და მანამდე არ დაცხრება, ვიდრე ეშმაკს თავის წილს არ მიუმარაგებს. მერე ჩამოდგება მკათათვის ხვატი, გავარვარებული ცარგვალი თანდათან ამოაშრობს ბობოქარი ღელეების ფერდებს, დაიწრიტება რიყეები, მიილევა ნაკადულები და მეუდაბნოეს წყურვილით მოსწყურდება კახეთის დამაშრულ მიწას...

მაშინაც აგრერიგად სწყუროდა გურჯაანელ გლეხკაცს. არ ჩანდა გზა ხსნისა. ხანდახან შეიყრებოდნენ ქალები, ჩამოივლიდნენ კარდაკარ ხელაპყრობილნი, სიმღერით შესთხოვდნენ დამბადებელს: „აღარ გვინდა გორახიო, ღმერთო, მოგვეც ცის ნამიო“. გადმოაწუწებდა თავზე მასპინძელი შავი დღისათვის გადანახულ ერთ ვედრო წყალს — აგრემც წვიმად გექცევათო. დალოცავდა, ჩირსა და ჩურჩხელას ჩამოურიგებდა და გამოისტუმრებდა. დამბადებელიც მოიღებდა მოწყალებას: წამოუშენდა შხაპუნა, დალბებოდა დამსკდარი მიწა, გაცოცხლდებოდა ვაზი, ლოყებს ჩამოიბანდა პირღიმილა ატამი და ღაბაბშეშუპებული ლეღვი. გაილაღებდა პირუტყვი, ნადირ-ფრინველი, ღელეც აივსებდა ჯიქანს და ცოტა ხნით დამოკლდებოდა თიხისკოკებიანი ქალების რიგი... მაგრამ მალე იქაურობას ისევ გახურებულ თონესავით ასდიოდა ალმური...

...გამოჩნდა შეჭირვების ჟამს ჭაბუკი ვინმე მთისუბნელი — ბეზარაანთ გიორგი. მთა-ტყეღრეში სიარული და ნადირობა უყვარდა. თან ვაზის ლერწი დაჰქონდა და რაღაცას ეძებდა. ზოგი ალმაცერად უყურებდა ახირებულ მაძიებელს. თავშალწაკრული გოგონები სიცილს დაადევნებდნენ ხოლმე, თანატოლ ბიჭებსაც ბევრჯერ გაუცილებიათ სტვენით მხარზე თოფგადაკიდებული „ტყიური“. მამამისი — ბეზარა ადგილს ვერ პოულობდა, რამდენჯერ გადასდგომია თავმომწონე ვაჟიშვილს შუა გზაზე. შვინდის წკეპლა მოუღერებია — კალოს ლეწვა დაიწყო, რა დროს ტყეში სიარულია, შინ მობრუნდიო. გაიცინებდა გიორგი გულღიად — საქმე მაქ, მამი, მალე მოვალო და დაიკარგებოდა მთელი კვირა... ერთხელ სოფლის მახლობლად შემოაღამდა. მიწვა მხრებგაშლილი ცაცხვის ძირას. სიგრილე ეამა და მალე ჩაეძინა. რიჟრაჟზე, ძილბურანში წყლის ჩხრიალის ხმა შემოესმა. ხმა მიწის გულიდან ამოდიოდა. მხარი იცვალა. ყური მიწას დაადო და სმენა დაძაბა.

თავის ნაწოლქვეშ აშკარად ნაკადული მირაკრაკებდა. მიირბინ-მოირბინა ახლომახლო, წყალი არსად ჟონავდა. ცხადი იყო, სადღაც სიღრმეში იკარგებოდა. გიორგი თავქუდმოგლეჯილი გავარდა შინისაკენ. საბძლის კართან მიყუდებულ ბარსა და წერაქვს ხელი დასტაცა და ტყეში დაბრუნდა. სადაც იწვა, დიდხანს იწრიალა იმ ადგილას. ისევ დაადო ყური მიწას და... სიხარულით ზედ ხელებგაშლილი დაეკონა. თხრა დაიწყო. ორი ბარის პირზე სისველე ამოჰყვა ნიადაგს. ცოტაც და... ყინულივით წყაროს წყალმა არტახები დაწყვიტა, ამოხეთქა...

XX საუკუნის 20-იან წლებში გურჯაანის ეკლესიის მოძღვარმა ბეზარაანთ სანახებში გიორგის სახელზე წყარო აკურთხა. გონიერი ყმაწვილი საეკლესიო მამულების მოურავად დაადგინეს. 1877 წელს გაზეთი „ივერია“ ბეზარაშვილების წყაროს მოიხსენიებს, როგორც „უხვად გადმომდინარესა და დამაშვრალთა მაწყურვებელს“. ამ წყაროს მახლობლად ცხოვრობდა თავადი გიორგი ანდრონიკაშვილი, რომლის ოჯახმა აღზარდა ქართული კინოს ვარსკვლავი ნატო ვაჩნაძე. თავის მოგონებებში სახელოვანი ქალი ერთგან წერს: — ბეზარაანთ წყაროსთან გავატარე მთელი ჩემი საუცხოო ბავშვობაო. წყაროს მიმკვლევი — გიორგი ბეზარაშვილი სამ საუკუნეს მოესწრო. დაბადებულა იგი 1798 წელს. 1906 წელს კი მთელი გურჯაანი დასტიროდა თურმე მათი მაცოცხლებელი წყაროს პირველ მკაზმველს. ბევრი სახელიანი წყაროა საქართველოში. გურჯაანელი უხუცესები დღესაც სიამოვნებით იხსენებენ „ბეზარაანთ წყაროს“ ზღაპრადქცეულ ამბავს.

***თინათინ კიკნაძე***

# წლებს თავისი მიაქვს



ეტყობა, მარად ახალგაზრდა მონა ლიზა თანდათანობით ბერდება. ლეონარდო და ვინჩის ამ დიდებულ ქმნილებას 500 წელი შეუსრულდა.

ფრანგი სპეციალისტები შეშფოთებულნი არიან, რადგან ალვის დაფა, რომელზეც არის დახატული სურათი, ძლიერ დეფორმაციას განიცდის.

მუზეუმის ხელმძღვანელობამ რესტავრატორები მოიწვია, რათა დაედგინათ, თუ როგორ რეაგირებს სურათი დარბაზში კლიმატის ცვალებადობაზე. გარდა ამისა, სპეციალისტები განსაზღვრავენ მხატვრის მიერ გამოყენებული საღებავის შემადგენლობას. სარესტავრაციო-კვლევითი სამუშაოების დროს სურათს ექსპოზიციიდან არ ამოიღებენ, მას ჩასვამენ მინის კამერაში, სადაც განსაკუთრებული მიკროკლიმატი შეიქმნება, გაისად კი ცალკე დარბაზში გადაიტანენ.

*იტოგი №17*

# ასეც ხდება



— რა უცნაურობებს არ შემოგვთავაზებს ხოლმე ბუნება! ამას წინათ, ინგლისში, ერთ ფერმაში, მეტად „წესიერ" პონის გაუჩნდა ძალიან ლამაზი... ზებრაპონი.

გაკვირვებულმა პატრონებმა გადაწყვიტეს, დაედგინათ პაწიას წარმომავლობა. გაირკვა, რომ პონის წინა პატრონი ზოოპარკის მეზობლად ცხოვრობდა. ზოოპარკში კი ბინადრობდა ზებრა. პონი ხშირად დაცუნცულებდა ზოოპარკში, ის და ზებრა, ასე ვთქვათ, მეგობრობდნენ და ეტყობა, შესცოდეს. პატრონმა, პონი რომ გაყიდა, არ იცოდა, თუ ის მაკედ იყო.

პონის და მის ულამაზეს ნაშიერს ყველა დაჰფოფინებს თავს. ზებრაპონს უამრავი ცნობისმოყვარე სტუმრობს. ისიც ისეთი გონიერი გამოდგა, რომ ფოტოკამერების წინ მორჩილად ჩერდება და ყელსაც იღერებს.

— ცოტა ხნის წინ მექსიკის პატარა ქალაქ მანსალიოს სახელი მთელ ქვეყანას მოედო. აქ მომხდარ უცნაურ შემთხვევაზე კარგა ხანს ლაპარაკობდა ტელევიზია: მანსალიოში რამდენიმე დღით შეჩერდა სარკინიგზო მოძრაობა. ამის მიზეზი კი კიბორჩხალები გახლდნენ. მილიონობით კიბორჩხალამ მოინდომა ოკეანის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასახლება, გზად ლიანდაგი დახვდათ და შეაჩერეს კიდეც მოძრაობა.

— ტეხასის შტატში, ტბა ტრევისზე სასეირნო კატარღა გადატრიალდა მარჯვენა მხარის ზედმეტად გადახრის გამო. საქმე ის არის, რომ კატარღის სამოცივე მგზავრის ყურადღება მიიპყრო ნუდისტურმა პლაჟმა, რომელზეც იმ დღეს საცურაო სეზონი იხსნებოდა.

— ერთმა ამერიკელმა მოქალაქემ ასპირინის ერთ აბში 3.250 დოლარი გადაიხადა. ეს კოსმოსური თანხა მართლაც „კოსმოსურ აბში" დაიხარჯა. აბის არამიწიერი წარმოშობა მისი ყოფილი პატრონის წერილითაც დასტურდება — იგი მთვარეზე პირველი ექსპედიციის მონაწილე, ამერიკელი ასტრონავტი მაიკლ კოლინზია. წერილში დაწვრილებით არის აღწერილი აბის ისტორია. იგი კოსმოსური აპარატის „აპოლო-11"-ის აფთიაქში ინახებოდა. სწორედ ამ ხომალდით გაფრინდნენ მთვარეზე ნილ არმსტრონგი, ედვინ ოლდრინი და ასპირინის პატრონი მაიკლ კოლინზი.

*ვოკრუგ სვეტა*

# ლოთი, ხულიგანი და...



ამერიკელი ამომრჩევლის აზრით, აშშ-ის პრეზიდენტის ქალიშვილის გამოხდომები მამამისის პოლიტიკური ოპონენტების წისქვილზე ასხამს წყალს.

ახლახან ჯენი ბუშმა ისევ გამოიჩინა თავი. ლოთობა, მანქანის საჭესთან ნასვამი ჯდომა და ჯარიმების გადახდა განვლილი ეტაპია, ამჯერად, მან სტრიპტიზიორობა სცადა.

ჰოლივუდელი სცენარისტის, რობერტ ლოუს ქალიშვილმა და ჯენის მეგობარმა წვეულება გამართა. რა თქმა უნდა, პრეზიდენტის ქალიშვილი გვარიანად გამოთვრა და გადაწყვიტა, სტრიპტიზიორ ქალებს დახმარებოდა. როგორც კი სპეცსამსახურის თანამშრომლებმა შეამჩნიეს, ჯენი გახდას აპირებსო, ეცნენ და სასწრაფოდ გაიყვანეს დარბაზიდან.

იმ წვეულების შემდეგ ხმა დაირხა, ჯენი არა მარტო სასმლის მოყვარული და ხულიგანია, ლესბოსური სიყვარულისკენაც მიუწევს გულიო.

*ოკნა №18*

# ღორმუცელობა იზრდება

ამერიკელების 89% დარწმუნებულია, რომ სიმსუქნის ეპიდემიაში, რომელმაც მოიცვა აშშ, დამნაშავეა ტელევიზია. სწორედ ეს „ყუთი" აიძულებს ადამიანებს ჭამონ და სვან იმაზე მეტი, რაც აუცილებელია.

ბერძნები დაქორწინების შემდეგ სუქდებიან. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ამის მიზეზია უყურადღებობა — რაკი მეუღლე „იშოვეს", არც ქალი და არც კაცი საჭიროდ აღარ თვლის, თავს ყურადღება მიაქციოს. თანაც ნამეტანი პირისგემოს მოყვარულები არიან და... ზარმაცები. არ მისდევენ სპორტს. საკვირველია, ისინი ხომ ოლიამპიადის ქვეყნის შვილები არიან!

*მეგაპოლის-ექსპრესი №16*

# ვინ, სად, როდის და რა თქვა

ამერიკელი ფანტასტი და სატირიკოსი ამბროზ ვირე ამბობდა: „ციტატა — სხვების გამონათქვამის არასწორი გამეორებააო". ეს — სიმართლეა. თუკი საკითხს უფრო ჩავუღრმავდებით, აღმოჩნდება, რომ ზოგი ცნობილი ფრაზა საერთოდ არ არსებობდა.

სამედიცინო ინსტიტუტების დამთავრების შემდეგ მთელი მსოფლიოს ექიმები დებენ „ჰიპოკრატეს ფიცს", მაგრამ ის, რასაც ფიცად მიიჩნევენ, მედიცინის მამის ნაშრომებში გაჩნდა ჰიპოკრატეს სიკვდილიდან რამდენიმე წლის შემდეგ.

სხვათა შორის, თურმე არც ლუდოვიკო XIV-ს უთქვამს: „სახელმწიფო — მე ვარ".

ამბობენ, რომ დიდი საფრანგეთის რევოლუცია მას შემდეგ დაიწყო, როცა დედოფალმა მარია ანტუანეტამ განაცხადა: „რადგან პარიზს პური არ ჰყოფნის, მიირთვან ნამცხვრები!" თუმცა ეს ფრაზა მოუგონია ჟან ჟაკ რუსოს 1760 წელს, მაშინ მარია ანტუანეტა მხოლოდ 5 წლისა იყო.

ნაპოლეონმა ეგვიპტეში ყოფნისას წარმოთქვა: „ამ პირამიდების სიმაღლიდან თქვენ ორმოცი საუკუნე გიმზერთ". ეს ფრაზა ნამდვილად ნაპოლეონს ეკუთვნის, მაგრამ თქვა არა ეგვიპტეში, არამედ 20 წლის შემდეგ, წმ. ელენეს კუნძულზე, როცა მემუარებს წერდა.

სხვათა შორის, არც ჩერჩილის გამოგონილი ტერმინია „რკინის ფარდა". პირველად ეს გამოთქმა გამოიყენა ბელგიის დედოფალმა ელისაბედმა, როცა 1914 წელს გერმანელების შემოტევაზე ლაპარაკობდა: „ამჟამად ჩემსა და გერმანიას შორის რკინის ფარდა დაეშვა". „მე არასოდეს გამომიყენებია იდიოტური გამოთქმა „ბლიცკრიგი", — განაცხადა ადოლფ ჰიტლერმა 1941 წლის ნოემბერში. ჰერმან ჰერინგსაც მიაწერეს ფრაზა: „როცა მესმის სიტყვა „კულტურა", იმწამს რევოლვერს ვეცემი ხოლმე". თუმცა ამ ციტატამ გაიჟღერა 1933 წელს ბერლინში დადგმულ სპექტაკლში.

უკვე სამოცი წელია, როცა ესპანეთის სამოქალაქო ომს იხსენებენ, აუცილებლად ამატებენ ფრაზას „ესპანეთის თავზე უღრუბლო ცაა", რაც თურმე ფრანკოს ამბოხების დასაწყისის სიგნალი ყოფილა. მაგრამ იმ დღეს რადიოში არავის წარმოუთქვამს ეს სიტყვები, ხოლო დაშიფრული პირობითი ნიშანი ჩვეულებრივი ტელეგრაფით გაიგზავნა!

*კრიმინალნაია ხრონიკა №3*

# ამბავი კატისა და ცხენის სიყვარულისა



ავსტრალიის ერთ-ერთ რანჩოში კატა ტომსა და ცხენ ენის შორის ნამდვილმა სიყვარულმა იფეთქა. 3 წლის ტომი ძალიან აგრესიულია — იფხაჭნება, იკბინება, მაგრამ დაინახავს თუ არა ენის, ბედნიერებისაგან დნება. ენიც ასევე პასუხობს. შეყვარებულების პატრონი ამბობს, ამ ცხოველებს უერთმანეთოდ სიცოცხლე უჭირთო. კატა იძინებს იმ თასში, რაშიც ენის საკვებს მიართმევენ, ხოლო ცხენი საჭმელს არ ეკარება, თუ ფისო გვერდით არ ეგულება.

*ოჯი*

# „ლოლიტას" სხვა მამა ჰყავს



ვლადიმირ ნაბოკოვს, სკანდალურად ცნობილი „ლოლიტას" შემქმნელს, ალბათ ავტორობას ჩამოართმევენ.

საქმე ის არის, რომ ახლახან იპოვეს ხელნაწერი, რომელიც ჰაინც ფონ ლიხბერგს ეკუთვნის. ორი სქელი რვეული 1916 წლითაა დათარიღებული და მათ ნამდვილობაში ეჭვი აღარავის ეპარება. რვეულებში ზუსტად ისეთივე ისტორიაა აღწერილი, როგორც ნაბოკოვთან. ლიხბერგი ბერლინში ცნობილი რეპორტიორი იყო. გარდა ამისა, ისტორიაშია შესული მისი წიგნი ატლანტიკაზე დირიჟაბლით მოგზაურობის შესახებ. ახლახან გაირკვა, რომ ფონ ლიხბერგი, რომელიც ჰიტლერის გამოსვლებზე რეპორტაჟებს აკეთებდა, მხოლოდ პოლიტიკაზე როდი წერდა.

ექსპერტები ცდილობენ გაარკვიონ, როგორ ჩაუვარდა ხელთ „ლოლიტას" სიუჟეტი ნაბოკოვს. ცნობილია, რომ იგი გერმანიაში სწორედ იმ წლებში ცხოვრობდა. რამდენჯერმე დაიწყო რომანის წერა და იმდენჯერვე გაანადგურა ხელნაწერები. როგორც მწერალი ამბობდა, არაფერი გამოსდიოდა. ამასთან, ნაბოკოვის რომანის გმირი გოგონა კი არა, ბიჭი უნდა ყოფილიყო. და აი, 50-იან წლებში მას შთაგონება ეწვია და 1956 წელს გამოიცა „ლოლიტა". რომ არა ეს, როგორც საბჭოეთში ამბობდნენ, პორნოგრაფიული რომანი, ნაბოკოვის სახელი არავის ეცოდინებოდა. გასაკვირიც არ არის, რომ დიდებაზე მეოცნებე მწერალს პლაგიატობაზეც არ ეთქვა უარი.

*ოკნა №19*

# სიყვარული კანონგარეშე

ამერიკელ მოქალაქეებს შორის ინტიმური ურთიერთობის შესახებ კანონის გადახედვას აპირებს, რადგან იგი მოძველებული და სასაცილოც კია. ყველაფერი კი კლივლენდში მომხდარმა შემთხვევამ განაპირობა. იქ ქალი მხოლოდ იმისთვის გაასამართლეს, რომ ლაკის ფეხსაცმელები ჩაიცვა. მას ვინმე რობერტ ადამსმა, გამოცდილმა ინტრიგანმა უჩივლა... და მოიგო კიდეც საქმე. როგორც გაირკვა, შტატებში ჯერ კიდევ მოქმედებს ერთი უაზრო კანონი — ოჰაიოს შტატში ქალებს ეკრძალებათ ლაკირებული ფეხსაცმლის ჩაცმა იმ მიზეზით, ვითომ ქვედა საცვალს აირეკლავსო. მოსარჩელემ მორალური კომპენსაცია მოითხოვა. ინტიმური „გაუგებრობების" სია საკმაოდ გრძელია. მაგალითად, წყნარ ოკეანეში აშშ-ის კუთვნილ კუნძულ გუამაზე ოფიციალურად არსებობს დეფლორატორის პროფესია. ადგილობრივ ქალებს კატეგორიულად ეკრძალებათ ქალწულობა.

*ოკნა №18*

# ჟურნალ „კარუსელის" საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის"



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებს ამოიკითხავთ.**

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კ | ვ | ი | რ | ი | ს | პ | ა | ლ | ი | ტ | რ | ა | თ | ქ | ვ | ე | ნ | ი | გ | ა | ზ | ე | თ | ი | ა |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| შ | ო | ნ | რ | ო | ა | ე | ი | ნ | ა | ა | ა | | ი | ი | ი | ი | ლ | ი | ნ | ი | ა | ე | თ | ი | ი |

**კ.** მცენარე, რომელსაც ქოთანში ჩარგულს ხშირად დგამენ კომპიუტერის გვერდით; **ვ.** ჯარის უფროსი ძველ რუსეთში; **ი.** მგალობელი ფრინველი; **რ.** გერმანელი მწერალი, „ნასესხები სიცოცხლის" ავტორი; **ი.** ბერძნული მითოლოგიის გმირი, რომელიც მამის მიერ გაკეთებული ფრთებით გაფრინდა კრეტის ლაბირინთიდან; **ს.** ქალაქი კახეთში; **პ.** რუსული ნაციონალური კერძი; **ა.** ღმერთი, რომლის შვილადაც გამოაცხადა თავი ალექსანდრე მაკედონელმა; **ლ.** ქვეყანა, რომლის დედაქალაქია ბეირუთი; **ი.** ოდისევსის მშობლიური კუთხე; **ტ.** რა მდინარე ჩამოედინება ლონდონში; **რ.** რა ერქვა აივენჰოს სატრფოს; **ა.** უძველესი სიმებიანი საკრავი; **თ.** თავის ქალის ზედა ნაწილი; **ქ.** ქალაქ აიას დღევანდელი სახელწოდება; **ვ.** ქალის პირბადე; **ე.** განსწავლული ადამიანი; **ნ.** დინამიტის გამომგონებლის გვარი; **ი.** ქართული ანსამბლი, რომლის შემადგენლობაშიც სისტემატურად ცამეტი მომღერალი და მუსიკოსია; **გ.** რა ერქვა დათა თუთაშხიას შვილს; **ა.** სიყვარულის რომაული ღვთაება; **ზ.** მუსიკალური საკრავი, რომლის სახელსაც მიაძახებენ ხოლმე იმ ადამიანს, რომელიც ხმამაღლა ყვირის; **ე.** ქალის სახელი, რომელიც ტროას ომის დაწყების საბაბი გახდა; **თ.** ივნისის თვის ძველი ქართული სახელწოდება; **ი.** ფაშიზმის სამშობლო; **ა.** სამხედრო ნადავლი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**
**ა.** აზნაური; **რ.** რაუნდი; **შ.** შარმი; **ე.** ეტალონი; **მ.** მესტია; **ც.** ცედრა; **დ.** დარიოსი; **ა.** ამონი; **რ.** რუსეთი; **ხ.** ხონჩა; **ა.** ამური; **რ.** როდინი; **თ.** თიანეთი; **ა.** არმანდო; **რ.** როშფორი; **ჩ.** ჩივაძე; **ე.** ემისია; **ვ.** ვედრება; **ა.** აუდი; **ნ.** ნოე; **შ.** შაბათი; **ი.** ირი.
**გამუქებულ უჯრებში იკითხება: ნურასდროს ნუ დამშვიდდები.**

# უნიკალური ფოტოების ექსკლუზივი — „კვირის პალიტრას“

## მუხრან მაჭავარიანმა მითხრა, შენ ერის საგანძურს პატრონობ და თუ ამ საქმეს თავს დაანებებ, გამარჯობასაც აღარ გეტყვიო...

**ბევრი თქმულა და დაწერილა „შეჩერებულ წამზე“. იმაზე, თუ როგორ ახერხებს ფოტოხელოვანი ზოგჯერ მართლაც ერთ წამში ჩატიოს საუკუნე. ვესაუბრებით ფოტოხელოვან ოთარ კაკაბაძეს, რომელიც თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ბევრ სახელოვან ადამიანს შეხვედრია, ბევრი სახასიათო და უნიკალური ფოტო გადაუღია...**



— ლადო გუდიაშვილთან ერთად ვისხედით სუფრაზე. ამბავი მოუტანეს, რიყეს ანგრევენო. გაგიჟდა, ფეხზე წამოხტა, გაიქცა და ჩვენც თან გაგვიყოლა (ფოტოზე ლადო გუდიაშვილი და ოთარ კაკაბაძე).

— სოლოლაკში გავიზარდე, დედა შერვაშიძის ქალი მყავდა, ნამდვილი არისტოკრატი. მამა სამხედრო პირი იყო, მკაცრი და გაწონასწორებული... ერის ღირსებას მისი ცალკეული წევრები ქმნიან და ეცადეთ, ღირსეულად იცხოვროთო, ჩაგვჩიჩინებდნენ მე და ჩემს და-ძმას და არც არასოდეს გვიღალატია ამ შეგონებისთვის. 1-ელ მაისს 80 წლისა შევსრულდი და დღესაც ყველაფერზე მეტად ქვეყნის ბედი მაწუხებს. ძალიან მინდა გამთლიანებულ და წელგამართულ საქართველოს მოვესწრო.

**— თქვენი აზრით, რა არის ამისთვის საჭირო?**

— ყველამ რომ თავისი საქმე ისე აკეთოს, როგორც პროფესიონალს ეკადრება, კანონი კი მართლა კანონობდეს... აუცილებელია ადამიანებს ნორმალური სამუშაო პირობები შევუქმნათ.

**— რას გულისხმობთ?**

— მთელი ცხოვრება თეატრალურ და წიგნის მოყვარულთა საზოგადოებაში ვიმუშავე. ხელფასიც მაღალი მქონდა და პრემიაც. საქმეც კეთდებოდა. ახლა ჩემს თანამშრომლებს გზის ფული არა აქვთ, სამსახურში რომ მოვიდნენ... ამიტომაც გამიტყდა გული,



— როცა ელდარ შენგელაიას ნატოზე მოპოვებული მასალები ვუჩვენე, გაოცდა, ამდენი რამე მეც არა მაქვსო.



— აკადემიკოსი აკაკი შანიძე თავის ქალიშვილთან, მზექალასთან ერთად მოვიდა ფოტოს გადასაღებად...

ხელიც ლამის ჩავიქნიე ყველაფერზე, მაგრამ რა ვუთხრა ისეთ ერისკაცს, როგორიც მუხრან მაჭავარიანია და, რომელმაც მითხრა, შენ ეროვნულ საგანძურს პატრონობ და თუ ამ საქმეს თავს დაანებებ, გამარჯობასაც აღარ გეტყვიო.

**— ფოტოხელოვნებით როდის დაინტერესდით?**

— ნახევარი საუკუნის წინ კიევში ერთი საინტერესო ფოტოგამოფენა დავათვალიერე. იმდენად მომეწონა, ყველაფერს თავი მივანებე, აპარატურა შევიძინე, თბილისში ჩამოვიტანე და საქმის შესწავლას სერიოზულად შევუდექი. მივხვდი, რომ ინჟინრობა კი არა, ფოტოხელოვნება იყო ჩემი ცხოვრების უმთავრესი მიზანი...

**— თქვენი ფოტოლაბორატორია ბუნკერივითაა, სინათლეც არ აღწევს...**

— ფოტოსაქმისთვის ეს სარდაფი ცუდი არ არის. ამ პირობებს აიტანს კაცი, მაგრამ დაბეჭდილ ფოტოებს კი სჭირდება უკეთ განთავსება და მოვლა-პატრონობა. აქ ბევრი უნიკალური ფოტომასალა და ორიგინალია დაცული. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ ვაჟა-ფშაველას და ალექსანდრე ყაზბეგის ერთად გადაღებული ორიგინალური ფოტო გვაქვს. ზაქარია ფალიაშვილის ნამდვილი სახეც აქ ინახება. აკადემიკოსი აკაკი შანიძე თავის ქალიშვილთან, მზექალასთან ერთად მოვიდა ფოტოს გადასაღებად... გოგლა ლეონიძე, ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, სილოვან და დავით კაკაბაძეები, ლადო გუდიაშვილი, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ვასო გოძიაშვილი, სანდრო ახმეტელი, კოტე მარჯანიშვილი... რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო. აფხაზეთის ომში დაღუპული საშკა იოსელიანის ერთი ისეთი ფოტო მაქვს, ნამდვილ უფლისწულს ჰგავს. თუმცა კი არ ჰგავს, ასეთი იყო იგი. ჯანსუღ კახიძე ნახეთ? როგორ ჩაძირულა იმ მუსიკაში, რომელსაც ორკესტრი ასრულებს.

**— იოსებ სტალინის რამდენიმე ფოტოც გქონიათ...**

— რა ვქნა, მიყვარს ეგ კაცი. ძლიერი პიროვნება იყო. მასებისა და სახელმწიფოს მართვის უნარი ჰქონდა...

**— თქვენი შემოქმედება უამრავ სახელოვან ადამიანს უკავშირდება...**

— ლადო გუდიაშვილთან ერთად ვისხედით სუფრაზე. ამბავი მოუტანეს, რიყეს ანგრევენო. გაგიჟდა, ფეხზე წამოხტა, გაიქცა და ჩვენც თან გაგვიყოლა. ცრემლით აევსო თვალები, ეს რა უქნიათ, სიძველეებს რატომ არ უფრთხილდებიანო, გაოცებული შლიდა ხელებს. მოგვიანებით გაიხსენა, ჩემი სახლის წინ ერთი პატარა საჩანახე იყო. ფიროსმანი რომ მესტუმრებოდა, აუცილებლად იქ მიმყავდა, ვსადილობდით, ვსაუბრობდით ხელოვნებაზე და პატარა ჭიქით ქვეყნის ბედნიერების სადღეგრძელოს ვსვამდითო. ფულიც ბევრჯერ მიმიცია, რომ თავი გაეტანა, ან საღებავები ეყიდაო. დიდი იყო და გვიან შეიცნეს... აბა, იმ საჩანახეს დაანგრევდა კაცი, რომელსაც ასეთი მხატვრის ნატერფალი აჩნდაო? — ბრაზობდა.

**— თქვენ ვახტანგ ბოჭორიშვილიც ახსენეთ...**

— კარგი დასტაქარი, პატრიოტი, კარგი მოქართულე, პოეტიც იყო და დიდი გულის პატრონიც. ჩემი ახლო მეგობარი გახლდათ და ხშირად მოდიოდა აქ, ამ ჩემს სარდაფში.

**— ნატო ვაჩნაძის ფოტოებიც მრავლად გქონიათ.**

— ჩემს არქივში სერგო ფარაჯანოვისეული ნატოს ნახატიცაა. ნიჭიერი რეჟისორი კარგი მხატვარიც იყო. როცა ელდარ შენგელაიას ნატოზე მოპოვებული მასალები ვუჩვენე, გაოცდა, ამდენი რამე მეც არა მაქვსო.

**— ეროსი მანჯგალაძის მეგობარიც ყოფილხართ...**

— თანაკლასელები ვართ. ერთ მერხზე ვისხედით, ფეხბურთის მატჩის დროსაც კი, როცა რეპორტაჟი მიჰყავდა, მის გვერდით ვიყავი. ისეთი ემოციური იყო, ისეთი აღტაცება და წუხილი იცოდა, კიდევ დიდხანს გაუძლო გულმა. როგორ შეიძლებოდა მისთვის იმ სათუთი გულის ტკენა? მაინც ატკინეს.

**— უამრავი ნაცნობ-მეგობარი გყავთ, ბატონო ოთარ, ნუთუ არ გიცდიათ ვინმე შეგეწუხებინათ, რომ გამოფენის მოწყობაში დაგხმარებოდათ და თქვენი ფოტონამუშევრები ფართო საზოგადოებისთვის გეჩვენებინათ?**

— მართალი ხართ, არ უნდა დაიმალოს ის, რაც ერის კულტურას, ერის სიმდიდრეს წარმოადგენს, მაგრამ არ შემიძლია ვინმეს დახმარება ვთხოვო, მე კი საამისო სახსრები ნამდვილად არ გამაჩნია. ესეც არ იყოს, მე ჩემი საქმე გავაკეთე, ახლა სხვების ჯერია... თუმცა, ერთსაც გეტყვით, ორიგინალური, იშვიათი ფოტოების გამოქვეყნების ექსკლუზივის უფლებას სიამოვნებით მივცემ „კვირის პალიტრას“...

P.S. *ბატონი ოთარ კაკაბაძე სრულიად შემთხვევით გავიცანი. ქვეყნის ბედზე დაფიქრებული ინტელიგენტი საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა. მის შესახებ ბევრმა მითხრა, ეს ის კაცია, ვისაც ქვეყანა თავზე მეტად უყვარსო. ისიც მითხრეს, ეს ის კაცია, ვისაც საკუთარი თვალით უნახავს ჩოხაში გამოწყობილი, მწევარით მოსეირნე კონსტანტინე გამსახურდია და მისთვის ფოტოც გადაუღიაო. მსახიობმა ედიშერ მაღალაშვილმა კი აღნიშნა, რამდენი ხანია, ნაღდი თბილისელი აღარ შემხვედრია ქუჩაში და მისმა დანახვამ ისე გამახარა, სიცოცხლის ხალისი დამიბრუნაო...*

*უფრო სრულად მის შესახებ კი ის მომავალი ფოტოგამოფენა იტყვის, რომელსაც იმედია, აუცილებლად იხილავს საზოგადოება...*

***თამარ კაპანაძე***



— საშკა იოსელიანის ერთი ისეთი ფოტო მაქვს, ნამდვილ უფლისწულს ჰგავს. თუმცა კი არ ჰგავს, ასეთი იყო იგი...



ასეთი იყო ახალგაზრდა ზაქარია ფალიაშვილი





# ჟირესი საუკეთესოებს მიადგა

„არ ვიცოდი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტიც თუ ვიყავი“, — ასე მხიარულად გამოეხმაურა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალან ჟირესი, შაბათს, ფეხბურთის ფედერაციაში გამართული პრესკონფერენციის დასასრულს დასმულ შეკითხვას. შეკითხვა ითვალისწინებდა იმას, მართლაც იყო თუ არა ფრანგი სპეციალისტის სიტყვა გადამწყვეტი, ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელად ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპის დანიშვნისას.

ჟირესის ირონიანარევ პასუხში აშკარად ჩანს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა ფედერაციის ხელმძღვანელობის პრეროგატივაა და თავად არაფერ შუაშია, თუმცა, თავის მხრივ, ფედერაცია საქართველოში ბოსკამპის ჩამოუსვლელობას სწორედ ფრანგი მწვრთნელის უშუალო გადაწყვეტილებად ასაღებდა.

მოკლედ, ერთი შეხედვით, თანამედროვე რელსებზე დამდგარი ფედერაციის ხელმძღვანელობა გადაბრალებების პოლიტიკას, ჯერჯერობით, ისევ არ ივიწყებს, რაც პლუსად ნამდვილად არ ჩაეთვლება. თანაც, გაუგებარია, ამ გადაბრალებით, ვინ რას იგებს, რადგან ჟირესმა უკვე არაერთხელ გვაჩვენა, რომ გაჩუმებას არ აპირებს და ნებისმიერ მეტ-ნაკლებად საჭირბოროტო საკითხზე აუღელვებლად, ხანდახან, ირონიულადაც კი ლაპარაკობს.

ახლა სერიოზულ საუბარს რაც შეეხება: ალან ჟირესმა პრესკონფერენციაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისრაელის ეროვნულ ნაკრებთან 27 მაისს დანიშნული ამხანაგური მატჩის წინ უპირატესობას ლეგიონერებს ანიჭებს.

„ჩემი აზრით, ისრაელის ნაკრებთან სათამაშოდ, ტრავმირებულებს თუ არ ჩავთვლით, დღეისათვის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელები მოვიწვიე. ეროვნულ ჩემპიონატში, როგორც თბილისის „დინამოს“, ისე სხვა წამყვანი გუნდების ბევრ მატჩს დავესწარი. ამ მატჩებზე ყურადღებით ვაკვირდებოდი ფეხბურთელთა ოსტატობასა და კვალიფიკაციას. შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ კარგად ვიცნობ საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელებს. დღეისათვის კი ეროვნულ ნაკრებში სათამაშოდ უპირატესობას ლეგიონერებს ვანიჭებ“, — განაცხადა ჟირესმა და დაუმატა, რომ ამ ეტაპზე სპეციალურად შეიკავა თავი თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გამოძახებისგან, რადგან მათ, 26 მაისს საქართველოს თასის ფინალში უწევთ თამაში. დონეცკის „მეტალურგში“ მოასპარეზე გიორგი დემეტრაძესა და გოჩა ჯამარაულს კი უახლოეს ხანში, უკრაინის ჩემპიონატის უაღრესად მნიშვნელოვანი მატჩები ელით, რის გამოც, ჟირესმა ამჯერად, ამ ფეხბურთელთა მოწვევაც არ ჩათვალა მიზანშეწონილად.

ფრანგი მწვრთნელის მიერ გამოძახებულთა 22-კაციან სიაში მოხვდნენ ვლადიკავკაზის „ალანიას“ ფეხბურთელები ვიტალი დარასელია და ლევან გვაზავა, თუმცა, ისრაელთან ვერც ერთი ითამაშებს, რადგან ორივეს სერიოზული ტრავმა აქვს და როგორც „ალანიას“ ოფიციალური საიტი იტყობინება, სამკურნალოდ შესაძლოა, საფრანგეთშიც კი მოუხდეთ გამგზავრება.

ეროვნულ ნაკრებს შესაძლოა გამოაკლდეს შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსის“ მცველი ზურაბ ხიზანიშვილი, რომელმაც შოტლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურში „დანფერმლაინთან“ შეხვედრისას კოჭი დაიზიანა.

ასე რომ, ჟირესმა 27 მაისისთვის შემდეგ ფეხბურთელებს უხმო:

მეკარეები — გიორგი ლომაია („სპარტაკი“, რუსეთი), აკაკი დევაძე („სპარტაკი“, თბილისი), ზურაბ მამალაძე („ლოკომოტივი“, თბილისი);

მცველები — კახა კალაძე („მილანი“, იტალია), ოთარ ხიზანეიშვილი („დინამო“, რუსეთი), ალექსანდრე ამისულაშვილი („დინამო“, უკრაინა), რევაზ ქემოკლიძე („თბილისი“), დავით ქიქვეიშვილი („სიონი“, ბოლნისი), გივი დიდავა („ქოჯაელისპორი“, თურქეთი), კახა მჟავანაძე („ანჟი“, რუსეთი);

ნახევარმცველები — მალხაზ ასათიანი („ლოკომოტივი“, რუსეთი), ლევან ცქიტიშვილი („ფრაიბურგი“, გერმანია), ლევან კობიაშვილი („შალკე“, გერმანია), დავით სირაძე („უნიონი“, გერმანია), დავით მუჯირი („შტურმი“, ავსტრია), ზურაბ მენთეშაშვილი („სკონტო“, ლატვია);

თავდამსხმელები — ალექსანდრე იაშვილი („ფრაიბურგი“, გერმანია), რატი ალექსიძე („როსტოვი“, რუსეთი), მიხეილ აშვეთია („ლოკომოტივი“, რუსეთი).

ისრაელის ნაკრებთან დაკავშირებით, ჟირესმა მხოლოდ ის თქვა, რომ სათანადო ინფორმაციას ფლობს, თუმცა, საკმაოდ მცირეს. თანაც, როგორც მან განაცხადა, ამ ეტაპზე გუნდები, მათ შორის ისრაელის, ნაკლებად ცდილობენ თავიანთი რეალური ძალის წარმოჩენას. აი, საქართველოს ნაკრების წევრებს კი, როგორც ჩანს, მთელი თავიანთი შესაძლებლობების დემონსტრირება მოუწევთ, რადგან მათი ახალი მთავარი მწვრთნელი ისრაელელებთან მხოლოდ მოგებას ითხოვს: „ნებისმიერ ამხანაგურ მატჩში, ფეხბურთელებზე დაკვირვება და ტაქტიკური სქემების გამოცდა პრიორიტეტულია, მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად, ისრაელთან მატჩში ჩვენი მიზანი მხოლოდ გამარჯვება იქნება“, — რიხიანად დასძინა ჟირესმა.

რაც შეეხება 21-წლამდელთა ნაკრების წევრებს, ამ მატჩისთვის ყველა მათგანი თავიანთი მწვრთნელის, გოჩა ტყებუჩავას განკარგულებაში იქნება, — აღნიშნა ჟირესმა. — შემდგომში კი, პრიორიტეტი ეროვნულ ნაკრებს მიეცემა, რისი საწინააღმდეგო არც ახალგაზრდების მწვრთნელს ჰქონია რამე.

ნაკრების შეკრება 23 მაისს დაიწყო.

***გიორგი ბაკურაძე***

# „მშიერმა ბასკომ“ „მაძღარ დინამოს“ ჩემპიონობა წაართვა

აჭარის რევოლუციური დღეების შემდეგ, ბევრი ვერ იფიქრებდა, რომ უკაპიკოდ დარჩენილი ბათუმის „ბასკო“ საქართველოს მე-13 ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული გახდებოდა. არადა, ერთი პერიოდი „ბასკოსთან“ პლეი-ოფში შეხვედრისთვის ჩემპიონატში მონაწილე „სტუ-ჯეოსელი“ ლამის ყველა სუსტ გუნდთან თმობდა მატჩებს. მართალია, შემდგომში ეს მოვლენა „სტუ-ჯეოსელის“ მთავარმა მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა საკუთარი გუნდის „ჩავარდნას“ დაუკავშირა, მაგრამ გულშემატკივარმა ხომ კარგად იცოდა სად ემარხა „ძაღლის თავი“ — მარტიდან მოყოლებული, დაფინანსების შეწყვეტის გამო, გარეგნულად იერშენარჩუნებული „ბასკო“, სულ უფრო სუსტდებოდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბათუმელთა მთავარმა მწვრთნელმა ნუგზარ კანდელაკმა გუნდი ორი თვის განმავლობაში ვერ ავარჯიშა.



მიუხედავად ამისა, ჩემპიონატის ფინალურ სერიაში „ბასკომ“ თბილისის „დინამოს“ ჩემპიონობა წაართვა (22 მაისს, გადამწყვეტ, მე-5 ფინალურ მატჩში დაამარცხა ანგარიშით 79:69). არადა, პირველობასთან უფრო ახლოს სწორედ „დინამო“ იყო. ფინალურ სერიაში, რომელიც საბოლოოდ, „ბასკომ“ 3:2 მოიგო, 2:1-ს „დინამო“ იგებდა.

რა მოხდა? ნუგზარ კანდელაკი მისი გუნდის გამარჯვების უპირველეს ფაქტორად წინასასეზონო მოსამზადებელი პერიოდის ნაყოფიერად გამოყენებას თვლის: „ჩვენმა გუნდმა თითქმის ორი თვის განმავლობაში ვარჯიშის ჩატარება ვერ მოახერხა. „ბასკოს“ მოთამაშეთა ერთი ნაწილი ბათუმში იყო, ნაწილი კი თბილისში, მაგრამ სეზონისწინა მომზადებამ გადამწყვეტ მომენტში თავისი სიტყვა მაინც თქვა“.

მისივე თქმით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გამარჯვების მისაღწევად ფსიქოლოგიური განწყობაც იყო: „ბიჭების გადაწყვეტილება ანაზღაურების გარეშე თამაშისა და ჩემპიონატის გაგრძელების შესახებ, ნიშნავდა, რომ „ბასკოს“ კალათბურთელები ბოლომდე თავს დადებდნენ გამარჯვების მოსაპოვებლად. ჩვენ დასაკარგი არაფერი გვქონდა, „დინამოელები“ კი ამ მხრივ ემოციურად ზედმეტად დატვირთულები იყვნენ, თუნდაც იმიტომ, რომ ჩემპიონობასთან ერთად, ისინი სოლიდურ პრემიებსაც დაკარგავდნენ“, — შენიშნა კანდელაკმა და შემდეგ გუნდების ტაქტიკურ დაპირისპირებასაც შეეხო, — „დინამოს“ მთავარი სათამაშო სქემა სამქულიანების სროლაზეა აგებული. მთელი სეზონის განმავლობაში და განსაკუთრებით, დღევანდელ მატჩში ვცდილობდით, რომ ეს პრობლემა მეტნაკლებად მაინც გადაგვეჭრა. „ბასკო“ კი პირიქით, ფარქვეშ თამაშს ანიჭებდა უპირატესობას, რაც შემდგომში, შორი მანძილიდან სროლის მეტ თავისუფლებას გვაძლევდა. აქედან გამომდინარე კი, ჩვენ მეტი არჩევანის საშუალება გვქონდა“.

ოდნავ განსხვავებული მიდგომა აქვს ამ საკითხისადმი წარსულში ცნობილ ქართველ კალათბურთელს, 80-იანი წლების თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრს ნიკოლოზ დერიუგინს. მან „დინამოსა“ და „ბასკოს“ შორის გადამწყვეტი მატჩის შემდეგ გვითხრა, რომ არ მოელოდა „დინამოელთა“ მხრიდან ასეთ სუსტ თამაშს: „ფინალური ორთაბრძოლა ყოველდღე არ ტარდება, ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრები წელიწადში ერთი-ორჯერ თუ მოგიწევს, შესაბამისად, მისთვის სათანადოდ უნდა მოემზადო, რაც „დინამოელებში“ ვერ შევნიშნე. „ბასკო“ კი დღევანდელი თამაშის მიხედვით, ღირსეულად გახდა ჩემპიონი“.

დერიუგინის აზრით, მნიშვნელოვანი როლი ბათუმელთა გამარჯვებაში „ბასკოში“ მოთამაშე ტყუპმა ძმებმა — ირაკლი და დათო ბერიშვილებმა ითამაშეს: „ძალიან კარგად ითამაშეს. ორივე სტაბილურად ზუსტად ისვრიან სამქულიანებს, გამონაკლისი არც დღევანდელი შეხვედრა იყო. ვფიქრობ, ამით მათ გადამწყვეტი როლი ითამაშეს საბოლოო გამარჯვებაში“.

ბათუმელთა გამარჯვებაში არანაკლებ გამოიჩინეს თავი დავით ბერძენიშვილმა, ანატოლი ბოისამ და „ბასკოს“ თითქმის ყველა მოთამაშემ. აღარაფერს ვამბობთ ნუგზარ კანდელაკზე, რომლის ხელშიც ბათუმის გუნდი ყოველგვარი ფინანსური დაინტერესების გარეშეც თავგანწირვით თამაშობდა. შედეგად, „ბასკო“ მეოთხედ გახდა საქართველოს ჩემპიონი...

***გიორგი ბაკურაძე***

# 2010 წელს სამხრეთ აფრიკაში

მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის სამხრეთაფრიკული პრემიერა 2010 წელს შედგება — ასე გადაწყვიტა ფიფას აღმასკომის 24-მა წევრმა. ყველაზე მეტი ხმა — 14, სწორედ სამხრეთ აფრიკას ერგო, მაროკოს კანდიდატურა კი დანარჩენმა 10-მა მოიწონა. ეგვიპტემ, რომელიც სამხრეთ აფრიკის უმთავრეს კონკურენტად მოიაზრებოდა, ვერც ერთი ხმა ვერ მოიპოვა.

მას შემდეგ, რაც ოფიციალური გადაწყვეტილება ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა საქვეყნოდ გამოაცხადა, ციურიხის საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის ტრიბუნაზე წამოდგა 86 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ნელსონ მანდელა, რომელიც შვეიცარიაში საგანგებოდ იყო ჩასული, საკუთარი ქვეყნის თეთრკანიან ვიცე-პრეზიდენტ ფედერიკ დე კლერკსა და კეიპტაუნის არქიეპისკოპოს დესმონდ ტუტუსთან ერთად, რათა მხარი დაეჭირათ თავიანთი ქვეყნის კანდიდატურისთვის. მანდელას არც სიხარულის ცრემლი დაუმალავს: „ეს დიდი საჩუქარია სამხრეთაფრიკელთათვის, ჩემმა ქვეყანამ ხომ დაძლია რასიზმი და განვითარების ახალ გზაზე დადგა...“

სამხრეთაფრიკელთა პრეზიდენტმა ტაბო მაბეკიმ ფიფას გადაწყვეტილების აღსანიშნავად, საერთო-სახალხო ზეიმს, ოფიციალური სახე მისცა და შამპანურის გახსნით, თავადაც ხალხის სიხარულის უშუალო მონაწილე გახდა.

# ბრინჯაო — „დინამოს“, ოქრო-ვერცხლი — არავის...



კიდევ ერთი კვირით გადაიწია თარიღმა, რომელსაც საქართველოს მე-15 საფეხბურთო ჩემპიონატის გამარჯვებულის ვინაობა უნდა ემცნო. თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“ და ბოლნისის „სიონმა“ იმდენი ქნეს, რომ საბოლოო გამარჯვებულის გამოსავლენად „ოქროს მატჩის“ გამართვა გახდა საჭირო.

შაბათს, ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურში „ვიტ-ჯორჯიამაც“ და „სიონმაც“ ერთნაირი ანგარიშებით — 1:0-1:0 მოიგეს და 41-41 ქულით პირველ-მეორე ადგილები გაიყვეს (უფრო სწორად, ვერ გაიყვეს).

გულშემატკივარი უფრო დიდხანს „ვეტერინარებმა“ ანერვიულეს, რადგან საკუთარ კედლებში ინწკირველმა თბილისის „ლოკომოტივს“ მხოლოდ 56-ე წუთზე გაუტანა გოლი მაშინ, როდესაც ბოლნისელმა გაბისკირიამ სტუმრად „თბილისთან“, იმავეს გაკეთება 33-ე წუთზე მოახერხა. ამ ორ გუნდზე ერთი ქულით ნაკლები მოაგროვა და შესაბამისად, ბრინჯაოს პრიზიორი გახდა თბილისის „დინამო“, რომელმაც სტუმრად გორის „დილა“ დაამარცხა ანგარიშით 2:1. თბილისელთაგან გოლები მე-13 და 44-ე წუთებზე მელქაძემ და დვალმა გაიტანეს, რაზეც გორელმა შატაკიშვილმა 49-ე წუთზე უპასუხა.

როგორც საქართველოს პროფესიული საფეხბურთო ლიგიდან გვაცნობეს, „ოქროს მატჩის“ თარიღი საბოლოოდ ჯერ არ გარკვეულა, სავარაუდოდ კი, ეს საინტერესო დაპირისპირება 29 ან 30 მაისს თბილისში გაიმართება.

შაბათსვე გაიმართა ქვედა ექვსეულის ბოლო ტურის სამი მატჩი — „ტორპედო“ (ქუთაისი) — „სპარტაკი“ (თბილისი) 3:4; „დინამო“ (ბათუმი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:3; „მერცხალი“ (ოზურგეთი) — „მცხეთა“ 2:6.

უმაღლეს ლიგას „მერცხალი“ და „სპარტაკი“ გამოეთხოვნენ, ბათუმის „დინამო“ კი, გადათამაშებაში შეეცდება უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნებას.

# სერია „A“-ს სიმბოლური ნაკრები

პოპულარულმა ინტერნეტ-საიტმა TWSSUK-FPU-მა გამოაქვეყნა იტალიის სერია A-ს სიმბოლური ნაკრები მიმდინარე წლის შედეგების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ნომინანტთა შორის დასახელებულია „რომას“ ხუთი ფეხბურთელი.

სიმბოლური ნაკრები ასეთი სახისაა: დიდა („მილანი“), სტამი („ლაციო“), ძამბროტა („იუვენტუსი“), ნესტა („მილანი“), სამუელი („რომა“), პირლო („მილანი“), ემერსონი („რომა“), ფიორე („ლაციო“), კაკა („მილანი“), ტოტი („რომა“), შევჩენკო („მილანი“). მწვრთნელი — ანჩელოტი („მილანი“).

სათადარიგოთა შორის მოხვდნენ: პერუცი („ლაციო“), მალდინი („მილანი“), მანსინი („რომა“), კივუ („რომა“), გატუზო („მილანი“), ბაჯო („ბრეშა“), ჯილარდინო („პარმა“).

# „ჩელსი“ კიდევ ძლიერდება



რომან აბრამოვიჩი

რომან აბრამოვიჩს განზრახული აქვს წელსვე დაამყაროს ბრიტანეთის სატრანსფერო რეკორდი. ამისთვის მან შეარჩია „ლივერპულის“ კაპიტანი სტივენ ჯერარდი, რომლის საყიდლადაც ჩუკოტკის გუბერნატორი 30 მილიონ გირვანქა სტერლინგსაც არ იშურებს. ლაპარაკია იმაზე, რომ ჯერარდი ყოველკვირეულ გასამრჯელოდ 100 ათას გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

თუმცა, აბრამოვიჩი აქაც არ ცხრება და უფრო მასშტაბურ გეგმებსაც ისახავს.

„რეალის“ მიერ „მონაკოში“ იჯარის წესით განათხოვრებულმა ფერნანდო მორიენტესმა, მიმდინარე სეზონში, მართლაც საუკეთესო თამაში აჩვენა და არაერთი გუნდის მესვეურთა ყურადღებაც მიიპყრო. მართალია, „რეალს“ სურს თანამემამულის დაბრუნება, მაგრამ არაა გამორიცხული, იგი აბრამოვიჩის „ჩელსიში“ აღმოჩნდეს. თუმცა, ისიც გაირკვა, რომ მასზე თვალი ინგლისელ „მეთოფეებსაც“ უჭირავთ, მაგრამ ჯიბესქელი აბრამოვიჩის შესაძლებლობებს რა ამოწურავს. ყოველ შემთხვევაში, „ჩელსის“ ბანაკიდან ოფიციალურად იუწყებიან, რომ ეს საქმე 90 პროცენტით მოგვარებულია.

თავად ფეხბურთელს საკმაოდ ხიბლავს საფეხბურთო კარიერის ინგლისში გაგრძელება, თუმცა, არ ჩქარობს.

აბრამოვიჩის მადა განსაკუთრებულად ვლინდება პოსტსაბჭოთა სივრცის საუკეთესო ვარსკვლავის, „მილანის“ ფორვარდისა და მთავარი გოლეადორის ანდრეი შევჩენკოს მიმართ. აბრამოვიჩი „როსონერის“ დაახლოებით 35 მილიონ ფუნტს სთავაზობს. თავის დროზე, იტალიელებმა კიეველებს 24 მილიონი დოლარი გადაუხადეს.

მიიღებენ თუ არა იტალიელები აბრამოვიჩის წინადადებას, ჯერ არაა ცნობილი, „ჩელსის“ თავკაცობა კი იუწყება, რომ თუკი ეს გარიგება შედგა, გუნდიდან იჯარით რამდენიმე თავდამსხმელს გაუშვებენ. გადაწყვეტილი საქმეა, რომ „არისტოკრატებს“ ჰოლანდიელი ლეგიონერი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი დატოვებს. არ გამორიცხავენ, რომ „ჩელსიდან“ წავლენ რუმინელი ფორვარდი ანდრეა მუტუ და არგენტინელი ერნან კრესპო.

აბრამოვიჩს ერთი ვარიანტიც აქვს გათვლილი — თუკი მილანელები მაგრად დადგნენ და შევჩენკოს ვერ შეელივნენ, მაშინ რუსი მილიონერი „იუვენტუსისა“ და საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელს დევიდ ტრეზეგეს იყიდის, მასვე ჩაფიქრებული აქვს, „მარსელიდან“ დიდიე დროგბას გამოსყიდვაც.

***გიგა ხირსელი***

## №20 (398) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგს 617 რესპონდენტი გამოეხმაურა. 8 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 269 ქალმა და 340-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელი პოპულარული ოჯახური წყვილის მიმართ ხართ კეთილ-განწყობილი ყველაზე მეტად?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, რესპონდენტთა უმრავლესობის კეთილგანწყობას ბურჯანაძე-ბიწაძის ოჯახური წყვილი იმსახურებს — მკითხველთა 35%-მა დაუწერა მას მაქსიმალური 8 ქულა და უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მცირე რაოდენობის მინიმალური ქულაც (1,9%) სწორედ მათ დაიმსახურეს.

უკვე კარგა ხანია, რაც ჩვენს გამოკითხვებში ნინო ბურჯანაძე ლიდერობას თითქმის არავის უთმობს. ალბათ, მისი რეიტინგის დამსახურებაა ის, რომ **6,41** საშუალო ქულით ეს წყვილი პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე სალომე ზურაბიშვილი და ჯანრი კაშია არიან. მართალია, ეს წყვილი ფართო საზოგადოებამ სულ ახლახან გაიცნო, მაგრამ, როგორც ვხედავთ, მათ მიმართ კეთილგანწყობა საკმაოდ დიდია. მკითხველთა 23,3%-მა შეაფასა ისინი მაქსიმალური ქულით. საშუალო ქულაა 6,03.

თათია თოფურიასა და გიორგი თარგამაძის წყვილი რეიტინგში მესამე ადგილზეა.

როგორც ვხედავთ, საშუალო ქულების მიხედვით ხიდაშელი-უსუფაშვილის წყვილი წინ უსწრებს წურწუმია-მამულიჩას წყვილს. მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით კი პირიქითაა და ამ ნიშნით ლელა და მამულიჩა (10,4%) უსწრებენ ახალგაზრდა იურისტთა ოჯახს (8,03%).

მკითხველმა შედარებით დაბალი შეფასება მისცა მანანა შევარდნაძისა და გია ჯოხთაბერიძის წყვილს, რესპონდენტთა 50%-მა დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა. თუმცა, მაქსიმალური შეფასებების რაოდენობით მათი წყვილი ეროსი და ია კიწმარიშვილებს უსწრებს.




საპრიზოს ზუსტად 5 ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 53 წლის **ნანა დათუაშვილი,** 45 წლის **ლალი ხუნწარია,** 71 წლის **ლილი ნოდია,** 44 წლის **გელა წინამძღვრიშვილი** და 36 წლის **მამუკა აფციაური.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 26 მაისს, 17 საათზე.

## №21 (399) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვასა და «მკითხველის პრემიას».

№21 (399) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 26 მაისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 27 მაისის 13 საათამდე.

© თბილისი

თემა №21(399) — გავლენიანი ბიზნესმენი

**თქვენი აზრით, ვინ არის დღეს ყველაზე გავლენიანი ბიზნესმენი საქართველოში (ჩამოთვლილთაგან)?** დაუწერეთ მას 8 ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

№21(399) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| № | ბიზნესმენი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ბოგი თოფაძე | |
| 2 | მამუკა ხაზარაძე | |
| 3 | თემურ ჭყონია | |
| 4 | ეროსი კიწმარიშვილი | |
| 5 | ბადრი პატარკაციშვილი | |
| 6 | ვანო ჩხარტიშვილი | |
| 7 | ავთო წერეთელი | |
| 8 | ლევან გაჩეჩილაძე | |

### დამატებითი კითხვა

**მოგწონთ თუ არა საქართველოს ახალი ჰიმნი?**

| დიახ | არა | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|
| | | |

*(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)*

### მკითხველის პრემია

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით იხევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.

თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

### დამატებითი კითხვის შედეგები

**შეძლებს თუ არა საქართველოს ახალი ხელისუფლება აფხაზეთის დაბრუნებას?**




როგორც ვხედავთ, რესპონდენტთა უმრავლესობა — 72,9% თვლის, რომ **ხელისუფლება აფხაზეთს დაიბრუნებს,** მათგან 38,8% მიიჩნევს, რომ ეს დაახლოებით ერთ წელიწადშია შესაძლებელი; 24,5% კი ვარაუდობს, რომ მაქსიმუმ ორ წელიწადში ხელისუფლება შეძლებს დაკარგული აფხაზეთის დაბრუნებას.

რესპონდენტთა 11,3%-ის აზრით, ეს დაახლოებით სამ წელიწადში მოხდება; 4-დან 10 წლამდე პერიოდში — 7,9%; ახლო მომავალში — 4,0%; მიჭირს პასუხის გაცემა — 7,1% ახალი ხელისუფლებისაგან სიმბოლოებსა და დამთხვევებს, როგორც ჩანს, უკვე კარგად შეჩვეული რესპონდენტთა 5,9% თვლის, რომ აფხაზეთის დაბრუნება ზუსტად 2004 წლის 23 ნოემბერს, გიორგობას მოხდება. ორი მკითხველი (0,5%) კი ვარაუდობს, რომ ეს მოვლენა 2005 წლის 6 მაისს დაემთხვევა.

*დამატებით კითხვას 520-მა რესპონდენტმა უპასუხა*

## ფოტოანტიკვარი © ·ფოტოპალიტრა·



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

„ლეკიანობას“ ერთხელ გადავურჩი...

**ნ.ბ.** — ვანო, რაო ივანოვმა, რა გვინდაო?

**ვ.მ.** — რაო და, თუკი მორიგ რევოლუციას აფხაზეთში გეგმავთ, არძინბას ჩვენ წავიყვანთო.

**ნ.ბ.** — (თავისთვის) უჭირთ ბიჭებს!..

*ემზარ ფრუიძე,*
*წყალტუბო*

**ვ.მ.** — ნინო, „კვირის პალიტრის“ რეიტინგი ნახე? ბოლოდან მეორე ადგილზე რომ გამიყვანეს?

**ნ.ბ.** — ვნახე.

**ვ.მ.** — ხოდა, ივნისიდან ველარ ნახავ.

*გია ჯოხაძე,*
*თბილისი*

**ვ.მ.** — ქალბატონო ნინო, აი, უკვე მეექვსეჯერ დამარტყით, სირცხვილია, ხალხი იყურება... აი, მეშვიდეჯერ.

*გ. ცანავა,*
*მარტვილი*

**ნ.ბ.** — აჭარაში აღმოაჩინეთ ნარკოგადამამუშავებელი ქარხნები?

**ვ.მ.** — ...ვეძებთ. ...ვიპოვით!

**ნ.ბ.** — როდის?

**ვ.მ.** — როცა აშშ ერაყში ბირთვულ იარაღს იპოვის.

*ელგუჯა შალამბერიძე,*
*წყალტუბო*



ვანო მერაბიშვილი, ნინო ბურჯანაძე

**ვ.მ.** — ქალბატონო ნინო, სოროსმა თქვენთან ფული გამომატანა.

**ნ.ბ.** — ჩუმად მომეცი, თორემ უკან ლეიბორისტი დგას და თუ დაგვინახა, იცოდე, სტრასბურგი უკან დაგვრჩება.

*ავთანდილ წერეთელი,*
*თბილისი*

**ნ.ბ.** — ბ-ნო ვანო, ეს დაცვა რომ არ გადგეს თავზე იალბუზივით, გეტყოდი, რაებიც წერია შენზე ასლანის დანატოვარ „დოსიეში“...

**ვ.მ.** — „დოსიე“ რად მინდა, მე უკეთესად არ ვიცი „ვისი გორისა ვარ?..“

*თინიკო რეხვიაშვილი,*
*თბილისი*



ლომმა ტყის ბინადარნი შეკრიბა და განუცხადა:

— ძმებო და დებო, ორი ამბავი მაქვს თქვენთვის, ერთი კარგი, მეორე ცუდი. მოდით, კარგით დავიწყებ. დღეს ცხოველთა დაცვის საზოგადოებამ ჰუმანიტარული დახმარება გამოგვიგზავნა — ერთი ვაგონი პრეზერვატივები.

— კარგია, კარგია... აყრიამულდნენ მხეცები. ლომმა ზღარბისკენ გაიშვირა თათი: — ამ კრეტინმა კი სულ ზურგით გადმოტვირთა!!!

27/V )

**პირველი მეოთხედი**

**მაგნიტური დღეებია:**

25/V 16-დან 18 საათამდე
30/V 10-დან 12 საათამდე

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ენოთეკა; 4. კონიაკი; 6. ფესკა; 7. რანჩო; 8. სოფია; 9. იანკი; 10. ემბაზი; 13. აზდაკი; 16. ტიერი; 18. მასხარა; 19. ნავთობი; 20. იორკი; 22. აპოგეა; 23. პიკასო; 25. „ფედრა“; 27. ნესტო; 28. აბადო; 29. იამბი; 30. „იავნანა“; 31. არტერია.

**შვეულად:** 1. ეკატერინე; 2. აფერისტი; 3. ქსენოფონტე; 4. კაბოტაჟი; 5. ინტელექტი; 11. ბასკო; 12. „ზვარე“; 14. ზევსი; 15. აგორა; 16. ტაი; 17. ინი; 21. რუდესჰაიმი; 22. ასტეროიდი; 24. ორანჟერეა; 25. ფანტაზია; 26. აპოლოგია.








**თარაზულად:** 1. სამხედრო მოსამსახურეთა სასტუმრო; 4. საზეიმო სვლა, პროცესია; 6. საათების იაპონური ფირმა; 7. ნოდარ დუმბაძის პერსონაჟი; 8. ცნობილი იტალიელი მსახიობი და რეჟისორი, XX საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კომიკოსი ფილმებში: „ჟურნალისტი რომიდან“, „ბუმი“ და სხვა; 9. წლევანდელი ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი; 10. რადიოტალღების მიმღებ-გადამცემი მოწყობილობა; 13. ამჟამად მეტად პოპულარული ბლოკბასტერის „ტროას“ ლიტერატურული საფუძველი; 16. მთავრის ტიტული მუსლიმანურ ქვეყნებში; 18. სამართალმცოდნე; 19. ზეთისხილის ზეთი; 20. შაქრის ლერწმის აღების პერიოდი კუბაში; 22. განცხრომაში ყოფნა; 23. თითქმის შეუმჩნეველი საბანაო კოსტიუმი; 25. პარკოსანი მცენარე; 27. სათამაშო ფურცლების დასტა; 28. მსოფლიოს №1 ტერორისტი ... ბინ ლადენი; 29. ამერიკული ნუგბარი რძით, ქიშმიშითა და ნუშით; 30. „ფორმულა-1“-ის საჯინიბო, რომელიც მონტე-კარლოს დიდი პრიზის გათამაშების წინ შეამკეს ბრილიანტებით, რომელთა ღირებულება თავად მანქანების ღირებულებაზე მეტია; 31. სასმელ „ჩერი ბრენდის“ ნედლეული.

**შვეულად:** 1. გაზაფხულის ყვავილი; 2. სულის ხუთვა; 3. წოდება, რომელსაც შეიძენს მელ გიბსონი თავისი ფილმის გაქირავების შედეგად; 4. ფერების შეხამება; 5. წარმოთქმის მანერა, რომელიც მთქმელის გრძნობებს გამოხატავს; 11. საკონდიტრო ნაწარმი; 12. ბაღჩეული; 14. მხიარული ნადიმი; 15. სამშენებლო მასალა; 16. ჯიმ კერის პერსონაჟი — საუკეთესო იმ დეტექტივებს შორის, რომელიც იძიებს შინაურ ცხოველებს — ... ვენტურა; 17. ი. ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი ბუვიეს რომანი; 21. მაიკლ მურის სენსაციური ფილმი, რომელიც ძირს უთხრის ბუშის პრეზიდენტობას „... 9/1“; 22. ზნეობრივ-დამრიგებლური ხასიათის ლიტერატურული ნაწარმოები; 24. ფარული საძრახისი ქმედებებისა და ხრიკების მოყვარული; 25. ქართველი რეჟისორი („ბედურების გადაფრენა“, „უძინართა მზე“); 26. ნაწარმოების შინაარსის მოკლედ გადმოცემა.

**შეადგინა რამაზ ალანიამ**

# ჰოლი ბერის მომხიბვლელი ღიმილი

ჰოლივუდში მოეწყო საუკეთესო ღიმილის გამოსავლენი კონკურსი, რომელშიც ჰოლი ბერის ღიმილი ჟიურიმ ყველაზე მომხიბვლელად აღიარა, მეორე ადგილი ერგო ჯულია რობერთსს, ნიკოლ კიდმანს ამ კონკურსში არ გაუმართლა, მისი სახელი სიის ბოლოში აღმოჩნდა. მეტიც, ექსპერტებმა ნიკოლის ღიმილს „რეზინის“ უწოდეს. ბოლო დროს წარმატება გვერდს უვლის ნიკოლს. ჟიურიმ შეადარა 15 ყველაზე ცნობილი ჰოლივუდის ვარსკვლავის ფოტო, შეაფასეს კბილების სითეთრე, ფორმა, ღიმილის სიმეტრიულობა. მამაკაცთა შორის პირველი ადგილი დაიკავა პირს ბროსნანმა.







ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## (21) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

ჭრიყავ და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№21 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 27 მაისის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com

www.opentext.ge/kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი © 1518**

**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.


შავი ყვითელი ლურჯი წითელი